

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

როზა ტუფურია

აბრარული წარმოების რესურსული პოტენციალი და განვითარების
პერსპექტივები სამეგრელოს რეგიონის მაგალითზე

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

ეკონომიკის დოქტორის (PhD in Economic)
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ- ხელმძღვანელი: ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
ეთერ ხარაიშვილი



თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

თბილისი 2010

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	3
თავი 1. აბრარული რეფორმის ძირითადი მიმართულებები.	8
1.1. აგრარული პოტენციალის შეფასების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები	8
1.2. აგრარული რეფორმა და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები	22
1.3. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ფუნქციონირების თავისებურებები აგრარულ სექტორში	43
თავი 2. აბრარული პოტენციალის ფორმირების თავისებურებები და შაქტორები	78
2.1. აგრარული პოტენციალის ფორმირებისა და გამოყენების თავისებურებები	78
2.2. აგრარული პოტენციალის გამოყენებაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი	86
2.3. აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები	107
თავი 3. აბრარული პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების მიმართულებები	119
3.1. აგრარული პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების შემაფერხებელი ფაქტორები	119
3.2. აგრარული სექტორის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმები	130
3.3. აგრარული პოტენციალის გამოყენების დონის ამაღლების რეკომენდაციები	163
დასკვნები და წინადადებები	169
გამოყენებული ლიტერატურა	182

შესავალი

პრობლემის აქტუალობა. ქვეყნის ეროვნული მეურნეობის მრავალი დარგიდან სოფლის მეურნეობა უკავშირდება ისეთ უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრას, როგორცაა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა, მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფა, ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში აქტიური ჩართვა და სხვა.

დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობა არის შედეგი მთელი რიგი ფაქტორებისა, რომელთაგან აღსანიშნავია: არ არსებობს დარგის განვითარების სახელმწიფო სტრატეგია; ფერმერულ მეურნეობებში არ ხდება წარმოებაში სახსრების ინვესტირება; ფერმერული მეურნეობები ვერ სარგებლობენ ვეტერინარული, აგრონომიული და სხვა საკონსულტაციო მომსახურებით; ფერმერებს არ შეუძლიათ კრედიტებით სარგებლობა და თანამედროვე ტექნიკის, ქიმიკატების და ხარისხიანი სათესლე-სარგავი მასალის შეძენა-განახლება; არ ხდება ქონების, კომერციული რისკების დაზღვევა და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ქვეყნის შრომითი რესურსების ნახევარზე მეტი, ეროვნული მეურნეობის ამ დარგის წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში 9%-მდეა ხოლო, სოფლის მეურნეობაზე გაწეული ხარჯები შეადგენს ქვეყნის ბიუჯეტის 1,3%-ს¹, რაც ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია მსოფლიოში. ყოველივე ზემოთ აღნიშნული მიუთითებს ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების უაღრესად დაბალ დონეზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სოფლის მეურნეობა დღეს რადიკალურ ცვლილებებს მოითხოვს.

საკვლევი რეგიონის (სამეგრელოს) აგრარულ სექტორშიც იგივე სავალალო მდგომარეობაა. რეგიონის აგრარულ სექტორში შექმნილი რთული ვითარება მოითხოვს არსებული რესურსების რაციონალურ გამოყენებას, რისი მიღწევაც შესაძლებელია მხოლოდ მისი სწორი შეფასებისა და გამოყენების გზით. საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებაზე ორიენტირებული აგრარული რეფორმა დღის წესრიგში აყენებს ეკონომიკური გარდაქმნების გაღრმავებისა და რეგიონის აგრარული სექტორის საწარმოო პოტენციალის რაციონალური გამოყენების

¹ სტატისტიკური წელიწადეული 2009, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბ., 2009, გვ. 122

აუცილებლობას, რითაც მიიღწევა ეკონომიკის აღმავლობა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, მოსახლეობის შემოსავლების გადიდება, ცხოვრების დონის ამაღლება და სხვ.

აგრარული სექტორის საწარმოო პოტენციალის განსაზღვრის და მისი გამოყენების ეფექტიანობის დადგენა რთული და მრავალმხრივი ამოცანაა. დღეს გარდაუვალი ხდება საწარმოო პოტენციალის შეფასების მეთოდოლოგიის სრულყოფა.

საწარმოში, როგორც ეროვნული მეურნეობის კომპლექსის ძირითად რგოლში, კონცენტრირებულია წარმოების რესურსები. აქ წარმართება ძირითადი ეკონომიკური პროცესები, იქმნება დოვლათი, ეროვნული შემოსავალი, წყდება ეკონომიკური და სოციალური ამოცანები, ყალიბდება საწარმოო და სოციალური ურთიერთობები. ამიტომ, საწარმოთა შესაძლებლობების, მათი საწარმოო პოტენციალის პარამეტრებისა და მახასიათებლების ობიექტურ შეფასებას დიდი მნიშვნელობა აქვს ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებაში.

დინამიურად ცვალებადი თანამედროვე საბაზრო პირობები, სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, მოითხოვს საწარმოს მართვის ინსტრუმენტებისა და ტექნოლოგიების სრულყოფას. კონკურენციის პირობებში საწარმოს ხელმძღვანელები ეძებენ გზებს, რომლითაც წარმოება სტაბილური და მყარი იქნება. განვითარების მიზნების განსაზღვრისას ნებისმიერმა საწარმომ თავისი პოტენციალის საფუძველზე უნდა გამოავლინოს ამ მიზნების რეალიზაციის შესაძლებლობები. ამიტომ, საწარმოო პოტენციალის განსაზღვრა ამჟამად საკვანძო პრობლემად იქცა. წარმოების განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სხვადასხვა სახის საწარმოო პოტენციალის არსებობაზე. მათი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლებისა და ფორმირების პირობების კომპლექსურად გამოკვლევა საშუალებას იძლევა ეფექტიანად დაიგეგმოს და გადაიჭრას საწარმოს მიმდინარე და სტრატეგიული ამოცანები.

ბოლო წლებში მთლიანად ქვეყნის ეკონომიკასა და მათ შორის აგრარულ სექტორში მომხდარმა და მიმდინარე სტრუქტურულ გარდაქმნებმა ჯერ კიდევ ვერ გამოიღო მოსალოდნელი დადებითი შედეგები. აგრარულ სექტორში არსებული პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი პირობათაგანია ამჟამად არსებული საწარმოო პოტენციალის ობიექტურად შეფასება და მისი ზრდის რეზერვების ძიება. ეს საკითხები საკმარისად არ არის გამოკვლეული და გაშუქებული, რაც აფერხებს

ეროვნული მეურნეობის აღნიშნულ სექტორში განვითარების ეფექტური სტრატეგიის შემუშავებას.

საწარმოო პოტენციალის შესწავლა, მისი განსაზღვრა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რომლის გადაჭრა ხელს უწყობს საწარმოს საქმიანობის ეკონომიკური შედეგების ზრდას.

აქედან გამომდინარე, აგრარულ სექტორში საწარმოო პოტენციალის უფრო ეფექტიანად გამოყენების გზების ძიებისაკენ მიმართული გამოკვლევა უმნიშვნელოვანესი და აქტუალურია როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

კვლევის მიზანი და ამოცანები. გამოკვლევის მიზანია აგრარული სექტორის საწარმოო პოტენციალის ფორმირებისა და თავისებურებათა შესწავლის საფუძველზე ამ პოტენციალის გამოყენების მეცნიერული შეფასება და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე დასახული იქნა შემდეგი ამოცანები:

- აგრარული რეფორმის მიმდინარეობის შესწავლა და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების გამოვლენა.
- აგრარული სექტორის რესურსული პოტენციალის ფორმირების თავისებურებათა შესწავლა;
- სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ფუნქციონირების თავისებურებების გამოვლენა;
- სამეგრელოს რეგიონის აგრარული სექტორის თანამედროვე მდგომარეობის შესწავლა და მისი განვითარების ტენდენციების გამოვლენა;
- აგრარული პოტენციალის გამოყენებაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი;
- აგრარული სექტორის საწარმოო პოტენციალის დონის შესწავლა და მისი გამოყენების მიმართულებების განსაზღვრა საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში;
- აგრარული სექტორის სახელმწიფო რეგულირების ბერკეტების შესწავლა.

კვლევის ობიექტი. კვლევის ობიექტია სამეგრელოს რეგიონში შემავალი 7 რაიონის აგრარული სექტორის საწარმოო პოტენციალი.

კვლევის საგანია საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში სამეგრელოს რეგიონის აგრარული სექტორის საწარმოო პოტენციალის განსაზღვრის, განაწილების გამოყენების გაუმჯობესების და მისი ეფექტიანობის ამაღლების საკითხები.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ძირითადი დებულებები, სამთავრობო პროგრამული დოკუმენტები და კონცეფციები, საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები. გამოყენებულია საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლისა და საწარმოო პოტენციალის საკითხებზე არსებული თანამედროვე ეკონომიკური ლიტერატურა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები, სამეგრელოს რეგიონის საწარმოებისა და გაერთიანებების წლიური ანგარიშები, პირველადი აღრიცხვის მასალები, საკვლევი რეგიონის მიწათმოყვობისა და სტატისტიკური სამმართველოს მონაცემები, საკუთარი მეცნიერული დაკვირვებები. კვლევის პერიოდი მოიცავს 1990-2009 წლებს.

ნაშრომში გამოყენებულია დიალექტიკური, სტატისტიკური, შედარების, ანალიზის, სინთეზის, პროგნოზირების, პროგრამულ-მიზნობრივი და სხვა მეთოდები.

კვლევის მეცნიერული სიახლე. სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდისათვის როგორც ქვეყნის, ასევე სამეგრელოს რეგიონის რესურსული პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების საფუძველზე აგრარულ სექტორში მიმდინარე ტრანსფორმაციების, აგრარული პოტენციალის ფორმირებასა და განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა, კერძოდ:

- შესწავლილია სამეგრელოს რეგიონში აგრარული რეფორმის მიმდინარეობა და გამოვლენილია მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები;
- კორელაციური კავშირების გზით გამოვლენილია რესურსულ პოტენციალზე მოქმედი ფაქტორები და დასაბუთებულია მათი წარმოების შედეგებზე გავლენა;
- შესწავლილია აგრარულ სექტორში ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების დანერგვისა და მათი ფუნქციონირების თავისებურებანი რესურსული პოტენციალის გამოყენების საფუძველზე;
- აგრარული სექტორის რესურსული პოტენციალის ეფექტიანად

გამოყენების საფუძველზე გამოვლენილია სექტორის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები;

- გამოკვლეულია აგრარულ სექტორში საბაზრო ურთიერთობათა პირობებში სახელმწიფოებრივი რეგულირების ის ბერკეტები, რომლებიც უზრუნველყოფენ რესურსების ეფექტიან გამოყენებას და უკეთ მიესადაგება საკვლე რეგიონში ჩამოყალიბებულ ტრადიციებს, თავისებურებებს, თანამედროვე მდგომარეობას და პერსპექტივების ამოცანებს;

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ჩატარებული ანალიზი ხელს შეუწყობს სამეგრელოს რეგიონის აგრარულ პოტენციალის არსებული მდგომარეობის ობიექტურად შეფასებას, საკვლევი რეგიონის ეკონომიკის დასაბუთებულ რეგულირებას, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა განისაზღვრება იმითაც, რომ კვლევის ზოგიერთი შედეგის გამოყენება შეუძლიათ, როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციისა და მართვის საკითხებით დაინტერესებულ სპეციალისტებს, ისე აგრარული პროფილის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს. მასში მოცემული დასკვნები, წინადადებები და რეკომენდაციები შეიძლება საფუძვლად დაედოს რეგიონში რადიკალური ეკონომიკური რეფორმების განხორციელების გადრმავებას.

კვლევის შედეგების აპრობაცია და პუბლიკაცია. სადისერტაციო ნაშრომის კვლევის შედეგები მოხსენებული იქნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკროეკონომიკის კათედრაზე.

კვლევის ძირითადი შედეგები ავტორის მიერ გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. „აგრარული რეფორმის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები სამეგრელოს რეგიონში,” ჟურნალი „ეკონომიკა” №3, მარტი, 2006 წ.
2. „სამეგრელოს რეგიონის აგრარული ეკონომიკის განვითარების შტრიხები თანამედროვე ეტაპზე“ ჟურნალი „ეკონომიკა”, №5, მაისი, 2006 წ.
3. „აგრარული სექტორის მართვის მექანიზმი”, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის შრომები, ტ. III, თბილისი, 2007 წ.
4. „აგრარული სექტორის რეგულირების მექანიზმები საქართველოში”, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ინოვაციური ეკონომიკის განვითარების აქტუალური საკითხები თანამედროვე საზოგადოებაში, სარატოვი,

2010 წ.

5. „აგრარული სექტორის ეკონომიკური პრობლემები და მათი გადაჭრის გზები (სამეგრელო რეგიონის მაგალითზე)“, საერთაშორისო კონფერენცია აგრობიომრავალფეროვნების დაცვა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება, 24–25 ნოემბერი, თბილისი, 2010 წ.

6. „აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები“, ჟურნალი „ეკონომიკა“ №3-4, 2011 წ.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 191 ნაბეჭდ გვერდს და შედგება შესავლის, სამი თავის, ცხრა პარაგრაფისა და დასკვნითი ნაწილისაგან. ტექსტში ჩართულია 17 ცხრილი. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია 129 დასახელებით.

თავი 1. აგრარული რეფორმის ძირითადი მიმართულებები

1.1. აგრარული პოტენციალის შეფასების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

საქართველო ამჟამად იმყოფება საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ეტაპზე. საბაზრო ეკონომიკის პირობები მრავალ მოთხოვნას უყენებს აგრარული სექტორის საწარმოებს, რომლის შესრულება მათ ჯერ არ შეუძლიათ. საჭიროა არა მარტო კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, არამედ სისტემატურად მისი განახლება, საწარმოო რესურსების რაციონალურად გამოყენება, წარმოების საშუალებების, ტექნოლოგიური პროცესების, შრომის ორგანიზაციის მეთოდების სისტემატური სრულყოფის, აგრარული სექტორის მუშაკთა შრომის ნორმალური პირობებისა და მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონის უზრუნველყოფა.

შექმნილ პირობებში აგრარული სექტორის საწარმოო პოტენციალის, აგრეთვე მათი პარამეტრებისა და მახასიათებლების ობიექტურ შეფასებას დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური, ტექნიკური და სოციალური გადაწყვეტილებების

დროულად მიღებაში დარგის როგორც მიმდინარე, ისე პერსპექტიული განვითარებისათვის.

ბიბლიოგრაფიული კვლევების შედეგად გამოირკვა, რომ აგრარული სექტორის საწარმოო პოტენციალის შეფასების თანამედროვე მეთოდები და მიდგომები საკმაოდ შეზღუდულია და საჭიროებს შესაბამის სრულყოფას. მეთოდოლოგიური საფუძველი უნდა იყოს საწარმოო პოტენციალის შეფასებისადმი სისტემური მიდგომა და მისი ეფექტიანად გამოყენება. აგრარული სექტორის საწარმოო პოტენციალის შეფასებისას მიზანშეწონილად მიგვაჩნია ახალი კონცეპტუალური მიდგომა, რომელსაც საფუძველად დაედება ტექნიკური პოტენციალი, შრომის პოტენციალი და საწარმოს საწარმოო სიმძლავრე, მათი შეფასების ძირითადი მაჩვენებლები.

შეფასების შედეგად შესაძლებელია რაოდენობრივად განისაზღვროს აგრარული სექტორის საწარმოო პოტენციალი კატეგორიების მიხედვით და ჩატარდეს მისი შედარებითი შეფასება დარგების მიხედვით.


აგრარულ სექტორში საწარმოო სიმძლავრეთა არასაკმარისად გამოყენების მთავარი მიზეზები ის არის, რომ არ არსებობს შეკვეთები პროდუქციაზე, საწარმოები ვერ ესადაგებიან ბაზარზე მოთხოვნის ცვლილებებს; საწარმოთა სიმძლავრეების სტრუქტურაში არსებული დისპროპორციები ხელს არ უწყობენ საწარმოებს სწრაფად გადაერთნენ უფრო მოთხოვნადი პროდუქციის წარმოებაზე, რაც მეტყველებს მათი მობილობის დაბალ დონეზე; დარგობრივი კვლევებისა და სიახლეების დანერგვის არასაკმარისი დაფინანსება სახელმწიფოს მხრიდან, კრედიტების აღების საკმაოდ მძიმე, მიუღებელი პირობები; საწვავზე, ენერგომატარებლებზე და სხვა საშუალებებზე ფასების განუწყვეტელი ზრდა, რაც იწვევს წარმოების ზარალიანობას; საწარმოთა არაეფექტური რესტრუქტურირაცია; ძირითადი საშუალებების მორალური და ფიზიკური ცვეთის მაღალი დონე; გამოშვებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე; დარგის განვითარების სტრატეგიულ დაგეგმვისადმი არასაკმარისი ყურადღება და სხვა.

ამჟამად სხვადასხვა ავტორები პოტენციალს განსხვავებულად განმარტავენ. პოტენციალის სახეებიდან ყველაზე ხშირად გამოიკვლევა ეკონომიკური და საწარმოო პოტენციალი, თუმცა ერთიანი მოსაზრება მათ განმარტებაშიც არ გვხვდება. ამიტომ, პირველ რიგში საჭიროა დაკონკრეტდეს საწარმოო პოტენციალის, როგორც ნებისმიერი სამეურნეო ობიექტის წარმატებული ფუნქციონირების, არსი. პოტენციალი ლათინური სიტყვაა (potentialis), რაც

შესაძლებლობას ნიშნავს. ეკონომიკაში ეს ტერმინი განიმარტება როგორც პროდუქციის რეალური მოცულობა, რომლის წარმოებაც ეკონომიკას შეუძლია არსებული რესურსების სრულად გამოყენებისას. სიტყვა „პოტენციალი“ გამოიყენება საწარმოს განკარგულებაში არსებული საშუალებების, მარაგების, წყაროების აღსანიშნავად, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ამ ამოცანების გადაჭრისათვის. რიგი ავტორების აზრით, საწარმოო პოტენციალი მოიცავს სხვადასხვა სახის რესურსების ნაკრებს, რომლებიც წარმოების პროცესში წარმოების ფაქტორების ფორმას იღებს.

საწარმოო პოტენციალი წარმოადგენს ძირითად ელემენტს, რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკური პოტენციალის სიდიდესა და ზრდის პირობებს. თვით საწარმოო პოტენციალი არის ეკონომიკური პოტენციალის ნაწილი, მაგრამ პირველისგან განსხვავებით, თავის სტრუქტურაში არ შეიცავს საწარმოო ურთიერთობებში შემავალ ეკონომიკურ კავშირებს.

პოტენციალის თეორიის სფეროში ჩატარებული თანამედროვე კვლევების მასალის განზოგადებით შეიძლება დავასკვნათ, რომ მეცნიერებაში ისტორიულად ჩამოყალიბებულია და გამოსაყენებელი საწარმოო პოტენციალის თეორიის ფუნდამენტალური საკითხების გადაჭრის ახალი კონცეპტუალური მიდგომა აგრარული სექტორის რესურსული პოტენციალის შეფასებისადმი, სადაც გამოყენებული იქნება შეფასების როგორც რესურსული, ისე შედეგობრივი მეთოდები (იხ. სქემა 1).



სქემა 1. აგრარული სექტორის რესურსული პოტენციალის და მისი გამოყენების ეფექტიანობის შეფასება რესურსული და შედეგობრივი მხრივ

რესურსული მიდგომა გულისხმობს ორ დამოუკიდებელ მიმართულებას:

ა) საწარმოო პოტენციალის შეფასება ძირითადი საწარმოო ფონდებისა და შრომითი რესურსების კომპლექსური ანალიზის საფუძველზე;

ბ) საწარმოო პოტენციალის შეფასება ძირითადი საწარმოო სიმძლავრის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე.

შედეგობრივი მიდგომაც ორ დამოუკიდებელ მიმართულებას გულისხმობს:


ა) საწარმოს რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შეფასება;

ბ) საწარმოო სიმძლავრის გამოყენების ეფექტიანობის შეფასება.

აგრარული სექტორის რესურსული პოტენციალის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს საწარმოო პოტენციალისა და მისი გამოყენების ეფექტურობის შეფასების მეთოდიკებს, ამ მეთოდიკების რეალიზაციისათვის საჭირო მახვენებელთა სისტემას, საწყისი და საბოლოო ინფორმაციის განზოგადებისა და სისტემატიზაციის მეთოდებს, მიღებული შედეგების ანალიზს.

საწარმოო სიმძლავრის გაანგარიშების სპეციფიკა დამოკიდებულია ტექნოლოგიური პროცესების ხასიათზე, შრომის საშუალებებზე, წარმოების ორგანიზაციის ფორმებზე და გამოშვებული პროდუქციის ნომენკლატურაზე.

ეკონომიკურ თეორიაში საწარმოო სიმძლავრის შეფასების სამი მეთოდია ცნობილი: ნატურალური, დროითი და ღირებულებითი (იხ. სქემა 2).



სქემა 2. საწარმოო სიმძლავრის შეფასების მეთოდები

რესურსული პოტენციალის შეფასებისადმი კომპლექსური მიდგომის მეთოდებს განეკუთვნება შემდეგი ძირითადი ეტაპები:

I ეტაპი - მოსამზადებელი, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს რესურსული პოტენციალის შეფასების მიზნების, ამოცანებისა და მისი გამოყენების ეფექტიანობის განსაზღვრას.

II ეტაპი - მეთოდოლოგიური, რომელიც განიხილავს საწარმოო პოტენციალის განზოგადებულ შეფასებისადმი თეორიული მიდგომების შემუშავებას.

III ეტაპი - მეთოდური, რომელიც ითვალისწინებს საწყისი ინფორმაციის დამუშავების პროცედურას და მიღებული შედეგების შეფასების მეთოდებს.

IV ეტაპი - საანგარიშო-ანალიტიკური, რომელიც ითვალისწინებს გაანგარიშებების ჩატარებას და მიღებული შედეგების ანალიზს.

V ეტაპი - დამასრულებელი, სადაც განზოგადებული იქნება საწარმოო პოტენციალის მართვის სრულყოფის მთელი ანალიტიკური გაანგარიშებები და დასკვნები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ საწარმოს რესურსული პოტენციალისა და მისი გამოყენების ეფექტიანობის შესაბამისობის ანალიზი გაკეთდეს, სამი სხვადასხვა სიტუაციის დროს:

1. რესურსული პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობა საწარმოო პოტენციალზე მაღალია. ეს ყველაზე სასურველი სიტუაციაა. ამ დროს საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობა მასში ჩადებულ რესურსებზე უფრო მაღალია. მოცემულ შემთხვევაში საწარმოს შეუძლია შემდეგი საკითხების გადაჭრა: საწარმოს განვითარების მიზნით რესურსული პოტენციალის გაზრდის დაგეგმვა; მიღებული ეფექტიანობის შემდგომში კიდევ უფრო მეტად გაზრდის მიზნით, მასზე მოქმედი ფაქტორების ანალიზის ჩატარება; განვითარების პროგნოზირების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით რესურსული პოტენციალის დინამიური მახასიათებლების განსაზღვრა; ფინანსური რესურსების ძიების განხორციელება ინოვაციური ღონისძიებების გასატარებლად იმ მიზნით, რომ გაიზარდოს ძირითადი კაპიტალი, გაუმჯობესდეს მისი ხარისხი და მოდერნიზაცია. ამისათვის საჭიროა შემუშავდეს საწარმოო პოტენციალის განვითარების გეგმა.

2. რესურსული პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობა ემთხვევა საწარმოო პოტენციალს. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია რესურსული პოტენციალის ცალკეული შემადგენელი ელემენტების ანალიზი, დაბალი მაჩვენებლების მიზეზების დადგენა, საწარმოს შემდგომი სტრატეგიის რეალიზაციისათვის ორგანიზაციულ-ტექნიკური და საფინანსო ღონისძიებების გეგმის შედგენა.

3. რესურსული პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობა საწარმოო პოტენციალზე დაბალია. ამ შემთხვევაში საჭიროა დადგინდეს დაბალი ეფექტიანობის მიზეზები; შემუშავდეს რესურსული პოტენციალის, რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებები თითოეული მაჩვენებლის ანალიზის საფუძველზე; შემუშავდეს ღონისძიებები საწარმოო რესურსებისა და მათი გამოყენების ეფექტიანობის დაბალანსებული გაზრდისათვის. ასეთ შემთხვევაში საწარმო ირჩევს განვითარების მიმართულებებს, უპირისპირებს ერთმანეთს საწარმოს

მიზნებსა და მათი რეალიზაციის შესაძლებლობებს. ამის შემდეგ კი შესაძლებელია შემუშავდეს საწარმოს რესურსული პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობის მართვის სტრატეგია.

საწარმოს შრომითი რესურსების პოტენციალის შეფასებისათვის საჭიროა გამოყენებული იქნეს შემდეგი მაჩვენებლები: საწარმოს მუშაკთა საშუალოსიობრივი რიცხვი; მუშების ხვედრითი წონა შრომითი რესურსების საერთო რიცხვში; უმაღლესი კვალიფიკაციის მუშაკთა ხვედრითი წონა; მართვის სფეროში დიპლომირებულ მუშაკთა ხვედრითი წონა; მთელი პერსონალის საშუალო ასაკი; მუშების საშუალო ასაკი; კვალიფიკაცია ამაღლებულ სპეციალისტების ხვედრითი წონა; კვალიფიკაცია ამაღლებულ მუშების ხვედრითი წონა; იმ სპეციალისტების ხვედრითი წონა, რომლებიც თავისუფლად ფლობენ კომპიუტერულ ტექნოლოგიებს.

საწარმოს შრომითი პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობის შეფასებისათვის მიზანშეწონილია შემდეგი მაჩვენებლების გამოყენება: ერთი მუშაკის გამომუშავება; ერთი მუშის გამომუშავება; საწარმოში მუშაკთა საშუალო ხელფასი; სამუშაო დროის გამოყენების კოეფიციენტი; კადრების დენადობის კოეფიციენტი; გამომუშავების ზრდის ტემპების გადაჭარბების მიღწევა საშუალო ხელფასის ზრდის ტემპზე; დანახარჯების მართვის ხარისხის კოეფიციენტი; შრომატევადობის მართვის ხარისხის კოეფიციენტი; საწარმოს მართვასთან დაკავშირებული დანახარჯების წილი.

საწარმოს ტექნიკური პოტენციალის შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები: ძირითადი საშუალებების საშუალოწლიური ღირებულება; ძირითადი საშუალებების ცვეთა; ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის ხვედრითი წილი; საწარმოო ფართობი; მაპროფილებელი დარგობრივი პროდუქციის ხვედრითი წილი; პროგრესული ტექნოლოგიების ხვედრითი წილი; დანადგარების მუშაობის ცვლის კოეფიციენტი; დამხმარე სამუშაოების მექანიზაციის დონე; ძირითადი საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის დონე; ტექნოლოგიური წუნის ხვედრითი წილი.

ტექნიკური პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობის შეფასებლად გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები: ფონდუკუგება; ფონდშიარაღება;

პროდუქციის მიღება 1 მ² საწარმოო ფართობიდან; ძირითადი კაპიტალის რენტაბელობა; ფონდრენტაბელობა; საბრუნავი საშუალებების ბრუნვის კოეფიციენტი; ძირითადი კაპიტალის განახლების კოეფიციენტი; ძირითადი კაპიტალის მატების კოეფიციენტი; დანადგარების ექსტენსიურად გამოყენების კოეფიციენტი; დანადგარების ინტენსიურად გამოყენების კოეფიციენტი.

საწარმოს საწარმოო სიმძლავრის შეფასებისას საჭიროა შემდეგი მაჩვენებლების გამოყენება: დანადგარების რაოდენობა; ერთეული დანადგარის მაქსიმალური გამომუშავება; მაქსიმალური საწარმოო სიმძლავრე შრომით შეფასებაში; „ა“ ჯგუფის საქონლის წარმოების შრომატევადობის ხვედრითი წილი; „ბ“ ჯგუფის საქონლის წარმოების შრომატევადობის ხვედრითი წილი; საწარმოს ამონაგები „ა“ ჯგუფის საქონლის რეალიზაციიდან; საწარმოს ამონაგები „ბ“ ჯგუფის საქონლის რეალიზაციიდან;

საწარმოს საწარმოო სიმძლავრის გამოყენების ეფექტიანობის შეფასებისათვის მიზანშეწონილია შემდეგი მაჩვენებლების გამოყენება: საწარმოო სიმძლავრეთა მაქსიმალურად შესაძლებელი გამოყენების კოეფიციენტი; ღირებულებით საზომში გამოსახული საწარმოს საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების კოეფიციენტი; საწარმოს საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების კოეფიციენტი შრომატევადობის მიხედვით; საწარმოს საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების კოეფიციენტი ყველაზე მნიშვნელოვანი პროდუქციის მიხედვით ნატურალურ საზომში; საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების კოეფიციენტი „ა“ ჯგუფის საქონლის მიხედვით ნატურალურ საზომში; საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების კოეფიციენტი „ბ“ ჯგუფის საქონლის მიხედვით ნატურალურ საზომში; საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების კოეფიციენტი „ა“ ჯგუფის საქონლის მიხედვით შრომით შეფასებაში; საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების კოეფიციენტი „ბ“ ჯგუფის საქონლის მიხედვით შრომით შეფასებაში და სხვა.

რესურსული პოტენციალის კომპლექსური შეფასება მოიცავს შრომით პოტენციალს, საწარმოო სიმძლავრეს და მათი გამოყენების ეფექტურობის

კატეგორიებს.

განვითარების საერთო სტრატეგიის შემუშავება უნდა შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს: განსახილავი სტრატეგიული პერიოდის დასაბუთება; საწარმოს განვითარების გენერალური მიზნების განსაზღვრა; ლოკალური მიზნების განსაზღვრა, სადაც დაკონკრეტებული იქნება საწარმოს გენერალური მიზნის მიღწევის სხვადასხვა მიმართულებები და ხერხები.

საერთო სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების შეთანხმება მიზანშეწონილია საწარმოს განვითარების გლობალური პერსპექტიული ეკონომიკური მიზნიდან გამომდინარე. ამისათვის უნდა განიხილებოდეს საწარმოო პოტენციალის განვითარების სტრატეგიული ალტერნატივები, არსებული შესაძლებლობების, შეზღუდვების, ვადების ან სხვა კრიტერიუმების თვალსაზრისით.

სტრატეგიის შერჩევა განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ეტაპია, ვინაიდან მის საფუძველზე აიგება რეალური სტრატეგიული გეგმა, რომლის რეალიზებით ხორციელდება განვითარების ეკონომიკური მიზნის მიღწევა. გეგმების რეალიზება ხელს უწყობს მას საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგებისა და საწარმოო პოტენციალის ცვლილების სფეროში გატარებული ღონისძიებების საფუძველზე გაკეთდეს განსაზღვრული დასკვნები, რომლებიც ეხება სტრატეგიული, მიმდინარე და ოპერატიული დაგეგმვის ეფექტიანობას.

საწარმოსა და მისი საწარმოო პოტენციალის განვითარების საერთო სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების შესრულების, შესრულებული გეგმების შედეგების ანალიზის საფუძველზე საჭიროა დავაკვირდეთ უკუკავშირს, ანუ იმას, თუ რა ზეგავლენა მოახდინა საწარმოს რესურსული პოტენციალის (შრომითი, ტექნიკური და საწარმოო სიმძლავრის) ცვლილებამ მათ გამოყენების ეფექტიანობაზე და საერთო სტრატეგიის რეალიზაციაზე.

წარმოების ეკონომიკური და მათ შორის აგრარული პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების ამოცანა დღეს ძალზედ მნიშვნელოვანია. აგრარული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება ბევრ ურთიერთდაკავშირებულ პრობლემას მოიცავს, რასაც უწინარეს ყოვლისა,

განაპირობებს ცალკეული რეგიონების მიხედვით თვით ამ პოტენციალის მნიშვნელოვნად განსხვავებული დონე და, მეორეც, მისი ეფექტიანად გამოყენების ასევე განსხვავებული პირობები, შესაძლებლობები და პერსპექტივები.

აგრარულ პოტენციალს კომპლექსური გაგება აქვს. მასში აკუმულირებულია წარმოების მთელი რესურსები, რეზერვები და შესაძლებლობები. იგი მოიცავს მიწის, მატერიალურ-ტექნიკური და შრომის რესურსებს, მათი და ინტენსიფიკაციის საშუალებების ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობებს და ბერკეტებს და, საბოლოოდ, განსაზღვრავს მთელი საწარმოს ეკონომიკურ სიძლიერეს.

აგრარული პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება უშუალოდ უკავშირდება წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფას, შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვას, ეკონომიკური მექანიზმის თითოეული ელემენტის ურთიერთშეთანაწყოობილ, დრმად მიზნობრივ, დიფერენცირებულ და რეგულირებულ გამოყენებას, წარმოების ინფრასტრუქტურის სრულყოფას, მეცნიერული რეკომენდაციების შეუფერხებელ დანერგვასა და ათვისებას.

მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა და მის მიერ განპირობებულმა შრომის საზოგადოებრივი განაწილებისა და წარმოების ინტენსიური განვითარების პროცესებმა ძირფესვიანად შეცვალეს ბუნებრივი და ეკონომიკური ფაქტორების თანაფარდობა, გააძლიერეს წარმოების საბოლოო შედეგების დამოკიდებულება მიწოდებულ წარმოების საშუალებებზე და მომსახურებაზე, გამოიწვიეს მასალატევადობის ტენდენციების შესწავლისა და მისი შემცირების გზების დასაბუთების აუცილებლობა.

წარმოების უპირატესად ინტენსიურ მეთოდებზე გადასვლა და წარმოების მაღალ საბოლოო შედეგებზე ორიენტაცია ახალ მოთხოვნებს უყენებს რესურსების მართვას, რესურსების უზრუნველყოფის შეფასებას და მათი გამოყენების ეფექტიანობას. ამასთან დაკავშირებით ძალზე აქტუალურია და დიდ ყურადღებას იმსახურებს რესურსმომარებისა და მასალატევადობის ყოველმხრივი ანალიზი და ამ უკანასკნელის შემცირების

დასაბუთებული და დიფერენცირებული ღონისძიებების დამუშავება.

მეტად არასახარბიელო სიტუაციაა ამ მხრივ საქართველოში, რადგან მიზეზთა და მიზეზთა გამო არ ხდება ქვეყნის აგრარული პოტენციალის სრულად გამოყენება. არ არსებობს ისეთი სახის საზოგადოებრივი ინსტიტუტი, რომელსაც ექნებოდა საჭირო ინტელექტუალური და სხვა სახის რესურსები, მონაწილეობა მიეღო ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო სისტემის განვითარების დოქტრინის ჩამოყალიბებასა და ჩვენი ქვეყნისათვის სასარგებლო იდეოლოგიური მიმართულების პოპულარიზაციაში. სოფლის მეურნეობის სისტემაზე განხორციელებული ოპერაციები იშვიათადაა გათვლილი გრძელვადიან პერსპექტივებსა და მდგრად განვითარებაზე, რის გამოც ხშირ შემთხვევაში არ სცილდება ჰუმანიტარული დახმარების ფორმატს, რაც უფრო ნეგატიურ როლს ასრულებს სოფლის მეურნეობის სისტემის განვითარებისა და ფერმერთა მიერ არსებული გამოწვევების ადეკვატური აღქმის საქმეში.

ამჟამად აგრარული სფეროს მეცნიერები და სახელმწიფო მოღვაწეები აქტიურად იხილავენ ქვეყანაში არსებულ აგრარულ პოტენციალს და პრიორიტეტული დარგების განსაზღვრას. მართალია, ქვეყნის ხელისუფლება შემუშავებულ სტრატეგიულ დოკუმენტებში აღნიშნავს, რომ ადგილობრივმა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციამ არა მარტო უნდა ჩაანაცვლოს იმპორტული, არამედ ექსპორტზეც გავიდეს, დღეს ფაქტია, რომ უცხოურ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციამ დაიკავა ქართული აგრარული ბაზრის უდიდესი სეგმენტი. ქვეყნის აგრარული სფეროს განვითარების დონეზე მეტყველებს შემდეგი ციფრები. 2008 წელს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი შეადგენდა 19068,6 მლნ ლარს, მასში სოფლის მეურნეობის, ნადირობის, მეტყვეობისა და მეთევზეობის სექტორზე მოდიოდა მხოლოდ 1703,9 მლნ ლარი, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 8,9%¹. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ქვეყნის მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის 53% დასაქმებულია აგრარულ სფეროში, ამ სტატისტიკური

¹ სტატისტიკური წელიწადეული 2009, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბ., 2009, გვ.-89

მონაცემების საფუძველზე გამოვიტანთ სავალალო დასკვნას, რომ შრომისუნარიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტის მიერ იქმნება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 8,9%¹. ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზთაგანი ის არის, რომ აგრარული წარმოება არ იმყოფება თანამედროვე დონეზე, არ იყენებს უახლეს ტექნიკასა და ტექნოლოგიებს, არ ნერგავს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის უახლეს მიღწევებს, აგრარულ სფეროში ძირითადად ხელის შრომა გამოიყენება. არ არის ჩამოყალიბებული ბაზარი.

რიგი მეცნიერებისა თვლის, რომ დღეს ქვეყნის აგრარული პოტენციალი ძალზედ დაბალ დონეზე გამოიყენება. ექსპერტების აზრით, თუ მომავალში ასეთი ტემპი შენარჩუნდება, მაშინ პროგნოზის საფუძველზე საქართველოსაც დაემუქრება მსოფლიოში უახლოეს წლებში მოსალოდნელი სასურსათო კრიზისი.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარებული აგრარული სექტორის და პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის ანალიზიდან ჩანს, რომ სოფლის მეურნეობის დაბალი ტემპით განვითარების მიზეზია აგრეთვე სუსტად განვითარებული გადამამუშავებელი მრეწველობა, წარმოებული პროდუქციის დაბალი კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ბაზარზე, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და უცხოური ინვესტიციების სიმცირე, საკრედიტო რესურსების დაბალი ხელმისაწვდომობა მაღალი საპროცენტო განაკვეთის გამო, მიწების მაღალი სეგმენტაცია და სხვა. აღსანიშნავია, რომ 2008 წელს მთლიანად საქართველოში ინვესტირებული 1564 მლნ აშშ დოლარიდან, სოფლის მეურნეობზე მოდიოდა მხოლოდ 0,5%, ხოლო 2007 წელთან შედარებით აგრარულ სფეროში განხორციელებული ინვესტიციები 2008 წელს შემცირდა თითქმის 50%-ით¹.

ასევე არასახარბიელო მდგომარეობაა მთლიანად საქართველოში და საკვლევ სამეგრელო რეგიონში მიწის გამოყენების დონის მხრივ. ამ მხრივ არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება სოფლის მეურნეობის პოტენციალს

¹ სტატისტიკური წელიწადეული 2009, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბ., 2009, გვ.-123

ნიადაგის ნაყოფიერების, კლიმატური პირობების და სხვა ფაქტორების თვალსაზრისით, არ შეესაბამება აგრეთვე ინტერესებს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიღწევის თვალსაზრისით.

აღნიშნული პრობლემების მოგვარებისათვის, უპირველეს ყოვლისა, პირველ ეტაპზე მაინც, საჭიროა ხელისუფლება დროულად და აქტიურად ჩაერიოს აგრარული სექტორის განვითარებაში, მეტი სუბსიდირება განახორციელოს ამ დარგში, როგორც ეს ბევრ ქვეყნებში ხდება.

ქვეყნის აგრარული სექტორის სავალალო მდგომარეობაზე მეტყველებს თუნდაც შემდეგი ციფრობრივი მონაცემები. საქართველოში 2008 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა შეადგინა 1 564 მილიონი ამერიკული დოლარი, საიდანაც აგრარულ სექტორში განსახორციელებლად ინვესტიციებმა შეადგინა 7,8 მილიონი დოლარი, რაც მთლიანი ინვესტიციების 0,5%-ს შეადგენს, ხოლო 2007 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 2008 წელს საქართველოს აგრარულ სფეროში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციები თითქმის 50%-ით შემცირდა, მაშინ, როდესაც მთლიანად საქართველოს ეკონომიკაში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების მოცულობა შემცირდა მხოლოდ 22%-ით.

დღეს ქვეყნის ბევრი ფერმერი ვერ იყენებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების დროს მინერალურ სასუქებსა და შხამქიმიკატებს, გერბიციდებს. აღნიშნულის გამო ძალაუნებურად ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას აწარმოებენ, შემდგომში კი განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ბიოპროდუქტების წარმოებას, რომელზეც დიდი მოთხოვნაა ბაზარზე.

ამიტომ აგრარული პოტენციალის მიზნობრივად და რაციონალურად გამოყენების თვალსაზრისით, საჭიროა დამუშავდეს მეცნიერული რეკომენდაციები. საბაზრო ეკონომიკაზე ქვეყნის გადასვლამ ხელი უნდა შეუწყოს ფერმერული მეურნეობების ფორმირებას და ფუნქციონირებას, ადგილობრივი რესურსული პოტენციალის ეფექტიანად გამოყენებას. აუცილებელია სოფლის მეურნეობისათვის სწორი საწარმოო მიმართულების მიცემა. თუმცა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ გამოიწვია

სოფლის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუარესება და შედეგად მიგრაციული პროცესების გახშირება. აღნიშნული უარყოფითი ტენდენციების აღმოსაფხვრელად საჭიროა ახლებურად, სოციალურ და ეკონომიკურ კრიტერიუმების გათვალისწინებით აგრარული სექტორის განვითარებისა და მისი პოტენციალის ფორმირების თანამედროვე მეთოდოლოგიური საფუძვლების შემუშავება, სწორი გადაწყვეტილებების მიღება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურული სრულყოფა, დარგობრივ-რეგიონალური ეკონომიკის ოპტიმიზაცია, ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების დანერგვა, არსებული პოტენციალის რაციონალურად გამოყენება, ადგილობრივი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ბაზრის გაჯერება. ეკონომიკური მექანიზმის თანამედროვე მოთხოვნებზე მორგებული, სრულიად ახალი, პროგრესული მოდელის დამუშავება და სხვა. აღნიშნული პრობლემების დროულად და სწორად გადაჭრა ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის ეკონომიკურ ზრდას, სასურსათო პროდუქტებით ქვეყნის უზრუნველყოფას, საგარეო ეკონომიკური კავშირების განმტკიცებას, მსოფლიო ინტეგრირებულ პროცესებში საქართველოს სტაბილურად ჩართვას და სხვა.

მომავალზე ორიენტირებული და პროგრესული ხედვით შემუშავებული სტრატეგია მჭიდრო კავშირში უნდა იყოს სამთავრობო პრიორიტეტებთან, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილიზაციას, ეკონომიკურ და ინტელექტუალური პოტენციალის განმტკიცებას, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფად.

ზემოთ აღნიშნული სამეცნიერო პრაქტიკული ხასიათის კომპლექსური და სრულყოფილი სტრატეგია, რომელშიც ასახული იქნებოდა აგრარული სექტორის ფუნქციონირების ეკონომიკ-ტექნოლოგიური გარემო, ეკონომიკურ-ორგანიზაციული სისტემა რეგიონალურ-დარგობრივი მოდიფიკაციებით, ქვეყნისათვის და ცალკეული რეგიონისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურებებით, რესურსული და საწარმოო პოტენციალით, ეკონომიკური და ინსტიტუციონალური

მექანიზმით, ინტეგრაციის განვითარების შესაძლებლობებითა და ფორმებით, სამწესაროდ, საქართველოში არ არის შემუშავებული.

1.2. აგრარული რეფორმა და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები

საქართველოს მიმდინარე პერიოდში ძირითადი სახეობის სასურსათო პროდუქტების შემოზიდვა საზღვარგარეთის ქვეყნებიდან უხდება, რაც დიდ ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლისათვის საჭიროა ისეთი მექანიზმების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობენ კრიზისიდან თავის დაღწევას. ამისათვის საჭიროა ამოქმედდეს ის გამოუყენებელი რეზერვები, რომლებიც არსებობენ როგორც მთლიანად საქართველოში, ასევე მის ცალკეულ რეგიონებში.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცების, ქვეყანაში ცივილიზებული სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრარული სექტორის რეფორმას, მისი ყველა სექტორის მდგრად და დინამიკურ განვითარებას, გრძელვადიანი პროგრამის შემუშავებას და თანმიმდევრულ განხორციელებას.

განვითარების დაბალი დონის მიუხედავად, საქართველოს ეროვნულ მეურნეობაში აგრარულ სექტორს წამყვანი ადგილი უკავია. ამ დარგში იწარმოება საქართველოს შიდა პროდუქტის 9 პროცენტამდე და დასაქმებულია მატერიალური წარმოების მუშაკთა ნახევარზე მეტი. ამ სფეროში იქმნება ქვეყნის მთლიანი სასურსათო რესურსების 97-98 პროცენტი და მის ბაზაზე ყალიბდება სახალხო მოხმარების საქონლის ფონდის სამი მეოთხედი.¹

პრობლემის შესწავლისას მიზანშეწონილად მივიჩნით განსაკუთრებული ყურადღება დაგვეთმო ორ მთავარი ფაქტორის ანალიზისათვის: პირველი, როგორ იმოქმედებს რეფორმა ეკონომიკის განვითარებაზე დღეს და პერსპექტივაში და მეორე, რა სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს მოუტანს რეფორმა ქვეყნის ეკონომიკას, მოსახლეობას.

ქვეყანაში მიმდინარე აგრარულმა რეფორმამ რიგი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო სათანადო შედეგი ვერ გამოიღო. აღნიშნულს ადასტურებს სოფლის მეურნეობის საწარმოო პოტენციალის გამოყენების დონე და სასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის არაღამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები.

ეკონომიკის რადიკალური რეფორმის რეალიზება შეუძლებელი იქნება, თუ

¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მასალები. თბილისი, 2008, გვ. 156

აგრარული სექტორის განვითარების პრობლემები მეტ-ნაკლებად არ იქნა მოგვარებული, ამიტომ რეფორმა პირველ რიგში აგრარული სექტორიდან უნდა იქნეს დაწყებული, რაც არ საჭიროებს ვრცელ არგუმენტაციას იმიტომ, რომ აგრარული სექტორი ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის მთელი საჭიროების 2/3-ზე მეტს და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება ძირითადად მასზეა დამოკიდებული.

აგრარულ სექტორში რეფორმის განხორციელება და ცენტრალიზებული მართვის საბოლოოდ შეცვლა სამართლებრივ-ეკონომიკური რეგულირებით ობიექტურად მოითხოვს საბაზრო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი ადეკვატური ეკონომიკური გარემოს შექმნას. ეს გარემო აგრარულ სექტორში სრულყოფილი სახით ჯერ კიდევ არ შექმნილა. ამის გამო, რომ აგრარული რეფორმის რადიკალური კურსი (პირველი ეტაპის სამუშაოების მიხედვით), ძალზე სუსტ გაგლენას ახდენს ეკონომიკის წინსვლაზე.

დღეისათვის, საქართველოს რეგიონებში აგრარული რეფორმა შემოიფარგლება მხოლოდ მიწის პრივატიზაციით, რაც გამოიხატა საკარმიდამო მიწის ფართობის შევსებით.

მიუხედავად იმისა, რომ აგრარულ სექტორში დაიწყო საბაზრო ურთიერთობის ფორმირება, მისი კონცეფციების ბევრი ელემენტი კვლავ დაუმუშავებელია, საკანონმდებლო ბაზის შექმნის ტემპი ჩამორჩება დარგის მოთხოვნებს, ხოლო მიღებული აქტების პრაქტიკული რეალიზაციის მექანიზმი ჯერ კიდევ სუსტი და არაეფექტურია. ყოველივე აღნიშნულმა, მნიშვნელოვანი წინააღმდეგობანი წარმოშვა დარგის მართვაში, როგორც მიკროეკონომიკურ, ისე მაკროეკონომიკურ დონეებზე.

დინამიკაში (2002-2009 წწ.) მთლიანად საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სტრუქტურის მაჩვენებლები როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორში წარმოდგენილია ცხრილი 1.

როგორც წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, საქართველოში უმეტესი სახეების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება დინამიკაში შემცირებულია. მაგალითად, 2009 წელს 2002 წელთან შედარებით განსაკუთრებით შემცირდა ჩაის მწვანე ფოთლის წარმოება 24,0 ათასი ტონიდან 5,8 ათას ტონამდე, ანუ 76,8%-ით. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ოჯახურ მეურნეობებს უჭირთ მისი წარმოება უსახსრობის გამო, თანაც ჩაის ფოთლის გადამამუშავებელი ობიექტების უმრავლესობა არ ფუნქციონირებს; შემცირდა აგრეთვე ბაღჩეულის წარმოება 125,1

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების
სტრუქტურა კერძო და სახელმწიფო სექტორში (2002-2008 წწ)
(ათასი ტონა)¹

№	დასახელება	2002						2003						2005						2008					
		ოჯახურ მეურნეობებში		სახელმწიფო სექტორი		წარმოება ათასი ტონა	ოჯახურ მეურნეობებში		სახელმწიფო სექტორი		წარმოება ათასი ტონა	ოჯახურ მეურნეობებში		სახელმწიფო სექტორი		წარმოება ათასი ტონა	ოჯახურ მეურნეობებში		სახელმწიფო სექტორი						
		ათასი ტონა	%	ათასი ტონა	%		ათასი ტონა	%	ათასი ტონა	%		ათასი ტონა	%	ათასი ტონა	%		ათასი ტონა	%	ათასი ტონა	%					
		ათასი ტონა	%	ათასი ტონა	%		ათასი ტონა	%	ათასი ტონა	%		ათასი ტონა	%	ათასი ტონა	%		ათასი ტონა	%	ათასი ტონა	%					
1	სიმინდი	400,1	385,1	96	15,0	4	461,9	448,1	97,0	13,8	3,0	479,2	479,2	100	-	-	291,0	288,0	99	3,0	1,0				
2	ღობიო	10,7	10,7	100	-	-	12,2	11,0	99,9	1,2	0,1	12,9	12,9	100	-	-	10,2	10,2	100	-	-				
3	კარტოფილი	415,3	366,1	88	49,2	12	425,2	420,9	99,0	4,25	1,0	425,2	425,2	100	-	-	216,8	214,6	99	47,2	1,0				
4	ბოსტნეული	405,9	378,8	93	27,1	7	430,1	421,5	98,0	8,6	2,0	460,3	460,3	100	-	-	170,3	170,3	100	-	-				
5	სოია	1,9	1,8	95	0,1	5	3,7	3,7	100	-	-	4,1	4,1	100	-	-	2,3	2,3	100	-	-				
6	მზესუმზირა	21,2	19,8	93	1,4	7	22,8	21,5	94,2	0,7	0,3	24,8	24,8	100	-	-	15,1	15,1	100	-	-				
7	ბადნეული	125,1	125,0	99,9	0,1	0,1	126,8	125,9	99,3	0,9	0,1	127,9	127,9	100	-	-	43,7	43,7	100	-	-				
8	სილი	172,6	172,2	99,8	0,4	0,2	260,0	254,8	98,0	15,2	2,0	265,2	265,2	100	-	-	181,2	180,8	99,8	0,4	0,2				
9	თხილი	13,9					10,8	10,8	100	-	-	11,0	11,0	100	-	-	21,8	21,8	100	-	-				
10	ყურძენი	90,0	89,9	99,9	0,1	0,1	200,0	194,0	97,0	6,0	3,0	203,3	203,3	100	-	-	150,1	141,8	94,5	8,3	5,5				
11	ციტრუსი	33,1	33,1	100	-	-	59,2	59,2	100	-	-	61,2	61,2	100	-	-	93,6	93,5	99,9	0,1	0,1				
12	ჩაი	24,0	17,9	75	6,1	25	25,5	19,4	76,0	6,1	24,0	22,2	22,2	100	-	-	5,8	4,1	70,7	1,7	29,3				
13	რძე	742,1	739,6	99,7	2,5	0,3	765,1	763,6	98,8	1,5	1,2	785,0	785,0	100	-	-	551,4	545,3	98,9	6,1	1,1				
14	კვერცხი მღნ. ცალი	408,8	370,0	90,5	38,8	9,5	458,1	391,3	85,4	66,8	14,6	462,1	462,1	100	-	-	430,6	181,7	43,6	248,9	56,4				
15	სორცი	106,9	106,8	99,9	0,1	0,1	108,8	108,8	99,9	0,1	0,1	111,0	111,0	100	-	-	54,3	49,4	90,9	4,9	9,1				
16	თაფლი	1,8	1,8	100	-	-	1,9	1,9	100	-	-	2,6	2,6	100	-	-	2,5	2,4	99,5	0,1	0,5				
17	მატყელი		1,9	100	-	-	2,0	2,0	100	-	-	2,5	2,5	100	-	-	1,8	1,7	96,3	0,1	3,7				

¹ ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

ათასი ტონიდან 43,7 ათას ტონამდე, ანუ 66,1%-ით; ბოსტნეულის წარმოება 405,9 ათასი ტონიდან 170,3 ათას ტონამდე, ანუ 59,1%-ით; ხორცის წარმოება 106,9 ათასი ტონიდან 54,3 ათას ტონამდე, ანუ 49,2%-ით; კარტოფილის წარმოება 415,3 ათასი ტონიდან 216,8 ათას ტონამდე, ანუ 47,8%-ით; სიმინდის წარმოება 400,1 ათასი ტონიდან 288,0 ათას ტონამდე, ანუ 28,3%-ით, მათ შორის ოჯახურ მეურნეობებში – 26,2%-ით; ლობიოს წარმოება შედარებით უმნიშვნელოდ - 4,7%-ით შემცირდა; რძის წარმოება - 742,1 ათასი ტონიდან 551,4 ათას ტონამდე, ანუ 26,7%-ით.

ამასთანავე შეინიშნება რიგი პროდუქციის წარმოების ზრდაც. მაგალითად, 2002 წელთან შედარებით 2009 წელს საგრძნობლად გაიზარდა ციტრუსების წარმოება 33,1 ათასი ტონიდან 93,6 ათას ტონამდე, ანუ 182,8%-ით, რომელსაც ძირითადად აწარმოებს ოჯახური მეურნეობები; ყურძნის წარმოება 90,0 ათასი ტონიდან 150,1 ათას ტონამდე, ანუ 65,1%-ით, ესეც წარმოებულია ძირითადად ოჯახურ მეურნეობებში; იმატა აგრეთვე თხილის წარმოებამ 13,9 ათასი ტონიდან 21,8 ათას ტონამდე, ანუ 56,8%-ით; თაფლის წარმოება 1,8 ათასი ტონიდან 2,5 ათას ტონამდე, ანუ 38,9%-ით; სოიოს წარმოება 21,1%-ით, ხოლო კვერცხის წარმოება შედარებით უმნიშვნელოდ გაიზარდა 408,8 მლნ ცალიდან 430,6 მლნ ცალამდე, ანუ 5,3%-ით.

ქვეყანაში მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების შემცირების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზთაგანი ისიც არის, რომ ბაზარი გაჯერებულია შედარებით იაფი, მაგრამ ნაკლები ხარისხის იმპორტული პროდუქციით, რაც ამ პროდუქციის წარმოების სტიმულს უკარგავს მწარმოებელს. ოჯახური მეურნეობები უფრო აწარმოებენ იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, რაზედაც მოთხოვნაც არის და სარეალიზაციო ფასიც მათთვის მისაღებია.

როგორც სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფენ, საქართველოში დინამიკაში 2009 წელს 2006 წელთან შედარებით ერთ სულ მოსახლეზე ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება გვაძლევს შემდეგ სურათს: ხორბლის წარმოება 16კგ-დან შემცირდა 12 კგ-მდე, ანუ 25%-ით; სიმინდის წარმოება 49კგ-დან გაიზარდა 66 კგ-მდე, ანუ 34,7%-ით; კარტოფილის წარმოება გაიზარდა 38კგ-დან 49 კგ-მდე, ანუ თითქმის 30%-ით; ბოსტნეულის წარმოება შემცირდა 41კგ-დან 37 კგ-მდე, ანუ 10%-ით; ხილის 35კგ-დან გაიზარდა 41 კგ-მდე, ანუ 17%-ით; ყურძენი 37კგ-დან შემცირდა 34-კგ-მდე, ანუ 8,1%-ით; ხორცის წარმოება შემცირდა 19კგ-დან 12 კგ-მდე, ანუ 37%-ით; რძის წარმოება 138კგ-დან

შემცირდა 124 კგ-მდე, ანუ 10,1%-ით; კვერცხის წარმოება გაიზარდა 57ცალიდან 97 ცალამდე, ანუ 59,6%-ით.

ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები 2009 წ. 2006 წელთან შედარებით შემცირდა 330ათასი ჰა-დან 308,3 ათას ჰა-მდე, ანუ 6,6%-ით, მათ შორის მარცვლოვან და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების ფართობები 227,4-დან 216,8 ათას ჰა-მდე, ანუ 5%-ით; კარტოფილისა და ბოსტნეულ-ბალჩეული კულტურების 56,4-დან 44,3 ათას ჰა-მდე, ანუ 22,5%-ით. 2009 წ. ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მთელ ფართობში ოჯახური მეურნეობების წილია 97,2%, სას-სამ საწარმოებისა კი – 2,8%.

2002-2009 წწ. მონაცემები საქართველოში პირუტყვის სულადობისა და ფუტკრის ოჯახის რაოდენობის შესახებ წარმოდგენილია ცხრილი 2.

საქართველოს დინამიკაში პირუტყვის სულადობა ყველა კატეგორიის მეურნეობაში იძლევა შემდეგ სურათს: 2009 წ. 2006 წელთან შედარებით მსხვილი რქოსანი პირუტყვის სულადობა შემცირდა 1190,6 ათასი სულიდან 1014,7 ათას სულამდე, ანუ 15%-ით; ამავე პერიოდში ღორის სულადობა შემცირდა 455,3-დან 135,2 ათას სულამდე, ანუ 70,3%-ით, ხოლო ცხვრისა და თხის სულადობა 815,3-დან შემცირდა 673,8 ათას სულამდე, ანუ 17,4%-ით. ფრინველის სულადობა 5400,7 ათასი ფრთიდან გაიზარდა 6674,8 ათას ფრთამდე, ანუ 23,6%-ით, გაიზარდა ასევე ფუტკრის ოჯახების რაოდენობაც 146,3 ათასიდან 256,5 ათას სკამდე, ანუ 75,3%-ით. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მთელ სულადობიდან 2009 წელს 99,3% მოდის ოჯახური მეურნეობებში არსებულ სულადობაზე. როგორც ცხრილიდან ჩანს, პირუტყვის სულადობისა და ფუტკრის ოჯახების რაოდენობის უდიდესი წილი ოჯახურ მეურნეობებშია წარმოდგენილი.

2009 წ. საქართველოში ერთ ცხვარზე მატყლის საშუალო ნაპარსი შეადგენს 2,6 კგ-ს, რაც 2006 წელთან შედარებით შემცირდა 0,3 კგ-ით, ხოლო 2008 წელთან შედარებით მოიმატა 0,1 კგ-ით. საქართველოში 2009 წ. 2006 წელთან შედარებით შემცირებულია ასევე ხბოს ნამატი 506,4-დან 497,3 ათას სულამდე, მათ შორის სამეგრელოს რეგიონში 85,7-დან 83,5 ათას სულამდე, ანუ 2,6%-ით.

მკვეთრად შემცირდა გოჭის ნამატიც – 773,2-დან 2006 წ. 211,0 ათას სულამდე 2009 წ., ანუ 72,7%-ით. სამეგრელო რეგიონში ამ მხრივ უფრო მძიმე სურათია. 2006 წ. გოჭის ნამატი შეადგენდა 383,5 ათას სულს, ხოლო 2009 წელს ეს მაჩვენებელი შემცირდა 87,6 ათას სულამდე, ანუ 77,2%-ით. შემცირების ტენდენციით ხასიათდება ბატკნისა და თიკნის ნამატიც. თუ 2006 წ. ეს

მახვენებელი იყო საქართველოში 523,5 ათასი სული, 2009 წელს იგი შეადგენდა 505,8 ათას სულამდე, ანუ შემცირდა 3,4%-ით.

საქართველოში პირუტყვის სულადობისა და ფუტკრის ოჯახის რაოდენობის დინამიკა ოჯახურ მეურნეობებში და სახელმწიფო სექტორში¹

№	დასახელება	2001 წ.				2002 წ.				2003 წ.				2006წ.				2009			
		ოჯახურ მე- ურნეობებში		სახელმწიფო სექტორი		ოჯახურ მე- ურნეობებში		სახელმწიფო სექტორი		ოჯახურ მე- ურნეობებში		სახელმწიფო სექტორი		ოჯახურ მე- ურნეობებში		სახელმწიფო სექტორი		ოჯახურ მე- ურნეობებში		სახელმწიფო სექტორი	
		ათასი სულ	%	ათასი სულ	%	ათასი სულ	%	ათასი სულ	%	ათასი სულ	%	ათასი სულ	%	ათასი სულ	%	ათასი სულ	%	ათასი სულ	%	ათასი სულ	%
1	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	1175,0	9,6	5,2	0,4	1211,7	99,6	4,3	0,4	1239,0	99,7	3,5	0,3	1075,9	99,6	4,1	0,4	1006,9	99,3	7,8	0,7
2	ღორი	445,2	99,9	0,2	0,1	445,9	99,9	0,2	0,1	473,1	99,8	0,7	0,2	342,8	99,8	0,7	0,2	135,2	100	-	-
3	თხა და ცხვარი	633,5	96,1	25,7	3,9	675,6	96,6	23,9	3,4	699,6	96,9	22,4	3,1	762,4	96,6	26,8	3,4	639,4	94,9	34,4	5,1
4	ფრინველი მლნ. ფრთა	8,4	98,8	104,4	1,2	8,4	94,5	485,2	5,5	8,6	91,5	0,6	8,5	4018,1	74,4	1382,6	25,6	5293,1	79,3	1380,9	20,7
5	ფუტკარი ათ. ოჯახი	104,6	99,7	0,3	0,3	117,6	99,7	0,3	0,3	120	96,7	0,4	2,3	145,9	99,7	0,4	0,3	255,7	99,7	0,8	0,3

¹ ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

სხვადასხვა ვირუსული დაავადებების გამო საქართველოში შეიმჩნევა აგრეთვე პირუტყვის დაცემის გახშირებაც. მაგალითად, თუ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი 2006 წ. 47,0 ათასი სული დაეცა, 2009 წელს ეს მაჩვენებელი 76,1 ათასი იყო, ანუ 61,9%-ით გაიზარდა; სამეგრელოში 7,1-დან 11,2 ათას სულამდე დაეცა; ამავე პერიოდში შეიმჩნევა ყველა სახის ფრინველის მკვეთრი დაცემაც. საქართველოში 705,5 ათასი ფრთიდან 2009 წელს დაეცა 2592,7 ათას ფრთამდე, ანუ დაცემა 267,5%-ით მეტი იყო, ხოლო სამეგრელოს რეგიონში 41,2-დან 452,7 ათას ფრთამდე დაეცა, ანუ თითქმის ათჯერ მეტი.

ცხრილი 2-ში. და 3-ში. წარმოდგენილია სამეგრელოს რეგიონში პირუტყვის სულადობა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მაჩვენებლები.

როგორც ცხრილი 3-დან ჩანს, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში 2002-2009 წწ. პირუტყვის სულადობისა და ფუტკრის ოჯახების რაოდენობის დინამიკა ხასიათდება უმეტესი სახეობების უმნიშვნელო ზრდის ტენდენციით. მაგალითად, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობამ 2009 წელს იმატა 2002 წელთან შედარებით 1,7 ათასი სულით, ანუ 0,1%-ით; ამ პერიოდში აღსანიშნავია ფუტკრის ოჯახების მკვეთრი მატება, 13,3 ათასიდან 70,2 ათას ოჯახამდე.

თხისა და ცხვრის სულადობა შემცირდა 5,6 ათასით, ანუ 27,3%-ით; განსაკუთრებით აღსანიშნავია ფრინველისა და ღორის სულადობის მკვეთრი შემცირება. თუ 2002 წელს ფრინველთა რაოდენობა შეადგენდა 2067,4 ათას ფრთას, 2009 წელს იგი თითქმის განახევრდა და შეადგინა 1207,8 ათასი ფრთა, ანუ შემცირდა 41,6%-ით. განსაკუთრებული შემცირება აღინიშნებოდა 2004 წელს, როდესაც რეგიონში იყო მხოლოდ 21,2 ათასი ფრთა, მაშინ როდესაც 2002 წელს აღირიცხებოდა 2067,4 ათასი ფრთა ფრინველი.

ღორის სულადობა შემცირდა 131,9 ათასიდან 33,0 ათას სულამდე, რაც 98,9 ათასი სულით ანუ 75%-ით ნაკლებია 2002 წელთან შედარებით. ძირითადად მათი სულადობის ასეთი მკვეთრი შემცირება გამოწვეული იყო ქათმისა და ღორის გრიპის გავრცელებით.

როგორც ცხრილი 4-დან ჩანს, სამეგრელო რეგიონში სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოებას ძირითადად ეწევა ოჯახური მეურნეობები. წარმოების მაჩვენებლები დინამიკაში საკმაოდ იცვლება. 2009 წელს 2002 წელთან შედარებით სიმინდის წარმოება 109,1 ათასი ტონით შემცირდა. გაიზარდა აგრეთვე ციტრუსების წარმოება. თუ 2002 წ. წარმოებული იყო 1,1 ათასი ტონა, 2009 წ. წარმოებული იქნა 2,8 ათასი ტონა ციტრუსი, ანუ 154,5%-ით მეტი;

პირუტყვის სულაღობისა და ფუტკრის ოჯახების რაოდენობის დინამიკა
სამეგრელოს რეგიონის კერძო სექტორში (2002-2009 წწ.)¹

№	წლები დასახელება	2002 წ.	2003 წ.	2004 წ.	2006 წ.	2009	2009წ. 2002 წელთან	
		ათასი სული	ათასი სული	ათასი სული	ათასი სული	ათასი სული	აბსოლუტური გადახრა, +, -	შეფარდებითი გადახრა, %
1	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	197,1	198,3	185,1	175,4	198,8	1,7	100,1
2	ღორი	131,9	136,8	136,3	122,9	33,0	-98,9	25,0
3	თხა და ცხვარი	20,5	21,8	19,6	18,4	14,9	5,6	72,7
4	ფრინველი ათასი ფრთა	2067,4	2140,1	21,2	1013,9	1207,8	859,6	58,4
5	ფუტკარი ათასი ოჯახი	13,3	14,1	15,3	16,9	70,2	56,9	527,8

¹ ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

სამეგრელოს რეგიონში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სტრუქტურა კერძო და სახელმწიფო სექტორში¹

№	დასახელება	2002	მათ შორის				2003	მათ შორის				2005	მათ შორის				2009	მათ შორის			
		წარმოება ათ.ტ.	კერძო სექტორი		სახელმწიფო სექტორი		წარმოება ათ.ტ.	კერძო სექტორი		სახელმწიფო სექტორი		წარმოება ათ.ტ.	კერძო სექტორი		სახელმწიფო სექტორი		წარმოება ათ.ტ.	კერძო სექტორი		სახელმწიფო სექტორი	
			ათ ტონა	%	ათ ტონა	%		ათ ტონა	%	ათ ტონა	%		ათ ტონა	%	ათ ტონა	%		ათ ტონა	%	ათ ტონა	%
1	სიმინდი	66,8	65,8	98,4	1,0	1,6	130,6	127,5	98,0	2,5	2,1	108,1	108,1	100	-	-	271,5	271,5	100	-	-
2	ღობიო	22,5	14,1	62,7	0,8	3,7	22,8	21,9	96,3	0,9	3,7	1,0	1,0	100	-	-	0,4	0,4	100	-	-
3	კარტოფილი	1,2	1,2	100	-	-	2,6	2,6	100	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
4	ბოსტნეული	8,2	8,2	99,1	75	0,9	11,0	10,9	99,2	0,1	0,8	9,8	9,8	100	-	-	7,0	7,0	100	-	-
5	ციტრუსი	1,1	1,1	100	-	-	14,8	14,8	100	-	-	-	-	-	-	-	2,8	2,8	100	-	-
6	თხილი	5,8	5,8	100	-	-	4,9	4,9	100	-	-	4,6	4,6	100	-	-	11,4	11,4	100	-	-
7	ხილი	15,4	15,4	100	-	-	39,6	39,6	100	-	-	33,3	33,3	100	-	-	25,9	25,9	100	-	-
8	ყურძენი	1,8	1,8	100	-	-	7,8	7,8	100	-	-	2,9	2,9	100	-	-	2,5	2,5	100	-	-
9	ჩაი	9,3	9,3	100	-	-	9,6	9,6	100	-	-	8,3	8,3	100	-	-	2,0	2,0	100	-	-
10	სოიო	0,6	0,4	62,3	0,2	37,7	6,8	5,4	79,4	1,4	20,6	110	110	100	-	-	-	-	-	-	-
11	რძე	74,2	74,2	100	-	-	122,5	122,5	100	-	-	96,7	96,7	100	-	-	76,0	76,0	100	-	-
12	კვერცხი	43,2	43,2	100	-	-	93,0	93,0	100	-	-	43,9	43,9	100	-	-	38,3	38,3	100	-	-
13	ხორცი	7,7	7,7	100	-	-	17,0	17,0	100	-	-	10,6	10,6	100	-	-	8,6	8,6	100	-	-
14	თაფლი	1,8	1,8	100	-	-	99	99	100	-	-	-	-	-	-	-	0,5	0,5	100	-	-

¹ ცხრილი შედგენილია სამეგრელო-ჯ/სვანეთის მხარის სტატისტიკის სამმართველოს მონაცემების საფუძველზე

გაზრდის ტენდენციით ხასიათდება აგრეთვე თხილის წარმოება, რომელიც 5,8 ათასი ტონიდან 2002 წ. გაიზარდა 11,4 ათას ტონამდე 2009 წელს, ანუ 96,6%-ით; ამ პერიოდში ხილის წარმოება 15,4 ათასიდან გაიზარდა თითქმის 26 ათას ტონამდე, ანუ 68,2%-ით; ყურძნის წარმოება 1,8 ათასიდან გაიზარდა 2,5 ათას ტონამდე, ანუ 38,9%-ით.

საკვლევი პერიოდში მეცხოველეობის პროდუქციიდან ზრდის ტენდენცია ახასიათებს ხორცის წარმოებას. თუ 2002 წ. წარმოებული იქნა 7,7 ათას ტონა ხორცი, 2009 წ. წარმოებული იყო 8,6 ათას ტონა, ანუ გაიზარდა 11,7%-ით; უმნიშვნელოდ – 2,4%-ით, ანუ 1,8 ათასი ტონით გაიზარდა აგრეთვე რძის წარმოებაც.

ამასთანავე შეინიშნება წარმოების შემცირება ისეთ პროდუქციაზე, როგორცაა ლობიო, რომელიც 22,5 ათასი ტონიდან შემცირდა 0,4 ათას ტონამდე; ჩაის ფოთლის წარმოება 9,3 ათასიდან შემცირდა 2,0 ათას ტონამდე, ანუ 78,5%-ით; შემცირებულია აგრეთვე თაფლის წარმოება, რომელიც 2002 წ. შეადგენდა 1,8 ათას ტონას, 2009 წელს კი 0,5 ათას ტონას. შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც შემცირებულია რეგიონში ბოსტნეულის წარმოება, 8,2 ათასიდან 7,0 ათას ტონამდე, ანუ 14,6%-ით; კვერცხის წარმოება 43,2 მლნ ცალიდან შემცირდა 38,3 მლნ ცალამდე, ანუ 11,3%-ით.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების შემცირება ძირითადად შეიძლება აიხსნას ოჯახურ მეურნეობების მძიმე ფინანსური მდგომარეობით, რაც აფერხებს მათ მიერ უხეშოსავლიანი თესვებისა და ნერგების, ჯიშინი და მაღალპროდუქტიული პირუტყვის შეძენას, ტექნიკის, სასუქების, შხამქიმიკატებისა და საწვავის შეძენას, აგრეთვე წარმოებული პროდუქციის ხელსაყრელად რეალიზებას და სხვა.

ქვეყნის მთელ ნათეს ფართობში, რომელიც 2008 წელს შეადგენდა 329,3 ათას ჰა-ს, სამეგრელო რეგიონს უკავია 46,2 ათასი ჰა, ანუ 14,0%, რაც 2006 წ-თან შედარებით 39,3 ათასი ჰა-ით არის გაზრდილია.

2008 წელს სამეგრელოს რეგიონში სასოფლო-სამეურნეო მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის ფართობი 174,3 ათას ჰექტარს შეადგენდა, კერძო საკუთრებაში არსებული მიწები – 89 ათას ჰექტარს. მათ შორის სახნავი 39,2%, მრავალწლიანი ნარგავები – 21,7% იყო.¹

¹ ცხრილი შედგენილია სამეგრელო ზ/სვანეთის მხარის სტატისტიკის სამმართველოს მონაცემების საფუძველზე.

საკვლევ რეგიონში აგრარული რეფორმა ძირითადად წარმართა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციით. ამჟამად ფუნქციონირებს კოოპერატივები, აგროფირმები, საიჯარო და სააქციო საზოგადოებები და სხვა სახის გაერთიანებები, გლეხური (ფერმერული) მეურნეობები და ა.შ. ვფიქრობთ, რომ ეს სწორია და აქ ნაჩქარევად არ განხორციელებულა საწარმოების ძირეული რეორგანიზაცია, როგორც ეს ზოგადად მოხდა საქართველოში. ამით შენარჩუნებული იქნა ეკონომიკის სტაბილურობა და გარდამავალ ეტაპზე საბაზრო პრინციპებს კარგად შეესაბამა სახელმწიფო რეგულირების ძირითადი ფუნქციები.

სამეგრელოს რეგიონში მიწის რესურსების გამოყენების მაჩვენებლების ანალიზიდან შემდეგი სურათი ჩანს (იხ. ცხრილი 5). მიწის რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ 1992 წლიდან საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ მინისტრთა კაბინეტის დადგენილების მიღების დღიდან საქართველოში დაიწყო მიწის რეფორმა, რომლითაც 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებისა და მიწის პრივატიზაციის მოუმზადებელი დაწყების საფუძველზე მიწის გამოყენებაში სერიოზული შეცდომები და ხარვეზები იქნა დაშვებული

მართალია, სასოფლო-სამეურნეო მიწის რეფორმის შედეგად საქართველოს მოსახლეობას გადაეცათ 864 ათასი ჰექტარი მიწა, მათ შორის პრივატიზებული 795,3 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავრგული, აქედან 436,6 ათასი ჰექტარი სახნავი და 181,1 ათასი ჰექტარი მრავალწლიანი ნარგავი, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და სხვა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები მკვეთრად შემცირდა. ხოლო სამეგრელოს რეგიონში სასოფლო-სამეურნეო სავარგული შეადგენს 174,3 ათას ჰექტარს, პრივატიზებულია 92,3 ათასი ჰექტარი, მრავალწლიანი ნარგავები – 16,7 ათასი ჰექტარი.

დღეისათვის აგროსასურსათო სფეროში მთავარია მტკიცედ გამოიკვეთოს მიწების მესაკუთრე და პასუხისმგებელი სამეურნეო შედეგებზე. მიწის რეფორმის პირველი ეტაპის წარმატებით დამთავრების საქმეში დიდ მნიშვნელობას იძენს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელთა უზრუნველყოფის გაუმჯობესება წარმოებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსებით (საწვავი, სასუქი, შხამ-ქიმიკატები, საკვები და სხვა) და სატრანსპორტო საშუალებებით. ერთი სიტყვით, საჭიროა აგროსერვისის კარგი ორგანიზაციით უზრუნველყოფა. სხვაგვარად აგრარული რეფორმის არც პირველი და მით უმეტეს, არც მისი

სამეგრელოს რეგიონის მიწის რესურსები და მათი გამოყენება 2009წელს¹

№		ზუგდიდი		წალენჯიხა		სენაკი		მარტვილი		ხობი		ჩხოროწყუ		აბაშა		სულ	
		ჰა	%	ჰა	%	ჰა	%	ჰა	%	ჰა	%	ჰა	%	ჰა	%	ჰა	%
1	სულ მიწის ფართობი																
2	სას. სამ. სავარგული მათ შორის:	36,1	100	19,7	100	22,2	100	31,5	100	22,9	100	21,2	100	20,7	100	174,3	100
	სახნავი	13,7	37,9	3,8	27,7	10,9	49,0	9,9	31,4	12,4	41,5	4,8	22,6	12,7	6,3	68,3	39,2
	მრავალწლიანი ნარგავები	13,6	37,9	4,8	35,0	3,9	17,6	5,2	16,5	3,8	12,7	4,9	23,1	1,7	0,8	37,9	21,76
	სათიბ-სადოვრები	8,7	24,1	5,0	36,4	7,2	32,4	16,5	52,4	12,6	42,1	11,4	53,8	6,2	29,9	67,6	38,7
3	სხვა დანარჩენი მიწები	0,1	0,3	0,1	0,7	0,2	0,9	0,1	0,3	1,1	3,6	0,1	0,5	0,1	0,5	1,8	0,5

¹ ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

მომდევნო ეტაპები საზოგადოებისათვის სასურველ შედეგს ვერ მოიტანს.

მეწარმეობა დღეს ჩვენს საზოგადოებაში ახლად იკიდებს ფეხს. მეწარმეობისათვის აუცილებელია შემდეგი ძირითადი პირობები:

პირველი – სუბიექტს უნდა ჰქონდეს სრული ეკონომიკური ავტონომია, უფლებებისა და თავისუფლების გარკვეული ფარგლები თავისუფლად აირჩიოს სამეურნეო საქმიანობის სფერო, დაფინანსების წყარო, წარმოების ორგანიზაციისა და მართვის ფორმები, საწარმოო რესურსების მობილიზაციისა და გამოყენების გზები. სამწუხაროდ, ეს ეკონომიკური გარემო დღეს ქვეყანაში არაა შექმნილი და მეწარმეობაც ამის გამო ვერ ვითარდება;

მეორე - მეწარმეს უნდა ჰქონდეს საკუთრების უფლება როგორც წარმოების საშუალებებზე, ასევე წარმოებულ პროდუქციასა და შემოსავლებზე – ეს გარემოც დღესდღეობით სრულად არ შექმნილა, რაც ერთ-ერთი დამაბრკოლებელი მხარეა მეწარმეობის განვითარებისათვის;

მესამე – სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელია გარკვეული ეკონომიკური გარემოცვა, მოქმედებისათვის შესაბამისი პირობები და სივრცე, დღეისათვის არც ეს ფაქტორებია სრულყოფილად ამოქმედებული.

მეოთხე – მეწარმეობისათვის ძირითადი ამოცანაა მოგების მიღება. მაგრამ მისი მოქმედება მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება, მთავარია არა მარტო სამომხმარებლო-განაწილებითი, არამედ პროდუქტიულ-შემოქმედებითი მოტივი, რაც ვლინდება წარმოების გაფართოების, სტრუქტურული გარდაქმნებით, მოდერნიზაციითა და ორგანიზაციული სრულყოფით.

თავისუფალი მეწარმეობა, ბიზნესი, ერთადერთი გზაა საბაზრო ეკონომიკის განვითარებისათვის, თავისუფალი და მდიდარი საზოგადოების შექმნისათვის. ამავე დროს, ეს გზა საკმაოდ რთულია ისეთი მეწარმეობისა და საბაზრო კულტურის შესაქმნელად, რომელიც ახლა დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებშია. ბევრი უნდა ვისწავლოთ, სხვაგვარად წარმატებას ვერ მივაღწევთ. მარტო პოლიტიკური და ადმინისტრაციული თავისუფლება საკმარისი არ არის, საჭიროა ზნეობრივი, ინტელექტუალური, ეკონომიკური და ორგანიზაციული ცოდნისა და გამოცდილების შექმნა, რომლის კულტურა ჩვენს მეწარმეებს დღესდღეობით ნაკლებად გააჩნიათ.

ქვეყანაში ჯერჯერობით კიდევ არ შექმნილა სამეწარმეო უნარის ფართოდ გაშლის ხელსაყრელი გარემო პირობები. ამის გამო მეწარმეობა ვერ ვითარდება, ზოგიერთი მონაცემებით, უკანასკნელ ოთხ წელიწადში საქართველოდან წავიდა მეწარმეთა მთელი რაოდენობის მესამედი. ხოლო ე.წ. იატაკქვეშეთში მუშაობს

მეწარმეთა 25 პროცენტზე მეტი. ისინი გაურბიან დიდ სახელმწიფო გადასახადებს, საჭიროა სახელმწიფომ მეწარმეებს შეუქმნას თავისუფალი მოქმედების პირობები, რათა სრულად გამოავლინონ მთელი თავიანთი სამეწარმეო უნარი ქვეყნის სიმდიდრის შექმნაში.

კვლევამ გვიჩვენა, რომ აგრარული პოლიტიკის სრულყოფის ძირითად მიმართულებად თანამედროვე ეტაპზე მიხნეული უნდა იქნეს:

- სოფლად ეკონომიკური სიტუაციის გასაუმჯობესებლად ნორმატიული დოკუმენტების საკანონმდებლო-სამართლებრივი ბაზის შექმნა და გამოყენება;

- სოფლად სამამულო საქონელმწარმოებლების ეკონომიკური სტიმულირებისა და საბაზრო ინფრატრუქტურის განვითარებაზე დაფუძნებული სასურსათო რესურსების ფორმირების მექანიზმის შემუშავება;

- სრულყოფილი საგადასახადო, საკრედიტო, სადაზღვევო, აგრარული ეკონომიკის სხვა რეგულატორების, აგრეთვე სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის პროდუქციაზე ფასების ჩამოყალიბების პარიტეტული მექანიზმის დამუშავება და მოქმედებაში შეყვანა;

- საადგილმამულო ურთიერთობის სრულყოფა, მიწის გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლის დაწესება;

- მეურნეობრიობის ყველა ფორმის სამართლებრივი და ეკონომიკური თანასწორობის უზრუნველყოფა, მსხვილი სასაქონლო წარმოების აღდგენისა და განვითარების ხელშემწყობი პირობების შემუშავება;

- სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, გადამუშავების, რეალიზაციის, აგრეთვე აგროსერვისული მომსახურების, ვაჭრობისა და დაკრედიტების სფეროებში საკუთრებისა და მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმის წარმოების, კოოპერატივებისა და ინტეგრირების პროცესების სტიმულირება;

- სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, შენახვის, გადამუშავების ენერგო და რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენება;

- საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფა სამამულო საქონელმწარმოებლების ინტერესების დაცვის მიზნით;

- მართვის სისტემის სრულყოფა, აგრარული სექტორის, როგორც მართვის ერთიანი ობიექტის ორგანიზაციულ-სამართლებრივი გაფორმება და გამოყოფა;

- სოფლის სოციალური გარდაქმნა, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის ეკონომიკური პირობების შექმნა.

საქართველოში წარმოების კატასტროფული დაცემის ერთ-ერთი მთავარი

მიზეზი მთლიანად ქვეყნის ეროვნული მეურნეობის, მათ შორის აგრარული სექტორის მართვის შესუსტებაში მდგომარეობს. დაიშალა აგრარული სექტორის როგორც ერთიანი ორგანიზმის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვის სისტემა. მართვის მრავალი ფუნქცია გაბნეული აღმოჩნდა სხვადასხვა სამინისტროებსა და უწყებებში, აგრეთვე სახელმწიფო მართვის ადგილობრივ ორგანოებში.

გამომდინარე აქედან, აგრარული სექტორის მართვაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია განხორციელდეს განსაზღვრული რეფორმები.

საბაზრო ეკონომიკის დროს ხელსაყრელი პირობები იქმნება თვითმმართველობის განვითარებისათვის. სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობებს, გადამამუშავებელი და მომსახურე სფეროს საწარმოებს და ორგანიზაციებს ნებაყოფლობის საფუძველზე შეუძლიათ შექმნან კოოპერატივები, სააქციო საზოგადოებები, გაერთიანებები, კონცერნები და სხვა ფორმირებები, რომლებიც იმუშავებენ თვითმმართველობისა და კომერციული ანგარიშის პრინციპებზე.

აგრარული სექტორის გარდაქმნაზე როცა ვლაპარაკობთ, აუცილებლად საჭიროა ძირეულ შრომით კოლექტივებთან შეთანხმებით მოხდეს კოოპერაციული და სახელმწიფო მეურნეობების რეორგანიზაცია. საქართველოში იგი ახლა არასწორი კურსით მიმდინარეობს. კრიტიკიუმში აქ ერთია: აგრარული სექტორის ყველა სფეროში საკუთრებითი ურთიერთობების სრულყოფა. მთავარია, მიწისა და წარმოების სხვა საშუალებათა სახელმწიფო საკუთრების მოცულობის დადგენა, დანარჩენი ნაწილის სააქციო საზოგადოების, კოოპერატივების, გლეხური (ფერმერული) მეურნეობების საკუთრებაში გადაცემის დაჩქარება

აგრარული სექტორის შესვლა საბაზრო ურთიერთობაში გულისხმობს სოფლის მეურნეობის სახელმწიფოებრივი რეგულირების გარდაქმნას როგორც პროდუქციის რეალიზაციის, ისე რესურსებით უზრუნველყოფის მხრივ. ამ მიმართებით მიმდინარე ეტაპზე საჭიროა აგროსერვისის მოწყობაში სახელმწიფო სექტორის როლის წინა პლანზე წამოწევა და შემდგომ კი თანდათანობით კოოპერაციული მიდგომების გამოყენება.

რეფორმის შედეგად მოხდა აგრეთვე სოფლად საქონლიანობის დონის შემცირება, ამასთან ფასების ინფლაციის გამო გაჩნდა არაჯანსაღი ტენდენციები მეურნეობის ნატურალიზაციის შესახებ. გლეხი არ იზღუდება წარმოების იმ მასშტაბებით, რაც მისი ოჯახის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის არის აუცილებელი, ან ზრდის საკუთარ მოხმარებას და ბაზარზე სარეალიზაციოდ

ნაკლები პროდუქცია გამოაქვს, ან ზრდის მარაგებს (ხდება დაგროვების ნატურალიზაცია) ამჯობინებს შეინახოს პროდუქცია ვიდრე ფული და ეს პროცესი ნატურალიზაციისა უფრო ღრმავდება და მკვეთრად კლებულობს წარმოებული პროდუქციის სასაქონლო ნაწილი, რომელიც სარეალიზაციოდ უნდა გამოვიდეს ბაზარზე.

კერძო სექტორში წარმოების საქონლიანობის ამაღლების ერთ-ერთ გზად უნდა მივიჩნიოთ წარმოების კონცენტრაცია, მეურნეობათა გამსხვილების პროცესი. მიწის პრივატიზაციის შემდეგ სასოფლო-სამეურნეო წარმოება ძალზე დაქუცმაცდა, დაწვრილდებოდა, რაც დაბრკოლებებს უქმნის სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს სოფლის მეურნეობაში. ცივილიზებული მსოფლიოს გამოცდილება დღეს თვალნათლივ ადასტურებს დებულებას წვრილთან შედარებით მსხვილი მეურნეობის უპირატესობის შესახებ.

დღეს ქვეყანას სჭირდება ძლიერი გლეხური მეურნეობები, რომელთა მთავარი დანიშნულება იქნება არა საკუთარი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, არამედ ბაზრისათვის პროდუქციის მიწოდება. ეს გზა უნდა იყოს ერთ-ერთი მთავარი გზა სოფლად საბაზრო სტრუქტურების ფორმირებისათვის.

საადგილმამულო ურთიერთობათა შეცვლის მთავარი მიზანია მიწის, როგორც უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი რესურსის რაციონალური გამოყენება და დაცვა, მიწის საკუთრებისა (სარგებლობის, მფლობელობის) და მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმებისათვის განვითარების თანაბარი პირობების შექმნა. აქ საზოგადოებრივი ურთიერთობის შეცვლის საფუძველია არსებული საადგილმამულო ურთიერთობათა მთლიანად შეცვლა. ეს კი რევოლუციური გადატრიალების ტოლფასია.

საადგილმამულო რეფორმას მოაქვს შემდეგი სიახლეები:

პირველი – მიწა ცხადდება კერძო საკუთრებად, ამავე დროს მიწის გარკვეული ნაწილი რჩება სახელმწიფო საკუთრებად. მიწაზე კერძო საკუთრების უფლების რეალიზაცია ხდება ადგილებზე სოფლისა და რაიონული გამგებლების მიერ, რასაც წინათ არ ჰქონდა ადგილი.

მეორე – გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობებს, კოოპერატივებს და სხვა სახის საწარმოებს მიწა ეძლევათ კერძო საკუთრებაში, აგრეთვე მფლობელობასა და სარგებლობაში, ხოლო სახელმწიფო საწარმოებს – მუდმივ სარგებლობაში;

მესამე – მიწის კანონმდებლობის საერთო ზოგადი საფუძველებით წესდება მხოლოდ საერთო პრინციპები და ნორმები; ძირითადი, საადგილმამულო

ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმებშემქმნელი ნაწილი მუნიციპალურ და ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს განეკუთვნება. ამასთან, საკანონმდებლო სისტემის ასეთი მიღების აუცილებლობა განპირობებულია ისეთი პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობით, როგორცაა: სურსათის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდებისათვის ტერიტორიული მფლობელობისათვის ხელსაყრელი წინაპირობების შექმნის მიზნით; მიწის როგორც საწარმოო რესურსის ჩართვის აქტიურ (ქონებრივ) ბრუნვაში;

აგრარულ ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ქვეყნის საერთო ეკონომიკურ მოვლენებთან და მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საზოგადოების ცხოვრებას, ამიტომაც ყურადღება და ფიქრები დღენიადაგ სოფელს უნდა დასტრიალებდეს თავს.

აგრარული რეფორმის კურსის გატარებაში დაშვებულია სერიოზული შეცდომები, რაც მძიმე დაღს ასვამს დარგის განვითარებას და განაპირობებს სერიოზულ ჩავარდნებს სურსათით უზრუნველყოფის საქმეში.

მიმდინარე ეკონომიკური გარდაქმნების ერთ-ერთი მთავარი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ იგი დაიწყო ნაჩქარევად, თითქმის სტიქიურად არა ძირეული წარმოებების რგოლებიდან, სადაც უშუალოდ იქმნება პროდუქცია, არამედ ზედა ეშელონებიდან. ქვეყანაში რეფორმა ხორციელდებოდა ე.წ. აკადემიური პრინციპით: „ზევიდან ქვევით“ და არა პირიქით – „ქვევიდან ზევით“. არა და, საქართველოს პირობებიდან გამომდინარე, იგი სწორედ სასურსათო კომპლექსის რეორგანიზაციით უნდა დაწყებულიყო. ჩვენ რომ სხვა ქვეყნების მსგავსად ამ გზით წავსულიყავით, მაშინ ამ ხნის განმავლობაში შევძლებდით დაგვეწყო ქვეყნის შემსუთავი გლობალური პრობლემების კვანძის გახსნა.

აგრარული ეკონომიკის აღმავლობა საშუალებას მოგვცემდა აგველორდინებინა სოფელი, რომლის გარეშე, როგორც მოწინავე ქვეყნების თანამედროვე პრაქტიკა მოწმობს, არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია არსებობა.

რადიკალური აგრარული რეფორმის კურსის გატარებაში ერთ-ერთი დიდი შეცდომაა სოფლის სოციალური ასპექტების შეუფასებლობა. საქართველოში სოფლის სოციალური ინფრასტრუქტურა ფაქტიურად არ არსებობს, ეს საკითხი სათანადოდ არ იქნა გათვალისწინებული მიწისა და წარმოების საშუალებების პრივატიზებისას, რამაც რეფორმის ეკონომიკურ შედეგებზე ძალზე უარყოფითად იმოქმედა.

ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების ძირითადი მიმართულებანი

ამოცანად ისახავს: მაქსიმალურად დაიცვას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება გარე ფაქტორთა უარყოფითი მოქმედებისაგან; უზრუნველყოს სამეურნეო ცხოვრების გამოცოცხლების, ცხოველმყოფელობის შენარჩუნების ხელსაყრელი პირობები; დაიცვას მესაკუთრე მისი ქონების ხელყოფისაგან, შექმნას საამისო ჯეროვანი სამართლებრივი გარემო; მოაწესრიგოს მეურნეობის მართვა; საფუძველი ჩაუყაროს საზოგადოებაში სოციალური პარტნიორობის და თანხმობის მიღწევის ორგანიზაციულ-ეკონომიკურ მექანიზმს, მოსახლეობის პირველადი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, სამომხმარებლო კალათით გათვალისწინებული მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტის ჩამოყალიბებას. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ მიმართებით რეფორმის შედეგები ძალზე არადამაკმაყოფილებელია.

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ახალი კურსის უმნიშვნელოვანეს ამოცანად უახლოეს პერიოდში უნდა იქნეს მიჩნეული პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება სოფლის მეურნეობის მიმართ, მისი ფუნქციონირებისათვის პრიორიტეტული პირობების უზრუნველსაყოფად უწინარეს ყოვლისა სასურსათო, სათბობ-ენერგეტიკული და სატრანსპორტო კომპლექსის სფეროებში.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აგრარული ეკონომიკის საწარმო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება და საზოგადოებისა და მისი წევრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება წარმოადგენს სახელმწიფო სტრუქტურების პრეროგატივას. სამომხმარებლო კალათის ამჟამად არსებულ სტრუქტურაში სურსათის ხვედრითი წონა 70 პროცენტს აღემატება. ამდენად, ცხადი ხდება, რომ მთავრობის პირველი რიგის ამოცანა სურსათზე მოსახლეობის ხარჯების შემცირება უნდა იყოს.

განხილული ასპექტით რეფორმის კორექტირებას უნდა დაემტოს სტრუქტურული პოლიტიკის გარდაქმნა. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს პრიორიტეტების დასაბუთებას, კერძოდ, იმ სფეროების განვითარებას, სადაც კაპიტალური დაბანდებები სწრაფ ეფექტს მოგვცემენ, განსაკუთრებით სამომხმარებლო ბაზრის შევსებისათვის. აქ კვლავაც, უდაოდ, წინა პლანზე წამოიწევა აგრარული სექტორი და სასურსათო ბაზარი. ამიტომაც სახელმწიფომ აუცილებლად უნდა შექმნას სოფლის მეურნეობის უპირატესი განვითარების პირობები.

ჩვეულებრივ, რეგიონის თავისებურებებისა და საბაზრო კონიუნქტურის გათვალისწინებით ყალიბდება გარკვეული პროპორციულობა მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებაში, საქართველოში კი მემცენარეობის პროდუქციის ღირებულება 3-ჯერ და მეტად აღემატება მეცხოველეობის

პროდუქციის ღირებულებას. ასეთი ტენდენციის პირობებში ყოველად შეუძლებელია სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა. მეცხოველეობის ასეთი ჩამორჩენა ეწინააღმდეგება არა მარტო საქართველოს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ამადლების ინტერესებს, არამედ სრულიადაც არ შეესაბამება არსებული ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების მაქსიმალურად გამოყენების ამოცანებსაც.

სამეგრელოს რეგიონის აგრარული სექტორის დაჩქარებული ტემპით განვითარება და საბაზრო ურთიერთობაზე გადაყვანა მოითხოვს რადიკალური აგრარული რეფორმის კურსის სწორად და რაციონალურად გატარებას. რეფორმის ძირითად მიმართულებად მიგვაჩნია: მიწებისა და წარმოების სხვა ძირითადი სა-შუალებების თანმიმდევრული განსახელმწიფოებრიობა და პრივატიზება. ახალი თანამედროვე ტიპის საწარმოების ფორმირება; სწორი საგადასახადო სისტემის შემოღება და განხორციელება; ფასების ლიბერალიზაცია და თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების შესაძლებლობათა გამოყენება; აგროსერვისის ოპტიმალური ორგანიზაცია; თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების ფართო დანერგვა, საწარმოთა შორის კონკურენციის განვითარება და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამადლება; მართვისა და პროგნოზირების სწორი სისტემის დამკვიდრება და ა.შ.

აღნიშნული დისპროპორციების დაძლევა მოითხოვს პირველ რიგში როგორც საქართველოში, ასევე სამეგრელოს რეგიონში სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა-გაუმჯობესებას, რისთვისაც საჭიროა:

1. არ მოხდეს სახნავი ფართობის შემცირება, გაიზარდოს ადგილობრივი მნიშვნელობის დარგების ხვედრითი წილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში და დამუშავებაში მეოფ მიწებში ახალი მიწების ათვისების ხარჯზე (დაჭაობებული მიწების დაშრობა, მლაშე და ბიცობი მიწების გაკულტურება, ეკოლოგიურად უსაფრთხო ადგილებში ბუჩქნარების ამოძირკვა).

2. სასურველია უზრუნველყოფილ იქნეს მრავალწლიანი კულტურების განვითარების მაღალი ტემპი, უზრუნველყოფით მათი ინტენსიფიკაციისა და პირველ რიგში მეჩხერიანობის სრული ლიკვიდაციის გზით, ფართობების გადიდებისა, მაქსიმალურად გავითვალისწინოთ სამეგრელოს რეგიონის რეალური შესაძლებლობები და ამ დარგების სხვა დარგებთან შეთანაწყობის აუცილებლობა.

3. როგორც საქართველოში, ასევე სამეგრელოს რეგიონში სხვა ღონისძიებებთან ერთად საჭიროა გრძელვადიან პერსპექტივაში ადგილობრივი

მნიშვნელობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდის ტემპი გადიდდეს ერთიორად ბოლო 15-20 წელიწადში მიღწეულ საშუალო წლიური ზრდის ტემპებთან შედარებით და სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის სტრუქტურაში მიღწეულ იქნეს მიწათმოქმედების პროდუქციის უპირატესი ზრდა მეცხოველეობის პროდუქციასთან შედარებით.

ასეთ პირობებში აგრარული პოლიტიკის მთავარ ამოცანად მიჩნეულ უნდა იქნეს ეფექტიანი აგროსამრეწველო წარმოების შექმნა, პირველ რიგში, მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებით და მრეწველობის სოფლის მეურნეობის ნედლეულით იმ მოცულობით უზრუნველყოფა, რაც აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და სოციალური განვითარებისათვის. ამასთან, ყველა სახის პროდუქტსა და ნედლეულზე ქვეყნის მოთხოვნილება უნდა დაკმაყოფილდეს იმ დარგების უპირატესი განვითარების გზით, რომელთა წარმოებისათვის არსებობს ყველაზე ხელსაყრელი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები, ადგილობრივი წარმოების პროდუქციის წარმოების გადიდების ხარჯზე და სავალუტო შემოსავლებით უკმარისი პროდუქციის შესყიდვით. ამ შემთხვევაში მთელი ძალისხმევა გადატანილია შიდა მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე. მისი დონის ამაღლება ხდება ადგილზე წარმოებული პროდუქტების გადიდების ხარჯზე, შიდა და გარე მოთხოვნილების დაკმაყოფილებით დარგებს შორის დაცულია ოპტიმალური მიდგომები და განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასურსათო პროდუქციის მწარმოებელი დარგების დაჩქარებული ტემპებით განვითარებას.

სოფლად საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის პრიორიტეტი უნდა ეძლეოდეს მწარმოებელს. საწარმოო პოტენციალის გადიდების საფუძველზე პირველ რიგში მიღწეული უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება და შეიქმნას დამატებითი რესურსები ექსპორტის გასაფართოებლად. ეფექტიანად უნდა იქნას გამოყენებული საექსპორტოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების სტიმულირების ყველა ფორმა.

სოფლის მეურნეობის განვითარების მთავარ წინამძღვარს, ჩვენი აზრით, უნდა წარმოადგენდეს მიწის, როგორც ძირითადი სიმდიდრის, ეკონომიკურად მიზანშეწონილი და ეკონომიკურად ზომიერი გამოყენება.

ანალიზი მოწმობს, რომ საკვლევე რეგიონში აგრარულმა რეფორმამ ხელი უნდა შეუწეოს უპირველესად იმ დარგების განვითარებას, რომელზეც დამოკიდებულია ქვეყნის მოსახლეობის საკუთარი წარმოების სურსათით მაქსიმალური უზრუნველყოფა. ამისათვის აუცილებელია მიწის რეფორმის

დროულად და სწორად განხორციელება, სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურების სრულყოფა, სოფლის მეურნეობაში საკუთრების ყველა ფორმის სრულად გამოყენება, აგროსამრეწველო კომპლექსის სამრეწველო და მომსახურე დარგების საწარმოთა და ორგანიზაციათა სწორი პრივატიზება და დემონოპოლიზაცია, ჯანსაღი კონკურენციისათვის ხელშემწყობი გარემოსა და პირობების შექმნა; ახალი საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელება, აგროსამრეწველო წარმოების მეცნიერული უზრუნველყოფის გაუმჯობესება და რაც მთავარია, აგრარული რეფორმის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის უზრუნველყოფა.

აღნიშნული ღონისძიებების რეალიზაცია ჩვენი აზრით დაახქარებს აგრარული რეფორმის სწორი კურსით წარმართვას და ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის დაძლევას.

1.3. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ფუნქციონირების თავისებურებები აგრარულ სექტორში

საკუთრების ფორმების განვითარება – ნებისმიერი სახის წარმოების არსის განსაზღვრის ცენტრალური საკითხია. საკუთრების ფორმები ნებისმიერ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში საწარმოო ურთიერთობების მთავარ შინაარსს წარმოადგენს. მაგრამ განსაკუთრებულ აქტუალობას საკუთრების ფორმების განვითარება იძენს საბაზრო ეკონომიკის პირობებში. საკუთრების ფორმების მრავალფეროვნების განვითარების აუცილებლობა თავის მხრივ განაპირობებს მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, რომლებიც გამიზნულია ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნაზე და ამის საფუძველზე მაღალ საბოლოო შედეგების მიღწევაზე.

საკუთრების მრავალფეროვნებისა და მეურნეობრიობის ფორმების ჩამოყალიბების აუცილებლობა წარმოების განვითარების კანონზომიერი პროცესია და განპირობებული არ არის მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებით. მას აქვს აგრეთვე რიგი ობიექტური მიზეზებისა, რომელთაგან მთავარია მუშაკების მიერ საქმიანობის სახისა და ფორმის შერჩევის თავისუფლების ობიექტური პროცესი. ეს მიზეზები უპირველეს ყოვლისა განაპირობებენ მცირე, საშუალო და მსხვილი მეურნეობების არსებობის აუცილებლობას, რომლებიც ფუნქციონირებენ კერძო, კოლექტიურ და სახელმწიფო საკუთრების ბაზაზე.¹

ქვეყანაში და მის რეგიონებში ბუნებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა თავისებურებების, შრომითი რესურსების არსებობა, ტერიტორიის რელიეფი, მეურნეობების უზრუნველყოფა მიწის, წყლის, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსებით – ეს არის ეკონომიკის აგრარულ სექტორში საკუთრებისა და მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმების ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითადი ფაქტორები და წინაპირობა.

¹ A. : 4. - .,2000.- .62-67.

მრავალწობიანი ეკონომიკის ფორმირების პროცესი ყველა ქვეყანაში ვერ წარიმართება ერთნაირი მოდელით, პოლიტიკითა და რეკომენდაციებით. აქ საჭიროა კონკრეტული ქვეყნის, მათ შორის საქართველოსა და მისი ცალკეული რეგიონის თავისებურებებისა და სხვა პირობების, მათ შორის ეროვნული და ისტორიული ტრადიციების გათვალისწინება, მაგრამ ამასთანავე არ უნდა გამოირიცხოს ეკონომიკაში საბაზრო ურთიერთობების განვითარებისა და სრულყოფის საერთო კანონები და კანონზომიერებები.

საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმების მრავალფეროვნების ამჟამად მიმდინარე ჩამოყალიბება სტიქიური პროცესი არ არის, ჩვენს პირობებში ის უნდა ხორციელდებოდეს არსებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რაციონალური რეორგანიზაციის გზით ქვეყნის კონკრეტული თავისებურებების გათვალისწინებით.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რეორგანიზაცია მიმდინარეობდა ევოლუციური გზით. ამ პროცესის კიდევ ერთი თავისებურება ის არის, რომ ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმები დაიწყო ღრმა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისის პერიოდში, რაც პირველ რიგში გამოიწვია საბჭოთა კავშირის დაშლამ, ლოკალურ სამოქალაქო ომებმა, სამეურნეო კავშირების დარღვევამ, გარე და შიდა ვაჭრობის მოშლამ და სხვა. ამ მოვლენების შედეგები ძალზედ მძიმე აღმოჩნდა. ასეთ პირობებში ძნელი იყო ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღების არიდება, რომლებმაც განსაზღვრული ხარვეზები გამოიწვია, რომელთაგანაც შეიძლება აღინიშნოს შემდეგი:

- არ ჩატარდა ეკონომიკური რეფორმების მსოფლიოში უკვე არსებული მოდელების საკმარისი ანალიზი და საქართველოს პირობებისათვის მისასადაგებელი ელემენტების შერჩევა და პრაქტიკაში დანერგვა;

- ადგილებზე მეურნეობრიობის ფორმების ორგანიზაცია კამპანიურ ხასიათს ატარებდა და საკმარისად არ იყო მომზადებული როგორც ორგანიზაციული, ისე სამართლებრივი და საფინანსო-ეკონომიკური თვალსაზრისით;

- ყოველთვის სწორად არ წარმოებდა არსებულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რეორგანიზაციის გზების განსაზღვრა და მიმართულებები;

- ნაჩქარევად იყო განსაზღვრული და დადგენილი სასოფლო-სამეურნეო ფორმირებების რეორგანიზაციის თანმიმდევრობა (ეტაპობრიობა). თუ გაავითვალისწინებთ სოფლის მუშაკთა სოციალურ-ეკონომიკურ თავისებურებებს და პროფესიულ დონეს, შეიძლება შევთავაზოთ რეორგანიზაციის შემდეგი ეტაპები:

ა) ყველა კოლექტიურ და სხელმწიფო საწარმოებში საიჯარო ურთიერთობების ფართო დანერგვა;

ბ) სახელმწიფო საწარმოების გარდაქმნა საიჯარო საწარმოებში მეურნეობრიობის სააქციო ფორმის შემდგომი შექმნით;

გ) საიჯარო ობიექტების ბაზაზე შიდასამეურნეო კოპერატივების შექმნა და განვითარება, აგრეთვე მეურნეობრიობის კოოპერატიული ფორმების სხვადასხვა კავშირებისა და ასოციაციების მთელი ქსელის შექმნა.

- როგორც მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმების საწარმოო მაჩვენებელთა ანალიზი და ეკონომიკის აგრარულ სექტორში მათი ხვედრითი წილი გვიჩვენებს, მეურნეობრიობის ახალი ფორმები ჯერ კიდევ ვერ ასრულებენ მნიშვნელოვან როლს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში;

- მეურნეობრიობის არსებული ფორმები უმეტესწილად არ არიან უზრუნველყოფილი მინიმალური მატერიალურ-ტექნიკური და საფინანსო-საკრედიტო რესურსებით სოფლის მეურნეობაში კვლავწარმოების პროცესის განსახორციელებლად;

- პროდუქციის წარმოების გადიდებაში სოფლის მუშაკთა მატერიალური დაინტერესება საკმარისი არ არის, რაც აიხსნება ფასების დისპარიტეტით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სარეალიზაციო ფასებსა და მრეწველობის მიერ წარმოებულ მატერიალურ-ტექნიკურ საქონლის, სატრანსპორტო ხარჯების, ელექტროენერგიის ტარიფების და სხვ. ფასებს შორის.

- მაღალი გადასახადები;
- სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის არასაკმარისი განვითარება;

- სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ეკონომიკური ეფექტიანობის არაეკვივალენტური განაწილება პირველადი ნედლეულის მწარმოებლებსა და ამ ნედლეულის გადამამუშავებელ საწარმოებს შორის უკანასკნელთა სასარგებლოდ;

- სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სახელმწიფოს მხრიდან არსებითი მხარდაჭერის არ არსებობა;

- საბაზრო ეკონომიკის პირობებში მუშაობის გამოუცდებლობა;

- ქვეყნის ეროვნული მეურნეობის დარგებთან შედარებით, სოფლის მეურნეობის შრომის ანაზღაურებისა და შრომის ნაყოფიერების თითქმის ყველაზე დაბალი დონე;

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მეურნეობრიობის ახალი ფორმების მდგრადი ფუნქციონირება და ეფექტიანობის ამაღლება, საჭიროა მათი მართვის სრულყოფა. ახალი ფორმირებების მართვის ძირითად ორგანოებად უნდა გახდეს არა სახელმწიფო სტრუქტურები, არამედ არასახელმწიფო ორგანოები თვითმმართველობის დემოკრატიული საფუძვლებით. ასეთებს მიეკუთვნება შესაბამისი კავშირები, ასოციაციები, კორპორაციები და სხვა, რომლებიც შეიქმნება ფუნქციონალური ნიშნების მიხედვით.

აგრარული ეკონომიკის სტაბილურობა და მეურნეობრიობის ახალი ფორმების შემდგომი განვითარება შეუძლებელია სოფლის მეურნეობაში ეკონომიკური სტიმულირების რეფორმების გარეშე. ასეთი რეფორმების ქვეშ იგულისხმება სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასწარმოქმნის სრულყოფა, დაბეგვრის სრულყოფა და მინიმუმამდე დაყვანა, საფინანსო-საკრედიტო სისტემის გაუმჯობესება, რაც უნდა ითვალისწინებდეს სოფლისათვის კომერციული ბანკების, იპოთეკური ბანკების, ფაქტორინგული სამსახურების რაოდენობის გაზრდას და სხვა.

მეურნეობრიობის ახალი ფორმების წარმატებით მუშაობისათვის საჭიროა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, სარემონტო-სამშენებლო, სატრანსპორტო საწარმოების ქსელის, ლიზინგური კომპანიების, სავაჭრო-შემსყიდველი კოოპერატივების და სხვათა შექმნა.

რაოდენ დიდ სირთულეებს არ უნდა განიცდიდეს ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტი, ფინანსური, ორგანიზაციულ-სამართლებრივი მხარდაჭერისა და სახელმწიფო პროტექციონიზმის გარეშე შეუძლებელია აგრარული დარგის სტაბილური განვითარების მიღწევა. არასაკმარისი ფინანსური მხარდაჭერა ვერ უზრუნველყოფს საჭირო პროპორციულობას წარმოების ფაქტორებს შორის, რის გამოც საბოლოო შედეგები მინიმალურია. მაგალითად, ყველა მატერიალური რესურსებით და ტექნიკით უზრუნველყოფის შემთხვევაში, მაგრამ არასაკმარისი სარწყავი წყლის პირობებში მოსავლიანობა დაბალია. ხშირად არამიზნობრივად გამოიყენება ბიუჯეტიდან აგრარული სფეროსათვის გამოყოფილი სახსრები ან ცუდად აკონტროლებენ მათ ხარჯვას. შეინიშნება აგრეთვე დიდი დანაკარგები მოსავლის აღების ვადების დარღვევის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის გამო.

აგრარულ სფეროში ჩამოთვლილი პრობლემების გადაჭრა სახელმწიფოს ჩარევის გარეშე ძალზედ რთულია, განსაკუთრებით თუ ეს ეხება საბაჟო პოლიტიკას, მეცნიერებითა და კადრებით უზრუნველყოფას, სოფლის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას, პროდუქციის მოწოდებაზე მსხვილი ხელშეკრულებების დადებას, სალიზინგო კონტრაქტებს და სხვა.

სამეურნეო სისტემის კარდინალური ცვლილებების არსი იმაში კი არ გამოიხატება, რომ უზრუნველვეყოთ იგი ნებისმიერი გზით, არამედ უმტკივნეულოდ დაუკავშიროთ ახლადწარმოქმნილ სამეურნეო მექანიზმს. ეს პროცესი ხასიათდება ისეთი ახალი ნიშანთვისებებით, როგორცაა დინამიზმი, უფრო რთული ურთიერთკავშირების არსებობა, მეურნეობრიობის ფორმების მრავალფეროვნება (რომელიც საჭიროა ეკონომიკური მექანიზმის ობიექტურ გარემოებებისადმი მისადაგების გაძლიერებისათვის), მისი თვითრეგულირების უზრუნველყოფა და სხვა.

რეფორმირების პროცესი საკმაოდ ხანგრძლივია, ეტაპობრივად უნდა მიმდინარეობდეს ეკონომიკური (მათ შორის აგრარული სფეროს) ურთიერთდაკავშირებული და თანმიმდევრული გარდაქმნები. ამ პროცესის აქტივიზაციისათვის, მისი შედეგიანობის ამაღლებისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმ ობიექტური და სუბიექტური პირობების ანალიზი, რომელშიც ისინი ხორციელდება.

საბაზრო ეკონომიკა – ეს არის თანასწორუფლებიან პარტნიორებს შორის ხელშეკრულებების, შეთანხმებების, განვითარებული ჰორიზონტალური კავშირების სისტემის მქონე ეკონომიკა, რომელიც ემყარება საბაზრო ინფრასტრუქტურას, საბითუმო საწარმოებს, ბირჟებს, ბანკებს, სადაზღვევო ფირმებს და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებს, კანონმდებლობას, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს სამეურნეო სუბიექტებს შორის, და სხვა.

აგრარულ სფეროში ეფექტური საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების გარეშე შეუძლებელია ქვეყანაში სასურსათო პრობლემის გადაჭრა. ამისათვის კი საჭიროა წარმოების მოქმედი სტრუქტურებისა და ტექნოლოგიების ძირეული გარდაქმნა, სასელექციო სამუშაოთა სრულყოფა, სოფლის მეურნეობის კულტურათა მაღალმოსავლიანი ჯიშებისა და პირუტყვის მაღალპროდუქტიული ჯიშების დანერგვა, მსოფლიოს აგრარულ სფეროში მიღწეული მოწინავე გამოცდილების გამოყენება პრაქტიკაში კონკრეტული პირობების გათვალისწინებით, მსოფლიო სოფლის მეურნეობაში ინტეგრირება. ამასთანავე, საჭიროა ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის სრულყოფა.

ამჟამად ჯერ კიდევ საკმარისად არ არის გაანალიზებული ის ფაქტორები, რომლებიც აფერხებენ ეკონომიკის აგრარულ სექტორში უფრო ეფექტიანი პირობების ჩამოყალიბების პროცესს, არ არის განსაზღვრული კომპლექსური მიდგომა აგრარული წარმოების ეფექტიანობის ზრდის სტიმულირების პრობლემის გადაჭრისადმი. საჭიროა შემუშავდეს: ეკონომიკური რეფორმის პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს კერძო სექტორის სტიმულირებას აამაღლონ პროდუქტიულობა, მომგებიანობა;

ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის განვითარება; სახელმწიფო, უცხოური და კერძო ინვესტიციების ჩადება დარგში და სხვა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ადეკვატური ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების შერჩევა და ურთიერთშეხამება. სამომხმარებლო ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების საფუძველია სასურსათო პროდუქტების მწარმოებელი დარგების განვითარება ინტენსიფიკაციის გზით. ამ პრობლემის გადაწყვეტაში ცენტრალური როლი უნდა შეასრულოს საკუთრების და მეურნეობრიობის შესაბამისი ფორმების დანერგვამ. აგრარული სექტორის ეკონომიკური განვითარების საფუძველი კერძო საკუთრება უნდა იყოს, თუმცა საჭიროა შეიქმნას პირობები მეურნეობის სხვადასხვა ფორმების ჩამოყალიბებისთვისაც.¹

დღევანდელი ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, ეკონომიკური პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს შერეული ეკონომიკის განვითარებას, რომელიც გულისხმობს კერძო, სახელმწიფო და კოლექტიური საკუთრებისა და მათი შესაბამისი მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმების ერთობლიობას. მათი თანაარსებობისა და ურთიერთშეხამებისთვის უნდა არსებობდეს ხელსაყრელი ეკონომიკური გარემო.

აგრარულ სექტორში ასეთი ტიპის ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს მისი ორგანიზაციული ფორმების ეფექტიან ფუნქციონირებას. შერეულ ეკონომიკას შესაძლებლობა აქვს უზრუნველყოს ისეთი ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება, რომლებიც საზოგადოებისა და საწარმოს განვითარების მამოძრავებელ ძალებს წარმოადგენენ. სახალხო მეურნეობის დონეზე ასეთი მამოძრავებელი მოტივია საზოგადოების ეროვნული სიმდიდრის გაზრდა, რითაც დაინტერესებულია საწარმოს ყველა მონაწილე, ხოლო საწარმოს დონეზე ამ ინტერესს წარმოადგენს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ზრდა, მოგების მიღება იმ ზომით, რომელიც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, საწარმოს ეკონომიკურ ზრდას და, მეორე მხრივ, მომუშავეთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესე-

¹ , 2000.- .13-19

ბას.

მრავალწილობიანი ეკონომიკური სისტემა ეფექტიანია იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს საკუთრების ზემოთ დასახელებული ფორმების ერთობლივ მოქმედებას. ასეთ შემთხვევაში ეკონომიკა და მისი შესაბამისი მექანიზმი უზრუნველყოფს არა მარტო მეწარმეთა მოვალეობებისა და უფლებების დადგენას, არამედ თვით ორგანიზაციული ფორმები განსაზღვრავენ პირადი ინტერესების საზოგადოებრივ ინტერესთან შეხამების მოთხოვნებს.

მრავალწილობიანი ეკონომიკური სისტემის დროს საკუთრების თითოეულ ფორმას უნდა გააჩნდეს შესაბამისი სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული გარემო. აგრეთვე, საკუთრების არც ერთ ფორმას არ უნდა ჰქონდეს ხელოვნურად შექმნილი უპირატესობა. საწყის ეტაპზე საკუთრების ყველა

ფორმისათვის თანაბარი პირობები უნდა შეიქმნას, შემდეგ კი ეკონომიკური გარემოსა და სიტუაციური ცვლილებების მიხედვით შესაძლებელია განსხვავებული თანაფარდობა ჩამოყალიბდეს.

ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ თანამედროვე პირობებში და მომავლის პერსპექტივაშიც კერძო საკუთრება სოციალურად ორიენტირებული ხდება. ეკონომიკური მოდელების შინაგანი განვითარების თავისებურებები ადასტურებენ, რომ ეკონომიკის „ჰუმანიზაცია“ მისი სოციალურად ორიენტაცია თანამედროვეობის კანონზომიერი მოთხოვნაა. „თანამედროვე ცივილიზებულ საზოგადოებაში სოციალურად ორიენტირებული საზოგადოებრივი საკუთრება იგივე კერძო საკუთრებაა მაღალჰუმანურად მოწესრიგებული. ისინი ერთმანეთში გადიან. საკუთრების ორივე ფორმა კაცობრიობის პროგრესის უდიდესი მიღწევაა. აქ იგულისხმება მათი მაღალჰუმანური ერთიანობა, საუკეთესო მხარეების შერწყმა, მათი კონგლომერაცია, რომელიც სულ უფრო მეტად ემყარება საზოგადოების სოციალური დაცვის უმაღლეს პრინციპებს“. მოგეპოვება არსობრივად სულ უფრო მეტად სოციალურად ორიენტირებული ხდება.

ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია არის, უპირველეს ყოვლისა, მომხმარებლისკენ მკვეთრი შემობრუნება, ეკონომიკური სისტემის ძირითადი

მიზანი ამ შემთხვევაში ადამიანის ცხოვრების დონის ამაღლებაა.

აგრარული სექტორისათვის დამახასიათებელია საკუთრების ფორმების მრავალგვარობა, ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა სოფლის მეურნეობაში. საკუთრების ფორმების შესაბამისად ფუნქციონირებენ ისეთი წარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, როგორცაა: გლეხური, ფერმერული მეურნეობები; სოლიდური პასუხისმგებლობის საზოგადოება; კომანდიტური საზოგადოება; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება; სააქციო საზოგადოება; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი და სახაზინო საწარმო.

ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ნიშნის მიხედვით, ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო საწარმო შეიძლება გაერთიანდეს სამ ჯგუფში: ოჯახური (ფერმერულ-გლეხური), კოლექტიური და სამეწარმეო-ანტერპრენიორული სასოფლო-სამეურნეო საწარმოები.¹ ეს საწარმოები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მმართველობის ფორმით, მიზნებით, შემოსავლების განაწილების პრინციპით და სხვა.

ოჯახური მეურნეობის ტიპის საწარმო წარმოადგენს ერთი ოჯახის საკუთრებას, რომელსაც მართავს ეს ოჯახი. კოლექტიური ფორმის სასოფლო-სამეურნეო საწარმოში წარმოების საშუალებები ერთობლივი საკუთრებაა და საწარმოც ერთობლივად იმართება მისი მესაკუთრეების მიერ. ანტერპრენიორული ფორმის სასოფლო-სამეურნეო საწარმოში მესაკუთრე პრაქტიკულად არ მონაწილეობს საწარმოს მუშაობაში, იგი წყვეტს ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორცაა პროდუქციის წარმოების მოცულობა, გასაღების ბაზრების მოძიება, მუშახელის მოზიდვა, მათი შრომის ანაზღაურება და სხვა.

ეკონომიკურ-სამართლებრივი გარემოს ცვლილებებთან ერთად სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ზემოთ აღნიშნული ფორმებიც განიცდიან ორგანიზაციულ ცვლილებებს. მაგალითად, ზოგჯერ მსხვილი ფერმები იცვლიან სტატუსს და გადაიქცევიან ხოლმე ანტერპრენიორულ საწარმოებად, ზოგჯერ კი კოლექტიური სასოფლო-სამეურნეო საწარმოები

¹ კოლუაშვილი პ., ზიბზიბაძე გ. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. თბილისი, 2006, გვ. 38-50

გადაიქცევიან ოჯახურ მეურნეობად, ან ოჯახური მეურნეობები – კოპერატივებად, კოლექტიურ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებად და სხვა. ამჟამად საქართველოს, როგორც მთლიანად მსოფლიოს, აგრარულ სექტორში ყველაზე გავრცელებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა ოჯახური მეურნეობა.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ფორმები ძირითადად ერთმანეთისაგან განსხვავდება კაპიტალისა და შრომის განზოგადების დონით.

ოჯახური მეურნეობის მფლობელი ძირითადად ერთი ოჯახია, რომელიც წარმოების პროცესისათვის საჭირო მატერიალური რესურსების მესაკუთრეა, თვითონ ეწევა მთელ საქმიანობას, პასუხისმგებელია კრედიტორების წინაშე, თვითონ ანაწილებს მიღებულ შემოსავალს და სხვა. ამ საორგანიზაციო ფორმას აქვს როგორც დადებითი მხარეები და ხასიათდება მთელი რიგი უპირატესობებით:

ა) საქმის გამარტივებული დაწყება და შეწყვეტა; ბ) გადაწყვეტილების მიღების ოპერატიულობა, ვინაიდან პარტნიორების არ არსებობისას, არავისთან შეთანხმებაც არ არის საჭირო; გ) მეწარმის მოქმედების თავისუფლება და დამოუკიდებლობა; დ) წამახალისებელი მოტივის მაქსიმუმი; ე) საქმიანობის კონფიდენციალობა; ვ) დაბალი საორგანიზაციო ხარჯები; ზ) მოქნილობა და მობილურობა.

ამ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ნაკლოვანებებიდან კი აღსანიშნავია: ა) საწარმო არსებობს ოჯახის არსებობის შემთხვევაში; ბ) გართულებულია ფინანსური რესურსების მოზიდვა; გ) ერთ პირს უხდება ყველა საკითხის გადაწყვეტა; დ) ყველა სახის სამუშაოს (წარმოება, ნედლეულის მოზიდვა, წარმოებული პროდუქციის გასაღება და სხვა) შესრულება ერთი პირის მიერ, რაც ძალზედ ართულებს და არაეფექტურს ხდის საქმიანობას; ე) დავალიანებაზე განუსაზღვრელი პასუხისმგებლობა; ვ) სპეციალიზირებული მენეჯმენტი; ზ) საქმიანობის ხანგრძლივობის გაურკვევლობა.

1. ინდივიდუალური მფლობელობა ფართოდ არის აგრეთვე გავრცელებული.

ბული ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საერთოდ მომსახურების სფეროში. მაგალითად, აშშ-ში ინდივიდუალურ საკუთრებაშია 11.9 მილიონი საწარმო (საწარმოთა საერთო რიცხვის 70%). სამეწარმეო საქმიანობის ამსახველი მაჩვენებლების საფუძველზე, რომელშიც ასახულია იურიდიული პირის სტატუსის მქონე და ინდივიდუალური საწარმოების დეკლარირებული მონაცემები, საქართველოში 2008 წელს აღრიცხული იყო 21779 საწარმო, რაც 6750 საწარმოთი, ანუ 23,7%-ით ნაკლებია 2006 წელთან შედარებით¹, ბევრმა მათგანმა ვერ შეძლო ფუნქციონირება ხელშემშლელ გარემოებათა გამო. საქართველოში აღრიცხულ საწარმოთა მთელი რიცხვიდან სოფლის მეურნეობის, ნადირობისა და სატყეო მეურნეობის საწარმოები შეადგენს: 2006 წელს 344, ანუ ქვეყნის მთელ საწარმოების 1,2%-ს, ხოლო 2008 წელს - 310, ანუ ქვეყნის მთელ საწარმოთა რიცხვიდან 1,3%-ს. დინამიკაში აგრარულ სექტორში 2008 წელს 34 საწარმოთი ნაკლები იყო 2006 წელთან შედარებით.

მეწარმეობის ინდივიდუალური ფორმის ანალიზს მივყავართ დასკვნამდე, რომ წარმოების ორგანიზაციას ამ ფორმით მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუკი მეწარმეობისათვის საჭირო არ არის დიდი კაპიტალი; ფირმის მართვა შეუძლია ერთ პირს ან ოჯახს; არ არის აუცილებელი წარმოების საკითხებთან დაკავშირებით მესაკუთრემ პირადი კონტაქტები იქონიოს ბევრ ადამიანთან.

მეწარმეობის ეს ფორმა განსაკუთრებით მიმზიდველია, როდესაც საქმე მხოლოდ საწყის ეტაპზეა. სამეგრელოს რეგიონის აგრარულ სექტორში ბოლო წლებში ფუნქციონირებდა 2 ინდივიდუალური საწარმო.

2. ერთი ან რამდენიმე პირის ქონებისა და სამეწარმეო საქმიანობის გაერთიანებით იქმნება პარტნიორული (ამხანაგური) საწარმო. პარტნიორები თანაბრად ინაწილებენ საქმიანობას, რისკებს, მოგებას და ზარალს, მართავენ და აკონტროლებენ საქმიანობას. პირველი ფორმისაგან განსხვავებით, ამხანაგობის ფორმის უპირატესობაა ის, რომ იგი ადვილად ჩამოსაყალიბებელია, მას უფრო მეტი ფინანსური რესურსები გააჩნია, ვინაიდან გაერთიანებულია რამდენიმე პარტნიორის ფინანსები, ბანკები

¹ სტატისტიკური წელიწდეული 2009. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი, 2009, გვ. 140

უფრო ადვილად გასცემენ სესხებს, აქ შესაძლებელია შრომისა და ფუნქციების დანაწილება. უარყოფით თვისებებიდან აღსანიშნავია შემოსავლების განაწილების სირთულე, სიძნელეები საწარმოს ლიკვიდაციის დროს, საწარმოს საფრთხე ექმნება ერთ-ერთი პარტნიორის საქმიდან გასვლის შემთხვევაში და სხვა.

სამეგრელოს რეგიონში 2006 წელს აღრიცხული იქნა ყველა სახის 1761 საწარმო, 2008 წელს კი – 1741, ანუ საწარმოთა რაოდენობა 1,1%-ით შემცირდა. 2006 წელს რეგიონში არსებულ ყველა სახის საწარმოთა რიცხვი ქვეყნის მთელი საწარმოების 6,2%-ს შეადგენდა, 2008 წელს კი - 8,1%-ს.¹

საქართველოში 2006 წელს ყველა სახის მეურნეობების რაოდენობა 802 ათას ერთეულს შეადგენდა, 2007 წელს – 800 ათასს, ხოლო 2008 წელს კი 796 ათას ერთეულს, ანუ 2006 წელთან შედარებით 0,8%-ით ნაკლები. ქვეყანაში დინამიკაში შეიმჩნევა სასოფლო მეურნეობების რიცხვის კლება.

იგივე მაჩვენებლები სამეგრელოს რეგიონში შეადგენდა 2006 წელს 107 ათასს, 2007 წელს – 108 ათასს, ხოლო 2008 წელს კი 109 ათას, ანუ 2 ათასი ობიექტით მეტს. რეგიონის ყველა სახის მეურნეობების რიცხვი საქართველოს სასოფლო მეურნეობებში შეადგენდა 2006 წელს 13,4%-ს, ხოლო 2008 წელს – 13,7%-ს.² როგორც წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, დინამიკაში საკვლევი რეგიონის ყველა სახის სასოფლო მეურნეობების რაოდენობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება ერთ-ერთი ძველი და მეტად გავრცელებული სამეწარმეო ფორმაა.

სამეგრელოს რეგიონის აგრარულ სექტორში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში რეგისტრირებული იყო 3 სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების უპირატესობა ის არის, რომ ის მიმზიდველია მათთვის, ვისაც შეუძლია კაპიტალის ინვესტირება და ამდენად მას კაპიტალის მოზიდვის საშუალება აქვს. შეზღუდული

¹ სტატისტიკური წელიწადეული 2009. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი, 2009, გვ. 146

² საქართველოს სოფლის მეურნეობა 2008. სტატისტიკური პუბლიკაცია. თბილისი, 2009, გვ. 17

პასუხისმგებლობის საზოგადოების ჩამოყალიბება ხდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

სამეგრელოს რეგიონში ბოლო ხუთი წლის მანძილზე რეგისტრირებული იყო 28 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

3. ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებიდან უნდა აღინიშნოს სააქციო საზოგადოება, სადაც საკუთრება აქციონერთა ხელშია, საწარმოს მართვას კი ახორციელებენ დაქირავებული მენეჯერები. თითოეული აქციონერი პასუხისმგებელია საწარმოს ვალებზე მხოლოდ მის მიერ შეძენილი აქციების ფარგლებში. სააქციო საზოგადოებას აქვს შემდეგი დადებითი მხარეები:

- ა) დამატებითი კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობა;
- ბ) მესაკუთრეთა შეზღუდული პასუხისმგებლობა;
- გ) საკუთრების უფლების გადაცემის ოპერაციის სიმარტივე;
- დ) ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობა;
- ე) სპეციალიზირებული კვალიფიციური მენეჯმენტის გამოყენების შესაძლებლობა.

სააქციო საზოგადოების უარყოფითი მხარეებია:

- ა) ორგანიზაციული ხარჯები და სააქციო საზოგადოების ჩამოყალიბების სირთულე;
- ბ) ორმაგი დაბეგვრა;
- გ) წვრილ მესაკუთრეთა არასაკმარისი ინტერესი;
- დ) წვრილ აქციონერთა საზოგადოების მართვა-გამგეობაში მონაწილეობის უფლების ფორმალურობა;
- ე) საზოგადოების მომსახურება და აქციონერთა აზრთა და ინტერესთა ხშირად შეუთავსებლობა.

სააქციო საზოგადოება ეკონომიკური ცხოვრების ხანგრძლივი განვითარების შედეგია, ამიტომ შეუძლებელია იმის თქმა, რომ სააქციო საზოგადოების მზა მოდელი ერთ დღეს იქნა წარმოდგენილი. ეკონომიკური ლიტერატურაში დღესაც სადაოა საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი იყო პირველი სააქციო საზოგადოება. თანამედროვე სააქციო საზოგადოებები

გაჩნდნენ მხოლოდ XVIII საუკუნეში, უწინარეს ყოვლისა საფრანგეთში. სააქციო საზოგადოებებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს სამთო საწარმოების, მსხვილი სამრეწველო ორგანიზაციებისა და, რა თქმა უნდა, რკინიგზის განვითარების საქმეში.

დღეს სააქციო საზოგადოებები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის და მათ შორის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სფეროს განვითარების საქმეში. სამეგრელოს რეგიონში ბოლო ხუთი წლის მონაცემებით აგრარულ სექტორში რეგისტრირებული იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების 10 სააქციო საზოგადოება.

მეწარმეობის ფორმებიდან მნიშვნელოვანია კოოპერატივი, რომელიც XIX საუკუნეში წარმოიშვა. კოოპერატივების წარმოშობის ძირითადი მოტივი იყო თვითდახმარება, ე.ი. ეს იყო წევრთა ორგანიზაციის ისეთი ფორმა, რომლის ძირითად მიზანს შეადგენდა მასში გაერთიანებული პირების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 60.1 მუხლის თანახმად, კოოპერატივები შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად: შემქენ-გამსაღებელი და საწარმოო კოოპერატივები. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი წარმოადგენს მნიშვნელოვან როლს საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემაში. როგორც არ უნდა შეიცვალოს მისი პერსონალური შემადგენლობა, ის მაინც განაგრძობს ფუნქციონირებას, როგორც ერთიანი საწარმო.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ჩამოყალიბება ხდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.¹ სამეგრელოს რეგიონის სტატისტიკური დეპარტამენტის 2008 წლის მონაცემებით, სამეგრელოს რეგიონში ბოლო ხუთი წლის მანძილზე აგრარულ სექტორში რეგისტრირებული იყო 65 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი²

სახაზინო საწარმოებს აგრარული პოლიტიკის განხორციელებაში განსაკუთრებული, სტრატეგიული დანიშნულება აქვთ, ამიტომ მათ გეგმაზომიერ განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

¹ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, თბილისი, 2002 წ. გვ. 127.

² სამეგრელო-ზემო სვანეთის სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები

სამეგრელოს რეგიონის აგრარულ სექტორში 2008 წლის მონაცემებით ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებიდან ფუნქციონირებს: სახაზინო საწარმოები, ინდივიდუალური საწარმოები, სოლიდური პასუხისმგებლობის საწარმოები, სააქციო საზოგადოებები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, სახელმწიფო საწარმოები. საკვლევე პერიოდში რეგიონში სულ ფუნქციონირებდა 119 სასოფლო-სამეურნეო საწარმო. სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რიცხოვნობის დინამიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ 2008 წელს წინა წლებთან შედარებით მათი რიცხვი გაიზარდა 29 ერთეულით (იხ. ცხრილი 6).

ცხრილი 6

სამეგრელოს რეგიონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რაოდენობა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით 2008 წელს¹

დასახელება	ინდ. საწარმო	სპს	შპს	სააქციო საზოგადოება	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი	სახაზინო საწარმო	სახელმწიფო საწარმო	სულ
სულ რეგიონში	2	3	28	10	65	9	2	119
მ. შ. წალენჯიხა	-	1	6	4	11	-	-	22
ზუგდიდი	2	-	2	1	31	4	2	42
ფოთი	-	-	-	-	-	-	-	-
ჩხოროწყუ	-	-	-	-	2	-	-	2
სობი	-	-	5	-	12	-	-	17
სენაკი	-	-	1	3	5	-	-	9
აბაშა	-	2	11	1	4	-	-	18
მარტვილი	-	-	3	1	-	5	-	9

აღნიშნული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებიდან რეგიონში ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. მათი ხვედრითი წილი სამეგრელოს რეგიონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მთელ რაოდენობაში შეადგენდა 54,6 %-ს. ამ სახის

¹ ცხრილი შედგენილია სამეგრელო-ზემო სვანეთის სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე.

ორგანიზაციული ფორმა ყველაზე მეტი იყო ზუგდიდის რაიონში (31), ყველაზე ნაკლები კი ჩხოროწყუს რაიონში (2). თუმცა, აბაშის რაიონში ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებიდან უფრო მეტი რაოდენობის არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოები (11), რომლებიც მთელი რეგიონის ამ მაჩვენებლის 39,3%-ს შეადგენს.

სამეგრელოს რეგიონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების საერთო რაოდენობაში ყველაზე მეტი რაოდენობა – 42 (35,3%) მოდის ზუგდიდის რაიონზე, ფოთში საერთოდ არ არის აღნიშნული საწარმოები, ყველაზე ცოტა რაოდენობის საწარმოები – 2, ანუ რეგიონის მთელ საწარმოთა 1,7% არის ჩხოროწყუს რაიონში, ისიც მხოლოდ კოოპერატივი. აღნიშნული იმით აიხსნება, რომ ყოფილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამართალმემკვიდრეები კოოპერატივები გახდნენ.

ეკონომიკის კერძო სექტორის ჩამოყალიბება უკვე მომხდარი უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია, მაგრამ იგი ჯერ-ჯერობით არასაკმარისადაა განვითარებული. ამიტომ, მისი დაჩქარებული განვითარების მიღწევა უახლოესი მომავლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამ ამოცანის წარმატებით გადასაწყვეტად აუცილებელია იმ მიზეზების აღმოფხვრა, რაც კერძო სექტორის განვითარებას აფერხებს. მათგან მთავარია, პირველ რიგში, ინსტიტუციონალური გარდაქმნების გაუმართლებლად დაბალი ტემპი, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის გახანგრძლივება, საგადასახადო სისტემის მოუწესრიგებლობა და სხვა.

ეკონომიკის კერძო სექტორის განვითარება რთული პრობლემაა, მაგრამ მისი დაჩქარება საქართველოსათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, სხვანაირად ქვეყანა სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევის ვერ შეძლებს.

ზემოთ ჩამოთვლილ წარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებთან ერთად ფუნქციონირებენ საოჯახო მეურნეობები. იგი საბჭოთა სისტემამ შექმნა. მაშინ მათ არსებობას საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების რეალური შესაძლებლობების გამოუყენებლობითა და კომლთა

შემოსავლების გაზრდის ინტერესებით ხსნიდნენ. გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, როდესაც კერძო საკუთრებით ურთიერთობებზე დამყარებულ საწარმოებს მიეცათ ფართო ასპარეზი, ოჯახურმა მეურნეობები უნდა გადაიზარდონ ე.წ. ფერმერულ მეურნეობათა კატეგორიაში.

საოჯახო მეურნეობებს ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ აგრარული სექტორის სისტემაში. ისინი დიდ როლს ასრულებენ სასურსათო ბალანსის ფორმირებაში და ნედლეულით ამარაგებენ გადამამუშავებელ მრეწველობას.

ცივილიზებულ ქვეყნებში ფუნქციონირებს ეკონომიკის სახელმწიფოებრივი სექტორი, რომლის საქმიანობაც ძირეულად განსხვავდება კერძო სექტორისგან. მისი ეკონომიკური საქმიანობა აუცილებელი ხასიათისაა. აგრეთვე, სახელმწიფო მთავრობის სახით უმსხვილესი ბიზნეს-მენია, მისი შემოსავლები და გასავლები ბევრად აჭარბებს შეზღუდული პასუხისმგებლობის უმსხვილეს კომპანიათა შემოსავლებს. უნდა აღინიშნოს, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიათა მსგავსად მათი მიზანი მოგების მიღება კი არ არის, არამედ მისი ძირითადი ამოცანაა საქმიანობა საერთო-სახალხო კეთილდღეობისათვის. ამიტომაც მათ გარკვეულ დახმარებას ზარალის კომპენსაციაში მთავრობა უწევს, განსაკუთრებით მომსახურების იმ სახეობებში, რომელთაც დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვთ. მართალია, სახელმწიფო კორპორაციების მიზანი მოგების მაქსიმიზაცია არ არის, მაგრამ ისინი მოწოდებული არიან დაფარონ ხარჯები და მიიღონ განსაზღვრული მოგება.

უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად სახელმწიფო სექტორი აგრარულ სფეროში ფაქტიურად არ ფუნქციონირებს და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თითქმის 100% კერძო სექტორში იწარმოება.

სახელმწიფო საწარმოები კერძო საწარმოებისაგან განსხვავდებიან ორი ძირითადი ასპექტით. სახელმწიფო საწარმოებს არ ემუქრებათ გააკორტრება და კონკურენციულ ბრძოლაში დამარცხება. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სახელმწიფო საწარმოს ფაქტიურად კონკურენტი არ გააჩნია.

თუ კერძო საწარმოების მთავარი მიზანია მოგების მაქსიმიზაცია,

სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები იძულებულნი არიან იზრუნონ მრავალმხრივი განაწილებითი ურთიერთობების სრულყოფის უზრუნველსაყოფად.

კერძო საწარმოები უპირატესად მოქმედებენ საკუთარი ინტერესების შესაბამისად, რასაც ვერ ვიტყვით ბიუროკრატიაზე. ბიუროკრატია არ გააჩნია მოტივაციური სისტემა, რის გამოც იგი ცდილობს სამოქმედო არეალის გაფართოებას, რათა საბოლოო ჯამში გაზარდოს ხარჯები და შესაბამისად საბიუჯეტო დაფინანსება. მაშინ, როდესაც კერძო საწარმოების საქმიანობა დიდ რისკთან არის დაკავშირებული, სახელმწიფო ბიუროკრატია ამ მხრივ თავისუფალია. ამ უკანასკნელის მიზანია „დანახარჯები-სარგებლიანობის“ დევიზით ცხოვრება, რაც სახელმწიფო მმართველობის საქმიანობას კიდევ უფრო არაეფექტიანს ხდის.

საოჯახო მეურნეობებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ აგრარული სექტორის სისტემაში. ისინი დიდ როლს ასრულებენ სასურსათო ბაზანსის ფორმირებაში, აწოდებენ ნედლეულს გადამამუშავებელ მრეწველობას, ხელს უწყობენ სოფლის მეურნეობის ფულადი შემოსავლების ზრდას.

საოჯახო მეურნეობებს დიდი სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა და უპირატესობები აქვთ:

1. ისინი დიდ როლს ასრულებენ მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების დონის ამაღლებაში;
2. საშუალებას იძლევიან სრულად გამოიყენონ შრომითი რესურსები;
3. საოჯახო მეურნეობებში გამოიყენება ისეთი რესურსები, რომლებიც საზოგადოებრივ მეურნეობებში არ მოიხმარება. ესენია: ოჯახის ნარჩენები, გამოუყენებელი სათიბი ფართობი, სადაც არ შეიძლება მექანიზაციის გამოყენება, ბუჩქნარი ადგილები და სხვა;
4. ამ მეურნეობის გაძღოლა არ თხოულობს დიდ კაპიტალდაბანდებებს, მისთვის გამოიყენება სოფლის მოსახლეობის ეზოს ნაგებობანი;
5. საოჯახო მეურნეობა სოფლის მოსახლეობათა შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა;
6. აღნიშნულ მეურნეობებში გაცილებით ნაკლებია მოსავლის

დანაკარგები.

ყოველივე აქედან გამომდინარე, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ საოჯახო მეურნეობებში პროდუქტთა მნიშვნელოვანი ნაწილი იწარმოება იმ რესურსების ხარჯზე, რომლებიც საზოგადოებრივ მეურნეობებში გამოუყენებელი რჩება.

საქართველოში ოჯახური მეურნეობები ძირითადად სამომხმარებლო ტიპისაა. თუ დინამიკაში გავანალიზებთ ოჯახური მეურნეობების წილს მემცენარეობის პროდუქტების წარმოებაში, მივიღებთ შემდეგ სურათს. ოჯახური მეურნეობების წილი ხორბლის წარმოებაში 2002 წელს შეადგენდა 91%-ს, 2005 წელს ეს მაჩვენებელი იყო 96%, 2006 წელს – 81%, ხოლო 2008 წელს კი – 86%. სიმინდის წარმოებაში საოჯახო მეურნეობების წილი ამავე წლებში შეადგენდა 96%, 99%, 99% და 99%-ს; საკვლევი პერიოდში ოჯახურ მეურნეობებს ლობიოს წარმოებაში ეკავათ 100%; სოიოს წარმოების მხრივ ოჯახური მეურნეობების წილი 2002 წელს იყო 96%, ხოლო მომდევნო დანარჩენ წლებში სოიოს მთლიანად ოჯახური მეურნეობები აწარმოებდნენ; კარტოფილის წარმოება ოჯახურ მეურნეობებში დინამიკაში იზრდება და მისი წილი შეადგენს 2002 წელს 88%-ს, 2005 წელს – 97%-ს; 2008 წელს კი – 100%-ს. თუმცა, 2007 წელს ამ მაჩვენებელმა მკვეთრად იკლო და შეადგინა 78%. ბოსტნეულის წარმოებაში დინამიკაში ოჯახური მეურნეობების წილი იზრდება - 2002 წელს იგი შეადგენს 93%-ს, 2005-2008 წლებში კი 100%-ს. ბაღჩეული ძირითადად ოჯახურ მეურნეობებში იწარმოება და საკვლევი პერიოდში მათი წილი 100%-ს შეადგენს. იგივე ითქმის ხილსა და ციტრუსებზე, რომლის წარმოებაში ოჯახური მეურნეობების წილი შეადგენს 100%-ს. ოჯახური მეურნეობების წილი ყურძნის წარმოებაში შეადგენდა 2002 - 2005 წლებში 99%-ს, 2006 წელს – 92%-ს, ხოლო 2008 წელს კი – 95%-ს.

საქართველოში ყველა ფორმის მეურნეობებში ხორცი წარმოებული იყო 2002 წელს სულ 106,9 ათასი ტონა, მათ შორის ოჯახურ მეურნეობებში 106,8 ათასი ტონა (99,9%); 2006 წელს შესაბამისად 78,9 ათასი ტონა და 76,7 ათასი ტონა (97,2%), ხოლო 2008 წელს - 53,7 ათასი ტონა და 49,0 ათასი

ტონა (91,2%).

საქართველოს ყველა ფორმის მეურნეობებში წარმოებული იქნა რძე 2002 წელს 742,1 ათასი ტონა, მათ შორის ოჯახურ მეურნეობებში 739,6 ათასი ტონა (99,7%); 2006 წელს შესაბამისად 606,0 ათასი ტონა და 603,3 ათასი ტონა (99,6%), ხოლო 2008 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა სულ 694,6 ათას ტონას, მათ შორის ოჯახურ მეურნეობებში 693,9 ათას ტონას (99,9%).

საქართველოს ყველა ფორმის მეურნეობებში 2002 წელს წარმოებული იქნა 408,8 მლნ ცალი კვერცხი, მათ შორის ოჯახურ მეურნეობებში 370,0 მლნ ცალი (90,5%), 2006 წელს ეს მაჩვენებლები იყო შესაბამისად 249,2 მლნ ცალი და 199,6 მლნ ცალი (80,1%), ხოლო 2008 წელს - შესაბამისად 437,5 მლნ ცალი და 176,3 მლნ ცალი (40,3%).

მატყლის წარმოება მთელ საქართველოში 2002 და 2006 წლებში შეადგენდა 2,0 ათას ტონას, მათ შორის ოჯახურ მეურნეობებში 2,0 ათას ტონას, ანუ 100%-ს, 2008 წელს ყველა ფორმის მეურნეობებში წარმოებული იყო 1,7 ათასი ტონა, მათ შორის ოჯახურ მეურნეობებში – 1,7 ათასი ტონა (100%).¹

როგორც წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, სასოფლო-სამეურეო პროდუქციის უმეტესობა საკვლევ პერიოდში წარმოებული იყო ოჯახური მეურნეობების მიერ.

რეგიონის სტატისტიკურ სამმართველოში მოძიებული მონაცემებით ირკვევა, რომ 2004 წელს სამეგრელს რეგიონში ხილი, ყურძენი, ციტრუსი, კარტოფილი, თხილი, ხორცი, რძე, კვერცხი მთლიანად იწარმოებოდა ოჯახურ მეურნეობებში, ამავე დროს ისინი აწარმოებდნენ სიმინდის – 98,4%, ლობიოს – 96,3%, ბოსტნეულის - 99,2%; ხოლო 2008 წლის შესაბამისი მონაცემების მიხედვით, რეგიონში მთლიანად ოჯახური მეურნეობების მიერ წარმოებული იყო სიმინდი, ბოსტნეული და ბაღჩეული, ამავე დროს აქ აწარმოებდნენ ხილის – 99,8%, ყურძნის – 94,5%, ციტრუსის – 99,9%, ჩაის – 70,7%, რძის – 98,9%, კვერცხის – 43,6%, ხორცის – 90,9%, თაფლის – 99,5%,

¹ სტატისტიკური წელიწადეული 2009. თბილისი, 2009, გვ. 176-178

ლობის – 99% (იხ. ცხრილი 7).

ოჯახურ მეურნეობათა საქმიანობა ძირითადად ხელით შრომაზეა დამყარებული და სასოფლო სამეურნეო ტექნიკა მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობითაა წარმოდგენილი. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მხოლოდ 30% სრულდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებით. მიუხედავად ამისა, მათი ხვედრითი წონა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში მნიშვნელოვანია.

თანამედროვე ეტაპზე, არა მარტო პრაქტიკაში, არამედ აგრარულ ეკონომიკურ მეცნიერებაშიც ჯერ კიდევ არ არსებობს საბოლოოდ განსაზღვრული გლეხური, ფერმერული მეურნეობების, როგორც სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაციის ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი ფორმის, განსაზღვრა.

დღეს საქართველოში მეცნიერთა უმეტესობა არ ასხვავებს გლეხურ და ფერმერულ მეურნეობებს, რაც პირდაპირაა გადმოტანილი რუსულიდან. კერძოდ, საკანონმდებლო აქტებში თუ სპეციალურ ლიტერატურაში, სადაც გლეხურ მეურნეობაზეა საუბარი, იქვე ფრჩხილებში ჩასმულია სიტყვა ფერმერულიც.

ოჯახური მეურნეობები ადრე ფეოდალიზმამდეც არსებობდა, მაგრამ ტიპიური იყო ფეოდალიზმის ეპოქისათვის. იგი, არსებითად ნატურალურ და ნახევრად ნატურალურ მეურნეობად დარჩა.

დღეს საჭიროა ისეთი ოჯახური მეურნეობების შექმნა, რომელთა მთავარი დანიშნულებაა, არა მარტო საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, არამედ ბაზრისათვის პროდუქციის მიწოდებაც.

ცხადია, ოჯახურ მეურნეობებს ყოველმხრივ უნდა მხარდაჭერა, მაგრამ იგი ვერ განსაზღვრავს ქვეყნის მომავალს, მისი ადგილი თანდათანობით მძლავრმა ფერმერულმა მეურნეობებმა უნდა დაიკავონ.

გლეხური (ფერმერული) მეურნეობები გვიან გაჩნდა თავდაპირველად იმ ქვეყნებში, რომლებმაც ევროპელთა კოლონიზაცია განიცადეს (ამერიკა, ავსტრია, ახალი ზელანდია და სხვ.), სადაც ფეოდალიზმი არ არსებობდა

სამეგრელოს რეგიონში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სტრუქტურა კერძო და სახელმწიფო სექტორში¹

№	დასახელება	2002		მათ შორის				2003		მათ შორის				2005		მათ შორის				2009		მათ შორის		
		წარმოება ათ.ტ.	სულ ათ.ტ.	კერძო სექტორი		სახელმწიფო სექტორი		წარმოება ათ.ტ.	სულ ათ.ტ.	კერძო სექტორი		სახელმწიფო სექტორი		წარმოება ათ.ტ.	სულ ათ.ტ.	კერძო სექტორი		სახელმწიფო სექტორი		წარმოება ათ.ტ.	სულ ათ.ტ.	კერძო სექტორი		სულ ათ.ტ.
				ათ.ტონა	%	ათ.ტონა	%			ათ.ტონა	%	ათ.ტონა	%			ათ.ტონა	%	ათ.ტონა	%			ათ.ტონა	%	
1	სიმინდი	66,8	66,8	98,4	1,0	1,6	130,6	127,5	98,0	2,5	2,1	108,1	108,1	100	-	-	271,5	271,5	100	-	-	-	-	-
2	ღობიო	22,5	22,5	62,7	0,8	3,7	22,8	21,9	96,3	0,9	3,7	1,0	1,0	100	-	-	0,4	0,4	100	-	-	-	-	-
3	კარტოფილი	1,2	1,2	100	-	-	2,6	2,6	100	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
4	ბოსტნეული	8,2	8,2	99,1	75	0,9	11,0	10,9	99,2	0,1	0,8	9,8	9,8	100	-	-	7,0	7,0	100	-	-	-	-	-
5	ციტრუსი	1,1	1,1	100	-	-	14,8	14,8	100	-	-	-	-	-	-	-	2,8	2,8	100	-	-	-	-	-
6	თხილი	5,8	5,8	100	-	-	4,9	4,9	100	-	-	4,6	4,6	100	-	-	11,4	11,4	100	-	-	-	-	-
7	ხილი	15,4	15,4	100	-	-	39,6	39,6	100	-	-	33,3	33,3	100	-	-	25,9	25,9	100	-	-	-	-	-
8	ყურძენი	1,8	1,8	100	-	-	7,8	7,8	100	-	-	2,9	2,9	100	-	-	2,5	2,5	100	-	-	-	-	-
9	ჩაი	9,3	9,3	100	-	-	9,6	9,6	100	-	-	8,3	8,3	100	-	-	2,0	2,0	100	-	-	-	-	-
10	სოიო	0,6	0,6	62,3	0,2	37,7	6,8	5,4	79,4	1,4	20,6	110	110	100	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
11	რძე	74,2	74,2	100	-	-	122,5	122,5	100	-	-	96,7	96,7	100	-	-	76,0	76,0	100	-	-	-	-	-
12	კვერცხი	43,2	43,2	100	-	-	93,0	93,0	100	-	-	43,9	43,9	100	-	-	38,3	38,3	100	-	-	-	-	-
13	ხორცი	7,7	7,7	100	-	-	17,0	17,0	100	-	-	10,6	10,6	100	-	-	8,6	8,6	100	-	-	-	-	-
14	თაფლი	1,8	1,8	100	-	-	99	99	100	-	-	-	-	-	-	-	0,5	0,5	100	-	-	-	-	-

¹ ცხრილი შედგენილია სამეგრელო-ზსვანეთის მხარის სტატისტიკის სამმართველოს მონაცემების საფუძველზე

საერთოდ და აგრარული ურთიერთობები იმთავითვე განვითარდა კაპიტალისტურ ურთიერთობებად. ისტორიულად ეს გზა სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების ამერიკულ გზად არის ცნობილი. ასევე არსებობს კაპიტალიზმის სოფლის მეურნეობაში განვითარების მეორე გზა - პრუსიული, რაც დამახასიათებელი იყო ევროპის ქვეყნებისათვის და კერძოდ, რუსეთის და საქართველოსთვისაც. იგი უშუალოდ ფეოდალური მეურნეობების ბაზაზე ჩამოყალიბდა და გადაიზარდა კაპიტალისტურში. მეურნეობის ამ ფორმებს შორის განსხვავება არსებობს მეურნეობის გაძღოლის კულტურაში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენების დონეებში, სასაქონლო პროდუქციის წარმოებისა და მეურნეობის სიდიდეში, დაქირავებული მუშახელის რიცხოვნობისა და მის გამოყენების ხასიათში და ა.შ. ახლა ფერმერული მეურნეობები დამახასიათებელია განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისათვის, იგი ნატურალურ მეურნეობებად არ ყალიბდება, როგორც ეს დამახასიათებელია ოჯახური მეურნეობისათვის. ამ უკანასკნელის ფორმირება ძირითადად საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება და ბაზარზე გადის მხოლოდ ნამეტი. თანამედროვე ფერმერის ძირითადი მამოძრავებელი მოტივია წარმოება ბაზრისათვის მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით. ისინი მძლავრ ინდუსტრიულ საფუძველს ემყარებიან. ამიტომ გლეხური (ფერმერული) მეურნეობა მსხვილი მაღალსაქონლური მეურნეობაა. ტრადიციულად, ნახევრად ნატურალური ოჯახური მეურნეობები შემდგომში, თუ ამის პირობები მომზადდება, ალბათ უნდა ჩამოყალიბდნენ ფერმერულ მეურნეობად.

როგორც ჩანს, ოჯახური მეურნეობა უმარტივესი წმინდა ნატურალური ან ნახევრადნატურალური სახის მეურნეობაა, ფერმერული მეურნეობა კი მაღალსაქონლური თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების ფართოდ გამოყენებას და მეურნეობის გაძღოლის მაღალ კულტურას ემყარება.

თუ ეს განსხვავება ვერ დავინახეთ, მაშინ ვერც იმ ღონისძიებებს დავსახავთ, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ შემდგომში ოჯახური მეურნეობები ფერმერულში გადაიზარდონ.

ფერმერული მეურნეობის განსაზღვრისათვის აუცილებელია შესაბამისი კრიტერიუმების შემოღება. ჩვენი აზრით, ეს კრიტერიუმები უნდა იყოს შემდეგი: შემოსავლების სიდიდე, ინტენსიფიკაციის დონე, მიწის ფართობი, დასაქმებულთა რიცხვი და სხვა.

საქართველოში აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტას ართულებს სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის უქონლობა, პირველ რიგში კი „გლეხური (ფერმერული) მეურნეობების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების გაჭიანურება. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი თავის, მეოთხე მუხლის, პირველი პუნქტის თანახმად: „საადგილმამულო (ფერმერულ) მეურნეობად ითვლება სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების, მასზე არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, აგრეთვე შესაბამისი გადამამუშავებელ მრეწველობების ობიექტებისა და მოწყობილობების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველს“. ამ მუხლის მეოთხე პუნქტით საადგილმამულო (ფერმერული) მეურნეობად, მიიჩნევა მებაღეობისა და მებოსტნეობის ამხანაგობათა სააგარაკო ნაკვეთი, თუ მისგან მიღებული შემოსავალი შეადგენს ოჯახის შემოსავლის ნახევარზე მეტს, ხოლო ამავე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად „საადგილმამულო (ფერმერული) მეურნეობა შეიძლება არსებობდეს საკომლო (გლეხური, ფერმერული) მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო იურიდიული პირის სახით“¹. ასეთი დეფინიცია საკმაო გაუგებრობას იწვევს, რადგან ამ ფორმულირებიდან გამომდინარე, არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს გლეხურ, ფერმერულ მეურნეობებს ოჯახურ ფერმერულ, გლეხურ-ფერმერულ თუ საადგილმამულო ფერმერულ მეურნეობას ვუწოდებთ.

ფერმერული მეურნეობები გადამწყვეტ როლს ასრულებენ მსოფლიო ეკონომიკაში. როგორც მსოფლიოს სოფლის მეურნეობის სტატისტიკური მასალებიდან ჩანს, აშშ-ში ფერმერული მეურნეობები შეადგენენ მეურნეობათა საერთო რაოდენობის 87%-ს, მათ სარგებლობაშია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 67% და მათზე მოდის რეალიზებული პროდუქციის

¹ საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“. თბილისი, 1996 წლის 22 მარტი, გვ. 4

59%, პარტნიორობის წილად მოდის ფერმების საერთო რაოდენობის 10%, სავარგულების – 17% და რეალიზებული პროდუქციის – 17%. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები შეადგენენ მეურნეობათა მხოლოდ 3%-ს, ისინი ამუშავებენ სავარგულების 14%-ს და იძლევიან რეალიზებული პროდუქციის 34%-ს.

საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული ფერმერული მეურნეობა შესაბამისი მექანიზმის ჩამოყალიბებას მოითხოვს. რეფორმამდელი სასურსათო სფეროს ანალიზისა და დარგობრივი სტრუქტურის დღევანდელი მდგომარეობის შეფასების საფუძველზე შესაძლებელი ხდება ბაზრის ტევადობათა შესწავლა (საშინაო და საგარეო ბაზრების გათვალისწინებით) და ფერმერული მეურნეობათა ადგილისა და როლის განსაზღვრა ბაზრის სტრუქტურაში. ამისთვის კი პირველ რიგში საჭიროა შევისწავლოთ სახელმწიფო და კერძო სექტორში ნედლეულისა და სურსათის წარმოების შესაძლებლობები.

როგორც აღვნიშნეთ, მიწის პრივატიზაციის შედეგად როგორც მოლიანად საქართველოში, ისე სამეგრელოს რეგიონის ოჯახურ მეურნეობებში შეინიშნება სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდა.

სოფლის მეურნეობის განვითარების დონეს უპირატესად განსაზღვრავს მიწის ფონდის საერთო მოცულობა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურა და სავარგულების გამოყენების ხარისხი.

საქართველოს მიწის საერთო ფონდიდან (7,6 მლნ ჰექტარი) სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ფართობი შეადგენს 3025,8 ათას ჰექტარს, აქედან სახნავი ფართობია 802,1 ათასი ჰექტარი (26,5%), მრავალწლიან ნარგავებს უკავია 263,5 ათასი ჰექტარი (8,7%), მაშასადამე ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან დამუშავებას ექვემდებარება მხოლოდ 35,2%. აქედან საჭიროა დავასკვნათ, რომ ქვეყნის მიწის რესურსები საჭიროებს რაციონალურად გამოყენებას.

ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან რეგიონთა უმრავლესობაში ინტენსიური სავარგულების ხარჯზე იზრდება

დაბალინტენსიური სავარგულები, რაც მეტყველებს სავარგულების არაეფექტურ გამოყენებაზე.

მიწის გამოყენების დაბალი დონის გამომწვევ ფაქტორების განხილვისას აუცილებელია შევეხოთ აგრარულ სექტორისათვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა მიწების პარკულაცია. როგორც ქვეყნის აგრარული სექტორის სტატისტიკური მაჩვენებლებიდან ჩანს, ფერმერულ მეურნეობათა 39,3% ფლობს 0,5 ჰექტარ მიწის ნაკვეთს, ფერმერთა 29,5% ფლობს 0,5-დან 1 ჰექტრამდე ფართობს, 1-დან 5 ჰექტრამდე ნაკვეთები უკავია ფერმერთა 29,6%-ს, 5-დან- 50 ჰექტრამდე – ფერმერთა 14%-ს, 50-დან 200 ჰექტრამდე – ფერმერთა 0,1%-ს, 200-დან 500 ჰექტრამდე – ფერმერთა 0,08%-ს, ხოლო 500 ჰექტარზე მეტი მიწის ფართობი უკავია ფერმერთა 0,001%-ს. როგორც ამ ციფრებიდან ჩანს, ქვეყნის ფერმერულ მეურნეობათა თითქმის 69%-ს 0,5-1 ჰექტარი მიწის ფართობი გააჩნია, სადაც რაიმე პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის მექანიზაციის ან სხვა საშუალებების გამოყენება თითქმის შეუძლებელია. ასეთი მეურნეობები ძირითადად ორიენტირებულია თვითუზრუნველყოფაზე და წარმოების საქონლიანობის დონე აქ ყოველთვის დაბალია¹.

მოსახლეობის კერძო საკუთრებაში გადასული მიწის ნაკვეთის ფართობი 3,5-ჯერ გაიზარდა და დღეისათვის 145541 მიწათმოსარგებლეზე საკუთრებაში გადაცემულია 93,2 ათასი ჰექტარი მიწის საერთო ფართობი, საიდანაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა 91,3 ათასი ჰექტარი, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების კი - 1,9 ათასი ჰექტარი.

2008 წლის მონაცემებით, მთლიანად საქართველოში მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის ფართობი შეადგენდა 914 ათას ჰექტარს², აქედან სამეგრელოს რეგიონის მეურნეობებს ეკავა 94 ათასი ჰექტარი (10,3%), ამავე წელს საქართველოში აღნიშნულ ფართობიდან კერძო საკუთრებაში გადაცემული იყო მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწებიდან 717 ათასი ჰექტარი (78,4%), ხოლო სამეგრელოს რეგიონში 94 ათასიდან კერძო საკუთრებაში გადაეცა 89 ათასი ჰექტარი (94,7%).

¹ ო.ქეშელაშვილი. ბიზნესური ეკონომიკა. გამომც. „არეალი“. თბ., 2010, გვ. 135-136

² საქართველოს სოფლის მეურნეობა. სტატისტიკური პუბლიკაცია 2008, თბილისი, 2009, გვ. 23

2008 წელს იჯარით კერძო პირისაგან აღებული იყო მთლიანად საქართველოში მეურნეობების სარგებლობაში არსებული (914 ათასი ჰექტარი) მიწის ფართობიდან 6 ათასი ჰექტარი (0,7%), ხოლო სახელმწიფოსგან - 191 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი (20,9%).

სამეგრელოს რეგიონში მეურნეობების სარგებლობაში 2008 წელს არსებული მიწის ფართობიდან (94 ათასი ჰექტარი) იჯარით კერძო პირისაგან არ იქნა აღებული მიწის ფართობი, ხოლო სახელმწიფოსაგან აღებულ იქნა 5 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი (5,3%).¹

ეროვნული მეურნეობის ყველა დარგში მატერიალური დოვლათის შექმნაში მიწას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ სოფლის მეურნეობაში მიწა არის პრაქტიკულად უაღტერნატივო საწარმოო რესურსი. მიწას ახასიათებს განსაზღვრულობა, შეუძლებელია აგრეთვე მისი გადაადგილება, იგი არა მობილური, მუდმივი გამოყენების და შეუცვლელი ძირითადი საშუალებაა აგრარულ სექტორში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის, როგორც თანამედროვე, ისე სამომავლო განვითარების საფუძველია მიწის რესურსები და მათი რაციონალური გამოყენება.

ამჟამად საქართველოს ტერიტორია შეადგენს 7628,4 ათას ჰექტარს, აქედან კერძო საკუთრებაშია 934,4 ათასი ჰექტარი, სახელმწიფო საკუთრებაშია 6685,0 ათასი ჰექტარი. მიწის მთლიანი ფონდიდან სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 3022,7 ათასი ჰექტარი, ანუ მთელი მიწების 39,6%, აქედან კერძო საკუთრებაშია 763,0 ათასი ჰექტარი (10,0%), ხოლო სახელმწიფო საკუთრებაშია 2259,7 ათასი ჰექტარი (29,6%). სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიწის ფართობებიდან დამუშავებაში მყოფი მიწის ფართობი შეადგენს 1063,2 ათას ჰექტარს, (13,9%). სახნავს უკავია 795,3 ათასი ჰექტარი, მრავალწლიან ნარგავებს – 267,9 ათასი ჰექტარი, სათიბ-საძოვრებს – 1939,7 ათასი ჰექტარი, ანუ მთელი ტერიტორიის 25,4%, ტყეებს – 2473,1 ათასი ჰექტარი (32,4%), საცხოვრებელ სახლებს და ეზოებს – 19,8 ათასი ჰექტარი.

¹ საქართველოს სოფლის მეურნეობა. სტატისტიკური პუბლიკაცია 2008. თბილისი, 2009. გვ. 23

2008 წელს სამეგრელოს რეგიონის მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის მთელი ფართობიდან იჯარით გაცემულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 5,3%, ხოლო კერძო საკუთრებაშია 94,7%.¹ ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევიდან გამოირკვა, რომ წარმოების წვრილმასშტაბურობის მიუხედავად, კერძო სექტორი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მაღალი დონით გამოირჩევა. ის ფერმერები კი, რომლებიც სარგებლობენ იჯარით აღებული მიწით, გამოირჩევიან უფრო მაღალი კონკურენტუნარიანობით, იყენებენ მანქანურ შრომას და ახერხებენ ბაზარზე გასვლას.

მეცხოველეობის დარგის საქმიანობის დინამიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ პირუტყვის სულადობის აბსოლუტურად უმეტესი ნაწილი კერძო სექტორშია თავმოყრილი. მაგალითად, რეგიონში 2001–2004 წლებში მთლიანად კერძო სექტორში იყო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრის და თხის მთელი სულადობა; ასევე ფრინველები და ფუტკრის ოჯახები; 2008 წლის მონაცემებით, საკვლევი რეგიონის კერძო სექტორშია მსხვილი რქოსანი პირუტყვის მთელი სულადობის 99,3%; ღორის სულადობის 100%, ცხვრისა და თხის სულადობის – 94,9%; ფრინველის სულადობის 79,3%; ფუტკრის ოჯახების რაოდენობის 99,7%. როგორც მონაცემები გვიჩვენებს, სახელმწიფო სექტორში მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება საერთოდ არ ხდება.

საქართველოში ფერმერულ მეურნეობათა ფორმირება ორი მიმართულებით წარიმართა:

1. კერძო საკუთრებაში არსებულ მიწებზე;
2. იჯარით აღებულ მიწებზე.

ფერმერულ მეურნეობათა პირველი ტიპი შეიძლება განვიხილოთ, როგორც სოფლის მცხოვრებთა მეურნეობა, რომელსაც არასასაქონლო სახე აქვს. ამ ტიპის მეურნეობებს კონკურენციას უწევს, იჯარით აღებულ მიწებზე ფორმირებული მეურნეობები, რომელთათვისაც საქმიანობის მთავარი სფეროა სოფლის მეურნეობა და წარმოებაში დაბანდებული აქვთ საკუთარი

¹ საქართველოს სოფლის მეურნეობა – სტატისტიკური პუბლიკაცია 2008, თბილისი, 2009, გვ. 23

მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსები, ოჯახის შრომა.

მეურნეობათა ზემოთ დასახელებული ორი ტიპიდან პირველი ძალზე წვრილმასშტაბურია და კონკურენტუნარიანობით არ გამოირჩევა, მათი საქმიანობა ძირითადად ხელით შრომაზეა დამყარებული და რესურსული პოტენციალის გამოყენების დაბალი დონით ხასიათდება. სამეურნეო საქმიანობის შედეგების მიხედვით საბაზრო სიტუაციებს და პირობებს ყველაზე კარგად მეორე ჯგუფის ფერმერული მეურნეობები ეგუებიან, უფრო მეტიც, ისინი ახერხებენ საგარეო ბაზარზე გასვლასაც. შედარებით მაღალია მათი კონკურენტუნარიანობა, რადგან გამოიყენებენ მანქანურ შრომას. დღეს სამეგრელოს რეგიონში იჯარით გაცემულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 12,2%, ხოლო კერძო საკუთრებაშია 94,7%. წარმოების წვრილმასშტაბურობის მიუხედავად, კერძო სექტორი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მაღალი დონით გამოირჩევა (იხ. ცხრილი 8).

ასე, მაგალითად, სტატისტიკის რეგიონული სამმართველოს მონაცემებით, სიმინდის მოსავლიანობა კერძო სექტორში 1,5 ცენტნერით მეტია, ვიდრე იჯარით აღებულ მიწებზე და შეადგენს 13,7 ცენტნერს ჰექტარზე, მაშინ როდესაც 2008 წლის მონაცემებით საქართველოში სიმინდის საშუალო მოსავლიანობა 23 ცენტნერს ჰექტარს შეადგენს; კარტოფილის მოსავლიანობა რეგიონის კერძო სექტორში შეადგენს 35,5 ცენტნერს, ხოლო იჯარით აღებულ მიწებზე ეს მაჩვენებელი 32,1 ცენტნერია. საქართველოს მასშტაბით კარტოფილის საშუალო მოსავლიანობა შეადგენს 80 ცენტნერს ჰექტარზე; რეგიონში მევენახეობაში შესაბამისი მაჩვენებლები ერთი და იგივეა 36 ცენტნერი, ხოლო ამ კულტურების მოყვანას სახელმწიფო სექტორში ადგილი არა აქვს. თხილის მოსავლიანობა კერძო სექტორში არის 22, ხოლო იჯარით აღებულ მიწებზე 21, სახელმწიფო სექტორში 14 ცენტნერი; ჩაის მოსავლიანობა იჯარით აღებულ მიწებზე 33 ცენტნერია, ხოლო კერძო და სახელმწიფო სექტორში მისი წარმოება არ მიმდინარეობს.

აგრარულ სექტორში ეკონომიკის აღმავლობა დამოკიდებული იქნება არა მარტო კერძო სექტორის განვითარებაზე, არამედ იჯარისა და კერძო სე-

ქტორის შეთანაწყოებასა და სახელმწიფო სექტორის ამოქმედებაზე.

განვითარების ეს გზა უზრუნველყოფს ჯანსაღი კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას, შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს, გამოიწვევს აგრარული სექტორის შემდგომ სტრუქტურულ ცვლილებებს, გააფართოებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფართობს, მოსავლისა და სამომხმარებლო სექტორს, გაზრდის საექსპორტო პოტენციალს.

ცხრილი 8

სამეგრელოს რეგიონში მოსავლიანობის
მაჩვენებლები სექტორების მიხედვით¹
2008 წ.

№	დასახელება	კერძო სექტორი			იჯარა			სახელმწიფო სექტორი		
		ფართობი, ჰა	მოსავალი, ც/ჰა	მოსავლიანობა, ც/ჰა	ფართობი, ჰა	მოსავალი, ც/ჰა	მოსავლიანობა, ც/ჰა	ფართობი, ჰა	მოსავალი, ც/ჰა	მოსავლიანობა, ც/ჰა
1	სიმინდი	44421	606937	13,7	4720	57584	12,2	-	-	-
2	ღობიო	216	734,4	3,4	-	-	-	-	-	-
3	კარტოფილი	352	12496	35,5	112	35252	32,1	-	-	-
4	სოიო	120	1320	11	800	8800	11	-	-	-
5	ჩაი	-	-	-	2818	93000	33	-	-	-
6	ვენახი	503	18108	36	58	2088	36	-	-	-
7	ხილი	-	212792	-	-	-	-	-	-	-
8	ციტრუსი	1070	62060	58	2160	46980	5,8	120	6660	55
9	თხილი	2094	46068	22	190	3990	21	175	2454	14

¹ ცხრილი შედგენილია: სტატისტიკის რეგიონული სამმართველოსა და რაიონების სოფლის მეურნეობის სამმართველოების მიერ მოწოდებული მასალების საფუძველზე.

წარმოების მასშტაბი ეს არის საწარმოს მიერ რომელიმე პროდუქციის წარმოებისას საქმიანობის შედეგი. წარმოების მასშტაბის შეფასებისას გამოიყენება როგორც ნატურალური, ისე ღირებულებითი მაჩვენებლები. ნატურალური მაჩვენებლები ახასიათებენ პროდუქციას მისი ნომენკლატურის, ასორტიმენტისა და ხარისხის მიხედვით, ხოლო ღირებულებითი მაჩვენებლები გამოიყენება მთლიანი, სასაქონლო და რეალიზებული პროდუქციის შეფასებისას. მათგან მთავარია რეალიზებული პროდუქცია, რომლის მოცულობაში შედის წარმოებული პროდუქციის ღირებულების მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც რეალიზებული იქნა და მისი ღირებულება გადახდილია მყიდველის მიერ. სასაქონლო პროდუქცია შეიცავს ფაქტიურად რეალიზებულ პროდუქციას და იმ პროდუქციის ღირებულებას, რომელიც საწარმოს საწყობშია ან გაგზავნილია მომხმარებელთან, რომლის მიერ მისი ღირებულება ჯერ არ არის გადახდილი.

წარმოების მასშტაბის განსაზღვრისას გამოიყენება შრომითი მაჩვენებლები (შრომის ანაზღაურების, მუშაკთა პრემირების ფონდი), წმინდა პროდუქციის მაჩვენებელი, ანუ სხვაობა მთლიან პროდუქციასა და მატერიალურ დანახარჯებს (წარმოების პროცესში დახარჯული ნედლეულის, მასალების, საწვავის, ენერჯის, ძირითადი საწარმოო ფონდების ამორტიზაციის ღირებულება) შორის. წარმოების მასშტაბების განსაზღვრისას მაჩვენებელთა სისტემის გამოყენება ამაღლებს მისი გაანგარიშების ჭეშმარიტებას.

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 2008 წელს 2006 წელთან შედარებით გაიზარდა 5280 მლნ ლარით (38%-ით), ხოლო მის სტრუქტურაში ქვეყნის სოფლის მეურნეობის წილი შემცირდა ამავე პერიოდში 2,3%-ით. ამავე პერიოდში ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 1218,9 ლარით (38,9%-ით) გაიზარდა.

ქვეყნის სოფლის მეურნეობის ეფექტიანად განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია რესურსული პოტენციალის არსებობა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მნი-

შენელოვანი ბირთვია მიწის რესურსებთან ერთად მატერიალური რესურსები, რომლის ქვეშაც იგულისხმება მატერიალურ-ნივთობრივი ქონება (კაპიტალი, ანუ საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობანი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანა-იარაღები, სატრანსპორტო საშუალებები, პროდუქტიული და მუშა პირუტყვი, მრავალწლიანი ნარგავები, თესლი და სარგავი მასალა, პირუტყვის საკვები, მინერალური სასუქები, შხამ-ქიმიკატები და სხვა).

მატერიალურ რესურსებს წარმოშობის მიხედვით განეკუთვნება ბუნებრივი რესურსები (მიწა, წყალი, ტყე, ფლორა, ფაუნა, კლიმატი, მზის ენერჯია), ხოლო ეკონომიკური რესურსების ქვეშ იგულისხმება ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ძირითადი ელემენტები.¹

აგრარულ სექტორში ძირითადი საწარმოო ფონდები ნივთობრივი სიმდიდრის უმნიშვნელოვანესი საფუძველი და მაჩვენებელია. მათ რაოდენობაზე, ხარისხზე, სტრუქტურაზე და გამოყენებაზე ბევრად არის დამოკიდებული აგრარული წარმოების ეფექტიანობა. აგრარულ სექტორში ძირითადი საწარმოო ფონდების შესწავლისას გასათვალისწინებელია მათი ფიზიკური მოცულობები და სტრუქტურა დინამიკაში. ძირითადი საწარმოო ფონდების რაოდენობრივი ცვლილებები უკავშირდება არა მარტო ფონდუზრუნველყოფას და ფონდშეიარაღებას, არამედ წარმოების ისეთ საშედეგო მაჩვენებლებს, როგორცაა ფონდუკუება, მოგების ნორმა და სხვა.

აგრარულ სექტორში ძირითადი საწარმოო ფონდების უდიდესი ნაწილი ბიოლოგიურ ცოცხალ ფონდებზე მოდის, რომელთათვისაც საჭიროა სხვა ძირითადი ფონდების მომსახურება (სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაცია-ავტომატიზაცია, ტვირთების გადაზიდვა და სხვა), რაც საკმაოდ დაბალ დონეზეა ამჟამად საქართველოში. მაშინ, როდესაც ხელით შრომის შეცვლა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით იწვევს არა მარტო აგრარული სექტორის მუშაკების შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, არამედ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვან გადიდებას. ძირითადი

¹ კოდუაშვილი პ., ზიბზიბაძე გ. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, თბილისი, 2010, გვ. 72-73

საწარმოო ფონდების გამოყენების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე მონაცემები წარმოდგენილია ცხრილი 9.

როგორც წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, სამეგრელოს რეგიონში ძირითადი საწარმოო ფონდები საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებლებში შეადგენს 13,7%-ს, ანუ 3625,5 მლნ ლარით ნაკლებია. რეგიონში საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 2,2%-ით ნაკლებია აგრეთვე ფონდშიარაღება, ანუ ძირითადი საწარმოო ფონდები ერთ დასაქმებულ მუშაკზე. სამაგიეროდ საკვლევი რეგიონში ფონდუზრუნველყოფის მაჩვენებელი, ანუ ძირითადი საწარმოო ფონდები 100 ჰექტარია სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე 514 მლნ ლარით (33,6%-ით) მეტია საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელზე.

საკვლევი რეგიონში საქართველოს მაჩვენებელთან შედარებით ასევე მეტია 21,9%-ით ძირითადი საწარმოო ფონდები, რომელიც მოდის დამუშავებაში მყოფ მიწაზე.

აგრარული სექტორის ეკონომიკური ეფექტიანობის ერთ-ერთი მაჩვენებელია მთლიანი პროდუქცია, რომელიც მოდის 100 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე და რომლის მაჩვენებელი საკვლევი რეგიონში 33,7%-ით აჭარბებს საქართველოს შესაბამის მაჩვენებელს. მთლიანი პროდუქცია ძირითადი ფონდების ერთეულზე სამეგრელოს რეგიონში 7,1%-ით ნაკლებია, ხოლო ერთ დასაქმებულზე კი 2,1%-ით ნაკლებია საქართველოს შესაბამის მაჩვენებლებზე.

ცხრილში წარმოდგენილი მონაცემების გაანალიზების საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა. სამეგრელოს რეგიონის აგრარულ სექტორში, მიუხედავად იმისა, რომ ფონდუზრუნველყოფის მაჩვენებლები აღემატება მთლიანად საქართველოს აგრარული სფეროს ფონდუზრუნველყოფას, ფონდშიარაღების, ანუ ძირითადი საწარმოო ფონდები საკვლევი რეგიონის აგრარულ სფეროში ერთ დასაქმებულზე გაანგარიშებით შედარებით ნაკლებია, რაც იწვევს საერთო პროდუქციის შემცირებასაც ერთ მუშაკზე. ამიტომ საჭიროა რეგიონში გაიზარდოს ფონდშიარაღების მაჩვენებელი, რაც აამაღლებს სოფლის მუშაკთა შრომის

ნაყოფიერების ღონეს და აქედან გამომდინარე გაზრდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას.

ცხრილი 9

ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა (2008 წ.)¹

№	მაჩვენებლები	საქართველო , მლნ ლარი	სამეგრელო- ზემო საანაო	% რეგიონი აღ საქართველო სთან
	ძირითადი საწარმოო ფონდები	4203,3	577,8	13,7
nTliami პროდუქცია, ლარი modis ZiriTadi fondi	100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე (ფონდუზრუნველყოფა)	1528	2042	133,6
	დამუშავებაში მყოფ მიწაზე (ფონდუზრუნველყოფა)	4316	5262	121,9
	ერთ დასაქმებულ მუშაკზე (ფონდშიარადება)	4349	4255	97,8
	100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე	646	864	133,7
	მ.შ. დამუშავებაზე	1826	2228	122,0
	ძირითადი ფონდების ერთეულზე	0,42	0,39	92,9
	ერთ დასაქმებულზე	1840	1802	97,9

საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებლების გაანალიზებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ძირითადი საწარმოო ფონდები ერთ დასაქმებულ მუშაკზე (ფონდშიარადება) 2821 მლნ ლარით აღემატება ძირითადი საწარმოო ფონდებს, რომელიც მოდის ქვეყნის 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო

¹ ო. ქეშელაშვილი. ბიზნესური ეკონომიკა. თბილისი, 2010, გვ. 156

სავარგულზე. მთლიანი პროდუქცია ერთ დასაქმებულზე ქვეყანაში შეადგენს 1840 ლარს, 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე კი 646 ლარს, ანუ 1194 ლარით ნაკლებს. ძირითადი ფონდების ერთეულზე მთლიანი პროდუქცია შეადგენს 0,42 ლარს. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ქვეყანაში ძირითადი ფონდები არსებობს, მაგრამ ძალზედ არაეფექტიანად გამოიყენება ან საჭიროებს მოდერნიზაციას და ფართო გამოყენებას.

თაზი 2. აგრარული პოტენციალის ფორმირების თავისეზურებები და ფაქტორები

2.1. აგრარული პოტენციალის ფორმირებისა და გამოყენების თავისეზურებები

ცენტრალიზებული ეკონომიკის დროინდელი მეურნეობრიობის სისტემის ტრანსფორმაციამ განაპირობა არა მარტო აგრარული სფეროს საწარმოთა ფუნქციონირების არეს არასტაბილურობა, არამედ დაარღვია სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი აგრარული პოტენციალის ფორმირებისა და გამოყენების სისტემა. დარჩნენ რა პირისპირ ბაზრის „სტიქიასთან“, „შოკური თერაპიის“ და სამეურნეო მექანიზმის დაჩქარებული რეფორმირების პირობებში, აგრარული ფორმირებების უმრავლესობამ ვერ შეძლო ადაპტირება ფუნქციონირების ცვალებად გარემოში. ასეთი ადაპტირების ძირითადი ინსტრუმენტი რესურსების გადანაწილება და რესურსული პროპორციების კორექტირება, რომელიც რეალიზებული იქნება რესურსების ტაქტიკური მართვისა და სამეურნეო სუბიექტის პოტენციალის გამოყენების კონცეფციის ჩარჩოებში.

აგრარული პოტენციალის განსაზღვრა და მისი ეფექტიანობის შეფასება ის ფუნდამენტია, რაზეც უნდა აგებული იქნეს მთელი ეკონომიკის პირამიდა. ეს კი განაპირობებს ისეთი ეკონომიკური კატეგორიების დრმა გაანალიზებას, როგორცაა აგრარული პოტენციალი და აგრარული წარმოების ეფექტიანობა.

აგრარული სექტორის რესურსული პოტენციალი შეიძლება განიმარტოს როგორც იმ რესურსების რაოდენობა და ხარისხი, რომელიც საჭიროა ეკოლოგიურ-სოციალური და ეკონომიკური სისტემის გაფართოებული კვლავწარმოებისათვის და განსაზღვრავს აგრარული სფეროს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზღვრულ მოცულობას, რაც უზრუნველყოფს ქვეყნისა და რეგიონის მოსახლეობის მოთხოვნებს სურსათით, ხოლო სამრეწველო საწარმოებს კი ნედლეულით.

როგორც აღინიშნა, საწარმოო პოტენციალის მთავარი ამოცანაა პროდუქციის წარმოება, კვლავწარმოება. იმისათვის, რომ საწარმოო პოტენციალმა წარმატებით გადაჭრას ეს ამოცანა და განახორციელოს მუდმივად განახლებადი პროცესი, მას განუწყვეტლივ თვითონ უნდა გააჩნდეს კვლავწარმოების უნარი. პრაქტიკაში ეს ხორციელდება საწარმოს ძირითადი ფონდების რემონტების

სისტემით და მოდერნიზაციით, ტექნიკური გადაიარაღებით, წარმოების რეკონსტრუქციით.

საწარმოო პოტენციალს ახასიათებს სხვადასხვა ნიშან-თვისებები.

პირველი – მთლიანობა. ეს ნიშნავს, რომ საწარმოო პოტენციალის ყველა ელემენტები უნდა ემსახურებოდეს სისტემის წინაშე მდგარ საერთო მიზანს.

მეორე – სირთულე, რაც გულისხმობს მის რთულ შემადგენელ ელემენტების არსებობას. მაგალითად, ობიექტში საწარმოო პოტენციალი შეიცავს საწარმოო ფონდებს, რომლის შემადგენლობაში შედის სხვადასხვა მანქანები, დანადგარები, ისინიც შეიცავენ თავის შემადგენელ ელემენტებს და ა.შ.

მესამე – ელემენტების ურთიერთშენაცვლება, ალტერნატიულობა. მაგალითად ხელის შრომის შეცვლა მანქანურით, რესურსდამზოგი ტექნოლოგიების გამოყენება, მართვისა და წარმოების ორგანიზაციის ახალი მეთოდების დანერგვა და სხვა. ალტერნატიულობის დონე დამოკიდებულია ეკონომიკურ სიტუაციაზე, საწარმოო პოტენციალის განვითარების დონეზე, სამეურნეო სისტემის თავისებურებებზე.

მეოთხე დამახასიათებელი თვისებაა პოტენციალის ელემენტების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ურთიერთკავშირი და ურთიერთმოქმედება, რაც განაპირობებს საწარმოო პოტენციალის სტრუქტურის არსებობას. ამ სტრუქტურაში მხოლოდ ერთი რომელიმე ელემენტის გაუმჯობესება ვერ გამოიწვევს საწარმოო პოტენციალის უკუგების მნიშვნელოვან ზრდას, ეს შესაძლებელია მხოლოდ ყველა ელემენტის ერთდროული მოდერნიზაციის დროს.

მეხუთე თვისებად შეიძლება დავასახელოთ საწარმოო პოტენციალის უნარი ელემენტად აღიქვას სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის უახლესი მიღწევები და სისტემატურად გამოიყენოს ახალი ტექნოლოგიები.

მექვსე თვისებურება საწარმოო პოტენციალისა არის მოქნილობა, რაც მოწმობს იმას, რომ საწარმოო სისტემას შესაძლებლობა აქვს ორიენტაცია აიღოს ახალი პროდუქციის გამოშვებაზე, სხვა მასალების გამოყენებაზე და სხვა. საწარმოო პოტენციალის მოქნილობისადმი მოთხოვნა განსაკუთრებით აქტუალურია არასტაბილურ საბაზრო პირობებში, მოთხოვნის მერყეობისას და სხვა.

მეშვიდე განმასხვავებელი თვისებაა საწარმოო პოტენციალის ხასიათი, რაც განსაზღვრავს მის მასშტაბებსა და სტრუქტურას. მაგალითად, წარმოების მოდერნიზაციის მიზნებია მიიღოს ზემოთხსენებულ ახალი სტაბილური წყარო.

მერვე თვისებაა – საწარმოო პოტენციალის სიმძლავრე, რომელიც ასახავს საწარმოს პოტენციალის მწარმოებლურობის უნარის რაოდენობრივ შეფასებას. პოტენციალის სიმძლავრე უზენაეს კონკრეტულ სამეურნეო სუბიექტის ადგილს დარგობრივ და ეროვნული მეურნეობის პოტენციალში.

აგრარული სექტორის ძირითადი საწარმოო ფაქტორებია შრომა, წარმოების საშუალებები, მიწის რესურსები, რომელთა გამოყენებაზეც დაფუძნებულია საწარმოო პროცესები და რომლებიც ქმნის რესურსულ პოტენციალს. ფაქტობრივად მიღებული წარმოებული პროდუქციის მოცულობები არის აგრარულ სექტორში საწარმოო პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების შედეგი.

საქართველოში ამჟამად შექმნილი სწრაფად ცვალებადი სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესაბამისად იცვლება რეგიონის ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა. მიუხედავად ქვეყანაში არსებული რთული საბიუჯეტო-საფინანსო მდგომარეობისა და არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში რეფორმების თანამიმდევრული გატარებით შესაძლებელი გახდა რეგიონში გარკვეული პოზიტიური შედეგების მიღწევა.

2005\2006 წლებში მეჩაიეობის დარგში მნიშვნელოვნად გაართულდა მდგომარეობა, რაც გამოწვეული იყო პროდუქციის გასაღების სფეროში არსებული სიძნელეებით. წინა წლებში წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის გაჭიანურების შედეგად საწარმოებს დაუგროვდათ ათას ტონაზე მეტი მზა პროდუქციის ნაშთი. ფინანსური სიძნელეების გამო არ ანაზღაურებულა მეჩაიეთა სახელფასო დავალიანებები. ფაბრიკების უმეტესობამ საწვავის უქონლობის გამო ვერ შესძლო ჩაის გადამუშავების სეზონისათვის ნორმალური მომზადება. დარგის მუშაკები დიდ იმედებს ამყარებდნენ საქართველოს პრეზიდენტის საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში იაპონიის მთავრობის მიერ ჩაის სექტორის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი გრანტის ათვისებაზე, მაგრამ გრანტის პროგრამით მისაღები საწვავი გვიან მიაწოდეს ჩაის ფაბრიკებს. ამ მიზეზით სათანადო დატვირთით ვერ იმუშავეს ნედლეულის მწარმოებელმა საწარმოებმა და ოცამდე მომსახურე ჩაის ფაბრიკამ. ფაქტიურად გაჭიანურდა პირველი ვეგეტაციის ჩაის ფოთლის კრეფა და ხელი შეეშალა მეორე ვეგეტაციისათვის მომზადებასაც. ამ ფაქტორებმა განაპირობეს ძირითადად ჩაის ნედლეულის დამზადების საქმეში მნიშვნელოვანი ჩამორჩენა მთლიანად რეგიონის მასშტაბით.

სამეგრელოს რეგიონში ამჟამად ძირითადად დასრულებულია მიწის რეფორმის პირველი ეტაპის სამუშაოები, რომლის შედეგად სოფლად და ქალაქად

მცხოვრებ 143 ათას კაცზე გაცემულია კერძო საკუთრებაში 96,5 ათასი ჰექტარი მიწა, ანუ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 35,8%. იჯარით გაცემულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 12,2%, ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევებიდან გამოირკვა, რომ წარმოების წვრილმასშტაბურობის მიუხედავად, კერძო სექტორი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მაღალი დონით გამოირჩევა. ის ფერმერები, რომლებიც სარგებლობენ იჯარით აღებული მიწით, გამოირჩევიან უფრო მაღალი კონკურენტუნარიანობით, უფრო ეფექტიანად იყენებენ მანქანურ შრომას და ახერხებენ ბაზარზე გასვლას.

დღეს მიწის ნაკვეთზე იჯარის მფლობელებს გააჩნიათ უპირატესობა, რაც გამოიხატება იმაში, რომ მიწის პრივატიზაციის შესახებ ახალი კანონის თანახმად, რომელიც მიღებულ იქნა 2005 წლის ივლისში, უპირატესობა სექტორის მონაწილეებს-ინსაიდერებს ენიჭებათ. მიწის ნაკვეთზე იჯარის მფლობელებს შეუძლიათ მათი მიწის გამოსყიდვა და გადაიხადონ მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო მიწაზე გადასახადის 10-მაგი ოდენობა, 2006 წლის 1 მარტის მონაცემებით პრივატიზებულია 230,7 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი.

რეგიონში კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება დასაქმება, რაც გამოწვეულია მეჩაიეობის დარგში არსებული მძიმე მდგომარეობით. ეს დარგი რეგიონის თავისებურებებიდან გამომდინარე დასაქმების მხრივ ისეთი მასშტაბურია, რომ უახლოეს მომავალში მისი შეცვლა მასიური დასაქმების თვალსაზრისით ძნელი იქნება. რამდენიმე სამრეწველო საწარმოს ამოქმედება ვერ მოხსნის დასაქმების პრობლემას, თუ არ იქნა გატარებული ქმედითი ღონისძიებები მეჩაიეობის განვითარების თვალსაზრისით. როგორც ვხედავთ, მეჩაიეობაში არსებული მდგომარეობა, თავის მხრივ, გარდა ეკონომიკურისა, იძენს სოციალურ მნიშვნელობას, ამიტომ მის გადასაწყვეტად საჭიროა ქვეყნის მასშტაბით შემუშავდეს ღონისძიებათა კომპლექსი.

სამეგრელოს რეგიონის ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ამსახველი მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილი 10-ში.

წარმოდგენილ ცხრილიდან ჩანს, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში სოფლის მეურნეობის, მეტყვეობისა და მეთევზეობის მაჩვენებელი სხვა მაჩვენებლებთან შედარებით მაღალია. ეს განპირობებულია უკანასკნელ წლებში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენებით.

**სამეგრელოს რეგიონის მთლიანი პროდუქციის დარგობრივი სტრუქტურა
2003-2008 წლებში (%)¹**

№	მაჩვენებლები	2003	2008
1	მრეწველობა	10,7	10,8
2	სოფლის-მეურნეობა	29,8	29,1
3	მშენებლობა და ტრანსპორტი	12,5	12,7
4	კავშირგაბმულობა	2,5	2,6
5	ვაჭრობა, საზოგადოება და მომსახურება	11	11,2
6	სხვა დანარჩენი	33,5	33,6
	სულ	100	100

ამასთან მრეწველობის ხვედრითი წილი მთლიან პროდუქტთან მიმართებაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

როგორც ვხედავთ, რეგიონის ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაში კვლავ სოფლის მეურნეობის დარგის პროდუქცია გამოირჩევა მაღალი ხვედრითი წილით (29,8%-29,1%). ქვეყნის სასოფლო რეგიონებში სურსათის წარმოება მომავალშიც უაღტერნატივო პრიორიტეტად დარჩება. სურსათის მოთხოვნის დაბალანსება განაპირობებს სამრეწველო პოტენციალის ზრდის ობიექტურ პროცესს და უშუალო გავლენას ახდენს რეგიონული და საერთო ბაზრის სეგმენტების ფორმირებაზე, ხელს უწყობს იმპორტშემცველი პროდუქციის წარმოების სტიმულირებას. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს შესვლით რეალურ სექტორში დარგობრივი სტრუქტურა თვისებრივად შეიცვლება, რაც ეროვნულ მეურნეობაში რეგიონული ეკონომიკის როლისა და მნიშვნელობის ახლებურად განსაზღვრას მოითხოვს. ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში აუცილებელია გარე და შიდა ფაქტორების შეჯერება და ამის საფუძველზე სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება-განხორციელება, რაც თავისთავად მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს რეგიონის აგრარული სექტორის დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებაზე.

ამასთან პრინციპულია რეგიონის აგრარული სექტორის ბუნებრივ-ისტორიული განვითარების, საერთო სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი პირობების, ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებათა სრულად გათვალისწინება.

¹ ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

დღეს, როცა საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა, საჭიროა ახალი ეკონომიკური კავშირების დამყარება, რათა რაც შეიძლება სწრაფად ჩავერთოთ მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში და უფრო სრულად გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის მეტად ხელსაყრელი გეოპოლიტიკური და ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ამისათვის კი აუცილებელია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა

მომავალში, ჩვენი აზრით, საქართველოს აგრარული სექტორის საგარეო კავშირების გაღრმავებასა და სრულყოფას დიდი როლის შესრულება შეუძლია საგარეო ეკონომიკურ და საშუამავლო კერძო თუ კოოპერაციულ ფირმებს, ასოციაციებს, კონცერნებს და სხვა, რომლებმაც უნდა აღადგინონ და გააფართოონ ეკონომიკური ურთიერთობები ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან და განსაკუთრებით ისეთ დიდ მეზობელ სახელმწიფოებთან როგორცაა რუსეთი და უკრაინა. საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს აგრარული სექტორის ნორმალური ფუნქციონირება და განვითარება ახლა აუცილებლად მოითხოვს მეზობელ ქვეყნებთან ახალ ეკონომიკურ საწყისებზე ურთიერთობის სწორი კონცეფციის შემუშავებას, იგი ჩვენი აზრით, თანამედროვე აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მიმართულება უნდა გახდეს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქცია დიდი ხნის განმავლობაში (ყოველ შემთხვევაში, გარდამავალ პერიოდში) მსოფლიო ბაზარზე ვერ იქნება კონკურენტუნარიანი. დიდი საფრთხე ემუქრება საქართველოს გარე ბაზრებს, სადაც საქართველო ჯერ კიდევ ახერხებს პროდუქციის ექსპორტირებას. საქართველო სხვადასხვა სახის სპეციფიკური ბარიერისა და დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობების გარდა წმინდა ეკონომიკური მიზეზების გამოც კარგავს რუსეთის ბაზარს. ამ ბაზარზე საქართველოს პროდუქცია, ხშირ შემთხვევაში, ვერ უწევს კონკურენციას სხვა პროდუქტებს ვერც ფასით და ვერც ხარისხით, ვინაიდან რუსეთის ხარისხზე ახლა ისეთივე მაღალი მოთხოვნა აქვს, როგორც განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებს.

ამრიგად, რეგიონის აგრარული სექტორის პერსპექტივები საკმაოდ არასახარბილოა. თუ უახლოეს მომავალში სოფლის მეურნეობისა და ფერმერთა საზოგადოების განვითარების ყოველისმომცველი სტრატეგია არ შემუშავდა, სოფლის მოსახლეობა უფრო გაღარიბდება. ერთი მხრივ, ქალაქებში სამუშაო ადგილების არარსებობის და მეორე მხრივ, პოლიტიკური მიზეზებით, რუსეთში ტრადიციული მიგრაციის შეზღუდვის გამო, მოსახლეობას ერთადერთი გამოსავალი რჩება - საკმაოდ უიმედო მდგომარეობაში გააგრძელოს მიწაზე

მუშაობა. ქვეყნის მთავრობამ ერთგული დონორების დახმარებით უნდა შეასრულოს დაპირება და მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა გააუმჯობესოს. ამისათვის საჭიროა დაუყოვნებლივ შემუშავდეს და განხორციელდეს სოფლის მეურნეობისა და ფერმერთა საზოგადოების განვითარების ფართომასშტაბიანი სტრატეგია. ამ სტრატეგიამ შეიძლება გაცილებით დიდი ეკონომიკური და სოციალური შედეგი მოიტანოს, ვიდრე ინვესტიციებმა.

სახელმწიფო სათანადოდ არ მონაწილეობს სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რესურსული პოტენციალის ფორმირების პროცესში, რამაც გამოიწვია ამ საწარმოთა რესურსებით უზრუნველყოფის დონის მკვეთრი დაცემა და აგრარული სფეროს ფინანსური მდგომარეობის გაუარესება.

რესურსული პოტენციალის ჩამოყალიბების საკითხები და მიკროეკონომიკური სისტემების ოპტიმალური საბაზო რესურსული პროპორციების განსაზღვრა უნდა შედიოდეს ქვეყნის სტრატეგიული მენეჯმენტის ამოცანათა რიცხვში, რომელთა დადებითად გადაჭრა შეიძლება მხოლოდ იმ დონისძიებათა კომპლექსში, რომლებიც უზრუნველყოფენ აგრარული სექტორის მდგრად და ეფექტიან განვითარებას.

სოფლის მეურნეობის რესურსული პოტენციალის გაანგარიშება და მის საფუძველზე ეფექტიანობის შეფასება არის ის ფუნდამენტი, რომელზეც აიგება აგრარული წარმოების ეკონომიკა და მისი ეფექტიანობა.

აგრარული სფეროს კვლავწარმოების პროცესში რესურსების გამოყენების ეფექტიანობა დამოკიდებულია ქვეყნისა და რეგიონების ბუნებრივ, მატერიალურ-ტექნიკურ და სოციალურ-დემოგრაფიულ პირობებზე. ამიტომ რესურსების არსებობის, მათი აღდგენისა და განახლების წყაროების რაოდენობრივი შეფასება ძალზედ მნიშვნელოვანია აგრარული სფეროს ფუნქციონირების შესაძლებლობის დასაბუთებისათვის ამჟამად და პროგნოზირებისათვის მომავალში.

აგრარული სფეროს რესურსებისა და რესურსული პოტენციალის ცალკეული სახე მთლიანობაში ასახავს იმ ფაქტორების გავლენას, რომლებიც ხელოვნურად იქმნება ადამიანის მიერ (მანქანები, მექანიზმები, სასუქები, ფინანსური რესურსები) ან ყალიბდება ბუნებრივი გზით (შრომითი რესურსები, ნიადაგი, წყალი, მზის ენერჯია, ჰაერი და სხვა). ყველა ამ ფაქტორის ურთიერთმოქმედების შედეგად ჩამოყალიბდება განსაზღვრული ეფექტი, იქმნება სამომხმარებლო ღირებულებები, რომელთა რაოდენობა და ხარისხი უნდა

შეესაბამებოდეს საზოგადოების მოთხოვნებს, უზრუნველყოფდეს წარმოების კონკურენტუნარიანობას, წარმოების დანახარჯების შემცირებას და აგრარული სფეროს რესურსული პოტენციალის ეფექტიანად გამოყენებას.

რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ზრდა, რომელიც გულისხმობს წმინდა პროდუქციის წარმოების გადიდებას საწარმოო რესურსების ერთეულზე, ასახავს როგორც საწარმოო ფონდების გამოყენების გაუმჯობესებას, ისე მიმდინარე დანახარჯების გამოყენების გაუმჯობესებასაც, რაც აისახება საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში.

2.2 აგრარული პოტენციალის გამოყენებაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი

აგრარული სექტორის რესურსული პოტენციალი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანულად ურთიერთდაკავშირებულ რესურსთა ერთობლიობა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, მოცემულ პირობებში მივაღწიოთ სამეურნეო შედეგების ობიექტურად განსაზღვრულ დონეს, მნიშვნელოვანია საწარმოო პოტენციალის სტრუქტურის სწორი განსაზღვრა, რომელიც ასახავს მის შემადგენლობაში ჩართულ საწარმოო რესურსებს.

ვინაიდან მატერიალური დოვლათის წარმოება შესაძლებელია მხოლოდ საწარმოო ძალების-შრომის იარაღების, შრომის საგნების და სამუშაო ძალის შეერთებით, ამდენად ისინი უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავენ საწარმოო პოტენციალის სტრუქტურას. მაგრამ აგრარული სექტორის სპეციფიკა ისეთია, რომ საწარმოო რესურსების შემადგენლობის განხილვისას მხოლოდ ზემოთ აღნიშნულით ვერ შემოვიფარგლებით.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთავარი სირთულე და სიძნელე მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოებრივი წარმოების ყველა სხვა სფეროსაგან განსხვავებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების პროცესში მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასა და სხვა არაცოცხალ საშუალებებთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობით მონაწილეობს ოთხი ცოცხალი ორგანიზმი - ნიადაგი, მცენარე, პირუტყვი და ადამიანი. თითოეულ ამ ცოცხალ ორგანიზმს იმავე წარმოების პროცესში ერთდროულად განუწყვეტლივ და უმაღლესი მოთხოვნილების დონეზე ესაჭიროება აუცილებელი, შეუცვლელი, ერთიმეორეზე არანაკლები მნიშვნელობის მქონე და პირდაპირ მოქმედი ხუთი სასიცოცხლო ელემენტი-სინათლე, სითბო, წყალი, ჰაერი და საკვები ნივთიერებები.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების პროცესში მონაწილე ეს ოთხი ცოცხალი ორგანიზმი თავიანთი ხუთი სასიცოცხლო ელემენტით ერთმანეთთან განუწყვეტლივ კორელაციურ კავშირსა და ფუნქციურ დამოკიდებულებაშია.

მართალია, ახლა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე ბუნებრივ-კლიმატური პირობების ნეგატიური ზემოქმედების საწინააღმდეგოდ ინტენსიურად გამოიყენება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები, ეკონომიკური, ორგანიზაციული და სხვა ბერკეტები, მაგრამ მისი მთლიანად დაძლევა საერთოდ შეუძლებელია.

მატერიალური წარმოების ამ სფეროს თავისებურებაა ის, რომ აქ მიწა

წარმოების მთავარი საშუალებაა და თავისი ნაყოფიერების დონით აქტიურ გავლენას ახდენს წარმოების პროცესზე, ხდება მისი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ამიტომ მიწა საწარმოო პოტენციალში წარმოდგენილი უნდა იყოს არა მარტო რაოდენობრივად, არამედ ხარისხობრივადაც, რადგანაც წარმოების შედეგი მნიშვნელოვან წილად სწორედ მიწის ნაყოფიერებით არის განსაზღვრული.

მიწა მატერიალური წარმოების ყველას დარგის განვითარების საფუძველი და ეროვნული სიმდიდრის უშრეტი წყაროა. იგი არის ყოველგვარი საზოგადოებრივი საქმიანობის, ყველა სახის მატერიალური დოვლათის წარმოების სივრცობრივი ბაზისი. ამის გამო მისი გამოყენება ქვეყანაში მრავალმხრივია.

მიწის რესურსები მიეკუთვნება არაგანახლებად რესურსებს, არგანახლებად საწარმოო პოტენციალს, რადგან იგი განსაზღვრულია და მისი გამოყენება შეზღუდულია. ეს შეზღუდვა მდგომარეობს არა მარტო მიწის, სასოფლო-სამეურნეო სავარგულის აბსოლუტურ რაოდენობრივ შემცირებაში, არამედ ცუდი მოვლის პირობებში, მათი ხარისხის თანდათანობით გაუარესებაში, დეგრადაციაში, აქედან გამომდინარე, მის რაციონალურ გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მიწა განსაზღვრული რაოდენობით აქვს გადაცემული მესაკუთრეს. სასოფლო-სამეურნეო სავარგული თანდათანობით მცირდება და გადაღის სხვა სახის სავარგულში, დამუშავებაში მყოფი მიწები წყლისმიერ და ქარისმიერ ეროზიას განიცდიან, მწყობრიდან გამოდიან, მოსავლიანი მიწები მცირდება, მათი ხარისხი ეცემა და ა.შ.

საქართველოში, როგორც ერთ-ერთ მცირემიწიან ქვეყანაში ეს პროცესი უფრო მკვეთრად არის გამოხატული. აქ 1950-იან წლებში 1100 ათასი ჰექტარამდე მიწა ითესებოდა. 1990 წლისათვის კი ეს მაჩვენებელი 700 ათას ჰექტარამდე ჩამოვიდა. 2009 წლისათვის დათესილი მიწის ფართობი შემცირდა 561 ათას ჰექტარამდე. ცხადია, სახნავი მიწების გარკვეული ნაწილი 120 ათას ჰექტარამდე მრავალწლიანმა ნარგავებმა დაიკავეს, ნაწილი კი წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის მსხვერპლი გახდა. მაგრამ დანარჩენი ნაწილი ტყე-ბუჩქნარსა და საძოვრებში გადავიდა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილება და სპეციალიზაცია, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ობიექტურად აუცილებელი ეკონომიკური კანონის ეს რაოდენობრივი და თვისობრივი მხარე ყველა დარგსა და კულტურას ადრე თუ გვიან მიუჩენს თავის ადგილს იქ არსებული ნიადაგურ-კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, რითაც მაღალინტენსიური სავარგულები დროის შედარებით მცირე

მონაკვეთში დაიკავებენ მოწინავე პოზიციებს აგრარული სექტორის შემდგომ განვითარებაში.

აგრარული სექტორის საწარმოო პოტენციალის შემადგენლობაში პირველ, მთავარ და გადამწყვეტ ადგილს იკავებს მიწის რესურსები, მეორე ადგილი თავისი მნიშვნელობით უკავია შრომით რესურსებს, რომელთა გამოყენების რაციონალურ ორგანიზაციაზე დიდად არის დამოკიდებული არა მარტო საწარმოო პოტენციალის არამედ მთლიანად აგრარული სექტორის წარმოების ეფექტიანობა.

სამუშაო ძალა და შრომის საშუალებები საწარმოო პროცესის აქტიური ელემენტებია, ამიტომ მათ ეფექტიანად გამოყენებაზე დამოკიდებულია მთელი საწარმოო პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობა. აქედან გამომდინარე, საჭიროა კომპლექსურად იქნას შესწავლილი შრომითი რესურსების მაჩვენებლები, აგრარული სექტორის შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის დონე, სტრუქტურა, შრომითი რესურსების რიცხვისა და სტრუქტურის გავლენა სამუშაოთა მოცულობაზე და შრომის ნაყოფიერებაზე, სამუშაოს ნორმატივები, მათი შესრულების დონე და მრავალი სხვა.

2009 წლის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობა მთლიანი რიცხვიდან 1917,8 ათასი კაცი (52%) წარმოადგენს ეკონომიკურად აქტიურ შრომისუნარიან მოსახლეობას, რომელიც მოიცავდა საზოგადოებრივად აუცილებელ სასარგებლო შრომაში დასაქმებულებს, სამხედრო შეიარაღებულ ძალებში დაკავებულებს და რეგისტრირებულ უმუშევრებს. საქართველოს მთელი მოსახლეობიდან 2309,1 ათასი კაცი, ანუ 52,7% შეადგენს ქალაქის მოსახლეობას, ხოლო 2076,3 ათასი კაცი, ანუ 47,3% სოფლის მოსახლეობას. დინამიკაში ზემოთაღნიშნული მაჩვენებლები ხასიათდება კლების ტენდენციით. მაგალითად, საქართველოს მთლიანი მოსახლეობა 1990 წლებში შეადგენდა 5453,6 ათას კაცს, რაც 1039,0 ათასი კაცით მეტი იყო 2009 წლის მონაცემთან შედარებით. 2007 წლის მონაცემებით სოფლის მეურნეობაში, ნადირობასა და სატყეო მეურნეობაში დასაქმებული იყო 53,4%.

შრომითი რესურსების პრობლემა მდგომარეობს შრომითი რესურსების გამოყენების ორგანიზაციაში ანუ მათ მაქსიმალურ დატვირთვაში მთელი წლის მანძილზე და თანაბარზომიერად გამოყენებაში წლის ცალკეული პერიოდის მიხედვით, იმის გათვალისწინებით, რომ საშუალო წლიურ მომუშავეთა რაოდენობა არ უნდა მცირდებოდეს თუ ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია არ ინერგება და თითოეული მათგანის მიერ ნამუშევარი კაცდღე საშუალოდ წელიწადში მნიშვნელოვნად უნდა იზრდებოდეს.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში მთლიანად საქართველოში და ასევე სამეგრელოს რეგიონში აშკარად შეინიშნება დასაქმების პრობლემის უკიდურესად გამწვავება. წარმოების დაქვეითებას ლოგიკურად მოჰყვა დასაქმების დონის არსებითი შემცირება. 2000-2005 წლებში დასაქმებულთა რიცხვი სამეგრელოში 30345 კაცით შემცირდა და მისმა დონემ შრომითი რესურსების საერთო რაოდენობაში 68% შეადგინა, სოფლის მეურნეობაში კი ეს მაჩვენებელი 55%-ს აღემატება. დასაქმებულთა რიცხოვნების შემცირებამ გამოიწვია შრომისუნარიანი ასაკის მქონე დაუსაქმებელი მოსახლეობის დაახლოებით 2- ჯერ გადიდება.

შრომითი რესურსების დასაქმების დონის შემცირებამ და სტრუქტურაში მიმდინარე პროცესებმა განაპირობეს უმუშევრობის მნიშვნელოვანი ზრდა.

როგორც ცნობილია, უმუშევრობა დამახასიათებელია თითქმის ყველა ქვეყნისათვის. ამ მხრივ გამონაკლისს არც ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს, სადაც უმუშევრობა უკანასკნელ პერიოდში ხასიათდება მკვეთრი ზრდით.

უნდა აღინიშნოს, რომ უმუშევართა რაოდენობა სინამდვილეში ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ამას ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ასახავენ. შრომითი რესურსების გამოყენების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი შრომის მწარმოებულობაა. იგი გვიჩვენებს, თუ წარმოების პროცესში ერთი მუშაკი რამდენ პროდუქციას აწარმოებს დროის განსაზღვრულ მონაკვეთში.

სამეგრელოს რეგიონის აგრარულ სექტორში შრომის ნაყოფიერების მაჩვენებელი შემდეგ სურათს იძლევა (იხ. ცხრილი 11).

როგორც ვხედავთ, აქტიური შრომითი რესურსების რიცხვი რეგიონის მთელ მოსახლეობაში შეადგენს 62,6%, რაიონების მიხედვით კი შემდეგი მაჩვენებლები მივიღეთ: ზუგდიდის მოსახლეობაში აქტიური შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხვი 42,0%-ს შეადგენს; აბაშაში – 60,5%-ს; სენაკში – 64,9%-ს; ხობში – 54,4%-ს; მარტვილში – 59,7%-ს; ჩხოროწყუში – 46%-ს; ფოთში – 67,2%-ს და წალენჯიხაში – 43%-ს. ამ მაჩვენებლით რეგიონში ფოთი გამოირჩევა, რაც მეტყველებს იმაზე, რომ აქ დასაქმების შედარებით მაღალი დონეა.

რეგიონის შრომისუნარიანი აქტიური მოსახლეობის რიცხვიდან აგრარულ სექტორში დასაქმებულთა ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით (94,4%) გამოირჩევა წალენჯიხის რაიონი; 93,1%-ით – ჩხოროწყუს რაიონი; 92,5%-ით სენაკის რაიონი; 90,7%-ით ხობის რაიონი; 87,9%-ით აბაშის რაიონი; 84,1%-ს შეადგენს აგრარულ სექტორში მომუშავეები ზუგდიდის რაიონში და 79,2%-ს ფოთში.

შრომის ნაყოფიერების დონე და მისი ზრდის ტემპი დაბალია, ამის გამო

სამეგრელოს რეგიონში 2008 წ. შრომითი რესურსების –
შრომის საწარმოო პოტენციალის მაჩვენებლები¹

№	მაჩვენებლები	ზომის ერთეული	სულ რეგიონში	ზუგდიდი	აბაშა	სენაკი	სობი	მარტვილი	ჩხოროწყუ	ფოთი	წალენჯიხა
1.	სულ მოსახლეობა 2002 წლის აღწერით,	კაცი	460	168,7	28,6	51,4	37,5	47,2	31,3	47,2	33,5
2.	ათასი კაცი	კაცი	288	70,9	17,3	33,4	20,4	28,2	14,4	31,7	14,4
3.	შრომითი რესურსები აქედან										
4.	აგრარულ სექტორში	კაცი	200	59,6	15,2	30,9	18,5	23,7	13,4	25,1	13,6
	საშუალო წლიური მომუშავეები მათი სვედრითი წილი	%	69,4	84,1	87,9	92,5	90,7	84,0	93,1	79,2	94,4

¹ ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

წარმოებაში დასაქმებული ერთი მუშაკის მიერ შექმნილი პროდუქცია პირობითად გამოკვებას მხოლოდ 2-4 კაცს, მაშინ როდესაც განვითარებულ ქვეყნებში ის აკმაყოფილებს 100-ზე მეტი კაცის ფიზიოლოგიურ მოთხოვნებს სურსათზე. მაგალითად, ინგლისში აგრარულ სექტორში დასაქმებული ერთი მუშაკის შრომა ინახავს 110 კაცს, აშშ-ში - 79, ბელგიაში - 93, იტალიაში - 39, იაპონიაში - 45, პოლანდიაში - 75 კაცს.

უმუშევრობის დაძლევა მიიღწევა ეროვნული მეურნეობის დარგების წარმოების გაფართოებით და ეკონომიკის ინტენსიური განვითარებით. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ საზოგადოებრივი პროგრესის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს პირობას ეკონომიკური განვითარება, ეკონომიკური ზრდა წარმოადგენს. ეკონომიკის ზრდის უზრუნველყოფის ძირითადი პირობაა საწარმოო რესურსების მოცულობის გადიდება, მისი სტრუქტურის სრულყოფა, ტექნიკური დონისა და ხარისხის ამაღლება. მოქმედი საწარმოო რესურსები ეკონომიკური ზრდის ფაქტორების როლს ასრულებენ.

გრძელვადიან პერიოდში რეალური ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად საჭიროა ყურადღება გადავიტანოთ შრომითი რესურსების ზრდაზე. წარმოებაში მუშაკთა დასაქმებულობის დონის გადიდებაზე. ამიტომაც საჭიროა განვიხილოთ მოსახლეობისა და შრომითი რესურსების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე. იგი ძირითადად ორი მიმართულებით ვლინდება. პირველი მოსახლეობა, როგორც მომხმარებელი წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის ამოსავალ პირობას და მეორე, მოსახლეობა, როგორც შრომითი რესურსის წარმოქმნის წყარო მნიშვნელოვნად განსაზღვრავს წარმოების განვითარებას, ხელს უწყობს, ან ზღუდავს მას. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია შრომისუნარიან მოსახლეობის დინამიკის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, მაგრამ ეკონომიკურ განვითარებაზე გავლენას ახდენს არა იმდენად წარმოების სფეროში დასაქმებული სამუშაო ძალის რაოდენობა, რამდენადაც მისი გამოყენების ხარისხი. შრომის ინტენსივობა შრომის მწარმოებლურობის ამაღლების ხარჯზე მიიღწევა. თავის მხრივ ეს უკანასკნელი დიდად არის დამოკიდებული წარმოების ტექნიკურ დონეზე, სამუშაო ძალის კვალიფიკაციაზე, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციაზე.

აგრარული სექტორის საწარმოო პოტენციალის შემადგენლობაში ერთ-ერთი მთავარია წარმოების ძირითადი საშუალებანი, ძალღვანი მანქანები და მოწყობილებანი. წარმოების ძირითადი საშუალებების, ძირითადი კაპიტალის, საწარმოო პოტენციალის საფუძვლად დაედო საქართველოს ეროვნული

მეურნეობის ძირითადი კაპიტალის გადაფასება, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 9 ივნისის №255 ბრძანებულების შესაბამისად 1997 წლის ივლისის მდგომარეობით განხორციელდა.

როგორც ჩანს, ფულადი გადაფასებით ძირითადი საშუალებანი – ძირითადი კაპიტალი საწარმოო პოტენციალის შემადგენლობაში ყველზე დიდი ხვედრითი წილით ისევ შენობა – ნაგებობია წარმოდგენილი, მიუხედავად იმისა, რომ მათ რეფორმის დასაწყისში ყველაზე მეტი ნგრევა და მიტაცება განიცადეს. ეს გასაგებიცაა, რადგან სამეგრელოს რეგიონში ყველაზე მეტი იხარჯებოდა და დღესაც ყველაზე ძვირი ჯდება ახალი შენობა-ნაგებობების მშენებლობაც, ძველის რეკონსტრუქციაც, მოდერნიზაციაც, გაფართოება და გადაიარაღებაც. ამიტომ შენობა-ნაგებობების საწარმოო პოტენციალი, რაც ფაქტიურად დარჩა სახეზე გადაფასების შემდეგ, უცილობლად უნდა იქნეს მიღებული და გაანგარიშებაში შეტანილი უახლოეს პერსპექტივაში.

შენობა-ნაგებობების შემდეგ ფულად ღირებულებაში სიდიდის მიხედვით მომდევნო ადგილზე გამოდის მუშა და პროდუქტიული პირუტყვი, ფრინველი და ფუტკარი. ამ საშუალებებმაც დიდი მიტაცება და განადგურება განიცადეს დაწყებული 1989 წლიდან დამთავრებული 1995 წლის ჩათვლით. ეს განსაკუთრებით შეეხო მეცხოველეობის მსხვილ საწარმოო კომპლექსებს, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის დიდ ფერმებს.

ძირითადი საშუალებებიდან - ძირითადი კაპიტალიდან აგრარული სექტორის საწარმოო პოტენციალში ერთ-ერთი მთავარია ძაღოვანი მანქანა-იარაღები- ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები. ამიტომ აქ გასარკვევია რამდენი ტრაქტორი ესაჭიროება რეგიონს რაოდენობრივ მაჩვენებელში, რამდენი ჰყავს დღეს ფაქტიურად და რამდენი უნდა შეიძინოს ან დაიქირავოს. კვლევამ გვიჩვენა, რომ 2004 წლის მდგომარეობით მიწის ფონდების საერთო ფართობი შეადგენს 7628,4 ათას ჰექტარს, აქედან კერძო საკუთრებაშია 948,9 ათასი ჰექტარი, ანუ 13%, ხოლო სახელმწიფო საკუთრებაში – 87%. კერძო საკუთრების მიწებიდან სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 80,8%, მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით იგი შეადგენს 0,69, 1990 წელთან შედარებით გაიზარდა 0,14 ჰექტარით, ანუ 205%-ით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში არსებული საწვავის პოტენციალი 2000–2005 წლებში. გამოყენებულია საშუალოდ მხოლოდ 38%-ით, შესაბამისად მრავალწლიანი ნარგავები – მხოლოდ 35%-ით, სათიბ-საძოვრები 30%-ით. მიწების რაციონალურად გამოყენების,

გარემოს დაცვის, სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციის, საწარმოთა ინტენსიფიკაციისათვის აუცილებელია ქვეყნის მასშტაბით განახლდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების კადასტრის სამუშაოები როგორც პარცელური, ისე რეალური და ზემოაღნიშნული საკითხის გადაწყვეტის საფუძველზე, დადგინდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, რომელსაც, რასაკვირველია, მიწის ბაზარი დაარეგულირებს.

ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ხასიათდება მაღალი ბუნებრივი ნაყოფიერებით, მაგრამ მეტად დაბალია ინტენსიფიკაციის ფაქტორებით უზრუნველყოფისა და გამოყენების დონე.

სავარგულების დიდი ნაწილი – 33% განიცდის ნიადაგის ეროზიას. ყოველწლიურად აღმოსავლეთ საქართველოში 1 ჰექტრიდან ირეცხება 100–300 ტონა ნიადაგი, დასავლეთ საქართველოში – 150–200 ტონა, რის გამოც დაბალი ინტენსიური გახდა 25000 ჰექტარი, ხოლო 20000 ჰექტარი მწყობრიდან გამოვიდა. საქართველო მდიდარია წყლის რესურსებით. მსოფლიოს ფართობის 1 კმ-ზე მოდის 0,263მ სამდინარო რესურსები, ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე – 7056 მ, იგივე მაჩვენებლები ჩვენთან 0,901 და 1234–ს შეადგენს.

ფერმერული მეურნეობები კერძო საკუთრებაში ფლობენ ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 58%-ს, იჯარით აქვთ აღებული სახელმწიფო მიწების 27%. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრითი წილი ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში შეადგენს 58%-ს. დღეისათვის ფერმერული მეურნეობები განვითარების საწყის ეტაპზეა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიწის რეფორმის გატარების დროს დაშვებულმა შეცდომებმა ფერმერული მეურნეობები დააქუცმაცა, რის შედეგადაც დღეს ჩვენ გვაქვს მილიონზე მეტი წვრილი და ეკონომიკურად სუსტი მეურნეობები, რომლებიც ძირითადად საკუთარი ოჯახების მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ. ამასთან მიწის მესაკუთრე კომლთა და ოჯახით წვრილგლეხური მეურნეობები, საკუთრებაში ფლობენ საშუალოდ 0,77 ჰექტარ მიწის ფართობს. ასეთი მეურნეობების რიცხვი დაახლოებით მილიონ 20 ათასია. მიწის მოიჯარე ფიზიკურ პირთა ფერმერული მეურნეობების რიცხვი, რომლებიც სარგებლობენ საშუალოდ 4–5 ჰექტარი იჯარით აღებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით 40–42 ათასია. მიწის მოიჯარე იურიდიულ პირთა მსხვილი ფერმერული მეურნეობების, რომლებიც სარგებლობენ საშუალოდ 100 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულით, რიცხვი 5–6 ათასია.

კვლევამ გვიჩვენა, რომ გლეხები არ არიან გათვითცნობიერებულები იჯარით გაცემული მიწის ოპტიმალური დონის საკითხებში. საჭიროა სახელმწიფო დონეზე დამუშავდეს ცალკეული რეგიონებისათვის მიწების იჯარით გაცემისათვის მიწების ოპტიმალური დონეები, სადაც განმარტებული იქნება თითოეული გლეხის მიერ მიწების აღების გამოყენების ეფექტიანობის პარამეტრები.

სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამსხვილება და წვრილი საადგილმამულო მეურნეობების გამსხვილება, ე.ი. უნდა შეიქმნას ისეთი მეურნეობები, რომელსაც გარანტირებული ექნება სასაქონლო პროდუქციის წარმოება. ფერმერული მეურნეობების გაერთიანება-გამსხვილება უნდა განხორციელდეს ნებაყოფლობის საფუძველზე. ფერმერული მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად მიგვაჩნია აგროტექსერვისის ეფექტური ფორმირების ჩამოყალიბება-დანერგვაში. ამ ფორმირებებში გაერთიანებული იქნებიან თვით ფერმერებიც, მათი საჭიროებიდან გამომდინარე (ტექნიკური მომსახურეობა, რემონტი, მატერიალური რესურსების მომარგება, საწარმოთა მექანიზებული მომსახურეობა, პროდუქციის რეალიზაცია, სასაწყობო სერვისი და სხვა).

განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნების აგრარული სექტორი ეყრდნობა არა მარტო ცალკეული ფერმერების უნარიანობას პირადი კვალიფიკაციის ამაღლებასა და წარმოების ორგანიზაციაში, არამედ სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ მტკიცე პროგრამას, რომელშიც მოცემულია ის შეღავათები და გარანტიები, რასაც მთავრობა იღებს აგრარული სექტორის განვითარების საქმეში. ამ პროგრამის საფუძველზე ხდება სისტემური მიდგომა ფერმერული მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. ბოლო წლებში მტკიცედ იკიდებს ფეხს სოფლის მეურნეობაში საინჟინრო სამსახურის თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზე ორგანიზაციის აუცილებლობა. სადისკვერო სამსახურებში კომპიუტერული ტექნიკის ფართო გამოყენებით ოპტიმალურ ვადებში ხდება აგროტექნიკური სამუშაოების, ტექნიკის რემონტისა და ექსპლუატაციის შესრულება და სამუშაოების მაღალხარისხოვნად ჩატარება.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ში ფერმერი აუცილებლად გაერთიანებულია ერთ ან ორ სერვისულ ორგანიზაციაში. სოფლის მეურნეობის მანქანების რემონტს და ტექნიკურ მომსახურებას ახორციელებენ სპეციალური დამოუკიდებელი საწარმოო დილერები. მათი საქმიანობა ძირითადად იდენტურია სარემონტო-ტექნიკური საწარმოების მუშაობასთან, რომელიც ჩვენს ქვეყანაში „საბჭოური“ პერიოდის

დროს იყო, მაგრამ აღნიშნული დილერების ზოგიერთი ფუნქცია (ტექნიკის გაყიდვა, მისი გაქირავება, ასევე ნახმარი ტექნიკის გარემონტება და გაყიდვა) ჩვენს ქვეყანაში ვერ განვითარდა. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო სწორედ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ძირითადი პრინციპების უზულებელყოფა. დილერები უზრუნველყოფენ მწარმოებლებსა და მომსახურეობას შორის ეკონომიკურ კავშირებს, ე.ი. ფერმერებს და ფირმებს შორის. აშშ-ში ტექნიკის წარმოებასა და რეალიზაციას ახდენს ტრაქტორების 43 ფირმა, ხოლო მარცვლის ასაღები კომბაინების 13 ფირმა, რომლებიც სთავაზობენ ფერმერებს 34 მოდიფიკაციის თვითმავალ კომბაინებს. ბოლო წლებში ხდება ფერმების გამსხვილება-კონცენტრაცია, რაც შრომის ნაყოფიერების გაზრდის აუცილებელი პირობაა, მოხდა მანქანა-ტრაქტორთა პარკის შესამჩნევი რაოდენობრივი და სტრუქტურული ცვლილება. ასევე გაიზარდა სატვირთო ავტომობილების, ძალისმიერი ტრაქტორების, მოტობლოკების და კულტივატორების რიცხვი მაშინ, როდესაც თითქმის 50%-ით შემცირდა საერთო დანიშნულების ტრაქტორების, ნათესების ასაღები კომბაინების და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების რაოდენობა. ფერმერების მიერ გამოყენებული მანქანების ძრავის სიმძლავრე 40 ცხენის ძალის და უფრო მცირეც არის. საშუალოდ ერთ ფერმერულ მეურნეობაზე მოდის 2-3 ტრაქტორი. ფერმერული მეურნეობების გამსხვილება განაპირობებს უფრო მძლავრი და მწარმოებლური ტექნიკის შექმნას (დიდი ადგილი უკავია სახელმწიფო სუბსიდიებს, რაც საშუალებას იძლევა ეფექტურად შესრულდეს აუცილებელი სამუშაო მოცულობა ნაკლები რაოდენობის მანქანებით). მანქანების შემცირება გამოწვეულია, აგრეთვე, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე მაღალი ფასებით. თუ 1968 წელს ფერმერს ტრაქტორი შეიძლება 4,7 ათას დოლარად ეყიდა, 1985-2000 წლებში საშუალოდ 40,7 ათასი დოლარი უჯდებოდა. ამავე პერიოდში ერთი ცხენის ძალის ღირებულება გაიზარდა 65-დან 290 დოლარამდე.

ჩვენი ქვეყნის სატრაქტორო პარკის სტრუქტურა განსხვავდება განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების სტრუქტურისაგან. ჩვენთან 110-კილოვატიანი სიმძლავრის მანქანების ხვედრითი წილი 30%-ზე მეტია, მაშინ როცა ინგლისში ასეთ მანქანებს 2-4%-მდე, ხოლო აშშ-ში 7-8% უკავია. მცირე გაბარიტიანი ტრაქტორების ხვედრითი წილი საზღვარგარეთის ქვეყნებში 10-30%-ია, ჩვენთან კი 1%-ზე ნაკლები. განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში ფერმების გამსხვილება იწვევს უფრო მაღალი სიმძლავრის ტრაქტორების გამოყენებას, სადაც ტრაქტორები გამოიყენება უფრო ეფექტურად. კერძოდ, იქ, სადაც ფერმერებს

300–400 ჰექტრამდე ფართობი აქვთ, ემსახურება 6–7 ტრაქტორი, რომელთა სიმძლავრე 110 კილოვატია. საშუალოდ დადგენილია, რომ ასეთ ფერმებში დაახლოებით თანაბარია რეალური გამოსავალი, პროდუქციის ერთ ჰექტარ დამუშავებად მიწაზე გაანგარიშებით, რაც მიიღწევა საერთო სიმძლავრის ტრაქტორების 1,3–1,5-ჯერ შემცირებით. გერმანიაში ფერმერების 60%-ს აქვს 10–50 ჰექტარი ფართობი, სადაც გამოიყენება 1–2 ტრაქტორი 22–44 კილოვატი სიმძლავრით და ერთი მცირეგაბარტიანი ტრაქტორი 11–15 კილოვატი სიმძლავრით. უფრო მსხვილ ფერმებში, რომელთა ფართობი 50 ჰექტარზე მეტია, გამოიყენება 4–5 ტრაქტორი 35–66 კილოვატი სიმძლავრით. საფრანგეთში ტრაქტორების ოპტიმალური სიმძლავრე შეადგენს 22–დან 40 კილოვატს, ხოლო უფრო მსხვილ ფერმებში, სადაც ფართობი 80 ჰექტარს აღემატება, ტრაქტორების სიმძლავრე 59–88 კილოვატია. აშშ-ში ზოგიერთ ფერმას, რომელთაც 200 ჰექტრამდე ფართობი აქვს, ძირითადად მარცვლეულით, შაქრის ჭარხლით, სოიოთი და სხვა კულტურებითაა დაკავებული, გამოიყენება 36,8–88 კილოვატიანი ტრაქტორები. მსხვილ ფერმებში, სადაც ფართობი 500 ჰექტარია, გამოიყენება ტრაქტორები 169–184 კილოვატი სიმძლავრით. ამ ტექნიკის ეფექტიანად გამოყენება იწვევს საექსპლოატაციო დანახარჯების შემცირებას. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ტრაქტორების წლიური დატვირთვა იმ ფერმებში, რომელთა ფართობი 500 ჰექტარია, შეადგენს 400–500 საათს წელიწადში, რაც 20–30%-ით მეტია, ვიდრე იმ ფერმებში, რომელთაც 200 ჰექტარი ფართობი აქვთ.

უკანასკნელ წლებში კაპიტალისტურ ქვეყნებში მნიშვნელოვნად შემცირდა მოთხოვნა იმ ტრაქტორებზე, რომელთა სიმძლავრე 74–120 კილოვატია, მაშინ როცა სტაბილურია მოთხოვნა ისეთ ტრაქტორებზე, რომელთა სიმძლავრე 29,4 კილოვატია. ეს აიხსნება იმით, რომ ფასების ზრდა მიწაზე ეწინააღმდეგება ფერმერების გამსხვილებას და ენერგოჯერადი ტრაქტორების გამოყენება ასეთ ფერმებში წამგებიანია.

საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სამუშაოების შესასრულებლად ფერმების ენერგოჯერადობა, ენერგოუზრუნველყოფა (ტრაქტორის სიმძლავრეები) უნდა იყოს 0,88–1,1 კილოვატი ერთ ჰექტარზე. ყოფილ საბჭოთა კავშირში იყო 0,81 კილოვატი, მაგრამ ძრავის სიმძლავრის დაბალი დონის გამო სინამდვილეში 0,59 კილოვატს არ აღემატებოდა. მეტ-ნაკლებად ანალოგიური მდგომარეობაა საქართველოშიც.

ამჟამად 110,4 კილოვატის სიმძლავრის ტრაქტორები უმეტეს საზღვარგარეთის ქვეყნებში შეადგენს 60–70%-ს, აშშ-ში პრიორიტეტი ენიჭება სასოფლო-სამეურნეო მანქანების მოდების განის ზრდას, ხოლო ჩვენთან – სამუშაოს შესრულების სიჩქარეს. აშშ-ში სამუშაო მანქანის განის ზრდა განაპირობა მათი წნევის წინააღობის შემცირებამ, სამუშაო ორგანოების კონსტრუქციების სრულყოფამ ახალი მასალების გამოყენებით, მანქანის მასის შემცირებამ და სხვა ფაქტორებმა.

შესაბამისად ტრაქტორების წლიური დატვირთვა უმრავლეს შემთხვევაში განისაზღვრება სტრუქტურით, რომელიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში. აშშ-ში ტრაქტორები 79,6 კილოვატის სიმძლავრით 55%-ია, მთელი წლის სამუშაო დროის პერიოდში დაკავებული არიან ენერგოტეკადი სამუშაოებით

ნიადაგის დამუშავებით. ინგლისში 110,4 კილოვატი სიმძლავრის ტრაქტორები გამოიყენება ნიადაგის ღრმა გაფხვიერების დროს, ხოლო 88 კილოვატის სიმძლავრისა – დადისკვაზე და ფარცხვაზე, 55–66 კილოვატისა თესვაზე, სასუქების შეტანასა და სატრანსპორტო სამუშაოებზე, 33 კილოვატზე ნაკლები სიმძლავრისა – წყლის, საწვავის, სათადარიგო ნაწილების ზიდვაზე მინდორში მომუშავე აგრეგატებისათვის. ყოველივე ზემოთ აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იქნეს ჩვენი ქვეყნის აგრარული სექტორის ტექნიკური საშუალებების მომარაგებისა და გამოყენების დროს. არ უნდა შემოვიტანოთ ტექნიკა, რომელიც არ გაივლის ადგილობრივ საწარმოო გამოცდას და არ იქნება სათანადო შლეიფებით სრულად უზრუნველყოფილი. ამიტომ ახალ მიდგომას საჭიროებს სამექანიზაციო ჭრილში ტექნიკის საწარმოო გამოცდის ცენტრების ჩამოყალიბება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის კ. ამირეჯიბის სახელობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა დაამუშავა და 1997 წელს გამოსცა „მეთოდური რეკომენდაციები 2000 წლისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის მემცენარეობაში შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის საჭირო მანქანა-იარაღების ნომენკლატურისა და რაოდენობის შესახებ“.

აღნიშნული რეკომენდაციებით ყოველი 1000 ჰექტარი სახნავის დამუშავებისათვის საჭიროა სულ 22 ტრაქტორი, მათ შორის: შაგლიანი - 8 და თვლიანი 14 ერთეული.¹

¹ „მეთოდური რეკომენდაციები 2000 წლისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის მემცენარეობაში შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის საჭირო მანქანა-იარაღების ნომენკლატურისა და რაოდენობის შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის კ. ამირეჯიბის სახელობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტი. თბილისი, 1997 წ.

თუ მოცემული ნორმატივების მიხედვით ვიანგარიშებთ ტრაქტორებზე მოთხოვნილებასა და დაკმაყოფილებას საკვლევ რეგიონში, შემდეგ სურათს დავინახავთ (იხ. ცხრილი 12).

აღნიშნული ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ სულ სამეგრელოს რეგიონში არის: 1433 ერთეული ტრაქტორი, 1348 სატვირთო ავტომანქანა, 27 კომბაინი, 663 გუთანი, 215 კულტივატორი, 39 სასუქების შემტანი მანქანა და 72 სათესი მანქანა. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ამ მთლიანი რაოდენობიდან ტრაქტორების რაოდენობა ყველაზე მეტი მოდის ზუგდიდის რაიონზე – 23,7%; ხობის რაიონზე – 14,8%; მარტვილზე – 14,0%. ხოლო საქართველოს სოფლის მეურნეობაში არსებულ ტექნიკურ საშუალებებში სამეგრელოს რეგიონზე ტრაქტორების რაოდენობის მხრივ მოდის 61,8%, კომბაინების – 0,5%, სატვირთო ავტომანქანების – 16,6%. ზუგდიდი, ხობი, ჩხოროწყუ და მარტვილი სატვირთო ავტომანქანების რიცხვითაც გამოირჩევიან რეგიონში არსებულ მთელი რაოდენობიდან, მათ გააჩნიათ შესაბამისად 312, 296, 206 და 201 ერთეული.

ტრაქტორების და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების ნორმალური დატვირთვით მუშაობისათვის დღეს, ფერმერული მეურნეობების პირობებში, ვიდრე არასოდეს საჭირო და აუცილებელია აგროსერვისული მომსახურების ყოველმხრივი გაუმჯობესება. ისე ფართო უნდა იყოს აგროსერვისის სახეები და ფორმები, რომ მეწარმეს საშუალება ჰქონდეს სურვილისამებრ აირჩიოს მისთვის ყველაზე ხელსაყრელი და მისაღები აგროსერვისის ფორმა. ეს ყველაზე მეტად არის საჭირო პირად დამხმარე მეურნეობების ბაზაზე შექმნილი ინდივიდუალური ფერმერული მეურნეობებისათვის, რომლებისათვის სხვა ფორმა თუ არა, ტექნიკის გამჭირავებელი პუნქტები მაინც უნდა იყოს შექმნილი. აგროსერვის საწარმოსა და მეწარმეს შორის უნდა იდებოდეს იურიდიული ძალის მქონე ხელშეკრულება, რომლითაც დაწესებული იქნება სამუშაოს შესრულების ვადა, ხარისხი და ფასი.

მხოლოდ მანქანურმა შრომამ უნდა მიიყვანოს მესაკუთრე და მეწარმე ოპტიმალური მოგების მიღების შესაძლებლობამდე და სამუშაო დროის გამონთავისუფლებამდე.

ექსპერტული გაანგარიშებით, 2 მილიარდი დოლარის დაბანდებებია საჭირო, რომ ყოველწლიურად შესაძლებელი იქნეს 8 მილიარდი პროდუქციის წარმოება, მათ შორის 3,5 მილიარდი საკუთრივ სოფლის მეურნეობაში, ხოლო 4,5 მილიარდი – კვების მრეწველობაში. ასეთი ინვესტიციების შემთხვევაში მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარჯზე მთლიანი შიდა პროდუქციის წილი ერთ სულ

ტრაქტორები, მათი სიმძლავრეები, ენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოფის დონე
და გამოყენება 2008 წ.¹

№	მაჩვენებლები	სულ რეგიონში	ზუგდიდი	ჩხოროწყუ	სენაკი	წაღენჯისა	აბაშა	ხობი	მარტვილი
1.	სულ ტრაქტორები ფიზიკურ ერთეულებში	1433	340	170	160	180	170	212	201
2.	სატვირთო ავტომანქანები	1348	312	206	171	160	72	296	201
3.	კომბაინები	27	1	-	5	-	4	17	-
4.	სატრაქტორო გუთანი	663	90	201	62	42	96	80	92
5.	კულტივატორი	215	52	50	12	1	22	62	16
6.	სასუქების შემტანი მანქანა	39	2	18	8	-	8	-	3
7.	სატრაქტორო სათესლე	72	18	9	18	2	19	30	2

¹ ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის მონაცემების საფუძველზე

მოსახლეზე 1600 დოლარით გაიზრდება. აღსანიშნავია ისიც, რომ სამწუხაროდ ჩვენ გავგაჩნია არა სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა, არამედ სოციალურად ორიენტირებული სამომხმარებლო და არამწარმოებლური ეკონომიკა. სწორედ ეკონომიკური რეფორმის შემდგომ ეტაპზე გადამჭრელი ღონისძიებები უნდა განახორციელოს მთავრობამ ამ მხრივ. ამას კი ხელს შეუწყობს აგრარული სექტორის, მთლიანად აგროსერვისის, მათ შორის ტექნიკური სერვისის პრობლემის გადაწყვეტა. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს არ გააჩნია მონაცემები და საერთოდ არ აღრიცხავს ყოფილ „საქსოფტექნიკის“ საწარმოებისა და ორგანიზაციების ფუნქციონირების ძირითად ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს, არამედ ამ ორგანიზაციის სარემონტო საწარმოების, სარემონტო ქარხნების და სხვათა ქონებას, აქტიურ კაპიტალს. ასეთი ინფორმაციის ვაკუუმში მეტად რთულდება არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ საერთოდ სახელმწიფოს მართვის სისტემის რეფორმა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება მართვის სისტემის დეცენტრალიზაციას, რეგიონალური და მართვის სხვადასხვა დონეების ჩამოყალიბების, ტერიტორიული და დარგობრივი მართვის ორგანიზაციული ფორმების სრულყოფას. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში მოპოვებული ზოგიერთი მცირედი ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება საერთო წარმოდგენა ვიქონიოთ ქვეყნის სოფლის მეურნეობის ტექნიკით უზრუნველყოფისა და გამოყენების მაჩვენებლებზე. 2000–2004 წლების მდგომარეობით საშუალოდ სოფლის მეურნეობაში ტრაქტორების რაოდენობამ 10743 ერთეული შეადგინა, მათ შორის გამართული იყო მხოლოდ 64%, აჭარაში შესაბამისად – 74 და 56, იმერეთის მხარეში 745 და სამეგრელოს რეგიონში – 1600 და 55, გურიის მხარეში 745 და 42, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში – 37 და 53, შიდა ქართლის მხარეში – 1122 და 63, მცხეთა-მთიანეთის მხარეში – 336 და 49, კახეთის მხარეში – 2099 და 67, ქვემო ქართლის მხარეში – 1670 და 30, სამცხე-ჯავახეთის მხარეში – 1446 და 72. თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა ცალკეულ რაიონებშიც. უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანად საქართველოში მუხლუხა „თ“ მარკის ტრაქტორების მხოლოდ 65% იყო გამართული, ხოლო თვლიანი „თ3“ მხოლოდ – 75%. რაც შეეხება სატვირთო ავტომანქანებს, რომლებიც რესპუბლიკაში 8777 ერთეულია, მათგან გამართული იყო მხოლოდ 77%. ყველა მარცვლის ასაღები კომბაინებიდან (863) გამართული იყო მხოლოდ 70%. სიმინდის ასაღებისა (38) გამართული იყო 53%. ტრაქტორების მისაბმელებიდან (4347) გამართული იყო 79%, სატრაქტორო გუთნებიდან (3707)

გამართული იყო მხოლოდ 75%. საკვები კულტურების ასაღები კომბაინებიდან (407) გამართული იყო 65%. მთლიანად საქართველოში მელიორაციული სამუშაოების მანქანებიდან (56) გამართული იყო მხოლოდ 45% და ა.შ. საანგარიშო პერიოდში სადიზელო საწვავზე მოთხენილება დაკმაყოფილებული იყო მხოლოდ 30%-ით. თუ გამოვიყენებთ მემკვიდრეობითობის პრინციპს სოფლის მეურნეობაში, ოფიციალურად 3–4-ჯერ ნაკლები ტექნიკური საშუალებებია საბჭოურ პერიოდთან შედარებით, შესაბამისად ენერგოშეიარაღებისა და ენერგოუზრუნველყოფის მაჩვენებლები დაახლოებით 0,6 და 200 ცხენის ძალას შეადგენს.

მართალია, სტატისტიკურმა სამმართველომ ბოლო პერიოდში შემოიღო ფორმა კ-1, სადაც მოცემულია ტექნიკური სერვისის შპს-ს საწარმოთა აღრიცხვიანობა, იგი არა მარტო არაზუსტი, არამედ არასრულყოფილიცაა. მაგალითად, თითქოს წყალტუბოსა და ქუთაისის რეგიონებში ჩამოყალიბებულია ტექნიკური მომსახურების შპს-ები, მაგრამ მათი მუშაობის არავითარი მაჩვენებლები არ არის მოცემული. ბაღდადში ამ საქმეს ემსახურება 1 კაცი (მანქანების იჯარა), მაგრამ მონაცემები არ არის მოცემული, ხოლო შიდა ქართლის რაიონების შესახებ (გორი, კასპი, ქარელი) არავითარი მონაცემები არ არის. მეტნაკლებად ანალოგიური მდგომარეობაა სხვა რაიონებში.

ასეთი მდგომარეობა მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანის საფუძველს გვაძლევს. არსებითად უნდა მოგვარდეს აღრიცხვა-ანგარიშვიანობის როგორც პირველადი, ისე ცენტრალიზებული ორგანიზაციის საკითხები. ეს მჭიდროდ უკავშირდება ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ჩამოყალიბების პროცესს, რადგან საქართველოში ძალიან ცოტა დარჩა იმისგან, რასაც რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სისტემა ეწოდება. საერთოდ აღარ არსებობენ და აღარც ფუნქციონირებენ ცალკეულ საწარმოო ორგანიზაციებში საინფორმაციო განყოფილებები, ან თუ არსებობენ, ისიც ფორმალურად, მაშინ როცა ყოფილ „საქსოფტექნიკაში“ იყო სადისპენერო სამსახურისა და ინფორმაციის მწყობრივი სისტემა. ქვეყანაში ფუნქციონირებს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველო, რომელიც აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვისა და რეალიზების ორგანიზებას, რისთვისაც ქვეყნის რეგიონებში და მსხვილ რაიონებში იხსნება დამზადების პუნქტები და შერეული ტიპის მაღაზიები, შხამ-ქიმიკატების, სასუქების, სამეურნეო ინვენტარის და მარაგნაწილების საფუძველზე პროდუქციის მიწოდება და რეალიზაცია, აგრეთვე

მომარაგების მთავარი სამმართველო ახორციელებს საშუაშაველო საქმიანობასაც. დადებით ტენდენციად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოში შემავალი საერთაშორისო ურთიერთობისა და მარკეტინგის სამმართველოს შედგენილი აქვს ბიზნეს-გეგმა ტექნიკური საშუალებების შესყიდვისა და რეალიზაციის შესახებ, მაგრამ ტექნიკის ფასები ისეთი მაღალია, რომ ჩვენი ფერმერების გადახდისუნარობის გამო მათი შეძენა შეუძლებელია. მით უმეტეს ფერმერებს არ გააჩნიათ ახალი ტექნიკის მოვლისა და გამოყენების სათანადო კვალიფიკაცია. ნაკვეთები დანაწევრებულია, არ ხდება პროდუქციის მწარმოებელ ფერმერთა (მცირე სიდიდის) გაერთიანება-გამსხვილება. თვითნებურად არის მიშვებული რაიონული რემონტისა და ექსპლუატაციის საწარმოების ფუნქციონირება. კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, მიმდინარეობს გარიგება მომსახურებაზე. იყენებენ მომსახურებისა და გამომუშავების ძველ ნორმატიულ აქტებს. ძირითადად ამორტიზირებულია, როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად ყოფილი “სოფტექნიკის“ რემონტისა და ექსპლუატაციის საწარმოთა მანქანა-დანადგარები, ხოლო სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ გააჩნია მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფცია და პროგრამა აგრარული სექტორის საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. მართალია, ტექნიკური ცენტრების ჩამოყალიბება წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ მისი ფორმირება სახსრების უკმარისობის გამო მეტად დაბალი ტემპით მიმდინარეობს. რასაკვირველია, ასეთი გარემოება ხელს უშლის სოფლის მეურნეობის სერვისულ საქმიანობაში ინვესტიციების მოზიდვას (უცხოური), ხოლო როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, XXI საუკუნეში წვრილი ფერმერული მეურნეობების დაბალი კონკურენტუნარიანობისა და ამასთანავე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გამოუყენებლობის გამო საჭიროა მათი კონცენტრაცია, რაც მოხდება კორპორაციებისა და სხვა ორგანიზაციული ფორმების სახით. სწორედ ეს პროცესი უნდა დავიწყოთ სწრაფად, რაც საშუალებას მოგვცემს აგრარულ სექტორში შევიდეს კაპიტალისტი-მეწარმე, რომელიც შესძლებს იჯარით ან „შესყიდვით“ დასამუშავებელი ფართობების გამასივებას, შეიტანს ტექნიკურ საშუალებას და წარმართავს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს საბაზრო მოთხოვნიდან გამომდინარე. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინვესტიციების მოზიდვა ჩვენი ბუნებრივი რესურსების საფუძველზე, აგრეთვე ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა („აბრეშუმის გზა“ და სხვა) საშუალებას მოგვცემს განვაავითაროთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება (ეკოლოგიურად სუფთა) როგორც

ტურისტებისა და დამსვენებლებისათვის, ისე ელიტარული ქვეყნებისათვის. ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ ტრაქტორებზე მისაბმელი სხვა მანქანა-იარაღები, რომლებიც რაიონებში ფაქტიურად აღირიცხებიან, სათანადო რემონტის, წესიერი მოვლა-შენახვისა და სწორი ექსპლოატაციის პირობებში დიდ დამატებით კაპიტალურ დანახარჯებს არ მოითხოვენ.

ცხრილი 13

პირუტყვის სულადობა სამეგრელოს რეგიონში 2005-2009 წლებში
(სული)¹

დასახელება	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი		ძროხები		ღორები	
	2005	2009	2005	2009	2005	2009
სულ	275744	214913	12672	139766	155072	17217
ზუგდიდი	73465	42484	29428	28816	4437	4751
ჩხოროწყუ	18985	19211	8995	11542	9990	2967
სენაკი	29675	25572	13575	16487	16100	1555
წალენჯიხა	21133	16155	8383	10081	12750	2059
მარტვილი	36750	31713	15235	23443	21495	2218
აბაშა	30111	26183	12901	17041	17210	1666
ხობი	34625	36917	18235	20981	16390	2001

სოფლის მეურნეობის საწარმოო პოტენციალსა და მის ძირითად საწარმოო რესურსებში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია პირუტყვის სულადობას, მართალია, სამეგრელოს რეგიონში მეცხოველეობის მძლავრი განვითარებისათვის ყოველმხრივ ხელსაყრელი პირობები არ არსებობდა და არც არსებობს, მათ ხშირად უხეში საკვებიც არ ყოფნით და შემოზიდვა უხდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებიდან, მაგრამ მსხვილი რქოსანი პირუტყვისა და ღორების გარეშე აქ იშვიათად შეიძლება იყოს სოფლის ოჯახი.

პირუტყვის სულადობის დინამიკიდან (ცხრილი 13) ჩანს, მოლიანად

¹ ცხრილი შედგენილია სამეგრელო-ზ/სვანეთის მხარის სტატისტიკის სამმართველოს მონაცემების საფუძველზე

რეგიონში 2009 წელს 2005 წელთან შედარებით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა თითქმის 8%-ით შემცირდა; ყველაზე დიდი კლებით - 58,7% ამ სულადობისა გამოირჩევა ზუგდიდის რაიონი. მხოლოდ ხობის რაიონში შეინიშნება მსხვილი რქოსანი პირუტყვის სულადობის მატება 34625-დან 2005 წელს 36917 სულამდე 2009 წელს. ამასთანავე, ზუგდიდის რაიონის გარდა, სამეგრელოს რეგიონის თითქმის ყველა რაიონში შეინიშნება ფურების სულადობის ზრდა.

საბრუნავ საშუალებათა საწარმოო პოტენციალი ყველაზე მეტად ცვალებადი პოტენციალია აგრარული სექტორის საწარმოო პოტენციალთა შორის. ესენია თესლი და სარგავი მასალა, ფურაჟი და ქვეშსაფენი, სასუქები და შხამქიმიკატები, საწვავ-საცხები და სამშენებლო მასალები, საწარმოო მარაგი და სათადარიგო ნაწილები, დაუმთავრებელი წარმოება და სხვა. მათი მოცულობა ბევრად არის დამოკიდებული მეწარმეთა მდგომარეობაზე - მათ შესაძლებლობაზე, უნარსა და ხასიათზე. პრაქტიკით დადასტურებულია, რომ თესლი და სარგავი მასალა, ფურაჟი და ქვეშსაფენი და ზოგიერთი სხვა საშუალება მეწარმეს შეუძლია თვითონ აწარმოოს საჭირო რაოდენობით თავის მიწის ნაკვეთზე.

რაც შეეხება მინერალური სასუქებითა და შხამქიმიკატებით, საწვავ-საცხებითა და სამშენებლო მასალებით, საწარმოო მარაგითა და სათადარიგო ნაწილებით მათი მომარაგების საკითხს, უნდა ითქვას, რომ ამ საქმეში იგი მთლიანად დამოკიდებულია სხვა მეწარმეთა მუშაობის ხასიათზე და ამდენად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელთა მოლოდინი აღნიშნული მასალებით მოთხოვნილების დაკმაყოფილებისადმი ხშირად გაუმაართლებელი რჩება. 2008 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის მიერ გამოყენებული მინერალური სასუქების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მთლიანად ქვეყანაში გამოყენებულია ყველა სახის მინერალური სასუქი 52,7 ათასი ტონა, რაც 2006 წელთან შედარებით თითქმის ნახევრად არის შემცირებული და შეადგენს 43,8 ათას ტონას. გამოყენებული სასუქებიდან 51,2 ათასი ტონა აზოტიან სასუქს შეადგენს, ხოლო 1,5 ათას ტონას სხვა სახის სასუქები.

2008 წელს სამეგრელოს რეგიონის სოფლის მეურნეობის მიერ გამოყენებული მინერალური სასუქების ანალიზი გვიჩვენებს, რომ აქაც შემცირებულია მინერალური სასუქების გამოყენება 11,7 ათასი ტონიდან 2006 წელს 9,7 ათას ტონამდე 2008 წელს, ანუ 2 ათასი ტონით. ერთის მხრივ, ეს მოვლენა მისასაღებელია, რადგან ფერმერებს შეეძლებათ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება, მაგრამ, როგორც სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს,

საკვლევე პერიოდში, დინამიკაში ნაკელის გამოყენებაც შემცირდა საქართველოში 531 ათასი ტონიდან (2006 წ.) 385 ათასამდე (2008 წ.), ხოლო სამეგრელოში კი 84 ათასიდან 78 ათას ტონამდე.

საკვლევი რეგიონის მოთხოვნილება ძირითადი კულტურების თესლსა და სარგავ მასალებზე გაანგარიშებულია დასათეს-დასარგავი ფართობისა და სათესსარგავი მასალების ნორმების მიხედვით (ცხრილი 14) რაც შეეხება ფურაუისა და ქვეშაფენის წარმოებას აქ მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს უხეში საკვების მაქსიმალურ გადიდებაზე და მხოლოდ საკუთარმა წარმოებამ უნდა არეგულიროს მსხვილი რქოსანი პირუტყვის სულდობა სამეგრელოს რეგიონში.

თესლისა და სარგავი მასალის საწარმოო პოტენციალის ამსახველი მონაცემები, რომლებიც წარმოდგენილია ცხრილი 6 გვიჩვენებს, რომ სამეგრელოს რეგიონში მთელ სიმინდის ნათეს ფართობიდან ყველაზე მეტი წილი, თითქმის მესხეთედი მოდის აბაშის რაიონზე – 19,1%.

მთელ სამეგრელოს რეგიონში ახლად გასაშენებელ თხილის ფართობიდან (504 ათასი ჰა) ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით (112 ათასი ჰა) ზუგდიდის რაიონი არის წარმოდგენილი, შემდეგ მარტვილის რაიონი (102 ათასი ჰა).

რეგიონში სულ თესლისა და სარგავი მასალის ღირებულებიდან (574,2 ათასი ლარი) ყველაზე მეტი ხარჯი (113,4 ათასი ლარი) გაუწევია ზუგდიდის რაიონს, ყველაზე ცოტა კი ფოთსა (45,1 ათასი ლარი) და ჩხოროწყუს (56,6 ათასი ლარი).

ამრიგად მთლიანად მოდელში ჩართული ფაქტორების გავლენა სასაოფლო-სამეურნეო წარმოებაზე სამეგრელოს რეგიონში მნიშვნელოვანია, რაც სრულიად ლოგიკურია, რადგანაც ეს ფაქტორები წარმოადგენენ სოფლის მეურნეობის საწარმოო პოტენციალის ძირითად შემადგენელ ელემენტებს და სწორედ ისინი განსაზღვრევენ კვლავწარმოების საერთო დონესა და წარმოების ეფექტიანობას.

თესლისა და სარგავი მასალის საწარმოო პოტენციალის გაანგარიშება უახლოეს პერსპექტივაში
(2011-2015 წწ.)¹

№	მაჩვენებლები	ზომის ერთეული	სულ რეგიონში	ზუგდიდი	აბაშა	სენაკი	ხობი	მარტვილი	ჩხოროწყუ	ფოთი
1.	დასათესი სიმინდის ფართობი	ჰა	50369	8589	9612	6962	9410	8090	4438	3205
2.	სიმინდის თესვის ნორმა ერთ ჰაზე	კგ	30	30	30	30	30	30	30	30
3.	სულ საჭირო სიმინდის თესლი	ტ	1511,0	257,6	288,4	203,9	282,3	242,7	133,1	96,2
4.	ერთი ტონა თესლის ფასი	ლარი	330	375	320	320	318	312	360	375
5.	სულ სიმინდის თესლის ღირებულება	ათ. ლარი	498,6	96,6	92,3	66,9	89,8	77,9	47,9	36,1
6.	ახლად გასაშენებელი თხილის ფართობი	ჰა	504	112	60	42	70	102	58	60
8.	თხილის დარგვის ნორმა ჰა-ზე (5X4)	ძირი	1500	1500	1500	1500	1500	1500	1500	1500
9.	სულ საჭირო ნერგი	ათ. ძირი	756,0	168,0	90,0	63,0	105,0	153,0	87,0	90,0
10.	ერთი ძირი ნერგის ღირებულება	ლარი	0,10	0,10	0,10	0,10	0,10	0,10	0,10	0,10
11.	სულ თხილის ნერგის ღირებულება	ათ. ლარი	75,6	16,8	9,0	6,3	10,5	15,3	8,7	9,0
12.	სულ თესლისა და სარგავი მასალის ღირებულება	ათ. ლარი	574,2	113,4	101,3	73,2	100,3	93,2	56,6	45,1

¹ ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

2.3. აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები

თანამედროვე რთულმა ეკონომიკურ მდგომარეობამ როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში არსებითად შეცვალა აგრარული სექტორის ფუნქციონირების ორგანიზაციულ-ეკონომიკური, სამართლებრივი, სოციალური და სხვა პირობები. რიგი სუბიექტური და დარგობრივი მიზეზების გამო აგრარულ სექტორში სერიოზული პრობლემები წარმოიშვა.

საწარმოო საშუალებებზე ფასების წინმსწრებმა ზრდამ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასებთან შედარებით, სოფლის მწარმოებელთა სუსტმა პოზიციებმა აგროსასურსათო ბაზარზე გამოიწვია დარგში ფინანსური მდგომარეობის გამწვავება, სუსტ საინვესტიციო მიმზიდველობის ფონზე ტექნიკური და ტექნოლოგიური დეგრადაცია და საინოვაციო აქტიურობის შემცირება.

მთლიანად საქართველოში და რეგიონშიც პრაქტიკულად შეწყვეტილია მიწების მელიორაცია, მინერალური სასუქების გამოყენება, დარღვეულია ნათესი ფართობების ოპტიმალური სტრუქტურა, შემცირებულია ნიადაგის ნაყოფიერება, მეცხოველეობის წარმოების კონცენტრაციამ ფერმერულ/გლეხურ მეურნეობებში გამოიწვია ამ დარგის არაეფექტური განვითარება. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ საკვლევ რეგიონს, როგორც მთლიანად საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ზრდის საკმარისი პოტენციალი აქვს, რომლის რეალიზაციას ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების სტრატეგია.

სტრატეგია შეიძლება დავახასიათოთ როგორც გრძელვადიანი ამოცანა, რომლის გადაჭრამ დარგი უნდა მიიყვანოს განსაზღვრული მიზნების მიღწევამდე. სტრატეგიული მართვა, როგორც მეცნიერული კონცეფცია, ჩამოყალიბდა ორგანიზაციის, მართვის, დაგეგმვის, მარკეტინგის, აღრიცხვის თეორიების საფუძველზე. ამის შედეგად მართვის სტრატეგია განისაზღვრება ფუძემდებლური იდეების კომპლექსით, იმ პრინციპებითა და წესებით, რომლებიც ხელს უწყობენ მაჩვენებელთა სისტემის, სტრატეგიის ფორმირების ხელშემწყობ ფაქტორებისა და პირობების გამოყოფას.

რეგიონის აგრარული სფეროს დარგების განვითარების სტრატეგიის დასაბუთება, პრაქტიკაში სარეალიზაციო პირველი რიგის ღონისძიებათა ჩამოყალიბება მიზანშეწონილია სოფლის მეურნეობის გაძღოლის სისტემის შემუშავების ფარგლებში, სადაც სრულად და ყოველმხრივ განიხილება ძირითადი

ფაქტორები – ეკონომიკური, ორგანიზაციული, ტექნოლოგიური, ტექნიკური და სხვა. ეს ფაქტორები განსაზღვრავენ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ფუნქციონირების ეფექტიანობის, შრომის ორგანიზაციისა და მატერიალური სტიმულირების ფორმებს, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფას, წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას და სხვა.

რეგიონული აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიზნებია:

- ეფექტური და მდგრადი წარმოება;
- სტაბილური კონკურენტული სასურსათო ბაზარი;
- სოციალური სფეროს განვითარება;
- სოფლის ეკოლოგიური განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება;
- შრომის ნაყოფიერების ამაღლება;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავების განვითარება ინოვაციური ტექნოლოგიებით;
- რესურსებისა და ენერჯის დაზოგვის ზრდა;
- სტრუქტურული დისპროპორციების ლიკვიდაცია;
- შიდა და გარე ბაზრების ფუნქციონირების ეფექტურობა;
- კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვება;
- აგრარული მარკეტინგის განვითარება;
- ეფექტური კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება;
- სოფლის მოსახლეობის დასაქმების გაზრდა;
- სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება;
- სოფლის მწარმოებლების შემოსავლების სტაბილური, მისაღები დონე;
- მოსახლეობის კულტურული და პროფესიული დონის ამაღლება;
- ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება და შენარჩუნება;
- ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა;
- სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- სოფლის მოსახლეობის სოციალური დაცვის სპეციალური რეჟიმების

შემუშავება და სხვა.

საკვლევი რეგიონის აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ინოვაციების დანერგვისათვის სათანადო პირობების შექმნა და მეცნიერული უზრუნველყოფის სრულყოფა. ამისათვის კი

საჭიროა:

ა) სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მაღალტექნოლოგიური პროექტების რეალიზება;

ბ) ინოვაციურ აგრარულ ტექნოლოგიების სფეროში სამეცნიერო კვლევების ჩატარების მხარდაჭერა, რაც გულისხმობს მიკროორგანიზმების, მცენარეთა, ცხოველთა ბიოტექნოლოგიას, ნანობიოტექნოლოგიებს, ალტერნატიული ენერჯეტიკას, საინფორმაციო-ბიოლოგიური ტექნოლოგიებს და სხვა;

გ) მეცხოველეობაში ჯიშების გაუმჯობესება, რომელიც ორიენტირებული იქნება სელექციის მიღწევების და ცხოველთა გენეტიკური პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებაზე.

აღნიშნული მიზნების მიღწევა დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობა უზრუნველყოფასთან, სასურსათო ბაზრის დაბალანსებასთან, ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონკურენტუნარიანობასთან, სოციალური გარემოს განვითარებასთან და სხვა. აგრარული სექტორის განვითარება და მისი მართვა უნდა წარმოებდეს აგრარული გარდაქმნების გადრმავეების, აგრარული წარმოების შესაძლო ფორმების ყველა მარეგულირებელი ძალისხმევის კოორდინაციის საფუძველზე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული განსაზღვრავს სოფლის მეურნეობაში სტრატეგიული მართვის პროცესის ეფექტიანობის ამაღლების აუცილებლობას, მისი განვითარების რაციონალური დაგეგმვისა და პროგნოზირების ხარჯზე.

ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, მდიდარი ტრადიციები, სოფლის მეურნეობის წარმოების თანამედროვე მდგომარეობა და საინვესტიციო მიმზიდველობა ხელს შეუწყობს საკვლევ რეგიონს გახდეს ფართო სპექტრის სურსათის ერთ-ერთი ძირითადი მიმწოდებელი როგორც ადგილობრივ, ისე მსოფლიო ბაზარზე.

სოფლის მეურნეობაში საჭირო სტრატეგიული გარდაქმნების არსი მდგომარეობს აგრარულ ურთიერთობათა მთელი სისტემის კომპლექსურ შეცვლაში მიწაზე და წარმოების სხვა საშუალებებზე საკუთრების, მეურნეობის გაძღოლისა და მეურნეობრიობის ფორმების, სოფლად სოციალური პირობების, საბაზრო მექანიზმის, აგრარული წარმოების დარგთაშორისი და ტერიტორიული სტრუქტურის, სახელმწიფო რეგულირების ღონისძიებების ჩათვლით.

ამასთან რეგიონის აგრარული სექტორს თანამედროვე პირობებში (დაბალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფინანსების უკმარისობა და სხვა) ეფექტიანი

განვითარებისათვის უხდება მრავალი სიძნელეების გადალახვა. ამიტომ აგრარული სფეროს მართვის სისტემის რაციონალიზაცია ეფუძნება არა მარტო ეკონომიკური, საფინანსო, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ღონისძიებების კომპლექსურ მიღებაზე, არამედ საფინანსო-ეკონომიკური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული, ინსტიტუციონალური, მარკეტინგული, საინოვაციო, ეკოლოგიური და სოციალური მიმართულების სტრატეგიების შემუშავებასა და რეალიზაციას. ასეთ სტრატეგიას შეეძლება სოფლის მეურნეობის წარმოების ეფექტიანი და კონკურენტული ფუნქციონირების, რეგიონის დასახული სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიების მიღწევის უზრუნველყოფა.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სტრატეგიულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სამინისტროს მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს აგრარული სექტორის დაჩქარებული ტემპებით განვითარებას, ექსპორტისათვის და ინვესტიციებისათვის გამარტივებული მარეგულირებელი გარემოს შექმნას.

რიგი ექსპერტებისა თვლის, რომ ამჟამად ქვეყნის წინაშე უნდა იდგეს სხვა გამოწვევები, მიმართული უმთავრესად საკუთარი მოსახლეობის გამოკვების უზრუნველყოფაზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მეცხოველეობის განვითარებას, ვინაიდან ამისათვის ჩვენს მთა-გორიან ქვეყანაში ყველა პირობა არსებობს და რეალური შესაძლებლობები.

ქვეყნის პრიორიტეტული სტრატეგიული პრობლემის გადასაჭრელად, საქართველოს აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტში მიზნად დაისახეს საქართველოს აგრარული სექტორის ეკონომიკური ზრდის რესურსული, მარკეტინგული, ზონალურ-დიფერენცირებული სტრატეგიული სისტემის შემუშავება. მასში გათვალისწინებული იქნება თანამედროვე ეკონომიკის ძირითადი მოტივაციური მოთხოვნების მთელი სისტემა, მიმართული ეკონომიკური ზრდისაკენ. იგი უნდა ეყრდნობოდეს საწარმო-რესურსული პოტენციალის მკაცრად მიზნობრივ შეფასებასა და რეგულირებას; საბაზრო ურთიერთობათა სივრცეში მარკეტინგული პოზიციების, შესაძლებლობებისა და მექანიზმის დარგობრივ-რეგიონალურ დიფერენცირებულ შეფასებასა და მარალი უკუგებით რეალიზაციას; წარმოების მოდიფიცირებულ და სისტემურ მენეჯმენტს; წარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით მოდიფიცირებულ ზონალურ და დარგობრივ ეკონომიკურ მექანიზმს. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შესწავლა და მიზანშეწონილობა განპირობებულია მსოფლიო გლობალიზაციის

მოთხოვნებით. აგრეთვე მან უნდა უზრუნველყოს ქვეყნის აგრარული სექტორის სტაბილური და უსაფრთხო ეკონომიკური ზრდა.

მთლიანად ეკონომიკის, განსაკუთრებით კი აგრარული სექტორის პრიორიტეტული სტრატეგიის დამუშავება დღეს ძალზე აქტუალურია. სიტუაციური ანალიზით დასტურდება ამ დარგის არასწორი გზით განვითარება, შედეგად კი მნიშვნელოვანი დისპროპორციები და მათ ხელთ არსებული აგრარული პოტენციალის უყაირათო გამოყენება. ექსპერტების აზრით, სოფლის მეურნეობის საწარმოო-რესურსული პოტენციალი ამჟამად დაახლოებით 50%-ით¹ გამოიყენება, ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალია მთის რეგიონებში.

ამიტომ, აგრარული პოტენციალის მიზნობრივად და რაციონალურად გამოყენების თვალსაზრისით, საჭიროა დამუშავდეს მეცნიერული რეკომენდაციები. საბაზრო ეკონომიკაზე ქვეყნის გადასვლამ შეაფერხა ფერმერული მეურნეობების ფორმირება და ფუნქციონირება, ადგილობრივი რესურსული პოტენციალის უდანაკარგოდ და ეფექტიანად გამოყენება, მათთვის სწორი საწარმოო მიმართულების მიცემა, გამოიწვია სოფლის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუარესება და შედეგად მიგრაციული პროცესების გახშირება. აღნიშნული უარყოფითი ტენდენციების აღმოსაფხვრელად საჭიროა ახლებურად, სოციალურ და ეკონომიკურ კრიტერიუმების გათვალისწინებით აგრარული სექტორის განვითარებისა და მისი პოტენციალის ფორმირების თანამედროვე მეთოდოლოგიური საფუძვლების შემუშავება, სწორი გადაწყვეტილებების მიღება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურული სრულყოფა, დარგობრივ-რეგიონალური ეკონომიკის ოპტიმიზაცია, ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების დანერგვა, არსებული პოტენციალის რაციონალურად გამოყენება, ადგილობრივი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ბაზრის გაჯერება, ეკონომიკური მექანიზმის თანამედროვე მოთხოვნებზე მორგებული, სრულიად ახალი, პროგრესული მოდელის დამუშავება და სხვა. აღნიშნული პრობლემების დროულად და სწორად გადაჭრა ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის ეკონომიკურ ზრდას, სასურსათო პროდუქტებით ქვეყნის თვითუზრუნველყოფას, საგარეო-ეკონომიკური კავშირების განმტკიცებას, მსოფლიო ინტეგრირებულ პროცესებში საქართველოს სტაბილურად ჩართვას და სხვა.

¹ სტატისტიკური წელიწადეული 2009. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი, 2009, გვ. 34

მომავალზე ორიენტირებული და პროგრესული ხედვით შემუშავებული სტრატეგია მჭიდრო კავშირში უნდა იყოს სამთავრობო პრიორიტეტებთან, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილიზაციას, ეკონომიკურ და ინტელექტუალური პოტენციალის განმტკიცებას, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

ზემოთ აღნიშნული სამეცნიერო-პრაქტიკული ხასიათის კომპლექსური და სრულყოფილი სტრატეგია, რომელშიც ასახული იქნებოდა აგრარული სექტორის ფუნქციონირების ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემო, ეკონომიკურ-ორგანიზაციული სისტემა რეგიონალურ-დარგობრივი მოდიფიკაციებით, ქვეყნისათვის და ცალკეული რეგიონისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურებებით, რესურსული და საწარმოო პოტენციალით, ეკონომიკური და ინსტიტუციონალური მექანიზმით, ინტეგრაციის განვითარების შესაძლებლობებითა და ფორმებით, საქართველოში სამწუხაროდ, არ არის შემუშავებული.

ამგვარი პრიორიტეტული სტრატეგიის დამუშავებას დიდი თეორიული და პრაქტიკული დანიშნულება აქვს. მეცნიერებს შეეძლებათ მასზე, როგორც საფუძვლიან, უტყუარ, ერთ სისტემაში მოყვანილ მასალაზე, დაყრდნობა. მასში უნდა შედიოდეს თავმოყრილი მასალები, ცნობები, მონაცემები, პარამეტრები, შეფასებები და პოზიციები სოფლის მეურნეობის მთელი სისტემური ციკლის მიხედვით. ხოლო ფერმერები, ოჯახური მეურნეობები და აგრარული სფეროს მუშაკები შეძლებენ მასში ასახულ ეკონომიკურ-ორგანიზაციულ დონისძიებათა კომპლექსისა და რეკომენდაციების ეფექტიანად გამოყენებას და სტაბილურ კვლავწარმოებას. სწორედ ყოველივე ზემოთაღნიშნული წარმოადგენს პრიორიტეტული სტრატეგიის დამუშავების მიზანს.

აღნიშნულმა სამუშაოებმა ერთიან ციკლში უნდა მოაქციოს რეგიონალურ-დარგობრივი, ეკონომიკურ-ორგანიზაციული, რესურსული, ინსტიტუციონალური და მეცნიერული პოტენციალი, სხვადასხვა მიღწევები, რეკომენდაციები, მომავლის მიდგომები.

აგრარულ სექტორში დასახული მიზნების რეალიზაციისათვის საჭიროა გადაწყდეს შემდეგი ამოცანები:

- შეფასდეს სოფლის მეურნეობის განვითარების ეკონომიკურ-ტექნოლოგიური და მარკეტინგული გარემო და ჩატარდეს მრავალფაქტორული სიტუაციური ანალიზი;

- დამუშავდეს სოფლის მეურნეობის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია და აგრობრივ-რეგიონალური მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგნოზი;

- რეალურად შეფასდეს აგრარული საწარმოო-რესურსული პოტენციალი, მისი ამჟამინდელი გამოყენება და პროგნოზი;

- ზონებისა და დარგების მიხედვით დამუშავდეს მოდიფიცირებული ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის და მათი პრაქტიკული გამოყენების რეკომენდაციები.

ყველა ამ საკითხის დადებითად გადაჭრა ხელს შეუწყობს დღეს არსებული ეკონომიკური დისპროპორციების დაძლევას.

მთლიანად დედამიწის მოსახლეობის ზრდის ფონზე მისი სასურსათო მომარაგების გაუმჯობესების უზრუნველყოფა თანამედროვე ცივილიზაციის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე გამოწვევას წარმოადგენს. შექმნილი სიტუაცია როგორც გლობალური მასშტაბით, ისე ცალკეული სახელმწიფოს მხრიდან მოითხოვს ქმედით და ეფექტური ღონისძიებების გატარებას, რათა მიღწეული იქნეს მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის გაუმჯობესება და პლანეტაზე არსებული აგრარული პოტენციალის მაქსიმალურად რაციონალური გამოყენება, ამასთანავე ყოველივე განხორციელდეს გარემოსადმი უსაფრთხო მეთოდებით. ანუ დასახული ღონისძიებები საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას.

ამ მხრივ საკმაოდ სავალალო მდგომარეობაა საქართველოშიც, ვინაიდან ქვეყნის აგრარული პოტენციალის ნახევარზე მეტი გამოუყენებელია, აგრარულ სექტორში გასატარებელი ღონისძიებები არ არის გათვლილი გრძელვადიან პერსპექტივაზე და მდგრად განვითარებაზე.

აგრარული პოტენციალის შესწავლისას ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგზე: ფერმერების დამოკიდებულება განსახილავ საკითხისადმი, აგრარული სფეროს მუშაკთა კვალიფიკაციის დონე, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა, სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკა, აგრარული სექტორის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, ქვეყანაში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პოზიციები შიდა და საერთაშორისო აგრარულ ბაზრებზე, ბუნებრივი პოტენციალი და სხვა. ჩამოთვლილ ელემენტების ერთობლიობა ურთიერთკავშირში იმყოფება და ცალკეული მათგანის მოშლა დიდ გავლენას მოახდენს მთლიანად სისტემის ნორმალურად ფუნქციონირებაზე.

აგრარულ სექტორმა მიზნად უნდა დაისახოს, რომ საერთაშორისო დონეზე

საქართველოს ბრენდი გახდეს მაღალი ხარისხის, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია, რაც ხელს შეუწყობს აგრარულ სექტორში წარმოებული პროდუქციის ექსპორტის განვითარების გამოყენება და სხვა.

ექსპერტების შეფასებით, საქართველოს აგრარულ პოტენციალს შეუძლია 8-12 მილიონი ადამიანის სურსათით უზრუნველყოფა, მაშინ როდესაც დღეს ქვეყანა თავისი პოტენციალის ნახევარსაც არ იყენებს. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო მცირემიწიანი, თანაც ძირითადად მთიანი ქვეყანაა (სავარგულებს მასში მხოლოდ 13% უკავია), აუცილებელია მიწის რესურსების, როგორც აგრარული სექტორის ყველაზე მნიშვნელოვანი პოტენციალის და ქვეყნის სიმდიდრის, ეფექტიანად გამოყენება. მიწა ერთად-ერთი წყაროა ადამიანთა გამოსაკვებად, ამიტომაც მას ჩვენში დედა-მიწას უწოდებენ.

აგრარული რეფორმის სტრატეგიული მიზანი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება და სასურსათო პრობლემის გადაჭრა უნდა იყოს. ამიტომაც სამომხმარებლო კალათა უნდა გახდეს უახლოესი ორიენტირი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ძირითადი მიმართულებები. საჭიროა სრულად ამოქმედდეს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის ზრდის ფაქტორები, როგორცაა მიწა, შრომა, კაპიტალი, სამეწარმეო უნარი და სახელმწიფოებრივი მართვის ქმედითუნარიანობა. დღეს კი ჩვენში არც ერთი ამ ფაქტორთაგანი სრულყოფილად არ გამოიყენება.

მოსახლეობის სურსათზე მოთხოვნილების ზრდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ზრდას. ბუნებრივი რესურსები სასურსათო პროდუქციის წარმოების გასაფართოებლად მსოფლიოში უკიდურესად შეზღუდულია. მათი განაწილების საკითხი ყოველთვის და ყველგან ძირითად პრობლემას წარმოადგენდა, მომავალში კი უფრო გამწვავდება. ასეთ ვითარებაში საქართველო შესაბამისი ღონისძიებების გატარების გარეშე ბაზრის კონიუნქტურაზე და სურსათის მწარმოებელ ქვეყნებზე დამოკიდებული გახდება, რაც საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. გასათვალისწინებელია, რომ სასურსათო პრობლემა, განეკუთვნება მსოფლიო გლობალურ პრობლემათა კატეგორია, რომლის გადაწყვეტა ორგანულადაა დაკავშირებული პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ფაქტორებზე. ამიტომ სასურსათო უსაფრთხოება განხილული უნდა იქნეს თანამედროვე მსოფლიოში არსებულ რეალობათა კონტექსტში, ერების თანაარსებობის და მათი შემდგომი განვითარების ინტერესების გათვალისწინებით.

იმ ფაქტორებს შორის, რომლებმაც შეიძლება რადიკალური გავლენა მოახდინოს დედამიწის, მათ შორის საქართველოს მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის საკითხს, მიეკუთვნება: სახნავი მიწების ფართობების განუხრელი შემცირების ტენდენცია; სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის ზრდის ტემპის შენელება; საძოვრული მეცხოველეობის მასშტაბების შემცირება საძოვრების პროდუქტიულობის დაცემის გამო და სხვა.

სასოფლო სამეურნეო წარმოების ძირითადი სტრატეგიული რესურსები შედგება ხუთი ჯგუფისაგან:

- ბუნებრივი რესურსები;
- ძირითადი საშუალებები (ძირითადი კაპიტალი);
- საბრუნავი საშუალებები (საბრუნავი კაპიტალი);
- შრომითი რესურსები (ადამიანური კაპიტალი);
- სამეცნიერო-ტექნიკური და ინფორმაციული პოტენციალი.

სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის, მოსახლეობის სურსათით, მრეწველობისა კი ნედლეულით უზრუნველყოფისათვის საქართველოს საკმარისი რაოდენობით გააჩნია ბუნებრივი, საწარმოო და შრომითი რესურსები.

ჩატარებული კვლევა და ანალიზი გვიჩვენებს, რომ არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენება და სოფლის მეურნეობის წინმსწრები განვითარება ამ ეტაპზე უნდა ითვლებოდეს ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიის პრიორიტეტულ მიმართულებად რაც განპირობებულია შემდეგი ობიექტური ფაქტორებით:

1. სოფლის მეურნეობა ეროვნული მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია, რომლის პოტენციალის რაციონალურად გამოყენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის მთელი ეკონომიკის აღორძინებისათვის.

2. სოფლის მეურნეობა არის კვების მრეწველობისათვის ნედლეულის ძირითადი მიმწოდებელი, მთლიანად კი აგრარული სექტორი მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის საფუძველია და განსაზღვრავს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას.

3. სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება უმნიშვნელოვანესი პირობაა ქვეყნის მოსახლეობის დასაქმების უზრუნველსაყოფად და უმუშევრობის დონის შესამცირებლად.

4. სოფლის მეურნეობა არის სოფლის მოსახლეობის ცხოვრების სფერო და შემოსავლების წყარო. ამიტომაც სოფლის მეურნეობის წარმოების მდგომარეობა განსაზღვრავს ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილის ცხოვრების დონესა და

ხარისხს, რაც დიდ გავლენას ახდენს სოფლის მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების მიგრაციაზე. აღსანიშნავია აგრეთვე მისი როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორის როლი საზოგადოების სოციალურ სტაბილურობაში.

5. აგრარულ სექტორში ფინანსებისა და საინვესტიციო რესურსების უკმარისობის ამჯამინდელ პირობებში უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სხვა დარგებთან შედარებით სოფლის მეურნეობის მცირე კაპიტალტევალობა და ინვესტიციების სწრაფი უკუგება.

თუმცა, ყოველივე ზემოთ თქმული არ ნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობა უნდა განვითარდეს ეროვნული მეურნეობის სხვა დარგების დაზარალებით, მაგრამ მიზანშეწონილად მიგვაჩნია იგი განვითარდეს წინმსწრები ტემპით და საწარმოო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებით.

ეს თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ეკონომიკაში საერთო კრიზისის გადალახვას, მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას, საინვესტიციო რესურსების გაზრდას, მოსახლეობის უზრუნველყოფას საკუთარი წარმოების სურსათით, სოფლისა და მთელი ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას და სხვა.

სოფლის მეურნეობის განვითარება, როგორც არა ვიწროდარგობრივი, არამედ კომპლექსური პრობლემა, თავის სტრატეგიაში უნდა ითვალისწინებდეს მდგრად განვითარებას ინტენსიფიკაციის გზით – მეცნიერების, ტექნიკისა და აგროტექნოლოგიის მიღწევათა მაქსიმალური გამოყენებით და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონკურენტუნარიანობით როგორც ადგილობრივ, ისე მსოფლიო ბაზარზე.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს აგრარული სექტორის განვითარებაში არსებული პრობლემებიდან ნათლად ჩანს, რომ დარგი განიცდის სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისს, რაზეც მეტყველებს ქვეყნის მოსახლეობის უმეტესი ნაწილისა და მით უფრო სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონე. ამ კრიზისიდან თავის დასაღწევად დაუყოვნებლივ უნდა შემუშავდეს შესაბამისი სტრატეგიული მიმართულებები. ხოლო აღნიშნული სტრატეგიული მიმართულებების შემუშავებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ეროვნული აგრარული სექტორის განვითარების დარგობრივი და რეგიონალური თავისებურებები, ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა, ტრადიციები, არსებული და პოტენციური რესურსები. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილთან ერთად სოფლის მეურნეობის განვითარება უნდა

შეესაბამებოდეს მსოფლიო ბაზრისა და ეკონომიკის ძირითად მოთხოვნებს.

საქართველო აგრარული ქვეყანაა, ამიტომ მთავრობამ და ხალხმაც უნდა იზრუნონ და ყველა შესაძლებელი და დასაშვები ღონე გონივრულად გამოიყენონ ამ დარგის ეფექტიანად წარმართვისათვის.

ქვეყნის აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებში უნდა აისახოს ეფექტიანად შემუშავებული დარგობრივი სტრუქტურა, გამოიყოს პრიორიტეტული დარგები, შემუშავდეს ქვეყნისა და რეგიონების რესურსული პოტენციალის ეფექტიანად და რაციონალურად გამოყენების ღონისძიებანი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნული მეურნეობის იმ დარგებს, რომლებიც უზრუნველყოფს ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოებას, რაც დაიცავს ჩვენს მოსახლეობას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებულ შიმშილის საფრთხისაგან.

საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები საშუალებას იძლევა სხვადასხვა რეგიონში ეფექტიანად განვითარდეს როგორც მემცენარეობის, ისე მეცხოველეობის დარგები, ხოლო მათ მახლობლად დაიგეგმოს და აშენდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოები. ამით რეგიონებს შეეძლებათ მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოება, დასაქმების ღონის გაზრდა, ადგილზე მოსახლეობის დამაგრება და სხვა.

გასათვალისწინებელია ის მნიშვნელოვანი ფაქტიც, რომ აგრარული სექტორის აღორძინება და განვითარება განაპირობებს სოფლის მეურნეობასთან მჭიდრო კავშირში მყოფ ეროვნული მეურნეობის სხვა დარგების განვითარებასაც. ასეთ დარგებს მიეკუთვნება კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობა, მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების წარმოება, ტურიზმი, ვაჭრობა, კომბინირებული საკვების წარმოება, მსუბუქი და მძიმე მრეწველობა, ავტოტრანსპორტი და მრავალი სხვა. მათი განვითარებით კი ქვეყანაში შეიქმნება უამრავი სამუშაო ადგილი და მკვეთრად შემცირდება უმუშევრობა.

აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებში გასათვალისწინებელია აგრეთვე ამ დარგის განვითარებისათვის ბიუჯეტიდან მეტი სახსრების გამოყოფა და სტიმულირებისათვის ფერმერებზე გაცემა.

როგორც პროფ. პ. კოლუაშვილი აღნიშნავს, „უნდა შეიქმნას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რომლითაც მკაფიოდ განისაზღვრება სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტები და მათი რეალისაციისათვის საჭირო ფინანსური დანახარჯები, წინასწარ განისაზღვრება ამ სექტორის აღორძინებისათვის

შესაბამისი პირობები, ანუ საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურის შესაქმნელად საჭირო სუბსიდიების კონკრეტული მოცულობა...“.

აგრარული დარგის სტრატეგიული მიმართულებები უნდა შეიცავდეს აგრეთვე გლეხურ მეურნეობათა ნებაყოფლობით კოოპერირებას, მიუხედავად იმისა, რომ ძალზედ მისასაღმებელია გლეხებზე საკუთრებაში მიწების გადაცემა, მაგრამ ფაქტიურად ისინი მიწით ხელში დარჩნენ უამრავი, დამოუკიდებლად გადაულახავი პრობლემის წინაშე. სწორედ ამისათვის არის მთავრობის დონეზე შესამუშავებელი აგრარული დარგის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები.

მართალია, აგრარულ სფეროში ნაწილობრივ განხორციელდა რეფორმები, მაგრამ ისინი არ იყო უზრუნველყოფილი არც ნორმატიული აქტებით, არც მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, არც სხვა რესურსებით.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყის ეტაპზე სასურველია აგრარული სექტორის სხელმწიფოებრივი რეგულირება, რომელიც სხვა სახის ხელშეწყობასთან ერთად, განსაზღვრული ღონისძიებების გატარებით უზრუნველყოფს ნედლეულის მწარმოებელ და გადამამუშავებელ დარგებს შორის სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სფეროებს შორის პარიტეტულობას. ეს კი საჭიროა იმიტომ, რომ დღეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე, მანქანა-იარაღებზე, სასუქებსა და სხვა საშუალებებზე ფასების ზრდის ტემპი 2-ორჯერ მეტად აღემატება სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასების ზრდის ტემპს.

ინტეგრაციის განვითარების უმაღლესი საფეხურია მსოფლიო გლობალიზაცია, რაც გულისხმობს ახლო მომავალში ერთიან მსოფლიო მეურნეობის შექმნას. საქართველო ამისათვის ეხლავე უნდა მოემზადოს, განავითაროს ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად სოფლის მეურნეობის დარგიც, რათა ქვეყანამ აწარმოოს არა მარტო თავისი მოსახლეობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საჭირო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობა, არამედ იმდენი და ისეთი ხარისხის კონკურენტუნარიანი პროდუქციაც, რომელიც დააკმაყოფილებს მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებს. გლობალიზაციამ საქართველოზე უარყოფითად რომ არ იმოქმედოს, საჭიროა ეფექტიანად იქნეს გამოყენებული პრიორიტეტები და უპირატესობები, ესენია გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური, აგრეთვე ქვეყანაში არსებული რესურსული, ინტელექტუალური პოტენციალი და სხვა.

თავი 3. აგრარული პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების

მიმართულებები

3.1. აგრარული პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების შემაფერხებელი ფაქტორები

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ქვეყანაში შექმნილმა არასტაბილურმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ვითარებამ მკვეთრად გაამწვავა საერთო მდგომარეობა, ჩიხში მოამწვევდია ეროვნული მეურნეობის ყველა დარგი, მათ შორის აგრარული სექტორიც. საგარეო ეკონომიკური კავშირების მოშლამ, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან, ასევე სხვა ქვეყნებთან ჩაის, ციტრუსის, ღვინის, კონიაკის, ხილის, ბოსტნეულის, საადრეო კარტოფილის და სხვათა დიდი რაოდენობით ექსპორტიორ ქვეყანას საერთაშორისო ბაზარზე თავისი ადგილი დაუკარგა და თითქმის ყველა სახის სასურსათო პროდუქტების იმპორტიორად აქცია.

საბჭოთა კავშირის პერიოდში საქართველო დიდ როლს ასრულებდა შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. საქართველოს წილი მთელი საბჭოთა კავშირის სასურსათო პროდუქტებით ვაჭრობაში შეადგენდა 10%-ს, ხოლო ექსპორტი ჭარბობდა იმპორტს 1,7%-ით, მაგრამ ბოლო პერიოდში მთლიანად შეიცვალა მდგომარეობა. 1996 წელს იმავე პროდუქტების იმპორტი იგივე ქვეყნებთან 2,1-ჯერ აღემატებოდა ექსპორტს, ხოლო 2005 წელს 1,9-ჯერ.

2010 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 4051 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 17%-ით მეტია; აქედან ექსპორტი 977 მლნ აშშ დოლარი იყო (33%-ით მეტი), ხოლო იმპორტი კი – 3074 მლნ აშშ დოლარი (12%-ით მეტი). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2010 წლის იანვარ-აგვისტოში 2098 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (4%-ით მეტი წინა წელთან შედარებით).

გარდამავალ პერიოდში საქართველოზე უარყოფითი გავლენა ბევრმა ფაქტორმა მოახდინა. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

- უკიდურესად არასტაბილური სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება;
- ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან არსებული ეკონომიკური კავშირების გაწყვეტა;

- არახელსაყრელი პირობები შეექმნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებს. ადგილი ქონდა წარმოების რესურსებზე ფასების ზრდას, ხოლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების შემცირებას;

- სუბსიდირებისა და დაკრედიტების სისტემის მოშლა;

- კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების მსხვილი მიწების მცირე მიწებად დაქუცმაცება და მსხვილი პრივატიზება საჭირო ინსტიტუციური ხელშეწყობის გარეშე;

სწორედ ასეთმა და მსგავსმა სხვა მრავალმა მოქმედებებმა მსხვილ ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობა გადააქცია საკუთარ მოხმარებაზე ორიენტირებულ მეურნეობად და თითქმის მთლიანად აადებინეს ხელი საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე.

ყოველივე ამის შედეგად საქართველოში დაეცა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, შემცირდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საერთო წარმოება, რეალური საფუძველი გამოეცალა სოფლის მეურნეობის საწარმოო პოტენციალის კვლავწარმოებას.

აგრარული პოტენციალის გამოყენებაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზის დროს აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდეგი თავისებურებანი: მიწა სოფლის მეურნეობაში გამოდის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალება; სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტერიტორიული განლაგება განაპირობებს წარმოების სტრუქტურის ტერიტორიულსაწარმოო პრინციპებით აგების აუცილებლობას; კვლავწარმოების ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულება; საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმათა მრავალფეროვნება; საიჯარო ურთიერთობების არსებობა; სოფლის მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური არაერთგვაროვნება; ქალაქსა და სოფელს შორის არსებული განსხვავება, რომელიც მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის მრავალი საკითხის თავისებურად გადაწყვეტას.

აღნიშნული თავისებურებები საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან წინანდელი დანახარჯებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანად განვითარება არ შეიძლება. დღეს რესურსების გაზრდის პრაქტიკული შესაძლებლობა არ გაგვაჩნია. გამოსავალი მხოლოდ მათი გამოყენების გაუმჯობესებაში, უკუგების ამადლებაშია.

დასმული ამოცანის გადაჭრის მთავარი გზა სოფლის მეურნეობის ყველა

დარგში არის წარმოების ინტენსიფიკაცია, არსებული შეზღუდული რესურსების პირობებში უფრო მაღალი შედეგების მიღწევა. ამისათვის კი მნიშვნელოვანია, რომ ყველა საკითხის გადაწყვეტისას შევარჩიოთ რესურსდამზოგავი ვარიანტი, პრიორიტეტი უნდა მიეცეს იმ სფეროებს და უბნებს, რომლებიც ამჟამად სუსტად არიან განვითარებულნი და ამცირებენ საბოლოო შედეგს. მას ექვემდებარება სოფლის მეურნეობაში მთელი სტრუქტურული და საინფორმაციო პოლიტიკა.

მოცემული ამოცანის გადაწყვეტა დამოკიდებულია სოფლის მეურნეობაში ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ეფექტიან ფუნქციონირებაზე. თითოეულ ორგანიზაციულ ფორმას გააჩნია პოტენციალის უკუგების ამაღლების რეზერვი. მთავარი მათი ამოქმედება და ინტენსიური წარმოების სამსახურში ჩაყენებაა, მაგრამ ეს თავისთავად არ მოხდება, ამისათვის საჭიროა ეკონომიკური და სამეურნეო მექანიზმების სტრუქტურების სრულყოფა.

ამრიგად, აგრარულ წარმოებაზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა წარმოადგენს პირველხარისხოვან ამოცანას, რომლის გადაჭრა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე პირობებში. საქართველოში აგრარული სექტორის განვითარებაზე მოქმედი ხელშემშლელი ფაქტორების ანალიზის თეორიული და პრაქტიკული საკითხების დამუშავება დამოკიდებული იქნება იმ მიმართულებების შემეცნებაზე, რომლებიც გავლენას ახდენენ ორგანიზაციული ფორმების ფუნქციონირებაზე. ეს პირველ რიგში იქნება საკუთრებითი ურთიერთობები, ეკონომიკის მრავალწეობიანობა და ცივილიზებული ბაზრის განვითარების ტემპები და ეფექტიანობა.

აგრარულ წარმოებაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა შემდეგი მიმართულებებით უნდა განხორციელდეს:

1. საკუთრების ფორმების თანაფარდობის გაანალიზება;
2. მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილების გზების ძიება;
3. საშინაო და საგარეო ბაზრის კონიუქტურის დინამიკის კანონზომიერებების გამოვლენა, მათი ურთიერთკავშირის მანევრირების დასახვა;
4. დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფის გზების ძიება.

პირველი მიმართულება გამოავლენს საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელ თანამედროვე ორგანიზაციულ ფორმებს, უზრუნველყოფს ეკონომიკაში მრავალწეობიანობის დამკვიდრებას. საკუთრების ფორმების შესაბამისი ფერმერულ მეურნეობათა ტიპების შეფასება საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ საკუთრების ფორმების ოპტიმალური თანაფარდობაც; მეორე

მიმართულებით კვლევა საშუალებას მოგვცემს გამოიძებნოს მწარმოებელთა და მომხმარებელთა თანამშრომლობის ფორმები; ასევე იგი მოიცავს მოთხოვნის შეფასებას მომხმარებელთა შემოსავლების გათვალისწინებით, რაც მოამზადებს ნიადაგს მწარმოებელთა და მომხმარებელთა სამართლებრივი ბაზის შესაქმნელად; მეოთხე მიმართულების კვლევამ პასუხი უნდა მოგვაძებნინოს კითხვაზე: რა ადგილს დაიკავენ საქართველო ეროვნულ და მსოფლიო ბაზრის სტრუქტურაში? საბაზრო კავშირურთიერთობათა მანევრირებით აგრარული სექტორი მუდმივად ორიენტირებული გახდება საბაზრო მოთხოვნებზე და საშუალება მოგვცემს საინვესტიციო უზრუნველყოფის შესაბამისად განვსაზღვროთ პრიორიტეტული დარგები.

აგრარული სექტორის შეუფერხებელი და სტაბილური განვითარებისათვის აუცილებელია შეიქმნას ახლებული მართვის მოდელი და სტრატეგია.

მართვის ძირითად ფორმად მხოლოდ რაიონული რგოლები უნდა იქნეს მიჩნეული. ე.ი. საჭიროა სამართავი რგოლების შემცირება. წარმოება და მართვა უნდა დაუახლოვდნენ ერთმანეთს.

რეგიონის აგრარული სექტორის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა დღეს საბოლოოდ ფორმირებული არ არის. წარმოების სფეროში მომხდარი ცვლილებების საფუძველზე რეგიონის აგრარული სექტორის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა შესაძლებელია შემდგენიარად იყოს (იხ. სქემა 3.3.) გავითვალისწინეთ, რომ აგრობიზნესის განვითარებაზე გავლენას ახდენს ბუნებრივი და ეკონომიკური ფაქტორები, დარგებს შორის პარტნიორული თანამშრომლობა და ინტერესთა შეთანაწყობა.

ასეთი პრინციპით აგებული აგრობიზნესის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს მისი სფეროებისა და დარგების საბაზრო ურთიერთობებზე თანმიმდევრულ გადასვლას, და რაც მთავარია საშუალებას იძლევა მოხდეს ამ სფეროზე მოქმედი ფაქტორების იდენტიფიკაცია ყველა რგოლში.

რეგიონის აგრობიზნესის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს: სოფლის მეურნეობის სამმართველოებს; სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, (სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, ფერმერული მეურნეობა, საოჯახო მეურნეობები, მომსახურე საწარმოები); გადამამუშავებელ მრეწველობას (ჩაის ფაბრიკა, თხილის გადამამუშავებელი საწარმოები, წისქვილკომბინატები, ღვინის ჩამოსასხმელი ქარხანა, ეთერზეთების საწარმოები); მომსახურე საწარმოები (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომარაგების საწარმოები, ვეტერინალური

სამსახური და სხვა).

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოების საფუძველი უნდა იყოს ბაზრის მოთხოვნები. საბაზრო კონიუქტურის გათვალისწინებისა და წარმოების ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, აუცილებელია განისაზღვროს რა და რამდენი სახის ნედლეულის წარმოებაა შესაძლებელი ქვეყანაში და მოცემულ რეგიონში. ეს თავის მხრივ ხელს შეუწყობს ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებას, გამოავლენს დარგებისა და ქვედარგების გონივრული შეთანაწყოების გზებსა და ფორმებს, შექმნის წარმოების წესის ეკონომიკურ და ორგანიზაციულ საფუძველს და სხვა.


საქართველოში მათ შორის სამეგრელოს რეგიონში აგრარული სექტორზე რისკ ფაქტორების ზემოქმედებისაგან შემცირება მოითხოვს შემდეგი ღონისძიებების გატარებას:

- აგრარული სექტორის მართვის ერთიან ობიექტად ჩამოყალიბებას;
- აგრარული სექტორის ყველა დონეზე სახელმწიფო და სამეურნეო მართვის ფუნქციების გამიჯვნას;
- მიზანმიმართული სოციალური, სასურსათო და სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის განხორციელებას;
- სასურსათო დარგების განვითარების სახელმწიფო განსაკუთრებით რეგიონული პროგრამების დამუშავებას და განხორციელებას;
- აგროსერვისის ახლებური ორგანიზაციას;
- სხვა ქვეყნებთან სამეცნიერო-ტექნიკური, სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციას;
- გარემოს დაცვას;
- სასურსათო ბაზრისა და მასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებისათვის ეკონომიკური ნორმატივების სისტემის ჩამოყალიბებას მწარმოებლისა და მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინებით;
- მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას, ფერმერების სწავლებას;
- ეკონომიკური მექანიზმის დამუშავება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს წარმოების კოოპერაციისა და ინტეგრაციის განვითარება;
- სახელმწიფო მართვის ორგანოების მოქმედების შეთანაწობა კერძო და კოოპერაციულ საქონელმწარმოებლებთან, ნებაყოფლობით შექმნილ ასოციაციებთან, გაერთიანებებთან და სხვა სტრუქტურებთან ხელშეკრულების, კონტრაქტებისა და შეთანხმების საფუძველზე, რომლებიც გაფორმდება

სახელმწიფო მართვის ორგანოებსა და ცალკეულ საქონელმწარმოებლებს შორის,

რეგიონის აგრარული სექტორის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა

სქემა 3.



მოსახლეობის კვების პროდუქტებით და მრეწველობის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით მომარაგებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს წინაშე მდგარი პრობლემებიდან ერთ-ერთი ყველაზე უმწვავესია სასურსათო პრობლემა, რომლის გადაწყვეტა ძალიან ძნელია ისეთ პირობებში, როცა ქვეყანას არ გააჩნია საკმარის რაოდენობით ვალუტა, სურსათის დეფიციტის შესავსებად ობიექტურად აუცილებელი ხდება სასურსათო დარგების დაჩქარებული ტემპებით განვითარება და ადგილობრივი წარმოების საკვებით მოსახლეობის უკეთ უზრუნველყოფა.

სურსათის ადგილობრივი რესურსების წარმოების გადიდება ობიექტურად მოითხოვს სოფლის მეურნეობის ისეთი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებას, სადაც წამყვანი და პრიორიტეტული ადგილი მინიჭებული ექნებათ იმ პროდუქტების (კულტურების) წარმოებას, რომლებიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ ქვეყნის სასურსათო ბალანსის ფორმირებაში. ასეთ დარგებად და კულტურებად მიჩნეულია მარცვლეულის მეურნეობა, კარტოფილი, ზეთოვანი კულტურები, შაქრის ჭარხალი და ა.შ. ხოლო საკვლევ რეგიონში ჩაი, ციტრუსი, თხილი და ა.შ.

როგორ დავაინტერესოთ მწარმოებელი სწორედ იმ პროდუქტების წარმოებით, რომელიც განვითარების ამა თუ იმ სტადიაზე ესაჭიროება საზოგადოებას, უფრო ეკონომიკური და ხელსაყრელია ქვეყნისათვის და საბოლოო ანგარიშით თვით მწარმოებლისათვისაც.

ამ პრობლემას ყველა ქვეყანაში ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით წყვეტენ, მაგრამ მიდგომა პრაქტიკულად ყველგან ერთია, კერძოდ, ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში სახელმწიფო ატარებს მიზანმიმართულ პროტექციონისტულ პოლიტიკას ან მთელი აგრარული სექტორის, ან მისი ცალკეული დარგების მიმართ. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი მხარდამჭერი პროტექციონისტული პოლიტიკა რიგ ქვეყნებში კანონის რანგშია აყვანილი და როგორც წესი, ხანგრძლივი პერიოდისთვისაა გამიზნული. ჩვენს ქვეყანაში კი ასეთი პოლიტიკა რიგი

ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო არ შემუშავებულა და ბუნებრივია, არც ხორციელდება. პირიქით, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ფაქტია, რომ უკანასკნელ პერიოდში ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქციაზე ფასების ისეთი პარიტეტი, რომელიც ამ უკანასკნელის სასარგებლოდაა, უფრო მეტიც 2000-2005 წლებში სოფლად წარმოებული და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებზე მიყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და ნედლეული (ჩაის ფოთოლი, ყურძენი, ციტრუსი, აბრეშუმის პარკი და სხვა) დღემდე აუნაზღაურებელია.

ასეთ პირობებში აუცილებელია დაჩქარდეს აგრარული რეფორმა, დროულად გადაწყდეს მიწის პრივატიზების (საკარმიდამო ნაკვეთების გადიდების) შემდეგ სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი მიწების გამოყენების ფორმა.

სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია მაკროეკონომიკური განვითარების სტრატეგიისა და პრიორიტეტის განსაზღვრასთან ერთად ბაზარზე კონკრეტული გარემოს შექმნა და მისი დაცვა უნდა იყოს. ამასთან დაცული უნდა იქნეს არა მარტო პროდუქციის მწარმოებლის, არამედ მომხმარებლის ინტერესებიც. ამ ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს რეგულირების საბაზრო მექანიზმების ფორმირებას და მისი მოქმედებისათვის კეთილსაიმედო გარემოს შექმნას. რით უნდა მიაღწიოს სახელმწიფომ ბაზარზე მწარმოებელთა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას და პროდუქციაზე მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობას? არც თუ ისე დიდი ხნის წინათ გარკვეული წონასწორობა ნაწილობრივ მიიღწეოდა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტისა და ფასების სახელმწიფო კომიტეტის მეშვეობით.

აღნიშნული სახელმწიფო ინსტიტუტები, როგორც საბაზრო ეკონომიკისათვის შეუსაბამო ორგანოები გაუქმებულია, ხოლო სანაცვლოდ საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი სტრუქტურები არ ჩამოყალიბებულა. მხედველობაში გვაქვს ისეთი ინსტიტუტები, როგორიცაა სასაქონლო ბირჟები, სავაჭრო სახლები, კომერციული ცენტრები და სხვა,

რომელთა გარეშე ეფექტიანი საგადასახადო, საფინანსო, ფულად-საკრედიტო, საინვესტიციო და ფასების პოლიტიკის შემუშავება და გატარება პრაქტიკულად შეუძლებელია. ცნობილია, რომ შერეული ეკონომიკის პირობებში (რაც დღეს ჩვენში არსებობს) სასურსათო პროდუქტებზე მოთხოვნა-მიწოდების მაღალი კონცენტრაციის უზრუნველყოფა შეუძლია მხოლოდ კარგად ორგანიზებულ სრულფასოვან საბითუმო ბაზარს.

საბირჟო მექანიზმის გამოყენება მწარმოებელს აძლევს საშუალებას თვითონვე მიიღოს გადაწყვეტილება პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მასშტაბების შესახებ. იგი საბაზრო ფასწარმოქმნის მექანიზმის გამოყენებით სოფლის მეურნეობისა და მისი მომსახურე დარგების, სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის საქონლის ექვივალენტური გაცვლის გარანტიას იძლევა. ამასთან, როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლები, შუამავალი მყიდველები და გამყიდველები დაზღვეული ხდებიან ფასების მერყეობით გამოწვეული დანაკარგებისაგან, რადგან ფიზიკური გარიგებით პრაქტიკულად მომავალი წლის მოსავლის წინასწარი ანაზღაურება ხდება. ეს კი საშუალებას აძლევს მწარმოებელს შეიძინოს მისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და განავითაროს გარანტირებული წარმოება.

ამასთან ერთად, საჭიროდ მიგვაჩნია მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით, ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით დამუშავდეს აგრობირჟის მოწყობის პროექტიც. იგი დიდად შეუწყობს ხელს ძირითადი სასურსათო პროდუქციის შიდა ბაზრის მოთხოვნა-მიწოდების მექანიზმის ამოქმედებას.

ამ მიზნით პირველ ყოვლისა უნდა დაისვას საკითხი ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის წინაშე აგრობირჟის პროექტის შემუშავებისა და რეალიზაციისათვის სათანადო კრედიტის გამოყოფის შესახებ.

პარალელურად ქვეყანაში უნდა დაჩქარდეს საბირჟო და მარკეტინგული საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის

შემუშავება, რამდენადაც ყოველგვარი საბაზრო სტრუქტურულის შექმნა-ფორმირება და ფუნქციონირება შესაბამისი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმების საფუძველზე უნდა ხორციელდებოდეს.

მსოფლიო პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ნებისმიერი სახელმწიფო პირდაპირი (საბიუჯეტო დაფინანსების) ან არაპირდაპირი (სამართლებრივი რეგულატორებისა და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენების) გზით ერევა ქვეყნის ეკონომიკის მართვასა და რეგულირებაში.

თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, აგრარული სექტორი უნდა სარგებლობდეს სისტემატური სახელმწიფო მხარდაჭერით.

საკრედიტო პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს აგრარული სექტორის მხარდასაჭერად ცენტრალიზებული შეღავათიანი კრედიტის თავისდროულ გამოყოფას. გრძელვადიან და მოკლევადიან კრედიტებს შორის აუცილებელ თანაფრადობას. ძირითადი საშუალებების შესაძენად მიზნობრივი გრძელვადიანი კრედიტი უნდა მიეცეს არა უმცირეს 5 წლის ვადისა:

კრედიტების ოდენობა, საპროცენტო განაკვეთების დონე, მათი დაფარვის ვადები და კრედიტის გამოყენებისათვის პასუხისმგებლობის ზომები უნდა განისაზღვროს კომერციულ ბანკებსა და სესხების ამღებებს შორის შეთანხმებათა საფუძველზე, ხოლო ცენტრალიზებული კრედიტების რაოდენობა უნდა დაადგინოს ეროვნულმა ბანკმა, საკრედიტო პოლიტიკის საკითხების სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად;

რეგიონალური სოციალური პოლიტიკა უნდა განხორციელდეს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფონდების შექმნის ხარჯზე, რომელიც გამოიყენება საცხოვრებელი სახლების, ადგილობრივი გაზომმარაგების სისტემის, წყალ და თბომომარაგებისა და სხვა ობიექტების მშენებლობისა და შენახვისათვის.

ამასთან, დასახლებული პუნქტების სოციალური მოწყობის ფინანსირება უნდა განხორციელდეს სოფლის საქონელმწარმოებლების, სამრეწველო და სამშენებლო ორგანიზაციების სახსრების მოზიდვის

საშუალებით.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა შექმნან სოფლის სოციალური განვითარების ფონდები, საწარმოების, ორგანიზაციების, ფერმერული მეურნეობებისა და დაწესებულებების ნებაყოფლობითი მიზნობრივი გადარიცხვების ხარჯზე.

ყოველივე ეს მოითხოვს აგრარული სექტორის მთელი სისტემის სასწავლებლების ახალ ორგანიზაციულ პრინციპებზე მოწყობას. ამ სისტემაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ადგილობრივი პრინციპების შეხამება დარგთაშორისი და რეგიონალური კოოპერაციის და ინტეგრაციის პრინციპებთან. უნდა ჩამოყალიბდეს განათლების ყველა დონეზე სოფლის მეურნეობის პროფილის ახალი ტიპის სასწავლებლები.

ქვეყანაში ამჟამად ნორმატიული აქტების შექმნა მეტწილად ატარებს ფრაგმენტალურ, ხშირად კი წინააღმდეგობრივ ხასიათს. სერიოზული ნაკლოვანებებია საფინანსო-საკრედიტო მექანიზმში, აგრარული სექტორის საქმიანობის რეგულირებაში, სახელმწიფო, კოოპერაციული და ფერმერული მეურნეობების ფუნქციონირებაში, კოოპერატივების ორგანიზაციაში. ამასთან აუცილებელია დამუშავდეს ახალი ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავენ აგრარულ სექტორში რეფორმის მიმდინარეობას და ახალი კანონმდებლობის დამუშავებისა და მიღების დროის გარკვეული თანმიმდევრობის დაცვას, ასევე დასაჩქარებელია ადგილობრივი მმართველობის, წიადისეულის, გარემოს დაცვის, მიწის კადასტრისა და საადგილმამულო წიგნის შესახებ კანონების ბაზის შექმნა.

3.2. აგრარული სექტორის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმები

აგრარული სექტორის ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება წარმოადგენს მისი ნორმალური განვითარების აუცილებელ პირობას. იგი დაკავშირებულია შემდეგ გარემოებებზე: თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას არ შეუძლია დამოუკიდებლად გადაჭრას ისეთი პრობლემები, როგორცაა შემოსავლების არასამართლიანი განაწილება, საქმიანი აქტივობის პერიოდული დაქვეითება, უმუშევრობა, მონოპოლიზმი, ინფლაცია და სხვა. პირიქით, ეს მოვლენები საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი თავისებურებებია, რომელთა გადაწყვეტაში ვლინდება სახელმწიფოს როლი და უნარი, მისი ეკონომიკური ფუნქცია.

დღევანდელ პერიოდში ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებამ უნდა უზრუნველყოს, როგორც ეკონომიკური პროცესების რეგულირების ფუნქცია, ასევე სისტემით შექმნილი ფაქტორების როლიც. ე.ი. უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი ეკონომიკური სისტემა, რომელიც განვითარებული ქვეყნების გამოცდილებით შექმნილი უარყოფითი მხარეებისაგან იქნება განთავისუფლებული. ამ ფუნქციას სრულყოფილად თანამედროვე პირობებში საბაზრო მექანიზმი ვერ შეასრულებს. საჭიროა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების სრულიად ახალი გააზრება. სწორედ ამის გამო სახელმწიფო რეგულირება გახდა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გადამწყვეტი პირობა.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოიყოფა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ერთმანეთთან დაკავშირებული სხვადასხვა მიზანი: ეკონომიკის სტაბილური ზრდა; დასაქმების მაღალი დონე; მყარი ფასები; საგარეო ეკონომიკური წონასწორობა; თითოეული დასახელებული მიზანი ერთმანეთთან უშუალო კავშირშია.

პროფ. ლ. ჩიქავა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ძირითად მიზნად მიიჩნევს: „საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების გარდაუვალი ნეგატიური შედეგების შერბილებას და მათი უარყოფითი მოქმედების მინიმუმამდე დაყვანას, საბაზრო ეკონომიკის რაციონალური ფუნქციონირებისათვის სათანადო წინამძღვრების შექმნას, საზოგადოების არაშრომისუნარიანი და მძიმე ეკონომიკურ

პირობებში მყოფი ფენების დაცვას³⁷.

განასხვავებენ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ობიექტებს. ასეთი ობიექტებია: პირობები, პროცესები, ურთიერთობები, ეკონომიკის სექტორები, რომლებიც არადაამაკმაყოფილებლად ფუნქციონირებენ. ტრადიციულად ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მრავალრიცხოვანი ობიექტებიდან გამოყოფენ შემდეგს: ეკონომიკური ციკლი, სამეურნეო კონიუქტურა, კაპიტალის დაგროვება, ფულის მიმოქცევა, დასაქმება, კონკურენციის პირობები, ფასები, სამეცნიერო ტექნიკური პროგრესი, კადრების მომზადება, საგადასახადო ბალანსი, სოციალური ურთიერთობები, გარემოს დაცვა და ა.შ.

სახელმწიფო რეგულირების საკითხი აგრარული სექტორის საქმიანობაში ყოველთვის იყო სახელმწიფოს ყურადღების ცენტრში. მის ამოცანებს აგრარულ სექტორში წარმოადგენს:

1. აგროსასურსათო პროდუქციის წარმოების სტაბილიზაცია და განვითარება;
2. მოსახლეობის სასურსათო პროდუქციით უზრუნველყოფის გაუმჯობესება;
3. ეკონომიკური პარიტეტის მხარდაჭერა;
4. აგრარულ სექტორში და მრეწველობაში მომუშავეთა შემოსავლების დონის დაახლოება;
5. სამამულო საქონელწარმოების დაცვა ადგილობრივ ბაზარზე.

სახელმწიფო რეგულირების ძირითად მიმართულებებს აგრარულ სექტორში წარმოადგენენ:

1. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ნედლეულის და სურსათის ბაზრის ფორმირება და ფუნქციონირება;
2. დაფინანსება, დაკრედიტება, დაზღვევა, შეღავათიანი საგადასახადო სისტემა;
3. შიდაეკონომიკური საქმიანობის წარმართვისათვის სამამულო საქონელწარმოების ინტერესების დაცვა;
4. მეცნიერების განვითარება და სამეცნიერო საქმიანობის განხორციელება;
5. სოფლის სოციალური სფეროს განვითარება.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების დროს უნდა გავითვალისწინოთ ის ნაკლოვანებები და თავისებურებები, რომლებიც დამახასიათებელია აგრარული სექტორისათვის, კერძოდ:

³⁷ ჩიქავა ლ., ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი თბ., 1997 წ. გვ.86.

ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებთან დამყარებული ეკონომიკური კავშირების გარკვეულად ჩაკეტილი სისტემა, რაც დარგობრივი სპეციალიზაციის ჩარჩოებს არ სცილდება; რეფორმის პერიოდში ვერ ამუშავდა დარგთაშორისი და შიდადარგობრივი ეკონომიკური კავშირები, რის გამოც ქვეყანაში გაჩერდა რეგიონულ პროდუქტთა ქვეკომპლექსის მუშაობა. აუცილებელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დროული დანერგვა და სოფლის ინფრასტრუქტურის განმტკიცება, რაც აუცილებელია აგრარულ სექტორში ეფექტიანი კვლავწარმოების პირობების შესაქმნელად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო აგრარული სექტორი ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას სასურსათო პროდუქტებით.

ქვეყნის აგრარულმა პოლიტიკამ აგრარული სექტორის დაგეგმვისა და მართვისას უნდა გაითვალისწინოს ამ სექტორში ჩამოყალიბებული თვისებრივად ახალი და თანაც მძიმე ვითარება. ამ თვალსაზრისით ეკონომიკური პოლიტიკის ახალი კურსის უმნიშვნელოვანეს ამოცანად უახლოესი პერიოდისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს სასურსათო კომპლექსის ფუნქციონირებისათვის მინიმალურ პირობებს მაინც.

აგრარული კრიზისი მარტოდენ სასურსათო პრობლემის გამწვავება როდია, მისი არსი უფრო ღრმაა და მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს, ეკონომიკას, სოციალურ სფეროს, პოლიტიკას და ა.შ. კრიზისიდან თავის დაღწევისათვის აუცილებელია რადიკალური აგრარული რეფორმების სწორად გატარება.

აგრარული პოლიტიკის სწორი კურსის გატარებით უნდა ავამოქმედოთ ეკონომიკური ზრდის ისეთი ბერკეტები, როგორცაა: მიწა, კაპიტალი, შრომა, მეწარმეობა და სახელმწიფოს მართვა. სამწუხაროდ ჩვენს ქვეყანაში აგრარული პოლიტიკა არასწორი კურსით წარიმართა და არ მოხდა ზემოთ დასახელებული ბერკეტების კომპლექსურად ამოქმედება.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად საჭიროა პოლიტიკური და სოციალური გარემოს შექმნა. ეს სახელმწიფოს უმთავრესი ფუნქციაა და მთელი პასუხისმგებლობა მან უნდა იკისროს. სწორი აგრარული პოლიტიკის კურსის გატარებით შესაძლებელია მოკლე დროში წარმატებების მიღწევა, რომლის მაგალითია იაპონია, ჩინეთი, ჩრდილოეთ კორეა, პოლონეთი, ისრაელი, პოლანდია, რომლებმაც ამ გზით მიაღწიეს წარმატებებს მოკლე დროში.

დღეს სავსებით ნათელია, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში საკუთრებითი ურთიერთობების გარდაქმნის, მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმის ფუნქციონირების უზრუნველყოფელი ეკონომიკური და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შექმნის, სასოფლო-სამეურნეო საქონელმწარმოებლისათვის სახელმწიფოს მხრიდან დახმარების აღმოჩენის გარეშე სიტუაცია აგრარულ სექტორში კი არ გაუმჯობესდება, არამედ პირიქით, კატასტროფული აღმოჩნდება. სახელმწიფოს პრიორიტეტული ინტერესი მთლიანად უნდა შეიცვალოს მეწარმის პრიორიტეტული ინტერესის სასარგებლოდ, რაც ჩვენთან დღემდე არ მომხდარა. ფერმერებს უნდა შეექმნას რეგულარულ ბაზარზე გასასვლელი პირობები. ამისათვის საჭიროა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს შევუქმნათ თავისუფალი საქონელმწარმოებლის რეალური პირობები, პირველ რიგში, კერძო საკუთრებით ურთიერთობაზე დამყარებული წარმოება და პროდუქციის თავისუფალი ვაჭრობა. იგი უნდა ემყარებოდეს სწორ საგადასახადო, საკრედიტო, საფინანსო და სადაზღვევო პოლიტიკის გატარებას, მეორე, საჭიროა თავისუფალი ფასწარმოქმნის პრინციპების სრულად გამოყენება, საწარმოების კონკურენცია და პროდუქციის კონკურენტუნარიანობა. სწორედ ცუდი საკრედიტო, საფინანსო და სადაზღვევო პოლიტიკა გახდა საქართველოში მეწარმეობის განუვითარებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი. დღეისათვის ქვეყანაში არ არსებობს სოფლად ნამდვილი მეწარმე, რომელიც მუშაობს თანამედროვე აგრობიზნესის შესაბამისად. თუ მომავალში ასე გაგრძელდება ვერ შეიქმნება პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის ხელსაყრელი გარემო პირობები.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების პირველ ეტაპზე აშკარა იყო პროცესების სტიქიურად განვითარების ტენდენცია, რაც განსაკუთრებით მწვავედ აისახა ეკონომიკის ისეთ ტრადიციულ სფეროში, როგორცაა აგრარული სექტორი.

საქართველოს აგრარულ სექტორში საბაზრო სტრუქტურების ფორმირება საზღვარგარეთიდან მიღებული მზა რეცეპტების საფუძველზე არ უნდა წარიმართოს. მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს გლეხური და ფერმერული მეურნეობების განვითარებას ისეთი ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით, როგორცაა: გადასახადები, ფასები, მიზნობრივი სახელმწიფო სუბსიდიები მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად და სხვა. მხარი უნდა დაუჭიროს სოფლად ყველა საქონელმწარმოებელს. მანვე უნდა არეგულიროს სურსათის წარმოება, პროდუქტების ხარისხი, უმუშევრობა და ხელი შეუწყოს მარკეტინგის განვითარე-

ბას.

მთავრობის მხრიდან სასოფლო-სამეურნეო წარმოების მხარდამჭერი მიმართულებები უნდა იყოს:

1. სასოფლო-სამეურნეო საქონლის ფასებზე სტაბილურობა;
2. ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის დეფიციტისა და ჭარბწარმოების კონტროლი;
3. ექსპორტის განვითარება;
4. ქვეყნის მოსახლეობის სრული უზრუნველყოფა სურსათით;

გადასახადების დაწესების პრაქტიკა სხვადასხვა ქვეყანაში საგრძნობლად განსხვავებულია, მაგრამ მათთვის საერთოა მასტიმულირებელი როლი, რომლის საფუძველი არის საერთო შემოსავალი ან მოგება.

აგრარული რეფორმის წარმატება და საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება ბევრადაა დამოკიდებული საკრედიტო, საფინანსო, სადაზღვევო პოლიტიკასა და სუბსიდირებაზე, სახელმწიფომ ამით ვერ შექმნა მარეგულირებელი მექანიზმი და ეფექტიანად ვერ გამოიყენა ვერც ერთი ეკონომიკური ბერკეტი.

სოფლის მეურნეობაში ეკონომიკური მექანიზმის ძირითადი ბერკეტები არ ფუნქციონირებს ეფექტიანი ბაზრის რეჟიმში, თუ მას განვიხილავთ წარმოებისა და მეწარმის სტიმულირებასთან მიმართებით.

უკვე ახლა აღნიშნული პროცესის მსვლელობაში გამოვლინდა ნეგატიური მოვლენები, რის გამოც სოფლად საქონელმწარმოებლები, თვით მეწარმეები და ბიზნესმენებიც მოითხოვენ სახელმწიფოებრივი ჩარევის ერთგვარ გაფართოებას. ნეგატიურ მოვლენებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა სოფლად აგროსაინჟინრო სერვისის ორგანიზების მოუგვარებლობა, წარმოების მასშტაბების გაფართოებისათვის ნაკლები ზრუნვა, გასაღების სერვისის ორგანიზაციული ფორმების უკმარისობა და არასრულყოფა, სოფლის მეურნეობასა და სამრეწველო პროდუქციას შორის ფასების პარიტეტულობის დარღვევა, აგრარული ბაზრების ჩამოყალიბების დაბალი ტემპები, მისი ბაზრის არარსებობა, არასასურველი საგადასახადო ტვირთი, მაღალი პროცენტები კრედიტებზე, სადაზღვევო, საბაჟო სისტემის მოუგვარებლობა, დარგთაშორისი ურთიერთობების დაუბალანსებლობა და ფასების დისპარიტეტმა კიდევ უფრო დააქვეითა ქვეყნის აგრარული ეკონომიკა. მოსაგვარებელია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე სახელმწიფოს მიერ მინიმალური, გარანტირებული ფასების დაწესების საკითხი, რაც სოფლის მეურნეობის ეფექტიანი მუშაობის წინაპირობა უნდა გახდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ცივილიზებულ ქვეყნებშიც კი, სადაც საბაზრო ურთიერთობებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვთ, ფართოდ გამოიყენება ბაზრისა და მათ შორის, ფასების სახელმწიფოებრივი რეგულირების სხვადასხვა ფორმა და მეთოდი. უფრო მეტიც, საჭიროების შემთხვევაში ამ ქვეყანაში სახელმწიფო აქტიურად ერევა ეკონომიკის მართვასა და რეგულირებაში, არა მხოლოდ ეკონომიკური ბერკეტებით, არამედ ადმინისტრაციულ-განკარგულებითი მეთოდების გამოყენებითაც. საქართველოსათვის კი ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირება არათუ სასურველი, არამედ აუცილებელი ელემენტია.

აუცილებელია გამოვიყენოთ ის პროგრესული გამოცდილებანი, რომელიც დაგროვილია განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ფასების სახელმწიფოებრივი რეგულირების საქმეში. მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებში შემუშავებულია საკანონმდებლო აქტები, რომლითაც განისაზღვრება სახელმწიფო ორგანოების უფლებები ფასების რეგულირებაში, მეწარმეთა უფლება-მოვალეობანი ფასების დაწესებაში და მომხმარებელთა უფლებები (ავსტრია, საბერძნეთი, დანია, ნორვეგია, შვეიცარია, აშშ, საფრანეთი და ა.შ.). აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოებრივ რეგულირებას ექვემდებარება არა მხოლოდ სახელმწიფო სექტორში გამოშვებული პროდუქციის, არამედ კერძო სექტორის ძირითადი სახეობის პროდუქციისა და მომსახურების ფასები. როგორც წესი, რეგულირებას ექვემდებარება შემდეგი სამი ბლოკის პროდუქციის ფასები: პროდუქცია, რომელიც განსაზღვრავს ეროვნული მეურნეობის ინფრასტრუქტურას (ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ენერგეტიკა, სათბობი), პროდუქცია, რომელიც განსაზღვრულია ადამიანის სიცოცხლის კვლავწარმოებისათვის (ხორბალი, ხორცი, რძე, საბინაო-კომუნალური მომსახურება) და ბოლოს, პროდუქცია, რომელიც საგარეო ეკონომიკური ურთიერთობებისათვისაა განკუთვნილი. ამ ქვეყანაში შუალედურ პროდუქტებზე ფასები სახელმწიფოებრივ რეგულირებას არ ექვემდებარება.

ფასების სახელმწიფოებრივი რეგულირების დონე მით მეტია, რაც უფრო რთული და დაძაბულია ეკონომიკური სიტუაცია.

ფასების რეგულირებას ახდენს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანო, რომლებსაც ეს უფლებები კანონით აქვთ მინიჭებული. განსაკუთრებით დიდი გამოცდილებაა დაგროვილი ფასების სახელმწიფოებრივი რეგულირების მხრივ აშშ-ში. აქ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე (მარცვალი, ბამბა, არაქისი, თამბაქო) არსებობს საგარეო ფასები.

აგრარულ სექტორში სახელმწიფო საფასო პოლიტიკა ხორციელდება გარანტირებული და მიზნობრივი ფასების გამოყენების საშუალებით.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ნედლეულის და სურსათის ბაზარზე ეკონომიკური ურთიერთობების საფუძველს წარმოადგენს საბაზრო (შეთანხმებით) ფასები, რომლებიც ყალიბდება მოთხოვნისა და მიწოდების ზეგავლენით, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში პროდუქციის ბაზრის რეგულირების და საქონელმწარმოებელთა მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო იძულებულია გამოიყენოს გარანტირებული და მიზნობრივი ფასები. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გარანტირებული ფასები გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ საშუალო საბაზრო ფასი დაბალია გარანტირებულზე.

გარანტირებულმა ფასმა უნდა უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო საქონელმწარმოებლების მიერ მოგების მიღება, რომელიც საკმარისია გაფართოებული აღწარმოებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ გარანტირებული ფასები შეიძლება გამოყენებულ იქნეს გარკვეული სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე შეზღუდული მოცულობით. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ნედლეულის და სურსათის ჩამონათვალი, რომელზეც წესდება გარანტირებული ფასები, გარანტირებული ფასების დონე, მისი ინდექსაცია და აგრეთვე გარანტირებული ფასების გამოყენების წესი უნდა დადგინდეს ხელისუფლების მიერ. სამწუხაროდ, ამჟამად ჩამოთვლილი ელემენტები არ არის დადგენილი, რაც სახელმწიფო მხარდაჭერის ამ ფორმას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის. მიზნობრივი ფასები (ნორმალური ინდიკატორები) დგინდება ხელისუფლების მიერ მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასების პარიტეტული ურთიერთობების უზრუნველსაყოფად, დანახარჯების დაფარვისათვის, რომელიც გამოწვეულია გადასახადების და სხვა დანახარჯების გადახდით, კრედიტის პროცენტის გადახდით სოფლის მეურნეობის მუშაკების მიერ შემოსავლების მიღებისათვის, ეკონომიკის სხვა დარგის მუშაკების საშუალო დონეზე და მოგების მიღებისათვის, რომელიც საკმარისია გაფართოებული კვლავწარმოებისათვის. მიზნობრივი ფასებით დგინდება ტიპური ფერმერული მეურნეობების შემოსავლების ქვედა ზღვრული ფასი და, თუ რეალურმა საბაზრო ფასმა ამ მიზნობრივ ფასებზე ქვევით დაიწია, სახელმწიფო უნაზღაურებს ფერმერს ამ ფასსხვაობას. ამგვარი და სხვა მრავალი გამოცდილება არსებობს ფასების სახელმწიფოებრივი რეგულირების მხრივ მსოფლიოს მოწინავე ქვეყანებში.

მიზნობრივი ფასების გამოყენების წესი დგინდება ხელისუფლების მიერ.

გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი გადამუშავების, საწარმოო ტექნიკური მომსახურების და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანიზაციისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს რეგულირებადი ფასები ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. კანონით დაშვებულია სახელმწიფო აგენტის ინსტიტუტი, რომელიც ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ნედლეულის და სურსათის ბაზრის რეგულირებას და აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო საქონელმწარმოებლობის დაზღვევის მხარდაჭერას.

ამერიკის მთავრობამ ფერმერთა მხარდაჭერის მიზნით შემოიღო ორი ძირითადი მექანიზმი: პირდაპირი და არაპირდაპირი.

პირდაპირი მხარდაჭერის დროს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფედერალური ბიუჯეტიდან გამოიყოფა გარკვეული თანხა, რომელსაც სამინისტრო ნაღდ ფულად გასცემს სამთავრობო სასოფლო-სამეურნეო პროგრამებში მონაწილე ფერმერებისათვის. ამით ფერმერები იღებენ მინიმალურ ფასებსა და შემოსავლებზე გადასახადების გარანტიებს. ფერმერები ნაღდ ფულს იღებენ, როგორც სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებიდან ამოსაღებად, ისე ეროზიისაგან მიწების დასაცავად, მატყლისა და სხვა პროდუქტების წარმოების გასაღივებად. მოქმედებს აგრეთვე ფერმერის მხარდამჭერი სესხი ხორბალზე, სიმინდზე, ბრინჯზე, ბამბაზე. ფასების მხარდამჭერ სესხთან ერთად ზოგიერთი ფერმერი იღებს, აგრეთვე შემოსავლებზე დამატებით გადასახადსაც, ოღონდ იმ შემთხვევაში თუ მოწვეულ კულტურაზე ფაქტობრივი საბაზრო ფასები გარკვეულ დონეზე დაბლა დაეცემა. ამას ეწოდება „მიზნობრივი ფასის“ პროგრამა. „მიზნობრივ ფასსა“ და ფაქტობრივ საბაზრო ფასს შორის განსხვავება, რომელსაც სახელმწიფო უხდის ფერმერს არის „საგადასახადო ბალანსის დეფიციტი“.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში თავისუფალი ფასების არსებობა ფარდობითია. მათი რეგულირება ხორციელდება კონკურენციის და ანტიმონოპოლიური კანონების მოქმედების შედეგად. ფასების შეფარდებითი განთავისუფლების შედეგად ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორცაა იაპონია, ყველა ფასის დაახლოებით მესამედი რეგულირდება სახელმწიფოს მიერ, ხოლო აშშ – 40 %-მდე. რუსეთისა და აშშ-ის აგრარულ სექტორში ფასწარმოქმნა ერთმანეთის მსგავსია. სახელმწიფო აწესებს შესასყიდი და გასაყიდი ფასების დონეს, მათი დიფერენციაციის ხარისხის მიხედვით და ა.შ. ამასთან დოტაციები მემცენარეობის პროდუქციის ღირებულებაში შეადგენს აშშ-ში 27%-ს, შვეიცარიაში,

ნორვეგიაში იაპონიაში 72%-დან – 75%-მდე, ხოლო ჩვენთან ასეთი დადგენილი არ არის.

დღეს მეწარმეობისა და აგრობიზნესის სათანადო დონით განუვითარებლობით სრულად არ გამოიყენება აგრარული სექტორის საწარმოო პოტენციალი - მიწა, კაპიტალი, შრომა, მეწარმეობის უნარი.

საზოგადოებისათვის დასაშვები პარამეტრების ფარგლებში რეგულირების არარსებობამ და დაუსაბუთებელმა პროპორციებმა გაცვლის სფეროში, მიგვიყვანა ეკონომიკის კრიმინალიზაციამდე, რაც ხელს უშლის წარმოების აღმავლობას და საერთოდ ეკონომიკის განვითარებას.

იმის გამო, რომ დაეცა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, რომლის კომპენსაცია ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება სხვა საწარმოებში, როგორცაა გლეხური და ფერმერული მეურნეობები, კოოპერატივები, სვადასხვა ასოციაციური გაერთიანება, მათი გავლენა ბაზრის კონიუქტურაზე ჯერ კიდევ მცირეა, რის გამო ბაზარი ძირითადად გაჯერებულია უცხოეთიდან შემოტანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტით, რაც უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის აგრარულ ეკონომიკაზე, ხოლო სოფლის საქონელმწარმოებელთა ფინანსური მდგომარეობა კრიტიკულია. აღნიშნულის შედეგად ბევრი საწარმო გაკოტრდა და შეწყვიტა საქმიანობა. აგრარულ სექტორში ფინანსური სახსრების უკმარისობის გამო არ მოქმედებს დაზღვევის სისტემა.

განსაკუთრებით გაზრდილია ფასები იმ პროდუქციაზე, რომლებიც ამარაგებენ სოფლის მეურნეობას ენერჯო რესურსებით, მინერალური რესურსებით, სხვადასხვა მომსახურებით. ამასთან ერთად ვაჭრობის კომერციალიზაციის გამო, გაიზარდა სავაჭრო დარიცხვები და საგადასახადო-სატრანსპორტო გადარიცხვები, რის შედეგადაც სურსათის საბოლოო პროდუქტის სარეალიზაციო ფასი გაიზარდა უფრო მეტად, ვიდრე მომხმარებელთა შემოსავალი. იმპორტულ პროდუქციაზე ხელოვნურად შექმნილმა დემპინგურმა ფასებმა უფრო გაამწვა ეკონომიკური მდგომარეობა, ამან კი, თავის მხრივ განაპირობა მრავალი პროდუქტის წარმოების „სიჭარბე“, რამაც ადგილობრივი წარმოების და საქონელმწარმოებელთა გაკოტრება გამოიწვია.

ქვეყანაში ასეთი უარყოფითი მაკროეკონომიკური სიტუაცია მწვავედ აისახება რეგიონულ ფორმირებებსა და ცალკეულ დარგებშიაც. სოფლის მეურნეობაში მომუშავეთა საშუალო თვიურმა შემოსავლებმა რეგიონში 2004 წელს შეადგინა 66,2 ლარი, 2005 წელს - 85,4, 2006 წელს - 101,2, 2007 წელს - 120,1, 2008

წელს - 130,7 ლარი. ეს გამოწვეულია იმით, რომ რეგიონში შეჩერებულია ძირითადი მაღალშემოსავლიანი დარგების: მეჩაიეობის, მეციტრუსეობის პროდუქციის წარმოება, ხოლო აქ სხვა დარგების შემოსავლიანობა ძალზე დაბალია, მათ შორის მეცხოველეობაშიც.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების დონე დღევანდელ პირობებში მიზანშეწონილია დადგინდეს ყველა სურსათმწარმოებლის ინტერესთა დაცვით. ფასის დაწესებისას უნდა გამოვლიოდეთ პროდუქციის ჩამოყალიბებული თვითღირებულებიდან, გამოყენებულ მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებზე ფასების, მომსახურების ფასების, აგრეთვე სახელმწიფოს საკრედიტო და საგადასახადო პოლიტიკის ცვლილებებიდან. როგორც პროფ. ჰ. გიორგაძე აღნიშნავს აშშ-სა და ევროპის თანამეგობრობის ქვეყნების სამეურნეო მექანიზმი დამყარებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და პროდუქციის რეალიზაციის სახელმწიფო რეგულირებაზე, მათ ფაქტიურად უარი თქვეს სასოფლო სამეურნეო წარმოების თითოეული იდეაზე თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების პირობებში.³⁸

საბაზრო ეკონომიკის მთავარი პრინციპიდან გამომდინარე, თითოეულმა მწარმოებელმა უნდა აწარმოოს იმ სახის პროდუქცია, რომელიც მას მაქსიმალურ მოგებას, შემოსავალს მისცემს. ჩვენს რეალურ პირობებში მაგალითად სამეგრელოს რეგიონში, ასეთი პროდუქცია შეიძლება იყოს ციტრუსი, ჩაი, თხილი და სხვა. მაგრამ დღეს, როცა ქვეყნის სოფლის მეურნეობა ძირითადი კვების პროდუქტებით თვითდაკმაყოფილების პრინციპით უნდა იმუშაოს, ვინ აწარმოებს დაბალ რენტაბელურ, მაგრამ მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქციას, მაგალითად, ხორბალს, კარტოფილს და ა.შ. სწორედ ამიტომ, აუცილებლად მიგვაჩნია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში სერიოზული ცვლილებების შეტანა. ასეთ შემთხვევაშიც სახელმწიფო დარეგულირება აუცილებელია. ამაში ვგულისხმობთ არა თვით პროდუქციის გაცვლის პროცესში ჩარევას, არამედ იმას, რომ სახელმწიფომ უნდა გამოაცხადოს ნაკლებად მომგებიან პროდუქციის წარმოებაზე კონკურსი რიგი შეღავათებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ პროდუქტების წარმოების მომგებიანობასაც. ეს იმის გარანტიაა, რომ სახელმწიფო მთლიანად შეისყიდის მათ საბაზრო ფასებით, მისცემს მათ მწარმოებლებს

³⁸ აგრარული ეფორმის განორციელებისა და კრიზისიდან გამოსვლის პირობები საქართველოში. საქ. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. კონფერენციის მასალები. თბ. 1994

შეღავათიან კრედიტებს, დანაკარგების დაზღვევის გარანტიას, შეამცირებს გადასახადების განაკვეთებს და სხვა.

სულ ცოტა ხნის წინ ფიქრობდნენ, რომ სოფლის მეურნეობაში სამეწარმეო პირობების შექმნისათვის საკმარისია განვახორციელოთ ორი ძირითადი ღონისძიება: მიწა მივცეთ გლეხებს კერძო საკუთრებაში და უარი ვთქვათ მათ საქმიანობაში სახელმწიფო ჩარევაზე, მაგრამ დღეს, როცა ორივე ეს პირობა შესრულებულია, თვალსაჩინო გახდა, რომ სახელმწიფო რეგულირებისა და მხარდაჭერის გარეშე სოფლის მეურნეობას, არამც თუ ჩვენთან, სარისკო სამთო მიწათმოქმედების ქვეყანაში, არამედ სხვა ქვეყანაში ნორმალური ფუნქციონირება და განვითარება არ შეუძლია.

აგრარული სექტორის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მიმართულებები უნდა გახდეს:

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალური ბაზრის ფორმირება და ფუნქციონირება;

- შეღავათიანი დაფინანსება, კრედიტები, დაზღვევა და გადასახადები;

- საგარეო ეკონომიკური საქმიანობისას სამამულო საქონელმწარმოებლების ინტერესების დაცვა;

- სოფლის სოციალური სფეროს განვითარება, საინვესტიციო საქმიანობის მხარდაჭერა ძირითადად ღიზინგის გამოყენებით.

- ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება, სამელიორაციო და დასაშრობი სისტემების შენახვა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების და პირუტყვის მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლა, გარემოს დაცვა და სხვა, რომელთა ხარჯებს, კერძო, მცირე, ოჯახური მეურნეობა ვერ გაწვდება;

- კომპენსაცია და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფარვა დანახარჯების იმ ნაწილისა, რომლებიც გაწეული იქნება სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიერ მატერიალური რესურსების და ენერგომატერებლების შექმნაზე, დოტაციები საჯიშე მეცხოველეობის განვითარებაზე და სხვა.

დღეს დაწეებულ მიწის დაგირავების პროცესებში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი აუცილებელია. დაგირავებას უნდა დაექვემდებაროს არა მარტო მიწა, არამედ პროდუქცია, ნედლეული, მომავალი მოსავლის პროდუქციაც კი. ეს არსებითად გააფართოებს სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა დაკრედიტების საქმეს.

სახელმწიფოს გიროდ აღებული მიწა, პროდუქცია და ნედლეული გამოყენებული უნდა იქნას სახელმწიფო სასაქონლო ინტერვენციების გატარებისათვის, მიწის და სურსათის სახელმწიფო ფონდების შესაქმნელად.

საბაზრო ურთიერთობათა მარეგულირებელი უნდა გახდეს საგადასახადო სისტემა. ძირითადი ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც მთავრობა ზემოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე ეს არის საგადასახადო პოლიტიკა.

საგადასახადო სისტემის როლი და მნიშვნელობა აისახება თვით გადასახადების ფუნქციაში. გადასახადების ფისკალური ფუნქციის მეშვეობით წარმოიშობა სახელმწიფოს ფულადი ფონდები და იქმნება მისი ფუნქციონირებისათვის მატერიალური პირობები. ამ ფუნქციის მეშვეობით წარმოებს ეროვნული შემოსავლის ნაწილის განსახელმწიფოებრიობა ფულადი ფორმით, ქმნის ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევისათვის ობიექტურ წინაპირობებს. სწორედ ამიტომ გადასახადების ფისკალური ფუნქცია მნიშვნელოვნად განაპირობებს მისი მარეგულირებელი ფუნქციის განვითარებას. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ გადასახადები აქტიურად მონაწილეობენ ეროვნული შემოსავლის გადანაწილებით პროცესში, ასტიმულირებენ ან ანელებენ მას, აძლიერებენ ან ასუსტებენ კაპიტალის დაგროვებას, აფართოებენ ან ამცირებენ მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობას.

საგადასახადო პოლიტიკით შესაძლებელია გადაწყდეს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური, ეკოლოგიური და სხვა საკითხებიც, ამის მაგალითები ხშირად გვხვდება განვითარებული ქვეყნების საგადასახადო პრაქტიკაში.

ნებისმიერი ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკა მიმართულია ოპტიმალური საგადასახადო სისტემის შექმნისა და მისი ეფექტიანად ფუნქციონირებისაკენ, რაც გამოიხატება ქვეყნის შემოსავლების გაზრდაში და ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებაში. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გადასახადების ოპტიმალური განაკვეთის დადგენას. მისი ხელოვნური გაზრდა აფერხებს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, მსოფლიო საგადასახადო სისტემები იმყოფებიან მუდმივი ცვლილებებისა და სრულყოფის პროცესში, ამიტომაც არ არსებობს საგადასახადო სისტემის ისეთი მოდელი, რომელიც ერთნაირად გამოსადეგი იქნება ყველა

ქვეყნისათვის და სტიმულს უკარგავს წარმოებას და მეწარმეთა უმრავლესობა „ჩრდილოვან ეკონომიკაში“ გადის.³⁹

დღეისათვის გამომდინარე აქედან, საგადასახადო სისტემა, რომელიც ეფექტიანია ერთ ქვეყანაში, მეორეში შეიძლება არაეფექტიანი და საერთოდ გამოუსადეგარიც კი იყოს.

ამერიკელი ეკონომისტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ფედერალური გადასახადების საშუალო განაკვეთსა და ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტს შორის კორელაციური კავშირი არსებობს. მართალია გადასახადების გაზრდა ბიუჯეტის დეფიციტის ან ლიკვიდაციის ყველაზე მარტივი გზაა, მაგრამ, მეორე მხრივ, მზარდი გადასახადები მხოლოდ აღრმავებს დეფიციტს. გადასახადების მაღალი პროცენტი ასოცირდება დიდ დეფიციტთან, უმუშევრობის დონის ზრდასთან და მოულოდნელ ინფლაციასთან.

გადასახადები ეკონომიკურ გავლენას ახდენენ ბაზრის ყველა კონტრაგენტებზე. დაბევრას ექვემდებარება საოჯახო მეურნეობის შემოსავლები, სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული მთლიანი შემოსავალი, შრომის ანაზღაურების ფონდი, მოგება, დანაზოგი, დივიდენდი და ა.შ. გადასახადები ვრცელდება არა მხოლოდ საოჯახო მეურნეობებსა და ფირმებზე, არამედ რესურსების, საქონლისა და მომსახურების, კაპიტალის ბაზარზე. მაშასადამე, გადასახადები ფიგურირებს საქმიანი აქტიურობის ნებისმიერ დონეზე, საგადასახადო ტვირთს ატარებს ნებისმიერი სუბიექტი - როგორც მწარმოებელი, ისე მომხმარებელი.

საგადასახადო სისტემის ოპტიმიზაციის შეფასებას საკუთარი კრიტერიუმები გააჩნია. ამ კრიტერიუმებზე მეცნიერ-ეკონომისტ-ფინანსისტთა შორის არ არსებობს ერთიანი მოსაზრება. განვითარებული ქვეყნებისათვის ცნობილია საგადასახადო სისტემის 5 ძირითადი კრიტერიუმი:

1. ეკონომიკური ეფექტიანობა: საგადასახადო სისტემა წინააღმდეგობაში არ უნდა იყოს რესურსების ეფექტიანად განაწილებასთან;
2. ადმინისტრაციული უბრალოება: ადმინისტრაციული სისტემა მარტივი უნდა იყოს და გამოსაყენებლად შედარებით იაფი;

³⁹ პაპავა გ., პაპავა ვ., სამრეწველო საწარმოს ორგანიზაცია, დაგეგმვა და მართვა, თბილისი, „განათლება“, 1985. გვ. 5

3. მოქნილობა: საგადასახადო სისტემას უნდა შეეძლოს ცვალებად ეკონომიკურ პირობებთან სწრაფად რეაგირება;

4. პოლიტიკური პასუხისმგებლობა: საგადასახადო სისტემა ისე უნდა იყოს აგებული, რომ ადამიანები დაარწმუნოს იმაში, რომ ისინი იხდიან იმიტომ, რომ პოლიტიკურ სისტემას შეეძლოს ზუსტად გამოხატოს მათი უპირატესობა;

5. სამართლიანობა: საგადასახადო სისტემა უნდა იყოს სამართლიანი საზოგადოების სხვადასხვა წევრთან ურთიერთობაში⁴⁰.

ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის პროცესში საგადასახადო სისტემისადმი უკმაყოფილება და მისი მძლავრი კრიტიკა უპირატესად გამოწვეულია გადასახადების სამართლიანობის დეფიციტით, რომ ისინი ხშირ შემთხვევაში არასამართლიანად არის მიჩნეული.

ოპტიმალური საგადასახადო სისტემა გულისხმობს გადასახადით დაბეგვრის საყოველთაობას და მოქალაქეთა შორის გადასახადის განაწილების თანაფარდობას მათი შემოსავლის მიხედვით. საგადასახადო დაბეგვრის პრაქტიკაში თანასწორობის პრინციპის გამოყენებას ორ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი ამატი ტერე წერდა: „მე უფრო ვცდილობ მივაღწიო გადასახადის განაწილებაში თანასწორობას, ვიდრე მის ზუსტად გადახდას“.⁴¹

ადამიანთა ერთ ნაწილს გადასახადის გადახდის მეტი შესაძლებლობა გააჩნია, მეორე ნაწილი ფლობს ეკონომიკური კეთილდღეობის უფრო მაღალ დონეს, ხოლო მესამე ნაწილი იღებს საერთო სახელმწიფო ხარჯებიდან უფრო მეტ შემოსავალს. ფიზიკური პირი იმყოფება რა უკეთეს ეკონომიკურ პირობებში, ვიდრე მეტი გადასახადი გადაიხადოს. პრობლემა ისაა, განსაზღვრეთ ვინ იმყოფება უკეთეს ეკონომიკურ პირობებში. საგადასახადო სისტემას საფუძვლად უნდა დაედოს კეთილდღეობის განსაზღვრული ვიწრო გაგება და არა ის, რომ ეს უკანასკნელი მიიღტვოდეს მოვლენათა ზოგადი საერთო მდგომარეობის შეფასებისაკენ. ეს იქნება წინასწარ დაგეგმილი უსამართლობის აღიარება.

ამჟამად საქართველოში საგადასახადო სისტემა, ერთ მხრივ, ეყრდნობა განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას, მეორე მხრივ, თავს ვერ აღწევს გარდამავალი პერიოდის დაწყებითი ეტაპის რეალურ პირობებს. ეკონომიკაში

⁴⁰, 1997, .369.
⁴¹ .12 1976 , ., 1979, .172.

აშკარაა საგადასახადო სისტემის მარგი ქმედების კოეფიციენტის დაცემის ტენდენცია, ფისკალური ეფექტის დაქვეითება, დაბეგურისაგან მასობრივი თავის არიდება, დაბალი საგადასახადო კულტურა და ა.შ. ამ გარემოებამ დადი დაასვა საქართველოში მიმდინარე ფისკალურ პოლიტიკას, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ეროვნულ ეკონომიკაზე.

აგრარულ სექტორში გადასახადის სიდიდის განსაზღვრის საფუძველია მიწის ფართობის ან სავარგულების დამადასტურებელი დოკუმენტი. მიწის გადასახადის სიდიდე არაა დამოკიდებული გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობის შედეგებზე (შემოსავალზე ან მოგება-ზარალზე) და დგინდება მიწის ფართობის ერთეულზე ფიქსირებული გადასახადის სახით. მიწის გადასახადი დიფერენცირებულია მიწის ხარისხის და ადგილმდებარეობის მიხედვით. მიწის გადასახადის ერთ-ერთი თავისებურებაა ისიც, რომ იგი თავისი შინაარსით საერთო სახელმწიფოებრივ გადასახადთა რიცხვს მიეკუთვნება, მაგრამ მთლიანად ჩაირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში. ასეთ პირობებში მიწის რეალური საბაზრო ფასის დადგენა და მიწის გადასახადის სიდიდის განსაზღვრა გაძნელებულია.

საკითხის დადებითად გადაჭრისათვის საჭიროა სოფლის მეურნეობაში უძრავი ქონების ყველა ობიექტის შეფასება, გაანგარიშებისა და დანერგვის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდის გამოყენებით. მიწის საგადასახადო განაკვეთის დასადგენად, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა მიწის კადასტრის შეფასება.

მიწის გადასახადის (მიწის რენტის) დადგენის შემოთავაზებული მეთოდი აპრობირებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის იტალიაში, სადაც მიწის გადასახადის დადგენის საფუძველი მიწის საკადასტრო რეესტრია. მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება ყოველ 10 წელიწადში ერთხელ, ხოლო შუალედურ პერიოდში მისი რეგულირება სახელმწიფოს მიერ შესასწორებელი კოეფიციენტების გამოყენებით იზრდება.

2005 წლის საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის 172-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის საბაზო განაკვეთი დიფერენცირებულია. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და მიწის ხარისხის მიხედვით დგინდება წელიწადში ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით ლარებში (იხ. ცხრილი 15).

საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრებისათვის გამოყენებულ მიწაზე საბაზისო განაკვეთი დგინდება ასევე ადმინისტრაციული ერთეულებისათვის დადგენილი საბაზისო განაკვეთის 20%

ოდენობით, ხოლო მიწაზე ქონების გადასახადის საბაზისო განაკვეთი კონკრეტული მიწის ნაკვეთებისათვის მიწის კატეგორიებისა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით შეიძლება შემცირდეს ან გადიდეს 50%-მდე. მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება: სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული იმ იურიდიული პირის მოგება, რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში განხორციელებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდება მის სამრეწველო გადამუშავებაზე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) არ აღემატება 100 ათას ლარს“.

საგადასახადო სისტემის ასეთი მექანიზმი მეტნაკლებად უზრუნველყოფს ქვეყნის ცენტრალურ ბიუჯეტში სახსრების აკუმულირებას და ამით აძლიერებს.

ცხრილი 15

ა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის საბაზო განაკვეთი დიფერენცირებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით (ლარებში)⁴²

ადმინისტრაციული ერთეულების დასახელება	საბაზისო განაკვეთი (ლარი/ჰა)	
	მიწის ხარისხი	
	კარგი	მწირი
თბილისი, მარნეული	57	31
ბოლნისი, გარდაბანი	52	27
რუსთავი	51	27
ბათუმი, გაგრა, გალი, გუდაუთა, გულირიფში, ოჩამჩირე, სოხუმი	51	27
ქობულეთი, ხელეჩაური, გურჯაანი, დედოფლისწყარო	44	24
თელავი, ლაგოდეხი, სიღნაღი	43	22
ყვარელი, გორი, მცხეთა, ახალციხე, ახმეტა, დმანისი,	39	21
კასპი, თეთრიწყარო, სამტრედია	38	20
საგარეჯო, ქარელი, ხაშური	36	20
ქურთა, წალკა	34	19
აბაშა, ზუგდიდი	34	18
ახალქალაქი	34	19
მარტვილი, სენაკი, ხობი, ფოთი	33	17
ნინოწმინდა	33	17
ახალგორი, ვანი, ზესტაფონი, ლანჩხუთი, ოზურგეთი	30	15
ბაღდადი, თერჯოლა, ხონი, ქუთაისი	28	15

⁴² საქართველოს საგადასახადო კოდექსი 2005 წ. გვ. 182,

წალენჯიხა, წყალტუბო, ჩხოროწყუ	24	13
საჩხერე, ცაგერი, ცხინვალი	22	12
ამბროლაური, დუშეთი, თიანეთი, ადიგენი, ბორჯომი	18	11
ასპინძა, ტყიბული, ხულო, ქუდა	17	9
შუახევი, ხარაგაული, ჭიათურა, ლენტეხი, ონი, ჩოხატაური, მესტია, ყაზბეგი, ჯავა	13	8

ბ) ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრებისათვის⁴³

ადმინისტრაციული ერთეულების დასახელება	საბაზისო განაკვეთი (ლარი/ჰა)			
	სათიბები	საძოვრები	გაკულტურებული	
			სათიბები	საძოვრები
1. აბაშა, ახალქალაქი, გორი, ბათუმი, ბოლნისი, გაგრა, გალი, გარდაბანი, გუდაუთა, გულირიფში, გურჯაანი, დედოფლისწყარო, დმანისი, ზუგდიდი, თბილისი, თეთრიწყარო, თელავი, ლაგოდეხი, ლანჩხუთი, მარნეული, მცხეთა, ნინოწმინდა, ოზურგეთი, ოჩამჩირე, რუსთავი, სამტრედია, სენაკი, სიღნაღი, სოხუმი, ქუთაისი, ქობულეთი, ყვარელი, წალკა, წყალტუბო, ხელვაჩაური, ხობი, ფოთი.	6	3	8	4
2. ადიგენი, ასპინძა, ახალგორი, ბაღდადი, ბორჯომი, ვანი, ზესტაფონი, თერჯოლა, თიანეთი, კასპი, მარტვილი, საგარეჯო, საჩხერე, ტყიბული, ქარელი, ქედი, შუახევი, ჩოხატაური, წალენჯიხა, ხარაგაული, ხაშური, ხონი, ხულო, ახალციხე.	4	2	7	3
3. ამბროლაური, ასმეტა, დუშეთი, ლენტეხი, მესტია, ონი, ყაზბეგი, ცაგერი, ცხინვალი, ჭიათურა, ჯავა	2,5	1,5	4	2

⁴³ საქართველოს საგადასახადო კოდექსი გვ. 182, 2005 წ.

სახელმწიფოს როლს ეკონომიკური პროცესების რეგულირებაში, ამასთანავე ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის საწარმოთა მეტ დამოუკიდებლობას თავიანთ სამეურნეო საქმიანობაში

როგორც აღვნიშნეთ, საბაზრო ურთიერთობების პირობებში აგრარული სექტორის სახელმწიფო ეკონომიკური რეგულირების ერთ-ერთ ძირითად ბერკეტს წარმოადგენს საგადასახადო სისტემა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სოფლის მეურნეობაში მეწარმეობის განვითარებას და პროდუქციის წარმოების გადიდებით მეწარმეთა დაინტერესებას. აუცილებელია აღინიშნოს, რომ მიწის გადასახადი, რომელიც მთავრობამ დააწესა არ არის მაღალი, პირიქით, იგი იმდენად დაბალია, რომ მესაკუთრეს ვერ უბიძგებს მიწის ინტენსიურად გამოყენებისაკენ.

არის შემთხვევები, როცა კერძო საკუთრებაში არსებულ მიწას მესაკუთრე ან არ იყენებს, ან ვერ იყენებს და გაყიდვის მომლოდინე იხდის გადასახადს. ამიტომაც საგადასახადო სისტემა უნდა იყოს ისეთი, რომ იძლეოდეს მიწასთანდაკავშირებული ურთიერთობების ოპტიმალურად რეგულირების საშუალებას. რაც შეეხება მიწის გადასახადის გაუქმებას, ის შეიძლება დასაშვები იყოს დამწყები ფერმერისათვის, ან მიწის საკუთრებაში გადაცემის შემდეგ გარკვეულ პერიოდში, მაგრამ საერთოდ გაუქმება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

მიწის ეფექტიანად გამოყენების რეგულირების საშუალებად პირველ რიგში საგადასახადო სისტემა უნდა გამოვიყენოთ. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მიწის დაუმუშავებლად მიტოვებისათვის მესაკუთრის მიმართ რაღაც ღონისძიებები იქნას გატარებული, თუნდაც ჯარიმის გადახდა ან კიდევ გარკვეული პერიოდის შემდეგ ჩამოერთვას საკუთრებაში გადაცემული მიწა. ხოლო მესაკუთრე, რომელიც ნაყოფიერად გამოიყენებს მიწას და სისტემატურად მაღალ მოსავალს მიიღებს, წახალისებული უნდა იქნეს გადასახადის განაკვეთის შემცირებით.

რაციონალური საგადასახადო პოლიტიკა უნდა გახდეს სოფლად მეწარმეობის სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანი საშუალება და რამდენაც სწრაფად მოხდება ეს, იმდენად დაჩქარდება კერძო მეწარმეობის

ინტენსიურ რელსებზე გადასვლა. სოფლის მეწარმისათვის საგადასახადო განაკვეთი უნდა იყოს ისეთი, რომ არ შეზღუდოს მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პირობები. სოფლის მეწარმე, რომელიც ობიექტური მიზეზების გამო, ზარალით დაამთავრებს სამეურნეო წელს, გადასახადისაგან უნდა განთავისუფლდეს და მიიღოს მისი დასაფარავი კომპენსაცია. ასეთ შეღავათებს ადგილი აქვს ყველა ცივილიზებულ ქვეყნებში და თუ ჩვენ ამას ვერ შევძლებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ მეწარმეობის კერძო სექტორი ვერ იარსებებს.

კერძო სექტორის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია თავისუფალი საკრედიტო ბაზრის არსებობა. დღეისათვის კერძო მეწარმისათვის საკრედიტო ბაზარი თითქმის არ არსებობს, რაც ძალიან აფერხებს მის განვითარებას. ქვეყანაში არსებობს კრედიტებისა და დახმარების საზღვარგარეთული ფონდები, მაგრამ მისი მიღების მექანიზმები ძალიან რთულია და სოფლის მეწარმისათვის მიუწვდომელია. კომერციული ბანკები კი საერთოდ ხელმიუწვდომელ პირობებს სთავაზობენ აგრარულ სექტორს.

ამრიგად, სასოფლო-სამეურნეო ბაზრის დარეგულირების ფორმად უნდა გადაიქცეს სავაჭრო პროტექციონიზმი, რომლითაც შიდა მწარმოებელი დაცული იქნება გარე ექსპანსიისაგან. აგროსასუსათო პოლიტიკის გატარებისას უნდა გამოვიყენოთ ე.წ. „ინტერვენციის“ მეთოდი⁴⁴. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვა, ფიქსირებული, გარანტირებული ფასებით, როცა მათზე ფასები ბაზარზე არ იწევს, რის გამოც ფერმერები გაკოტრების საფრთხის წინაშე აღმოჩნდებიან ხოლმე. როცა სახელმწიფო ყიდულობს ფერმერისაგან საბაზრო ფასებით პროდუქციას და ამით უნარჩუნებს მათ მოგებას და შემდეგ ყიდის მას მოსახლეობაზე შედარებით დაბალი ფასებით, ამით მომხმარებლებს ხელს უწყობს საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის ამადლების საქმეში. მომხმარებლების მხარდაჭერის ასეთი ფორმა ხორციელდება სასურსათო საზოგადოებრივი პროგრამების მეშვეობით.

⁴⁴ Tzacy M. Agricultur polisy in the European Union and other market Economies: EU, 1996, p.138

სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თანამეროვე კრიზისულ ეტაპზე ზემოთ აღნიშნული სურვილები კვლავ დეკლარაციად რჩება.

სახელმწიფო რეგულირების როლი განსაკუთრებით იზრდება საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე. ეს განპირობებულია რიგი ფაქტორებით. კერძოდ, ეკონომიკაში წარმოების მასშტაბების ზრდით და თვისობრივი ძვრებით, საზოგადოებრივ წარმოებაში სოციალურ-ეკონომიკური კავშირების გართულებით, მთელი ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლით, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით, რომლის მიღწევის გამოყენება ამჟამადაც საზოგადოების შემდგომი განვითარების უმთავრესი ამოცანაა.

აგრარული სექტორი ეროვნული მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. თავის მხრივ იგი, როგორც საზოგადოებრივი წარმოების დამოუკიდებელი დარგი, გადაქცეულია სისტემად, რომელსაც აქვს სოციალური სისტემის მნიშვნელოვანი თვისებები: მთლიანობა, იერარქიულობა, დინამიზმი და აგრეთვე ქცევის ხასიათის ადაპტიურობა, ადამიანთა საქმიანობისა და გარე პირობების გავლენისაგან დამოკიდებულებით. იგივე შეიძლება ითქვას სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, როგორც სოფლის მეურნეობის დარგის შემადგენელი ელემენტების და უფრო დაბალი დონის სასოფლო-სამეურნეო სისტემის შესახებაც.

მართვის ორგანიზაციის საკითხების გადაწყვეტისას აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდეგი თავისებურებანი: მიწა სოფლის მეურნეობაში გამოდის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალება; სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტერიტორიული განლაგება განაპირობებს წარმოების მართვას ორგანოების ტერიტორიულ-საწარმოო პრინციპებით აგების აუცილებლობას და მართვის მეტი ოპერატიული სამეურნეო დამოუკიდებლობის მინიჭებას; კვლავწარმოების ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების მჭიდრო ურთიერთგადაჯახება; საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმათა მრავალფეროვნება; საიჯარო ურთიერთობების არსებობა; სოფლის მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური

არაერთგვაროვნება; ქალაქსა და სოფელს შორის არსებული განსხვავება, რომელიც მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის მრავალი საკითხის თავისებურად გადაწყვეტას.

აღნიშნული თავისებურებები საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან წინანდელი დანახარჯებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანად განვითარება არ შეიძლება. დღეს რესურსების გაზრდის პრაქტიკული შესაძლებლობა არ გაგვაჩნია. გამოსავალი მხოლოდ მათი გამოყენების გაუმჯობესებაში, უკუგების ამადლებაშია.

დასმული ამოცანის გადაჭრის მთავარი გზა სოფლის მეურნეობის ყველა დარგში არის წარმოების ინტენსიფიკაცია, არსებული შეზღუდული რესურსების პირობებში უფრო მაღალი შედეგების მიღწევა. ამისათვის კი მნიშვნელოვანია, რომ ყველა საკითხის გადაწყვეტისას შევარჩიოთ რესურსდამზოგავი ვარიანტი, პრიორიტეტი უნდა მიეცეს იმ სფეროებს და უბნებს, რომლებიც ამჟამად სუსტად არიან განვითარებულნი და ამცირებენ საბოლოო შედეგს. მას ექვემდებარება სოფლის მეურნეობაში მთელი სტრუქტურული და საინფორმაციო პოლიტიკა.

მოცემული ამოცანის გადაწყვეტა არანაკლებ დამოკიდებულია ყველა დონის მმართველობით ორგანოებზე. მაგრამ მთავარ როლს მიწის, ტექნიკის და სხვა რესურსების გამოყენებაში აქციონერულ საზოგადოებები, საწარმოები, ამხანაგობები და ასოციაციები ასრულებენ. თითოეულ მეურნეობაში არის შექმნილი პოტენციალის უკუგების ამადლების არამცირე რეზერვი. მთავარი მათი ამოქმედება და ინტენსიური წარმოების სამსახურში ჩაყენებაა, მაგრამ ეს თავისთავად არ მოხდება, ამისათვის საჭიროა ეკონომიკური და სამეურნეო მექანიზმების სრულყოფა.

ამრიგად, მართვა, რომელიც მისაღებია თანამედროვე მოთხოვნებისთვის, წარმოადგენს პირველხარისხოვან ამოცანას, რომლის გადაჭრა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში. საქართველოში აგრარული სექტორის განვითარების თეორიული და პრაქტიკული საკითხე-

ბის დამუშავება დამოკიდებული იქნება იმ მიმართულებების შემცვლელზე, რომლებიც გაავლენას ახდენენ მის ფუნქციონირებაზე. ეს პირველ რიგში იქნება საკუთრებითი ურთიერთობები, ეკონომიკის მრავალწილობიანობა და ცივილიზებული ბაზრის განვითარების ტემპები და ეფექტიანობა.

აგრარულ სექტორში სამეურნეო კავშირების მართვის საკითხების შესწავლა შემდეგი მიმართულებებით უნდა განხორციელდეს: 1. საკუთრების ფორმების თანაფარდობის გაანალიზება; 2. მომხმარებლის მოთხოვნილების დაკმაყოფილების გზების ძიება; 3. საშინაო და საგარეო ბაზრის კონიუქტურის დინამიკის კანონზომიერებების გამოვლენა, მათი ურთიერთკავშირის მანევრირების დასახვა; 4. დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფის გზების ძიება.

პირველი მიმართულება გამოავლენს საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელ თანამედროვე ორგანიზაციულ ფორმებს, უზრუნველყოფს ეკონომიკაში მრავალწილობიანობის დამკვიდრებას. საკუთრების ფორმების შესაბამისი ფერმერულ მეურნეობათა ტიპების შეფასება საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ საკუთრების ფორმების ოპტიმალური თანაფარდობაც; მეორე მიმართულებით კვლევა საშუალებას მოგვცემს გამოიძებნოს მწარმოებელთა და მომხმარებელთა თანამშრომლობის ფორმები; ასევე იგი მოიცავს მოთხოვნის შეფასებას მომხმარებელთა შემოსავლების გათვალისწინებით, რაც მოამზადებს ნიადაგს მწარმოებელთა და მომხმარებელთა სამართლებრივი ბაზის შესაქმნელად; მეოთხე მიმართულების კვლევამ პასუხი უნდა მოგვაძებნინოს კითხვაზე: რა ადგილს დაიკავებს საქართველო ეროვნულ და მსოფლიო ბაზრის სტრუქტურაში? საბაზრო კავშირურთიერთობათა მანევრირებით აგრარული სექტორი მუდმივად ორიენტირებული გახდება საბაზრო მოთხოვნებზე და საშუალება მოგვეცემა საინვესტიციო უზრუნველყოფის შესაბამისად განვსაზღვროთ პრიორიტეტული დარგები.

საქართველოში და მათ შორის სამეგრელოს რეგიონშიც აგრარული სექტორი და მთლიანად ეკონომიკა ბოლო წლებში მძიმე კრიზისულ მდგომარეობაშია. ეკონომიკური კრიზისიდან თავის დასაღწევად აუცილებელია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სწორი გზის მონახვა. აგრარული

რეფორმის წინაპირობაა სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი საკუთრების პრივატიზაცია და მის ბაზაზე აგებული ბიზნესის სწორი ორგანიზაცია.

პრივატიზაციის დროს უნდა გავითვალისწინოთ ტერიტორიული, სტრუქტურული და დემოგრაფიული თავისებურებები.

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმა მოითხოვს ახლებურ მიდგომას დაგეგმვისა და მართვის ახალი მეთოდების გამოყენებისადმი.

აგრობიზნესის ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია მისი მართვა, საქართველოში რეფორმების პირველ ეტაპზე უნდა გამოგვეყენებინა დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული ადმინისტრაციული მართვის სისტემები და თანდათანობით გადავსულიყავით საბაზრო ეკონომიკის შესაბამის მმართველობაზე, მაგრამ აგრარული სექტორის მართვაში შექმნილი იყო სიძნელეები, არ არსებობდა საბაზრო ურთიერთობების მართვის ორგანოები. რეორგანიზაციის მეორე ეტაპზე უნდა განხორციელებულიყო სამეურნეო ორგანიზმის გარდაქმნა; მართვის დემოკრატიული სისტემის შექმნა; მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფა. ამ ეტაპზე გათვალისწინებულია წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, მეწარმეთა მომგებიანობის უზრუნველყოფა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვა, მართვის სწორი კურსის გამოყენება.

ქვეყნის აგრარული სექტორის მართვის სრული რეორგანიზაციისათვის მიზანშეწონილია სპეციალიზებული აგროკონცერნების შექმნა, რაც უზრუნველყოფს მართვის დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპების ოპტიმალურ შეთანაწყობას. ამგვარად, აგრარული ბიზნესის მთავარი ორიენტირი მართვის სისტემაა.

აგრარული სექტორის შეუფერხებელი და სტაბილური განვითარებისათვის აუცილებელია შეიქმნას ახლებული მართვის მოდელი და სტრატეგია.

მართვის ძირითად ფორმად მხოლოდ რაიონული რგოლები უნდა იქნეს მიჩნეული. ე.ი. საჭიროა სამართავი რგოლების შემცირება. წარმოება და მართვა უნდა დაუახლოვდნენ ერთმანეთს.

რეგიონის აგრარული სექტორის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა დღეს მაორიენტირებელი სახითაც არ არის ფორმირებული. წარმოების სფეროში მომხდარი ცვლილებების საფუძველზე შევეცადეთ წარმოგვედგინა რეგიონის აგრარული სექტორის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა. ამასთან გავითვალისწინეთ, რომ აგრობიზნესის განვითარებაზე გავლენას ახდენს ოთხივე სფეროს საქმიანობის კოორდინირება, დარგებს შორის პარტნიორული თანამშრომლობა და ინტერესთა შეთანაწყოება.

ასეთი პრინციპით აგებული აგრობიზნესის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს მისი სფეროებისა და დარგების საბაზრო ურთიერთობებზე თანმიმდევრულ და კომპლექსურ გადასვლას.

რეგიონის აგრობიზნესის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს: სოფლის მეურნეობის სამმართველოებს; სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს (სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, ფერმერული მეურნეობა, საოჯახო მეურნეობები, მომსახურე საწარმოები); გადამამუშავებელ მრეწველობას (ჩაის ფაბრიკა, თხილის გადამამუშავებელი საწარმოები, წისქვილკომბინატები, ღვინის ჩამოსასხმელი ქარხანა, ეთერზეთების საწარმოები); მომსახურე საწარმოები (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომარაგების საწარმოები, ვეტერინალურ სამსახური და სხვა).

აგრარული სექტორის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა იმ შემთხვევაში იქნება ქმედითუნარიანი, თუ მოხდება შესაბამისი მართვის ეკონომიკური მექანიზმის სტრუქტურების ფორმირება და ფუნქციონირება.

ეფექტური მართვისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებიდან აღსანიშნავია:

1. სამეურნეო საქმიანობის დამოუკიდებლობა;
2. სამეურნეო საქმიანობის კოორდინაცია (პროპორციულობა);
3. მოტივაცია;
4. სამეურნეო საქმიანობის საერთო მიზანზე - მოგებაზე ორიენტაცია;
5. პროგნოზირება;
6. სამეურნეო საქმიანობის რეგულირება;

7. ტერიტორიული და დარგობრივი მართვის მექანიზმების შეთანაწყოება.

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოების საფუძველი უნდა იყოს ბაზრის მოთხოვნები. საბაზრო კონიუქტურის გათვალისწინებისა და წარმოების ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, აუცილებელია განისაზღვროს რა და რამდენი სახის ნედლეულის წარმოებაა შესაძლებელი ქვეყანაში და მოცემულ რეგიონში. ეს თავის მხრივ ხელს შეუწყობს ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებას, გამოავლენს, შექმნის წარმოების წესის ეკონომიკურ და ორგანიზაციულ საფუძველს და სხვა.

აგრარული სექტორის მართვის ეკონომიკური მექანიზმის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი როლია ნედლეულის გადამუშავება. ამ რგოლში სამეურნეო საქმიანობა ორიენტირებულია საბოლოო მეურნეობრივ შედეგებზე. ნედლეულის წარმოებასა და გადამუშავებას შორის მმართველობით ურთიერთობების სრულყოფისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ ორ სტრუქტურულ რგოლს შორის ინტერესების დაბალანსებასა და საბოლოო მიზნების ოპტიმალურად შეხამების საკითხებს.

ნედლეულის წარმოების რგოლში დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფის საფუძველზე დარგებისა და ქვედარგების წარმოქმნა ობიექტურად განაპირობებს მრავალმხრივი კავშირების დამყარების აუცილებლობას გადამამუშავებელ დარგებთან. ამასთან ნედლეულის გადამამუშავებაში ორი რგოლი გამოიყოფა: პირველადი გადამამუშავება და მზა ნაწარმის გადამამუშავება. პირველადი განკუთვნილი უნდა იყოს ადგილობრივი ბაზრისათვის, ხოლო მეორე როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ბაზრისათვის.

ნედლეულის წარმოებასა და გადამამუშავებას საფუძველად უნდა დაედოს ტრადიციული მეურნეობრიობის მსოფლიო გამოცდილებასთან შერწყმის პროცესი. ამ პოლიტიკის განხორციელებისათვის საჭიროა შესაბამისი თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საქმიანობის სინთეზი, მათ შორის წინააღმდეგობრიობათა გამოვლენა და პრობლემათა

გადაჭრის გზების დასახვა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აგრარული სექტორის სამეურნეო მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირება დარგთაშორისი კავშირების სრულყოფის ბაზაზეა მოსალოდნელი, მაშასადამე, სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და მისი წარმოების ფაქტორად გადაქცევა სხვადასხვა დარგის მენციერთა კვლევა-ძიებითაა შესაძლებელი. ასეთ პირობებში სამეცნიერო-ტექნიკური ბაზა იქნება ორგანიზაციის ის მოქნილი სისტემა, რომელიც შეავსებს ვაკუუმს მეცნიერსა და მეწარმეს შორის, გამოიწვევს თვისებრივ ცვლილებებს საწარმოო ძალთა განვითარებაში, ტექნოლოგიურ პროცესებში, მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლებაში, მეურნეობრიობის გაძღოლის სისტემაში, მართვის სტრუქტურის გაუმჯობესებაში და სხვა.

ახალ ეკონომიკურ სისტემაში აგრარული სექტორის მართვის ეკონომიკური მექანიზმი შეუძლებელია ფუნქციონირებდეს საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტების გარეშე. ნედლეულის წარმოების, გადამუშავების, შენახვისა და რეალიზაციის დაკრედიტებასა და დაფინანსებაში დიდ როლს შეასრულებს კომერციული ბანკები. ნედლეულის წარმოებასა და გადამუშავებას შორის საშუამავლო ფუნქციები შეიძლება შეასრულოს სპეციალიზებულმა საშუამავლო კომერციულმა ბანკებმა. მათ მიერ გაცემული კრედიტებით შესაძლებელია ნედლეულის წარმოებისათვის საჭირო მანქანა-მოწყობილობების მიწოდების, ან ნედლეულის შესყიდვისა და რეალიზაციის სტიმულირება. კრედიტების გაცემა შესაძლებელია აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის შექმნის და სრულყოფის, ახალი წარმოების დაწყების, რესტრუქტურისა და სხვათა მიზნით.

მართვის ეკონომიკურ მექანიზმში საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტებიდან პერსპექტიულად მიგვაჩნია საინვესტიციო ფონდების ფორმირება. ეკონომიკის აღწარმოების მასშტაბები მოკლევადიან პერიოდში საკუთარი ინვესტიციების მტკიცე ბაზის შექმნას ვერ უზრუნველყოფენ, მაგრამ პერსპექტივაში ეს ფონდები გადამწყვეტ როლს შეასრულებენ ნედლეულის წარმოება-განაწილება-რეალიზაციის პროცესში.

მართვის ეკონომიკურ მექანიზმში ბიუჯეტის სტრუქტურული ერ-

თეულის წარმოდგენა განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხად მიგვაჩნია. ადგილობრივ ტრანსფერტებსა და სახელმწიფო ბიუჯეტს შორის ურთიერთობის დადგენა პასუხს მოგვაძებნინებს კითხვაზე თუ რა პრინციპებს ეფუძნება და როგორია ეკონომიკური პოლიტიკა. აგრარული სექტორის ფინანსური მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები ბევრად და მოკიდებული საბიუჯეტო გადასახადებზე. საბიუჯეტო რგოლმა გადასახადების მეშვეობით უნდა შეასრულოს აგრარული სექტორის სფეროებს შორის დაბალანსებული პოლიტიკის გატარება, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე ხელსაყრელი ფასწარმოქმნის მექანიზმის შექმნა და სხვა.

წარმოების მიზანშეწონილობასა და მომხმარებელთა მოთხოვნილებებს გამოავლენს რეალიზაცია. ამ ფუნქციას იგი ასრულებს საშინაო და საგარეო ბაზარზე, დღეს საშინაო ბაზარზე მიზანშეწონილია სეგმენტაცია მოხდეს არა მარტო გეოგრაფიული ნიშნის, არამედ მოსახლეობის შემოსავლებისა და საქმიანობის სახეების მიხედვითაც.

აგრარულ ურთიერთობათა გაჯანსაღების მნიშვნელოვან პირობად უნდა მივიჩნიოთ საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება საგარეო ბაზრის მეშვეობით. საშინაო ბაზარზე წონასწორობის აღდგენისა და სამეურნეო საქმიანობის სტაბილიზაციის პარალელურად აუცილებელია სავაჭრო ბაზარზე გასვლის იმ მიმართულებათა განსაზღვრა, რომლებიც სრულად პასუხობენ საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური პოტენციალის არსებულ მდგომარეობას და პერსპექტივებს.

ამრიგად, აგრარული სექტორის მართვის ეკონომიკური მექანიზმის წარმოდგენილი სტრუქტურა ჩამოაყალიბებს საბაზრო ეკონომიკის შესაბამის სამსახურებს, ორგანიზაციული სტრუქტურის საშუალებით საწარმოებსა და ორგანიზაციებს ეკონომიკური, ორგანიზაციული და ტექნოლოგიური ინტერესებით გააერთიანებს მართვის სისტემა-მექანიზმად. ამასთან აგრარულ სექტორში შესაძლებელი გახდება კოორდინირებული ეკონომიკური პოლიტიკის და პროგრამების შემუშავება.

საწარმოების პრივატიზებისა და თავისუფალი მეწარმეობის განვითარების პროცესში რადიკალურად შეიცვლება ყველა დონის

მმართველობითი ორგანოების ფუნქციები. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, საქართველოში მათ შორის რეგიონში აგრარული სექტორის მართვის რეფორმა უნდა წარიმართოს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- აგრარული სექტორის მართვის ერთიან ობიექტად ჩამოყალიბება;
- სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსათვის აგრარული სექტორის მართვისა და სახელმწიფო აგრარული პოლიტიკის გატარების საკითხებში ფუნქციონალური ორგანოს სტატუსის მინიჭება;
- აგრარული სექტორის მართვის განხორციელება ყველა დონეზე სახელმწიფო და სამეურნეო მართვის ფუნქციების გამიჯვნის პრინციპების შესაბამისად, რომელიც უნდა გამორიცხავდეს საქონელმწარმოებელთა სამეურნეო საქმიანობაში ჩარევას.
- მიზანმიმართული სოციალური, სასურსათო და სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის განხორციელება; აგროსამრეწველო დარგების განვითარების სახელმწიფო (რაიონული) პროგრამების დამუშავება და განხორციელება;
- დამუშავებული პროექტებისა და საინვესტიციო პროგრამების ტექნიკური დასაბუთების ექსპერტიზა;
- აგროსერვისის ახლებური ორგანიზაცია;
- სხვა ქვეყნებთან სამეცნიერო-ტექნიკური, საგაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია;
- გარემოს დაცვა;
- სასურსათო ბაზრისა და მასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებისათვის ეკონომიკური ნორმატივების სისტემის ჩამოყალიბება მწარმოებლისა და მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინებით;
- საკარანტინო, სანიტარული, თესლის ხარისხისა და ვეტერინარული კონტროლის ორგანიზაციის სრულყოფა;
- მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, ფერმერების სწავლება; ეკონომიკური მექანიზმის დამუშავება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს წარმოების კოოპერაციისა და ინტეგრაციის განვითარება;
- სახელმწიფო მართვის ორგანოების მოქმედების შეთანაწყოება კერძო

და კოოპერაციულ საქონელმწარმოებლებთან, ნებაყოფლობით შექმნილ ასოციაციებთან, გაერთიანებებთან და სხვა სტრუქტურებთან ხელშეკრულების, კონტრაქტებისა და შეთანხმების საფუძველზე, რომლებიც გაფორმდება სახელმწიფო მართვის ორგანოებსა და ცალკეულ საქონელმწარმოებლებს შორის, მოსახლეობის კვების პროდუქტებით და მრეწველობის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით მომარაგებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს წინაშე მდგარი პრობლემებიდან ერთ-ერთი ყველაზე უმწვავესია სასურსათო პრობლემა, რომლის გადაწყვეტა ძალიან ძნელია ისეთ პირობებში, როცა ქვეყანას არ გააჩნია საკმარის რაოდენობით ვალუტა, სურსათის დეფიციტის შესავსებად ობიექტურად აუცილებელი ხდება სასურსათო დარგების დაჩქარებული ტემპებით განვითარება და ადგილობრივი წარმოების საკვებით მოსახლეობის უკეთ უზრუნველყოფა.

სურსათის ადგილობრივი რესურსების წარმოების გადიდება ობიექტურად მოითხოვს სოფლის მეურნეობის ისეთი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებას, სადაც წამყვანი და პრიორიტეტული ადგილი მინიჭებული ექნებათ იმ პროდუქტების (კულტურების) წარმოებას, რომლებიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ ქვეყნის სასურსათო ბალანსის ფორმირებაში. ასეთ დარგებად და კულტურებად მიჩნეულია მარცვლეულის მეურნეობა, კარტოფილი, ზეთოვანი კულტურები, შაქრის ჭარხალი და ა.შ. ხოლო საკვლევ რეგიონში ჩაი, ციტრუსი, თხილი და ა.შ.

როგორ დავაინტერესოთ მწარმოებელი სწორედ იმ პროდუქტების წარმოებით, რომელიც განვითარების ამა თუ იმ სტადიაზე ესაჭიროება საზოგადოებას, უფრო ეკონომიკური და ხელსაყრელია ქვეყნისათვის და საბოლოო ანგარიშით თვით მწარმოებლისათვისაც?

ამ პრობლემას ყველა ქვეყანაში ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით წყვეტენ, მაგრამ მიდგომა პრაქტიკულად ყველგან ერთია, კერძოდ, ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში სახელმწიფო ატარებს

მიზანმიმართულ პროტექციონისტულ პოლიტიკას ან მთელი აგრარული სექტორის, ან მისი ცალკეული დარგების მიმართ. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი მხარდამჭერი პროტექციონისტული პოლიტიკა რიგ ქვეყნებში კანონის რანგშია აყვანილი და როგორც წესი, ხანგრძლივი პერიოდისთვისაა გამიზნული. ჩვენს ქვეყანაში კი ასეთი პოლიტიკა რიგობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო არ შემუშავებულა და ბუნებრივია, არც ხორციელდება. პირიქით, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ფაქტია, რომ უკანასკნელ პერიოდში ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქციაზე ფასების ისეთი პარიტეტი, რომელიც ამ უკანასკნელის სასარგებლოდაა, უფრო მეტიც 2000-2005 წლებში სოფლად წარმოებული და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებზე მიყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და ნედლეული (ჩაის ფოთოლი, ყურძენი, ციტრუსი, აბრეშუმის პარკი და სხვა) დღემდე აუნაზღაურებელია.

ასეთ პირობებში აუცილებელია დაჩქარდეს აგრარული რეფორმა, დროულად გადაწყდეს მიწის პრივატიზების (საკარმიდამო ნაკვეთების გადიდების) შემდეგ სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი მიწების გამოყენების ფორმა.

სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია მაკროეკონომიკური განვითარების სტრატეგიისა და პრიორიტეტის განსაზღვრასთან ერთად ბაზარზე კონკრეტული გარემოს შექმნა და მისი დაცვა უნდა იყოს. ამასთან დაცული უნდა იქნეს არა მარტო პროდუქციის მწარმოებლის, არამედ მომხმარებლის ინტერესებიც. ამ ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს რეგულირების საბაზრო მექანიზმების ფორმირებას და მისი მოქმედებისათვის კეთილსაიმედო გარემოს შექმნას. რით უნდა მიაღწიოს სახელმწიფომ ბაზარზე მწარმოებელთა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას და პროდუქციაზე მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობას? არც თუ ისე დიდი ხნის წინათ გარკვეული წონასწორობა ნაწილობრივ მიიღწეოდა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტისა და ფასების სახელმწიფო კომიტეტის მეშვეობით.

აღნიშნული სახელმწიფო ინსტიტუტები, როგორც საბაზრო ეკონომიკისათვის შეუსაბამო ორგანოები გაუქმებულია, ხოლო სანაცვლოდ საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი სტრუქტურები არ ჩამოყალიბებულა. მხედველობაში გვაქვს ისეთი ინსტიტუტები, როგორიცაა სასაქონლო ბირჟები, სავაჭრო სახლები, კომერციული ცენტრები და სხვა, რომელთა გარეშე ეფექტური საგადასახადო, საფინანსო, ფულად-საკრედიტო, საინვესტიციო და ფასების პოლიტიკის შემუშავება და გატარება პრაქტიკულად შეუძლებელია. ცნობილია, რომ შერეული ეკონომიკის პირობებში (რაც დღეს ჩვენში არსებობს) სასურსათო პროდუქტებზე მოთხოვნა-მიწოდების მაღალი კონცენტრაციის უზრუნველყოფა შეუძლია მხოლოდ კარგად ორგანიზებულ სრულფასოვან საბითუმო ბაზარს.

საბირჟო მექანიზმის გამოყენება მწარმოებელს აძლევს საშუალებას თვითონვე მიიღოს გადაწყვეტილება პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მასშტაბების შესახებ. იგი საბაზრო ფასწარმოქმნის მექანიზმის გამოყენებით სოფლის მეურნეობისა და მისი მომსახურე დარგების, სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის საქონლის ექვივალენტური გაცვლის გარანტიას იძლევა. ამასთან, როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლები, შუამავალი მყიდველები და გამყიდველები დაზღვეული ხდებიან ფასების მერყეობით გამოწვეული დანაკარგებისაგან, რადგან ფიუჩერული გარიგებით პრაქტიკულად მომავალი წლის მოსავლის წინასწარი ანაზღაურება ხდება. ეს კი საშუალებას აძლევს მწარმოებელს შეიძინოს მისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და განავითაროს გარანტირებული წარმოება.

ამასთან ერთად საჭიროდ მიგვაჩნია მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით, ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით დამუშავდეს აგრობირჟის მოწყობის პროექტიც. იგი დიდად შეუწყობს ხელს ძირითადი სასურსათო პროდუქციის შიდა ბაზრის მოთხოვნა-მიწოდების მექანიზმის ამოქმედებას.

ამ მიზნით პირველ ყოვლისა უნდა დაისვას საკითხი ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის წინაშე აგრობირჟის პროექტის

შემუშავებისა და რეალიზაციისათვის სათანადო კრედიტის გამოყოფის შესახებ.

პარალელურად ქვეყანაში უნდა დაჩქარდეს საბირჟო და მარკეტინგული საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის შემუშავება, რამდენადაც ყოველგვარი საბაზრო სტრუქტურულის შექმნა-ფორმირება და ფუნქციონირება შესაბამისი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმების საფუძველზე უნდა ხორციელდებოდეს.

მსოფლიო პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ნებისმიერი სახელმწიფო პირდაპირი (საბიუჯეტო დაფინანსების) ან არაპირდაპირი (სამართლებრივი რეგულატორებისა და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენების) გზით ვრევა ქვეყნის ეკონომიკის მართვასა და რეგულირებაში.

თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, აგრარული სექტორი უნდა სარგებლობდეს სისტემატური სახელმწიფო მხარადაჭერით.

საკრედიტო პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს აგრარული სექტორის მხარდასაჭერად ცენტრალიზებული შეღავათიანი კრედიტის თავისდროულ გამოყოფას. გრძელვადიან და მოკლევადიან კრედიტებს შორის აუცილებელ თანაფრადობას. ძირითადი საშუალებების შესაძენად მიზნობრივი გრძელვადიანი კრედიტი უნდა მიეცეს არა უმცირეს 5 წლის ვადისა:

კრედიტების ოდენობა, საპროცენტო განაკვეთების დონე, მათი დაფარვის ვადები და კრედიტის გამოყენებისათვის პასუხისმგებლობის ზომები უნდა განისაზღვროს კომერციულ ბანკებსა და სესხების ამღებებს შორის შეთანხმებათა საფუძველზე, ხოლო ცენტრალიზებული კრედიტების რაოდენობა უნდა დაადგინოს ეროვნულმა ბანკმა, საკრედიტო პოლიტიკის საკითხების სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

რეგიონალური სოციალური პოლიტიკა უნდა განხორციელდეს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფონდების შექმნის ხარჯზე, რომელიც გამოიყენება საცხოვრებელი სახლების, ადგილობრივი გაზომომარაგების სისტემის, წყალ და თბომომარაგებისა და სხვა ობიექტების მშენებლობისა და

შენახვისათვის.

ამასთან, დასახლებული პუნქტების სოციალური მოწყობის ფინანსირება უნდა განხორციელდეს სოფლის საქონელმწარმოებლების, სამრეწველო და სამშენებლო ორგანიზაციების სახსრების მოზიდვის საშუალებით.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა შექმნან სოფლის სოციალური განვითარების ფონდები, საწარმოების, ორგანიზაციების, ფერმერული მეურნეობებისა და დაწესებულებების ნებაყოფლობითი მიზნობრივი გადარიცხვების ხარჯზე.

ყოველივე ეს მოითხოვს აგრარული სექტორის მთელი სიტემის სასწავლებლების ახალ ორგანიზაციულ პრინციპებზე მოწყობას. ამ სისტემაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ადგილობრივი პრინციპების შეხამება დარგთაშორისი და რეგიონალური კოოპერაციის და ინტეგრაციის პრინციპებთან. უნდა ჩამოყალიბდეს განათლების ყველა დონეზე სოფლის მეურნეობის პროფილის ახალი ტიპის სასწავლებლები.

საქართველოში ამჟამად ნორმატიული აქტების შექმნა მეტწილად ატარებს ფრაგმენტალურ, ხშირად კი წინააღმდეგობრივ ხასიათს. სერიოზული ნაკლოვანებებია საფინანსო-საკრედიტო მექანიზმში, აგრარული სექტორის საქმიანობის რეგულირებაში, სახელმწიფო, კოოპერაციული და ფერმერული მეურნეობების ფუნქციონირებაში, კოოპერატივების ორგანიზაციაში. ამასთან აუცილებელია დამუშავდეს ახალი ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავენ აგრარულ სექტორში რეფორმის მიმდინარეობას და ახალი კანონმდებლობის დამუშავებისა და მიღების დროის გარკვეული თანმიმდევრობის დაცვას, ასევე დასაჩქარებელია ადგილობრივი მმართველობის, წიაღისეულის, გარემოს დაცვის, მიწის კადასტრისა და საადგილმამულო წიგნის შესახებ კანონების ბაზის შექმნა.

მაშასადამე აგრარული პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების სრულყოფა ჩვენი აზრით შესაძლებელია თუ საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების პროცესში წარმოშობილ პრობლემათა გადაჭრა ძირითადად მიღწეული იქნება სახელმწიფო რეგულირებით.

3.3. აგრარული პოტენციალის გამოყენების დონის ამაღლების რეკომენდაციები

საქართველოში სოფლის მეურნეობა ყოველთვის ითვლებოდა ქვეყნის ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს დარგად. მაგრამ არასწორად გატარებულმა რეფორმამ, გასაღების ბაზრების დაკარგვამ და სხვა მრავალმა უარყოფითად მოქმედ ფაქტორებმა დღეს აგრარული სექტორი სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო. გატარებულ აგრარულ რეფორმაში ერთადერთი დადებითი ის არის, რომ მიწა ხალხს გადაეცა კერძო საკუთრებაში, მაგრამ მისი მოვლა და ეფექტურად გამოყენება უსახსრობის გამო სოფლის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს არ შეუძლია.

აგრარული სფეროს წინაშე დამდგარი პრობლემების გადასაჭრელად კი საჭიროა რიგი ქმედითი ღონისძიებების გატარება, როგორც სახელმწიფო, ისე რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე, სწორი გზების ძიება, ქვეყნის სტრატეგიიდან გამომდინარე აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების შემუშავება, შესაბამისი კანონების მიღება, სოფლის მოსახლეობისათვის შეძლებისდაგვარად ხელის შეწყობა და მრავალი სხვა.

როგორც აღვნიშნეთ, სოფლად გლესს ამჟამად აქვს მხოლოდ მიწა. რა თქმა უნდა, მიწა აგრარულ სფეროში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსული პოტენციალია, მაგრამ მასთან ერთად აუცილებელია სხვა საწარმოო პოტენციალის არსებობაც. ესენია შრომითი რესურსები, მატერიალური რესურსები, ფინანსური რესურსები, ენერგორესურსები, წყლის რესურსები, ინფორმაციული რესურსები, მართვის თანამედროვე მეთოდები და სხვა. ჩამოთვლილი რესურსების კომპლექსური გამოყენებით შეიძლება ეფექტურად ფუნქციონირებდეს აგრარული საწარმო.

თანამედროვე რთულ პირობებში სოფლის მეურნეობის ეფექტური ფუნქციონირების ერთ-ერთ ძირითად და პერსპექტიულ მიმართულებად ითვლება აგრარული სექტორის განვითარება არსებული შიდა რეზერვების გამოყენების ხარჯზე. ამ მიმართულების რეალიზაცია პირველ რიგში დამოკიდებულია ეკონომიკის აგრარული სექტორის რესურსული

პოტენციალის რაციონალურ გამოყენებასთან.

რესურსების გამოყენების მაქსიმალური ეფექტიანობა შესაძლებელია მხოლოდ მათი პროპორციული დაბალანსების შემთხვევაში, რომელიც შეესაბამება წარმოების ტექნოლოგიის მოთხოვნებს.

წარმოების ეფექტიანობა გამოისახება როგორც ეფექტის შეფარდება იმ დანახარჯების სიდიდესთან, რომლებმაც განაპირობეს ეს ეფექტი. იმისათვის, რომ სწორად ჩამოვყალიბოთ ცალკე აღებული რესურსის ეფექტურობის მაჩვენებელი, რომელიც არ იქნება დამახინჯებული სხვა რესურსების ეფექტურობის გავლენით, საჭიროა მიღებული ეფექტიდან გამოვყოთ ის ნაწილი, რომელიც განპირობებულია სწორედ ამ კონკრეტული რესურსის მოქმედებით. აგრარული სექტორის რესურსული პოტენციალის ობიექტური შეფასება შეიძლება მიღებული იქნეს წარმოებული პროდუქციის მოცულობაზე თითოეული რესურსის გავლენის ხარისხის გათვალისწინების (აღრიცხვის) საფუძველზე.

ქვეყანაში აგრარული პოტენციალის გამოყენების დონის ამაღლების მიზნით წარმოვადგინოთ რიგ რეკომენდაციებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ფერმერებს აგრარული წარმოების ეფექტიანად გაძლოლაში.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე სასურველია აგრარული სექტორის სახელმწიფო რეგულირება. საჭიროა ჩამოყალიბდეს ისეთი ეკონომიკური სისტემა, რომელიც განვითარებული ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე აარიდებს აგრარულ სექტორს უარყოფით მოვლენებს. აგრარული სექტორის სახელმწიფო რეგულირების საკითხი ყოველთვის აქტუალური იყო. მის წინაშე დგას შემდეგი ამოცანები: აგროსამრეწველო საწარმოს სტაბილიზაცია და განვითარება; მოსახლეობის უზრუნველყოფა სასურსათო პროდუქტებით; ეკონომიკური პარიტეტის მხარდაჭერა; აგრარული სფეროსა და მრეწველობის მუშაკთა შემოსავლების დონის დაახლოება; ადგილობრივი საქონელმწარმოებლების დაცვა ბაზარზე. აგრარული სექტორის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მიმართულებებია: სოფლის მეურნეობის პროდუქციის, ნედლეულისა და სურსათის ბაზრის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება; დაფინანსება,

დაკრედიტება, დაზღვევა, შეღავათიანი საგადასახადო სისტემა; ადგილობრივი საქონელმწარმოებელთა ინტერესების დაცვა; სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვა; სოფლის სოციალური სფეროს განვითარება.

საჭიროა დაუყოვნებლივ შემუშავდეს და განხორციელდეს სოფლის მეურნეობისა და ფერმერთა საზოგადოების განვითარების ფართომასშტაბიანი სტრატეგია, რომელმაც შეიძლება გაცილებით დიდი ეკონომიკური და სოციალური შედეგი გამოიღოს, ვიდრე ინვესტიციებმა. დღეს ინვესტიციების მოზიდვას ძალზედ დიდ ყურადღებას უთმობენ, მაგრამ თუ ქართველ გლეხს ხელს შეუწყობენ, წარმოებული პროდუქციის ექსპორტით საქართველოს შეუძლია მიიღოს 80 მლნ აშშ დოლარამდე, მაშინ როდესაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენიდან საქართველო მხოლოდ 50 მლნ აშშ დოლარს მიიღებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობას შეუძლია ისარგებლოს ქვეყანაში მიმდინარე მაკროეკონომიკური სტაბილიზაციით, მაგალითად, საპროცენტო განაკვეთების შემცირება, ბიზნესის გარემოს გაუმჯობესება, გამარტივებული ადმინისტრაციული პროცედურები, კორუფციის დონის შემცირება. ცნობილია, რომ ფერმერული საზოგადოების განვითარებისათვის დონორებს გათვალისწინებული აქეთ საკმაო თანხების გამოყოფა პროგრამის განსახორციელებლად „ათასწლეულის გამოწვევა“. სასურველია, რომ ეს თანხები მიზნობრივად სოფლის მეურნეობის განვითარებას მოხმარდეს.

სხვადასხვა ქვეყნებში აგრარული რეფორმა განსხვავებულად მიმდინარეობდა. არც საქართველოა გამონაკლისი. ამ რეფორმების პირველ ეტაპზე პროცესები შემდეგნაირად წარიმართებოდა: 2008 წელს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მთელი ფართობიდან (3022,7 ათასი ჰა) პრივატიზებული იყო 25,2%, მათ შორის 795,3 ათასი ჰა სახნავიდან პრივატიზებული იყო 54,9%; 767,9 ათასი ჰა მრავალწლიანი ნარგავებიდან პრივატიზებული იყო 67,6%, ხოლო 1797,2 ათასი ჰა საძოვრებიდან პრივატიზებული იქნა მხოლოდ 4,7%. თუ 1990 წელს ერთ კომლზე მოდიოდა 0,26 ჰა მიწის ფართობი, 2008 წელს პრივატიზაციის შედეგად ეს

მახვენებელი შეადგენდა 0,9 კპ-ს. პრივატიზაციის შედეგად მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოები შეიცვალა წვრილებით, დაშლილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დარღვეულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური, ეკონომიკური და ორგანიზაციული ერთიანობა. მნიშვნელოვნად გაუარესდა ნიადაგის ნაყოფიერება, აგრარული სექტორის დაფინანსების შეზღუდვისა და სახსრების უქონლობის გამო, გაიზარდა დაჭაობებული, ეროზირებული და გამოუყენებელი მიწების ფართობები.

ყოველივე ამ ნეგატიური მოვლენების თავიდან ასაცილებლად სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწეოს გლეხური და ფერმერული მეურნეობების განვითარებას ისეთი ბერკეტებით, როგორცაა: გადასახადები, ფასები, მიზნობრივი სახელმწიფო სუბსიდიები მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად, სურსათის წარმოების, პროდუქციის ხარისხის, უმუშევრობის რეგულირება, მარკეტინგის განვითარება, სასოფლო სამეურნეო პროდუქციის დეფიციტსა და სიჭარბეზე კონტროლის დაწესება, ექსპორტის განვითარება, ქვეყნის მოსახლეობის სრული უზრუნველყოფა სურსათით, საინვესტიციო საქმიანობის მხარდაჭერა, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება, გარემოს დაცვა, მცენარეებისა და ცხოველების დაავადებებთან და მავნებლებთან ბრძოლა და სხვა. ვინაიდან წვრილი გლეხური მეურნეობები ჩამოთვლილ პრობლემებს ვერ გადაჭრიან, საჭიროა სახელმწიფომ ნაწილობრივ მაინც დაფაროს ხარჯები ენერგო- და მატერიალური რესურსების შექენაზე, მაღალპროდუქტიული პირუტყვის გამოზრდაზე და სხვა.

აგრარული რეფორმის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული საკრედიტო, საფინანსო, დაზღვევის პოლიტიკაზე და სუბსიდირებაზე. ხელოვნურად დადგენილმა დემპინგურმა ფასებმა იმპორტულ პროდუქციაზე კიდევ უფრო გაამწვავა ეკონომიკური მდგომარეობა.

ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგებიდან საქართველოში საკმაოდ ეფექტიანად ფუნქციონირებს საბანკო სისტემა. ქვეყანაში ფუნქციონირებს საზღვარგარეთის კრედიტებისა და დახმარების სხვადასხვა ფონდები, მაგრამ მათი მიღების მექანიზმი საკმაოდ რთულია და

მიუწვდომელი სოფლის მეწარმესათვის ისევე, როგორც კომერციული ბანკების მიერ შემოთავაზებული პირობები. ძირითადი პრობლემა გლეხებზე სესხის გაცემისას ის არის, რომ მათ მცირე ზომის მიწის ნაკვეთები აქვთ და სესხის გაცემისას ამ ნაკვეთის დაგირავება ბანკებისათვის ხელსაყრელი არ არის, ვინაიდან გირაოს ღირებულება ბანკების ეჭვს იწვევს. თანაც გასათვალისწინებელია სტიქიური და სხვადასხვა ფორს მაჟორული მოვლენები, რომლის შედეგადაც გირაოს ღირებულება კიდევ უფრო მცირდება. ამ სიტუაციიდან გამოსასვლელად გვესახება ფერმერთა საკრედიტო კოოპერატივების შექმნა, რომლებიც დააფინანსებენ კოოპერატივის წევრებს.

აგრარულ სექტორში დაბალ დონეზე გამოიყენება საწარმოო, რესურსული პოტენციალი, მაშინ როდესაც კაპიტალის პროდუქტიულობა ძალზე მაღალია. სხვადასხვა ინოვაციების გამოყენებით (ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ახალი სახის საკვების გამოყენება, ახალი ჯიშების მცენარეებისა და პირუტყვის დანერგვა-გამრავლება და სხვა) შეიძლება მოკლე დროში დიდი ეფექტის მიღება.

გლობალიზაციის პირობებში საქართველოს აგრარულ სექტორს ცოტაოდენი ხელის შეწყობით თავისუფლად შეუძლია წარმატებებს მიაღწიოს და გაეიდეს მსოფლიო ბაზარზე თავისი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით, ვინაიდან ჩვენში მიწები ძალზედ ნაყოფიერია, ბუნებრივ-კლიმატური პირობები ხელსაყრელი, მუშა ხელი იაფი. საქართველოს აგრარულმა სექტორმა პირველ რიგში ყურადღება უნდა გაამახვილოს პერსპექტიული პროდუქციის წარმოებაზე, რომლებშიც ქვეყანას ფარდობითი უპირატესობა გააჩნია, ესენია ყურძენი, ხილი, ღვინო, ბოსტნეული.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია აგრარული სფეროს მოდერნიზება, ფერმერთა საზოგადოების ჩამოყალიბება, ბიუჯეტში სათანადო სახსრების გამოყოფა სასწრაფოდ საირიგაციო და სადრენაჟო სამუშაოების ჩასატარებლად, სათანადო გზების აშენება, რომლის გარეშეც ბაზართან ვერ დამყარდება ეფექტური კავშირი. ამიტომ აგრარული დარგის სტრატეგიულ მიმართულებებში ასახული უნდა იყოს პირველ რიგში სოფლის

ინფრასტრუქტურის ინვესტირება.

დიდი პერსპექტივები ისახება აგრო-ტურიზმის განვითარებაში, რაც საკმაო შემოსავლის მომტანი იქნება როგორც სოფლის მოსახლეობისათვის, ისე სახელმწიფოსათვის. მხარდაჭერის ასეთი ფორმა ხორციელდება საურსათო საზოგადოებრივი პროგრამების მეშვეობით.

დასკვნები და წინადადებები

აგრარული სექტორის პოტენციალის ფორმირებისა და გამოყენების თეორიისა და პრაქტიკის კომპლექსური გამოკვლევა საშუალებას იძლევა გავაკეთოთ განსაზღვრული დასკვნები.

ბოლო წლებში მთლიანად ქვეყნის ეკონომიკასა და მათ შორის აგრარულ სექტორში მომხდარმა და მიმდინარე სტრუქტურულ გარდაქმნებმა ჯერ კიდევ არ გამოიღო მოსალოდნელი დადებითი შედეგები. აგრარულ სექტორში არსებული პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი პირობათაგანია ამჟამად მათი საწარმოო პოტენციალის ობიექტურად შეფასება და ზრდის რეზერვების ძიება. ეს საკითხები საკმარისად არ არის გამოკვლეული და გაშუქებული, რაც აფერხებს ეროვნული მეურნეობის აღნიშნულ სექტორში განვითარების ეფექტური სტრატეგიის შემუშავებას.

აგრარულ სექტორში საწარმოო პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების გზების ძიებისაკენ მიმართული გამოკვლევა, ქვეყნისა და სამეგრელოს რეგიონის აგრარულ სექტორში მიმდინარე ტრანსფორმაციების შესწავლა, რესურსული პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების საფუძველზე, ასევე აგრარული პოტენციალის ფორმირებასა და განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა უმნიშვნელოვანესი და აქტუალურია როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

- მიმდინარე პერიოდში, ვინაიდან აგრარული სექტორი ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, საქართველოს უხდება ძირითადი სახეობის სასურსათო პროდუქტების შემოზიდვა საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, რაც დიდ ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლისათვის საჭიროა ისეთი მექანიზმების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობენ კრიზისიდან თავის დაღწევას. ამისათვის საჭიროა ამოქმედდეს ის გამოუყენებელი რეზერვები, რომლებიც არსებობენ როგორც მთლიანად საქართველოში, ასევე მის ცალკეულ რეგიონებში, განსაკუთრებით რესურსული პოტენციალის თვალსაზრისით.

- ეკონომიკის რადიკალური რეფორმის რეალიზება შეუძლებელი იქნება, თუ აგრარული სექტორის განვითარების პრობლემები მეტ-ნაკლებად არ იქნა მოგვარებული, ამიტომ რეფორმა პირველ რიგში აგრარული სექტორიდან უნდა

იქნეს დაწყებული, რადგან ძირითადად მასზეა დამოკიდებული ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება და სიღარიბის დაძლევა.

- სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ადეკვატური ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების შექმნა და ურთიერთშეხამება. სამომხმარებლო ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების საფუძველია სასურსათო პროდუქტების მწარმოებელი დარგების განვითარება ინტენსიფიკაციის გზით. ამ პრობლემის გადაწყვეტაში ცენტრალური როლი უნდა შეასრულოს საკუთრების და მეურნეობრიობის შესაბამისი ფორმების დანერგვამ. აგრარული სექტორის ეკონომიკური განვითარების საფუძველი კერძო საკუთრება უნდა იყოს, თუმცა საჭიროა შეიქმნას პირობები მეურნეობის სხვადასხვა ფორმების ჩამოყალიბებისთვისაც.

აგრარული სექტორისათვის დამახასიათებელია საკუთრების ფორმების მრავალფეროვნება, ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა სოფლის მეურნეობაში. საკუთრების ფორმების შესაბამისად ფუნქციონირებენ ისეთი წარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, როგორცაა: გლეხური, ფერმერული მეურნეობები; სოლიდური პასუხისმგებლობის საზოგადოება; კომანდიტური საზოგადოება; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება; სააქციო საზოგადოება; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი და სახაზინო საწარმო.

სამეგრელოს რეგიონში ჩამოყალიბდა საბაზრო ურთიერთობის შესაბამისი საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები და მესაკუთრეთა ფენა. კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისათვის აუცილებელია წარმოების მასშტაბების გაზრდა და მრავალწობიანი ეკონომიკური სისტემის შექმნა.

- აგრარული პოტენციალის განსაზღვრა და მისი ეფექტიანობის შეფასება ის ფუნდამენტია, რაზეც აგებული უნდა იქნეს მთელი ეკონომიკის პირამიდა. ეს კი განაპირობებს ისეთი ეკონომიკური კატეგორიების ღრმა გაანალიზებას, როგორცაა აგრარული პოტენციალი და აგრარული წარმოების ეფექტიანობა.

აგრარული სექტორის რესურსული პოტენციალი შეიძლება განიმარტოს როგორც იმ რესურსების რაოდენობა და ხარისხი, რომელიც საჭიროა ეკოლოგიურ-სოციალური და ეკონომიკური სისტემის გაფართოებული კვლავწარმოებისათვის და განსაზღვრავს აგრარული სფეროს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზღვრულ მოცულობას, რაც უზრუნველყოფს ქვეყნისა და რეგიონის მოსახლეობის მოთხოვნებს სურსათით, ხოლო სამრეწველო საწარმოებს კი ნედლეულით.

- აგრარული სექტორის ძირითადი საწარმოო ფაქტორებია შრომა, წარმოების საშუალებები, მიწის რესურსები, რომელთა გამოყენებაზეც დაფუძნებულია საწარმოო პროცესები და რომლებიც ქმნიან ამ სექტორის რესურსულ პოტენციალს. ფაქტობრივად მიღებული წარმოებული პროდუქციის მოცულობები არის აგრარულ სექტორში საწარმოო პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების შედეგი.

სამეგრელოს რეგიონის აგრარული სექტორის დაჩქარებული ტემპით განვითარება და საბაზრო ურთიერთობაზე გადაყვანა მოითხოვს რადიკალური აგრარული რეფორმის კურსის სწორად და რაციონალურად გატარებას. რეფორმის ძირითად მიმართულებად მიგვაჩნია: მიწებისა და წარმოების სხვა ძირითადი საშუალებების თანმიმდევრული განსახელმწიფოებრიობის და პრივატიზების დასრულება, ახალი თანამედროვე ტიპის საწარმოების ფორმირება; ფასების ლიბერალიზაცია და თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების შესაძლებლობათა გამოყენება; აგროსერვისის ოპტიმალური ორგანიზაცია; თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების ფართო დანერგვა, საწარმოთა შორის კონკურენციის განვითარება და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება; მართვისა და პროგნოზირების სწორი სისტემის დამკვიდრება და ა.შ.

- სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთავარი სირთულე და სიძნელე მდგომარეობს იმაში, რომ, საზოგადოებრივი წარმოების ყველა სხვა სფეროსაგან განსხვავებით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების პროცესში მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასა და სხვა არაცოცხალ

საშუალებებთან ერთად გადამწვევტი მნიშვნელობით მონაწილეობს ოთხი ცოცხალი ორგანიზმი - ნიადაგი, მცენარე, პირუტყვი და ადამიანი. თითოეულ ამ ცოცხალ ორგანიზმს იმავე წარმოების პროცესში ერთდროულად განუწყვეტლივ და უმაღლესი მოთხოვნილების დონეზე ესაჭიროება აუცილებელი, შეუცვლელი, ერთიმეორეზე არანაკლები მნიშვნელობის მქონე და პირდაპირ მოქმედი ხუთი სასიცოცხლო ელემენტი - სინათლე, სითბო, წყალი, ჰაერი და საკვები ნივთიერებები.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების პროცესში მონაწილე ეს ოთხი ცოცხალი ორგანიზმი თავიანთი ხუთი სასიცოცხლო ელემენტით ერთმანეთთან განუწყვეტლივ კორელაციურ კავშირსა და ფუნქციურ დამოკიდებულებაშია.

- აგრარულ სექტორში მნიშვნელოვანი რესურსული პოტენციალია ტექნიკური საშუალებები. ტრაქტორების და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების ნორმალური დატვირთვით მუშაობისათვის დღეს, ფერმერული მეურნეობების პირობებში, ვიდრე არასოდეს საჭირო და აუცილებელია აგროსერვისული მომსახურების ყოველმხრივი გაუმჯობესება. ისე ფართო უნდა იყოს აგროსერვისის სახეები და ფორმები, რომ მეწარმეს საშუალება ჰქონდეს სურვილისამებრ აირჩიოს მისთვის ყველაზე ხელსაყრელი და მისაღები აგროსერვისის ფორმა.

- საბრუნავ საშუალებათა საწარმოო პოტენციალი ყველაზე მეტად ცვალებადი პოტენციალია აგრარული სექტორის საწარმოო პოტენციალთა შორის. ესენია თესლი და სარგავი მასალა, ფურაჟი და ქვემსაფენი, სასუქები და შხამქიმიკატები, საწვავ-საცხები და საადმშებლო მასალები, საწარმოო მარაგი და სათადარიგო ნაწილები, დაუმთავრებელი წარმოება და სხვა. მათი მოცულობა ბევრად არის დამოკიდებული მეწარმეთა მდგომარეობაზე - მათ შესაძლებლობაზე, უნარსა და ხასიათზე. მიზანშეწონილია, რომ თესლი და სარგავი მასალა, ფურაჟი და ქვემსაფენი და ზოგიერთი სხვა საშუალება მეწარმემ თვითონ აწარმოოს საჭირო რაოდენობით საკუთარ მიწის ნაკვეთზე.

- თანამედროვე ეტაპზე საქართველოს აგრარული სექტორის

განვითარებაში არსებული პრობლემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ დარგი განიცდის სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისს. ამ კრიზისიდან თავის დასაღწევად დაუყოვნებლივ უნდა შემუშავდეს შესაბამისი სტრატეგიული მიმართულებები. აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს ეროვნული აგრარული სექტორის განვითარების დარგობრივი და რეგიონალური თავისებურებები, ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა, ტრადიციები, არსებული და პოტენციური რესურსები. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილთან ერთად სოფლის მეურნეობის განვითარება უნდა შეესაბამებოდეს მსოფლიო ბაზრისა და ეკონომიკის ძირითად მოთხოვნებს.

- აგრარული სექტორის განვითარება განაპირობებს სოფლის მეურნეობასთან მჭიდრო კავშირში მყოფ ეროვნული მეურნეობის სხვა დარგების განვითარებასაც. ასეთ დარგებს მიეკუთვნება კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობა, მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების წარმოება, ტურიზმი, ვაჭრობა, კომბინირებული საკვების წარმოება, მსუბუქი და მძიმე მრეწველობა, ავტოტრანსპორტი და მრავალი სხვა. მათი განვითარებით კი ქვეყანაში შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები და შემცირდება უმუშევრობა.

- ინტეგრაციის განვითარების უმაღლესი საფეხურია მსოფლიო გლობალიზაცია. ამ პროცესში ჩართვისათვის საქართველომ უნდა განავითაროს, ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად სოფლის მეურნეობის დარგებიც, რათა ქვეყანამ აწარმოოს არა მარტო თავისი მოსახლეობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საჭირო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობა, არამედ იმდენი და ისეთი ხარისხის კონკურენტუნარიანი პროდუქციაც, რომელიც დააკმაყოფილებს მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებს. გლობალიზაციამ საქართველოზე უარყოფითად რომ არ იმოქმედოს, საჭიროა ეფექტიანად იქნეს გამოყენებული პრიორიტეტები და უპირატესობები, ესენია გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური, აგრეთვე ქვეყანაში არსებული რესურსული, ინტელექტუალური პოტენციალი და სხვა.

- საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ქვეყანაში შექმნილმა

არასტაბილურმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ვითარებამ, ჩიხში მოამწყვდია ეროვნული მეურნეობის თითქმის ყველა დარგი, მათ შორის აგრარული სექტორიც. საგარეო ეკონომიკური კავშირების მოშლამ, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან, ასევე სხვა ქვეყნებთან ჩაის, ციტრუსის, ღვინის, კონიაკის, ხილის, ბოსტნეულის, საადრეო კარტოფილის და სხვათა დიდი რაოდენობით ექსპორტიორ ქვეყანას საერთაშორისო ბაზარზე თავისი ადგილი დაუკარგა და თითქმის ყველა სახის სასურსათო პროდუქტების იმპორტიორად აქცია. ყოველივე ამის შედეგად საქართველოში დაეცა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაგლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, შემცირდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საერთო წარმოება, რეალური საფუძველი გამოეცადა სოფლის მეურნეობის საწარმოო პოტენციალის კვლავწარმოებას. თუ 1990 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის უმეტესი ნაწილი სოფლის მეურნეობაში იწარმოებოდა, 2008 წელს ამ მაჩვენებელმა 13,9% შეადგინა. აგრარული სექტორის პრიორიტეტულად აღიარება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ამ სექტორში წარმოების ზრდის ტემპების დაჩქარებაში.

- აგრარული სექტორის ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება წარმოადგენს მისი ნორმალური განვითარების აუცილებელ პირობას. იგი დაკავშირებულია შემდეგ გარემოებებზე: თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას არ შეუძლია დამოუკიდებლად გადაჭრას ისეთი პრობლემები, როგორიცაა შემოსავლების არასამართლიანი განაწილება, საქმიანი აქტივობის პერიოდული დაქვეითება, უმუშევრობა, მონოპოლიზმი, ინფლაცია და სხვა. პირიქით, ეს მოვლენები საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი თავისებურებებია, რომელთა გადაწყვეტაში ვლინდება სახელმწიფოს როლი და უნარი, მისი ეკონომიკური ფუნქცია.

- აგრარული პოლიტიკის სწორი კურსის გატარებით საჭიროა ამოქმედდეს ეკონომიკური ზრდის ისეთი ბერკეტები, როგორცაა: მიწა, კაპიტალი, შრომა, მეწარმეობა და სახელმწიფოს მართვა. სამწუხაროდ ჩვენს ქვეყანაში აგრარული პოლიტიკა არასწორი კურსით წარიმართა და არ მოხდა ზემოთ დასახელებული ბერკეტების კომპლექსურად ამოქმედება.

- აგრარული რეფორმის წარმატება და საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება ბევრადღაა დამოკიდებული საკრედიტო, საფინანსო, სადაზღვევო პოლიტიკასა და სუბსიდირებაზე, სახელმწიფომ ამით ვერ შექმნა მარგულირებელი მექანიზმი და ეფექტიანად ვერ გამოიყენა ვერც ერთი ეკონომიკური ბერკეტი. ამ ბერკეტების ამოქმედება რესურსული პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების მნიშვნელოვანი რეზერვი უნდა იყოს.

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ნედლეულის და სურსათის ბაზარზე ეკონომიკური ურთიერთობების საფუძველს წარმოადგენს საბაზრო ფასები, რომლებიც ყალიბდება მოთხოვნისა და მიწოდების ზეგავლენით, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში პროდუქციის ბაზრის რეგულირების და საქონელმწარმოებელთა მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო იძულებულია გამოიყენოს გარანტირებული და მიზნობრივი ფასები. მასალების ანალიზმა გვიჩვენა, რომ რეგულირების აღნიშნული მექანიზმები საქართველოს აგრარულ სექტორში, მით უმეტეს, საკვლევ რეგიონში გამოყენებული არ არის. მიზანშეწონილია გარანტირებული ფასების მეშვეობით სახელმწიფომ შეძლოს რესურსული პოტენციალის ამოქმედება. აგრობიზნესის განუვითარებლობით სრულად არ გამოიყენება აგრარული სექტორის საწარმოო პოტენციალი - მიწა, კაპიტალი, შრომა, მეწარმეობის უნარი. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დაცემის კომპენსაცია კი ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება. გლეხური და ფერმერული მეურნეობების, კოოპერატივების, სხვადასხვა გაერთიანებების გავლენა ბაზრის კონიუქტურაზე ჯერ კიდევ მცირეა, რის გამო ბაზარი ძირითადად გაჯერებულია უცხოეთიდან შემოტანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტით. ეს უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის აგრარულ ეკონომიკაზე, ხოლო სოფლის საქონელმწარმოებელთა ფინანსური მდგომარეობა კრიტიკულია. მიზანშეწონილია ოპტიმალური საგადასახადო სისტემის შექმნით და მისი ეფექტიანი ფუნქციონირებით განხორციელდეს აგრარულ საწარმოთა შემოსავლების გაზრდა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გადასახადების ოპტიმალური განაკვეთის დადგენას. მისი ხელოვნური გაზრდა აფერხებს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს. საგადასახადო სისტემის მუდმივი

ცვლილებები და სრულყოფის პროცესი, განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს რესურსული პოტენციალის სრულყოფილად გამოყენებაში. აგრარულ სექტორი ოპტიმალურმა საგადასახადო სისტემამ უნდა უზრუნველყოს გადასახადით დაბეგვრის საყოველთაოობა და მოქალაქეთა შორის გადასახადის განაწილების თანაფარდობა შემოსავლის მიხედვით.

- აგრარულ სექტორში გადასახადის სიდიდის განსაზღვრის საფუძველია მიწის ფართობის ან სავარგულების დამადასტურებელი დოკუმენტი. მიწის გადასახადის სიდიდე არაა დამოკიდებული გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობის შედეგებზე (შემოსავალზე ან მოგება-ზარალზე) და დგინდება მიწის ფართობის ერთეულზე ფიქსირებული გადასახადის სახით. მიწის გადასახადი დიფერენცირებულია მიწის ხარისხის და ადგილმდებარეობის მიხედვით. მიწის გადასახადის ერთ-ერთი თავისებურებაა ისიც, რომ იგი თავისი შინაარსით საერთო სახელმწიფოებრივ გადასახადთა რიცხვს მიეკუთვნება, მაგრამ მთლიანად ჩაირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში. ასეთ პირობებში მიწის რეალური საბაზრო ფასის დადგენა და მიწის გადასახადის სიდიდის განსაზღვრა გაძნელებულია.

- კერძო სექტორის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია თავისუფალი საკრედიტო ბაზრის არსებობა. დღეისათვის კერძო მეწარმისათვის საკრედიტო ბაზარი თითქმის არ არსებობს, რაც ძალიან აფერხებს მის განვითარებას. ქვეყანაში არსებობს კრედიტებისა და დახმარების საზღვარგარეთული ფონდები, მაგრამ მისი მიღების მექანიზმები ძალიან რთულია და სოფლის მეწარმისათვის მიუწვდომელია. კომერციული ბანკები კი საერთოდ ხელმიუწვდომელ პირობებს სთავაზობენ აგრარულ სექტორს.

- აგრარული სექტორი ეროვნული მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. თავის მხრივ იგი, როგორც საზოგადოებრივი წარმოების დამოუკიდებელი დარგი, გადაქცეულია სისტემად, რომელსაც აქვს სოციალური სისტემის მნიშვნელოვანი თვისებები: მთლიანობა, იერარქიულობა, დინამიზმი და აგრეთვე ქცევის ხასიათის ადაპტიურობა, ადამიანთა საქმიანობისა და გარე პირობების გავლენისაგან დამოკიდებულებით. იგივე შეიძლება ითქვას სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, როგორც სოფლის

მეურნეობის დარგის შემადგენელი ელემენტების და უფრო დაბალი დონის სასოფლო-სამეურნეო სისტემის შესახებაც. მართვის ორგანიზაციის საკითხების გადაწყვეტისას აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდეგი თავისებურებანი: მიწა სოფლის მეურნეობაში გამოდის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალება; სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტერიტორიული განლაგება განაპირობებს წარმოების მართვას ორგანოების ტერიტორიულ საწარმოო პრინციპებით აგების აუცილებლობას და მართვის მეტი ოპერატიული სამეურნეო დამოუკიდებლობის მინიჭებას; კვლავწარმოების ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების მჭიდრო ურთიერთგადაჯახება; საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმათა მრავალფეროვნება; საიჯარო ურთიერთობების არსებობა; სოფლის მერუნეობის სოციალურ-ეკონომიკური არაერთგვაროვნება; ქალაქსა და სოფელს შორის არსებული განსხვავება, რომელიც მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის მრავალი საკითხის თავისებურად გადაწყვეტას.

- დღეს აგრარულ საექტორში რესურსების გაზრდის პრაქტიკული შესაძლებლობა შეზღუდულია. გამოსავალი მხოლოდ მათი გამოყენების გაუმჯობესებაში, უკუგების ამაღლებაშია.

დასმული ამოცანის გადაჭრის მთავარი გზა სოფლის მეურნეობის ყველა დარგში არის წარმოების ინტენსიფიკაცია, არსებული შეზღუდული რესურსების პირობებში უფრო მაღალი შედეგების მიღწევა. ამისათვის კი მნიშვნელოვანია, რომ ყველა საკითხის გადაწყვეტისას შევარჩიოთ რესურსდამზოგავი ვარიანტი, პრიორიტეტი უნდა მიეცეს იმ სფეროებს და უბნებს, რომლებიც ამჟამად სუსტად არიან განვითარებულნი და ამცირებენ საბოლოო შედეგს. მას ექვემდებარება სოფლის მეურნეობაში მთელი სტრუქტურული და საინფორმაციო პოლიტიკა.

- თანამედროვე ეტაპზე საქართველოს წინაშე მდგარი პრობლემებიდან ერთ-ერთი ყველაზე უმწვავესია სასურსათო პრობლემა, რომლის გადაწყვეტა ძალიან ძნელია ისეთ პირობებში, როცა ქვეყანას არ გააჩნია საკმაო რაოდენობით ვალუტა, სურსათის დეფიციტის შესავსებად ობიექტურად აუცილებელი ხდება სასურსათო დარგების დაჩქარებული ტემპებით განვითარება და ადგილობრივი წარმოების საკვებით მოსახლეობის უკეთ უზრუნველყოფა. სურსათის ადგილობრივი რესურსების წარმოების გადიდება ობიექტურად მოითხოვს სოფლის მეურნეობის ისეთი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებას, სადაც წამყვანი და პრიორიტეტული ადგილი მინიჭებული ექნებათ იმ პროდუქტების (კულტურების)

წარმოებას, რომლებიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ ქვეყნის სასურსათო ბალანსის ფორმირებაში.

- სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია მაკროეკონომიკური განვითარების სტრატეგიისა და პრიორიტეტის განსაზღვრასთან ერთად ბაზარზე კონკრეტული გარემოს შექმნა და მისი დაცვა უნდა იყოს. ამასთან დაცული უნდა იქნეს არა მარტო პროდუქციის მწარმოებლის, არამედ მომხმარებლის ინტერესებიც. ამ ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს რეგულირების საბაზრო მექანიზმების ფორმირებას და მისი მოქმედებისათვის კეთილსაიმედო გარემოს შექმნას.

ამასთან ერთად საჭიროდ მიგვაჩნია მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით, ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით დამუშავდეს აგრობირჟის მოწყობის პროექტიც. იგი დიდად შეუწყობს ხელს ძირითადი სასურსათო პროდუქციის შიდა ბაზრის მოთხოვნა-მიწოდების მექანიზმის ამოქმედებას. ამ მიზნით პირველ ყოვლისა უნდა დაისვას საკითხი ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის წინაშე აგრობირჟის პროექტის შემუშავებისა და რეალიზაციისათვის სათანადო კრედიტის გამოყოფის შესახებ.

საკრედიტო პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს აგრარული სექტორის მხარდასაჭერად ცენტრალიზებული შეღავათიანი კრედიტის თავისდროულ გამოყოფას. გრძელვადიან და მოკლევადიან კრედიტებს შორის აუცილებელ თანაფარდობას. ძირითადი საშუალებების შესაძენად მიზნობრივი გრძელვადიანი კრედიტი უნდა მიეცეს არა უმცირეს 5 წლის ვადისა:

კრედიტების ოდენობა, საპროცენტო განაკვეთების დონე, მათი დაფარვის ვადები და კრედიტის გამოყენებისათვის პასუხისმგებლობის ზომები უნდა განისაზღვროს კომერციულ ბანკებსა და სესხების ამღებებს შორის შეთანხმებათა საფუძველზე, ხოლო ცენტრალიზებული კრედიტების რაოდენობა უნდა დაადგინოს ეროვნულმა ბანკმა, საკრედიტო პოლიტიკის საკითხების სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

- რესურსების მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მათი პროპორციული დაბალანსების შემთხვევაში, რაც, თავის მხრივ, უნდა შეესაბამებოდეს წარმოების ტექნოლოგიის მოთხოვნებს. წარმოების ეფექტურობა გამოისახება როგორც ეფექტის შეფარდება იმ დანახარჯების სიდიდესთან, რომლებმაც განაპირობეს ეს ეფექტი. იმისათვის, რომ სწორად ჩამოვაცალიბოთ ცალკე აღებული რესურსის ეფექტიანობის მაჩვენებელი, რომელიც

არ იქნება დამახინჯებული სხვა რესურსების ეფექტიანობის გავლენით, საჭიროა მიღებული ეფექტიდან გამოვყოთ ის ნაწილი, რომელიც განპირობებულია სწორედ ამ კონკრეტული რესურსის მოქმედებით. აგრარული სექტორის რესურსული პოტენციალის ობიექტური შეფასება შეიძლება მიღებული იქნეს წარმოებული პროდუქციის მოცულობაზე თითოეული რესურსის გავლენის ხარისხის გათვალისწინების (აღრიცხვის) საფუძველზე.

- საჭიროა დაუყოვნებლივ შემუშავდეს და განხორციელდეს სოფლის მეურნეობისა და ფერმერთა საზოგადოების განვითარების ფართომასშტაბიანი სტრატეგია, რომელმაც შეიძლება გაცილებით დიდი ეკონომიკური და სოციალური შედეგი გამოიღოს, ვიდრე ინვესტიციებმა.

პრივატიზაციის შედეგად მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოები ჩაანაცვლა დაქუცმაცებულმა მეურნეობებმა. ამის გამოც დაიშალა და გამოუყენებელი გახდა ისეთი რესურსიც, როგორცაა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. აღნიშნულმა გამოიწვია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური, ეკონომიკური და ორგანიზაციული ერთიანობის დაშლა. მნიშვნელოვნად გაუარესდა ნიადაგის ნაყოფიერება, აგრარული სექტორის დაფინანსების შეზღუდვისა და სახსრების უქონლობის გამო, გაიზარდა დაჭაობებული, ეროზირებული და გამოუყენებელი მიწების ფართობები. ყოველივე ამ ნეგატიური მოვლენების თავიდან ასაცილებლად სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს გლეხური და ფერმერული მეურნეობების განვითარებას ისეთი ბერკეტებით, როგორცაა: გადასახადები, ფასები, მიზნობრივი სახელმწიფო სუბსიდიები მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად, სურსათის წარმოების, პროდუქციის ხარისხის, უმუშევრობის რეგულირება, მარკეტინგის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დეფიციტსა და სიჭარბეზე კონტროლის დაწესება, ექსპორტის განვითარება, ქვეყნის მოსახლეობის სრული უზრუნველყოფა სურსათით, საინვესტიციო საქმიანობის მხარდაჭერა, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება, გარემოს დაცვა, მცენარეებისა და ცხოველების დაავადებებთან და მავნებლებთან ბრძოლა და სხვა. ვინაიდან წვრილი გლეხური მეურნეობები ჩამოთვლილ პრობლემებს ვერ გადაჭრიან, საჭიროა სახელმწიფომ ნაწილობრივ მაინც დაფაროს ხარჯები ენერჯო და მატერიალური რესურსების შექმნაზე, მაღალპროდუქტიული პირუტყვის გამოზრდაზე და სხვა.

- საქართველოში ეფექტიანად ფუნქციონირებს საზღვარგარეთის კრედიტებისა და დახმარების სხვადასხვა ფონდები, მაგრამ მათი მიღების მექანიზმი საკმაოდ

რთულია და მიუწვდომელი სოფლის მეწარმესათვის ისევე, როგორც კომერციული ბანკების მიერ შემოთავაზებული პირობები. ძირითადი პრობლემა გლახეზებზე სესხის გაცემისას ის არის, რომ მათ მცირე ზომის მიწის ნაკვეთები აქვთ და სესხის გაცემისას ამ ნაკვეთის დაგირავება ბანკებისათვის ხელსაყრელი არ არის, ვინაიდან გირაოს ღირებულება ბანკების ეჭვს იწვევს. თანაც გასათვალისწინებელია სტიქიური და სხვადასხვა ფორს მაჟორული მოვლენები, რომლის შედეგადაც გირაოს ღირებულება კიდევ უფრო მცირდება. ამ სიტუაციიდან გამოსასვლელად გვესახება ფერმერთა საკრედიტო კოოპერატივების შექმნა, რომლებიც დააფინანსებენ კოოპერატივის წევრებს.

- გლობალიზაციის პირობებში საქართველოს აგრარულ სექტორს სახელმწიფოს ხელშეწყობით თავისუფლად შეუძლია წარმატებებს მიაღწიოს და გავიდეს მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით. აღნიშნული საშუალებას იძლევა ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი: ნაყოფიერი მიწები, ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები, იაფი მუშა ხელი და სხვა. საქართველოს აგრარულმა სექტორმა პირველ რიგში ყურადღება უნდა გაამახვილოს პერსპექტიული პროდუქციის წარმოებაზე, რომლებშიც ქვეყანას ფარდობითი უპირატესობა გააჩნია, ესენია ბოსტნეული, ყურძენი, ხილი, ღვინო. სწორედ ამ დარგების განვითარებაზე უნდა იყოს მიმართული პოტენციალის გამოყენება, ხოლო მომდევნო ეტაპზე სხვა დარგშიც გადანაწილდეს საჭირო რესურსები.

- რესურსული პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების ერთ-ერთ გზად მიგვაჩნია ფერმერთა საზოგადოების ჩამოყალიბება, ბიუჯეტში სათანადო სახსრების გამოყოფა სასწრაფოდ საირიგაციო და სადრენაჟო სამუშაოების ჩასატარებლად, სათანადო გზების აშენება, რომლის გარეშეც ბაზართან ვერ დამყარდება ეფექტური კავშირი. აგრარული დარგის სტრატეგიულ მიმართულებებში ასახული უნდა იყოს სოფლის ინფრასტრუქტურის ინვესტირება რესურსული პოტენციალის ეფექტიანად გამოყენებაში დიდ როლს შეასრულებს აგრო-ტურიზმის განვითარება, რაც საკმაოდ შემოსავლის მომტანი იქნება როგორც სოფლის მოსახლეობისათვის, ისე სახელმწიფოსათვის.

- მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში სხვა პრობლემებთან ერთად გარკვეული ადგილი უკავია მოსახლეობის ეკოლოგიურად სუფთა სასურსათო პროდუქტებით მომარაგებას. სწორედ ამ მხრივ ჩვენ დიდი შესაძლებლობები გვაქვს, რასაც ხელი უნდა შეუწყოს საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის

განვითარებამ, რომელიც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული აგრარულ სექტორში ინვესტიციების მოზიდვასთან, განსაკუთრებით უცხოური ინვესტიციებისა საერთოდ და კერძოდ, ტურიზმისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში, რადგან აქ ჩადებული ინვესტიციები თავისთავად აიძულებს ინვესტორს განავითაროს მაღალ დონეზე საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა. ეს საშუალებას მისცემს ჩვენს გლეხებს აწარმოონ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია და ადგილზევე მოახდინონ მათი რეალიზაცია.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. აგრარული რეფორმა და 1991-1995 წლებში საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსში მიმდინარე ცვლილებების ანალიზი და შეფასება, საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ანგარიში, თბილისი, 1996.
2. ასათიანი რ., რეგიონული ქვეკომპლექსების ფორმირება და მართვის ორგანიზაცია, თბილისი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, 1991
3. ასათიანი რ., კაკაშვილი ა., კაკულია რ., აგროსამრეწველო სექტორის რესტრუქტურისაციის საკითხები, ჟურნალი „ეკონომიკა“, №4-6, 1996.
4. ასათიანი რ., საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური აგროსამრეწველო კომპლექსში, თბილისი, 2002.
5. აფციაური ვ., ფერმერული მეურნეობების განვითარების გზები, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №107, 6 მაისი, 1998.
6. ბარათაშვილი ე., რეგიონული აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური საფუძვლები, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1987.
7. ბაქრაძე ი., ქეშელაშვილი ო., აგროსამრეწველო კომპლექსის ინფრასტრუქტურა, თბილისი, „ცოდნა“, 1984.
8. ბურკაძე ვ., ჭინჭარაული., პრივატიზაცია აგროსამრეწველო კომპლექსში: მიზანი და რეალობა, ჟურნალი „ეკონომიკა“, №9-12.
9. გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური პრიორიტეტები, თსუ 80 წლისთავისადმი მიძღვნილი შრომების კრებული, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1998.
10. გიორგაძე ჰ. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების ეკონომიკური პრობლემების საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა შრომები №2 თბ., „სიანხლე“. 2001.
11. გიორგობიანი ო., აგროსამრეწველო კომპლექსი საბაზრო ურთიერთობების პირობებში, ჟურნალი „ეკონომიკა“, №11, 1990.
12. გიორგობიანი ო., საწარმოთა ორგანიზაციული ფორმები, ჟურნალი

- „ეკონომიკა“, №4, 1990.
13. გოგოხია რ., სოფლის-მეურნეობრივი წარმოების ინტენსიფიკაცია, თბილისი, „მეცნიერება“, 1975.
 14. გოგოხია რ., აგრარული საკითხი და ერის ინტერესები, ჟურნალი „ეკონომიკა“, №2, 1991.
 15. გოგოხია რ., განსახელმწიფოებრიობის და პრივატიზაციის არსის გაგებისათვის, ჟურნალი „ეკონომიკა“, №5-6, 1992.
 16. გოგოხია რ., როგორ გავხდეთ ფერმერი, ჟურნალი „ეკონომიკა“, №7-8, 1996.
 17. გოგოხია რ., საბაზრო ეკონომიკა, თბილისი, გამომცემლობა „საქპროფგამი“, 1996.
 18. გოგოხია რ., სამეურნეოანგარიშიანი ინტერესები: აგროსამრეწველო სამეურნეოანგარიშიანი მექანიზმის სრულყოფის გზები, ჟურნალი „ეკონომისტი“, №12, 1987.
 19. გაეროს განვითარების პროგრამა (2008), ჰუმანური განვითარების ანგარიში 2007/2008, <http://hdrstats.undp.org/indicators/147.html> and <http://hdrstats.undp.org/indicators/24.html>.
 20. დიასამიძე დ., ლაბარტყავა ა., საადგილმამულო რეფორმა და სოფლის მეურნეობის განვითარების გზები, ჟურნალი „ეკონომიკა“, №1-3, 1996.
 21. ვაშაკიძე ო., როგორ დაეძლიოთ აგრარული კრიზისი, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 29 ნოემბერი, 1997.
 22. იაშვილი ნ., საქართველოს მიწის ფონდი, თბილისი, თსუ, 1975. 525 გვ.
 23. მეწარმეობის მხარდაჭერის საერთაშორისო ცენტრი, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება საქართველოში, კვლევის მასალები, 2008.
 24. კანდელაკი ე., ინსტიტუციური თეორია, ევოლუციური ეკონომიკა და ჩვენი სინამდვილე. კრებულში: საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები ტ. II თბ. 2001.
 25. კოლუაშვილი პ., აგრობიზნესის განვითარებას რეგულირება სჭირდება, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 4 დეკემბერი, 1996.
 26. კოლუაშვილი პ., სასურსათო უშიშროების განუხორციელებლობის

- ძირითადი მიზეზები, აგრარული რეფორმის პირველი ეტაპის შედეგები, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 16 ივნისი, 1998.
27. კოლუაშვილი პ., გიორგაძე ჰ., სურსათის წარმოების რეგიონალური ორიენტირება საქართველოში, „მაცნე“ ეკონომიკის სერია ტ., 11, 2003. №1-2.
28. კოლუაშვილი პ., ზიბზიბაძე გ. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. თბილისი, 2006.
29. კოლუაშვილი პ., გ. ზიბზიბაძე. აგრარული საწარმოს ეკონომიკა. თბილისი, 2010.
30. კოლუაშვილი პ., გ. ზიბზიბაძე. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. თბილისი, 2010.
31. კუნჭულია თ., საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები, „მეცნიერება“, თბილისი, 1997.
32. კუნჭულია თ., სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სტრატეგია, ჟურნალი „ეკონომიკა“, №8-9, 1993.
33. მიწის გადასახადის ცნობარი, თბ. 2002.
34. მესხია ი., ხაბურზანია ლ., კაკულია რ., საქართველოში სამეურნეო რეფორმის მიმდინარეობის ანალიზი და მისი სრულყოფის წინადადებები, თბილისი, 1993.
35. მესხია ი., გადასახადების ოპტიმიზაციის მაკრო და მიკრო ეკონომიკური ასპექტები, ჟურნალი „გადასახადები“, №17, 2000.
36. მექვაბიშვილი ე., საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები, თსუ, თბილისი, 1991.
37. პაპავა ვ., პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2002.
38. საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული, ტ. I, თბილისი, 1996.
39. საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები

- საქართველოში, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული, ტ. II, თბილისი, 1997.
40. საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული, ტ. III, თბილისი, 1998.
41. საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური განვითარების მოდელის ფორმირების ძირითადი მიმართულებები საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1992.
42. საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფცია, თბილისი, 1997.
43. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, თბილისი, 2002.
44. საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, თბილისი, 2002.
45. საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ“, თბილისი, 1996 წლის 28 ივნისი.
46. საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, თბილისი, 1996 წლის 22 მარტი.
47. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბილისი, 2005.
48. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მასალები, 1990 – 2009წწ.
49. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პირველადი აღრიცხვის მასალები, 2000 – 2009წ.წ.
50. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბ., 2002.
51. სადარეიშილი ო., აგროსამრეწველო ბიზნესის ორგანიზაციის მეთოდოლოგია, თბილისი, 1992.
52. სადარეიშილი ო., ჯაბიძე დ., ქეშელაშვილი ო., აგროსამრეწველო ინტეგრაცია და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში,

- თბილისი, თსუ, 1986.
53. საღარეიშვილი ო., ხარაიშვილი ე. ბიზნესის ორგანიზაცია, მართვა და ანალიზი, ნაწილი I, თბილისი, გამომცემლობა „დავითი“, 1994.
 54. საღარეიშვილი ო., ხარაიშვილი ე. ბიზნესის ორგანიზაცია, მართვა და ანალიზი, ნაწილი II, თბილისი, „მერიდიანი“, 1995.
 55. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა (მიკრო, მეზო და მაკროეკონომიკური ანალიზი), ავტორთა კოლექტივი: ხურცილავა მ., ხარაიშვილი ნ., გეგენავა ლ., მექვაბიშვილი ვ., ხარაიშვილი ე., თბილისი, 2009.
 56. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2008, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბილისი, 2009.
 57. საქართველოს სტატისტიკური წელიწადწლეული, თბილისი , 2009.
 58. ქეშელაშვილი ო., მოსაზრებები აგრარული რეფორმის შესახებ, „ეკონომიკა“, №9-10, 1991.
 59. ქეშელაშვილი ო., საქართველოს ბიზნესური პროფილი, ძირითადი მოტივაციები და განვითარების კონცეპტუალური საკითხები, ჟურნალი „ეკონომიკა“, № 4-6, 1996.
 60. ქეშელაშვილი ო., სოფლის მეურნეობა აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში, თბილისი, გამომცემლობა „საქართველო“, 1991.
 61. ქეშელაშვილი ო.. ბიზნესური ეკონომიკა. თბილისი, 2010.
 62. ჩიქავა ლ., საქართველოს ეკონომიკა, თბილისი, „მერიდიანი“. 1995.
 63. ჩიქავა ლ., ეკონომიკის მართვის რადიკალური გარდაქმნა, ჟურნალი „ეკონომისტი“, №1, 1989.
 64. ჩიქავა ლ., ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი თბ., 1997.
 65. ხარაიშვილი ე., საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკურ-ორგანიზაციული მექანიზმები და მისი სრულყოფის მიმართულებანი, თბ, თსუ გამომცემლობა. 2004. 171.
 66. ხარაიშვილი ნ., მიკროეკონომიკური ანალიზი, დამხმარე სახელმძღვანელო, სსაუ, 1997.
 67. ხარაიშვილი ე., „ფერმერული მეურნეობები და მათი განვითარების ტენდენციები“ შრომების კრებული „ეკონომიკის აქტუალური საკითხები“,

- VII გამოშვება, თსუ გამომცემლობა 2000.
68. ხარაიშვილი ე., ჯიბუტი ა., აგრარული-სამრეწველო კომპლექსი და მისი სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია. შრომების კრებული „ეკონომიკის აქტუალური საკითხები“, X გამოშვება, თსუ გამომცემლობა 2000.
69. ხარაიშვილი ე., ჯიბუტი ა., საგადასახადო სისტემის სრულყოფისათვის შრომების კრებული „ეკონომიკის აქტუალური საკითხები“, XIII გამოშვება თსუ გამომცემლობა 2000.
70. ხარაიშვილი ე. აგრობიზნესის ორგანიზაციული ფორმები და მასზე მოქმედი ფაქტორები. ჟურნალი „ეკონომიკა“, თსუ გამომცემლობა 2001.
71. ხარაიშვილი ე., ჩავლეიშვილი მ., ფირმის ფინანსური ეკონომიკა, თბილისი, 2009.
72. ხარაიშვილი ე., რეგიონების მდგრადი ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარება და გარემოს დაცვის ღონისძიებები, აგრარული მეცნიერების პრობლემები, სამეცნიერო შრომების კრებული, XXVII. თბილისი, 2004.
73. ხარაიშვილი ე., ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ეკონომიკურ-ეკოლოგიური შეფასების მეთოდოლოგიური საკითხები, აგრარული მეცნიერების პრობლემები, სამეცნიერო შრომების კრებული, XXIX, თბილისი, 2004.
74. ხარაიშვილი ე., ბუნებათსარგებლობის მაკროეკონომიკური რეგულირების თეორიული ასპექტები, ჟურნალი „ეკონომიკა“, №12, 2005.
75. ხარაიშვილი ე., ჩავლეიშვილი მ., აგროსამრეწველო წარმოების რეგულირების მექანიზმები, აგრარული მეცნიერების პრობლემები, სამეცნიერო შრომების კრებული, XXVII, თბილისი, 2005.
76. ხარაიშვილი ე., სურსათის რესურსული პოტენციალი და სასურსათო ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებები, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი „მოამბე“, თბილისი, 2006.
77. ხარაიშვილი ე., სასურსათო ბაზრის სტრუქტურების გააღწენა პროდუქციის წარმოებაზე და ბაზარზე შესვლის ბარიერები, აგრარული

- მეცნიერების პრობლემები, სამეცნიერო შრომათა კრებული, XXXIX, თბილისი, 2007.
78. ხარაიშვილი ე., აგრარული სექტორის განვითარების რეგიონული პრობლემები და მიზნობრივი პროგრამული კონცეფციები, ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, თბილისი, №1, 2008.
79. ხარაიშვილი ე., ჩავლეიშვილი მ., თხილის ბიზნესის განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები საქართველოში, ჟურნალი „აგროინფო“ (აშშ საერთაშორისო სააგენტოს USAID-ის მხარდაჭერა), 2008, №1 (15).
80. ფირცხელავა ნ., აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი რეგულირება გარდამავალ პერიოდში (სამეგრელოს რეგიონის მაგალითზე), თბილისი, 2006.
81. ჭითანავა ნ., საბაზრო ეკონომიკის რეგულირება (ორგანიზაციული პრობლემები), ეკონომიკის სამინისტროს ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ნაწილი, I თბილისი, 1993.
82. ჭითანავა ნ., შერეული, მრავალწიგობიან სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა, თბილისი, 1996.
83. ჭითანავა ნ., საბაზრო ეკონომიკა და აგროსამრეწველო კომპლექსის პრობლემები, თბილისი, „საქართველო“, 1993.
84. ჭითანავა ნ., გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, ნაწილი I, თბილისი, ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 1997. ნაწილი II, თბილისი, 1999.
85. ჭითანავა ნ., მიკროეკონომიკური განვითარების ზოგიერთი თავისებურებები, „განათლება, მეცნიერება, ბიზნესი“ №2, 1998.
86. ჭითანავა ნ., აგრარული მეურნეობის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის ეკონომიკური და ორგანიზაციული საკითხები, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 4 აგვისტო, 1992.

100. - :
- . 1991.
101. ,
- . - : 1995.
102. :
- . - : . - . 1996.
103. (-
-), :
- « », 1993.
104.
- . - : . 1980.
105. . . «
- » , M., 2009 .
106.
- « » , :
- , 2007, (0,5 . .).
107.
- , XXXIV
- , 2008.
108.
- - : « » . 1995.
109. -
- . : . 1982.
110. -
- : . 1983
111. , . . . - : .
- 1966.
112. / - : .
- 1984.

113.
- . 1996
114. –
- ∴ . 1991
115.
- : . 1984
116.
- . – ∴ – .
- 117.** , : ,
- . 11, 1992,
118. ∴ . 1994
119. A Sustainable Agricultural Policy for Europe, Position paper on CAP review and reform, IFOAM EU Regional Group April 2002.
120. www.geostat.ge.
121. <http://www.europages.com>
122. <http://www.foodtrader.com>
123. <http://www.agromarketplace.com>
124. <http://www.freshinfo.com>
125. <http://www.foodmarketexchange.com>
126. <http://www.greentrade.net>
127. <http://www.freshplaza.com>
128. <http://faostat.fao.org>
129. <http://www.cbi.eu>